

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტი: თამარ ავალიანი

სადოქტორო თემა: ფინანსური
კომპეტენცია, როგორც საპარლამენტო
კონტროლის ფორმა საქართველოში

სადოქტორო თემის ხელმძღვანელი:
პროფესორი ნანა ჭილლაძე

თბილისი, 2016

**ფინანსური კომპეტენცია, როგორც საპარლამენტო
კონტროლის ფორმა საქართველოში**

სტრუქტურა

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი და ტერმინთა განმარტებები	4-5
შესავალი	6-9
I. საფინანსო კონტროლის არსი	10-32
1.1. საფინანსო კომპეტენცია - პარლამენტის უფლებამოსილების ძირითადი მიმართულება	10-24
1.1.1. საფინანსო კომპეტენცია - რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი ასპექტი	14-18
1.1.2. საფინანსო კომპეტენცია - კარგი მმართველობის (good governance) პრინციპის შემადგენელი ნაწილი	19-22
1.1.3. Power of the Purse – კანონის უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპი საჯარო ფინანსებში	21-24
1.2. საფინანსო კომპეტენცია - საპარლამენტო კონტროლის ფორმა საქართველოში	24-32
1.2.1. Ex-Ante საფინანსო კონტროლი – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ფორმა	25-28
1.2.2. Ex-Post საფინანსო კონტროლი – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ფორმა	29-32
II. პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები	33-44
2.1. კონსტიტუცია – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელი ძირითადი კანონი	33-36
2.2. პარლამენტის რეგლამენტი – საფინანსო კონტროლის მომწესრიგებელი ძირითადი აქტი თუ მხოლოდ პროცედურების ერთობა?	36-39
2.3. საბიუჯეტო სისტემის მომწესრიგებელი სხვა აქტების თავისებურებანი	39-41
2.4. სახელმწიფო ბიუჯეტი – სამართლებრივი თუ საფინანსო დოკუმენტი	42-44
III. სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ფორმები და მათი გავლენა საბიუჯეტო კანონმდებლობაზე	45-47
IV. საკანონმდებლო პროცესის თავისებურებანი პარლამენტში საფინანსო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით	48-75
4.1. საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების	

თავისებურებანი საბიუჯეტო პროცესში	48-54
4.1.1. აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების პრივილეგია პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით?	48-52
4.1.2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმება – საფინანსო სფეროში საკანონმდებლო ინიციატივის მნიშვნელოვანი ასპექტი	52-54
4.2. პარლამენტის კომპეტენციის ზღვარი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვეტოს გამოყენების პრივილეგია	55-59
4.3. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების განსაკუთრებული პროცედურის მახასიათებლები	59-75
4.3.1. პარალელური რეზოლუცია და შემთანხმებელი პროცედურა - პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის განსაკუთრებული ნიშნები	59-61
4.3.2. საშუალო კომიტეტის როლი პარლამენტის პალატებს შორის კომპრომისის მიებაში და პარლამენტის ქვედა პალატის მიერ ზედა პალატის პროტესტის დაძლევა ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს	61-62
4.3.3. „მაქოს“ პრინციპის აკრძალვა ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაში და ბიუჯეტის განხილვის ურგენტული პროცედურის თავისებურებანი	63-64
4.3.4. ბიუჯეტის გახილვა ერთი მოსმენით - საბიუჯეტო პროცედურის დამახასიათებელი ნიშანი	64-66
4.3.5. ბიუჯეტის მიღება სამი მოსმენით – განსაკუთრებული თუ სტანდარტული პროცედურა?	67-69
4.3.6. საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცედურის ხარვეზები	69-73
4.3.7. დრო პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენასა და ახალ ფისკალურ წელს შორის და ბიუჯეტის დადგენილ დროს მიუღებლობის შედეგად გამოყენებული მექანიზმები	73-75
V. პარლამენტის საკომიტეტო სისტემა – სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტური განხილვის ადგილი	76-89
5.1. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის როლი ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში	76-82
5.2. პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტი – საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის ეფექტური მექანიზმი	82-89

VI.	უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლი საფინანსო კონტროლის განხორციელებაში90-94
VII.	საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმები95-136
7.1.	ინტერპელაცია და კითხვა/შეკითხვა – საპარლამენტო კონტროლის ფორმები საქართველოში95-107
7.2.	იმპიჩმენტი – საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტი საქართველოში108-114
7.3.	პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია – საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი114-123
7.4.	მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება – პარლამენტის საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი123-136
7.4.1.	კონცეფცია „responsible government” – საპარლამენტო დემოკრატიის ქვაკუთხედი123-129
7.4.2.	უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი – საფინანსო კონტროლის მექანიზმი129-136
VIII.	საქართველოს პარლამენტის საგადასახადო პოლიტიკა137-151
8.1.	პარლამენტის საგადასახადო კომპეტენცია და საკანონმდებლო ინიციატივა გადასახადებთან დაკავშირებით137-144
8.2.	გადასახადები და რეფერენდუმი – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საჭიროებით რეგულაცია საქართველოს კონსტიტუციაში144-151
IX.	საქართველოს პარლამენტის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ბანკის როლი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში152-155
	დასკვნა156-171
	ბიბლიოგრაფია172

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი და ტერმინთა განმარტებები

ტერმინთა განმარტებანი

- ex-ante - წინასწარი;
- ex-post - შემდგომი;
- Power of the Purse - ტერმინი პარლამენტის საფინანსო და საგადასახადო კომპეტენციას ასახავს, რომელიც საჯარო ფინანსების მართვაში პარლამენტის სუვერენულ როლზე მიანიჭნებს;
- good governance - კარგი მმართველობის პრინციპი ანგარიშვალდებულ მთავრობას და პარლამენტის ეფექტურ კონტროლის კომპეტენციას გულისხმობს;
- influence terms – ზეგავლენის აღმნიშვნელი ტერმინები;
- financial oversight – საფინანსო ზედამხედველობა;
- financial control – საფინანსო კონტროლი;
- demand-concealing – მოთხოვნადამალული;
- The Principle of Public Fisc – საჯარო ქონების პრინციპი;
- The Principle of Appropriations Control – სახელმწიფო თანხის გადების კონტროლი;
- The power to deny appropriations - მთავრობის მიერ ხარჯების, სახელმწიფო ასიგნების გადებისასთან დაკავშირებით პარლამენტის უარის კომპეტენციას;
- governance of budget – ბიუჯეტის მართვა;
- parliamentary rules – საპარლამენტო წესები;
- reglament of parliament – პარლამენტის რეგლამენტი;
- standing orders of parliament – პარლამენტის მუდმივი წესები;
- Primary law - პირველადი კანონი;
- secondary law – მეორადი კანონი;
- budget – ბიუჯეტი;
- pre-budget debate – ბიუჯეტის წარდგენამდე დებატები;
- package veto – სრული ვეტი;
- a line item veto or partial veto – ნაწილობრივი ვეტი;
- checks and balances – კონტროლი და განვითარება;
- ad hoc – სპეციალური;
- responsible government – პასუხისმგებლიანი მთავრობა;
- Volume – ტომი;
- „მაქოს” პრინციპი - საფრანგეთის საკანონმდებლო პროცესისათვის დამახასიათებელი გაწელილი პრცედურა;

შემოკლებანი:

- ა.შ – ასე შემდეგ;
- აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები;

- ობ – ობიექტი;

შესავალი

სადოქტორო ნაშრომში განხილულია საქართველოს პარლამენტის ფინანსური კომპეტენცია, როგორც საპარლამენტო კონტროლის ფორმა საქართველოში. კვლევაში მიმოხილულია პარლამენტის ფინანსური კონტროლის კომპეტენციის მნიშვნელოვანი ასპექტები, მისი გაძლიერების გზები და პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ოპტიმალური მოწესრიგების ასპექტები. სადოქტორო ნაშრომში გაანალიზებულია ხარვეზები და შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები პარლამენტის ფინანსური კონტროლის კომპეტენციის განმტკიცებასთან დაკავშირებით საუკეთესო საერთაშორისო მოდელების შესწავლის საფუძველზე.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელოვან მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ფინანსური კომპეტენციის საშუალებით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო აკონტროლებს და ზედამხედველობას უწევს მთავრობის საქმიანობას საჯარო ფინანსების განკარგვასთან და რაციონალურ მართვასთან დაკავშირებით.

სადოქტორო ნაშრომში გაანალიზებულია პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის კონსტიტუციური რეგლამენტაციის საკითხი და სახელმწიფო ბიუჯეტის სამართლებრივი ბუნება.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია საჯარო ფინანსებში ფისკალური დისციპლინის დამყარების ძირითადი ინსტრუმენტია.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია, როგორც წესი, საბიუჯეტო კონტროლის წინასწარ (ex ante)¹ და შემდგომ (ex post)² ფაზებში წარმოჩნდება. წინასწარი კონტროლის ეტაპზე, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო მონაწილეობა იღებს საბიუჯეტო განხილვებში, ხოლო შემდგომ ეტაპზე, იგი ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის შესრულების კონტროლზეა ორიენტირებული. საქართველოს პარლამენტი წინასწარ და შემდგომ საფინანსო კონტროლს ერთდროულად ახორციელებს. საქართველოს პარლამენტი იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს და იმავდროულად ამტკიცებს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს.

საქართველოში წინასწარი საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვან ეტაპს მთავრობის მიერ ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმება წარმოადგენს.

წინასწარი და შემდგომი კონტროლის ეტაპზე, მნიშვნელოვანია პარლამენტის გამართული საკომიტეტო სისტემის არსებობა, რომელიც ეფექტურად გააკონტროლებს მთავრობის მიერ საფინანსო პოლიტიკის შესრულებას და მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ძირითადად მაკორდინირებელი ფუნქციით შემოიფარგლება და

¹ წინასწარი საფინანსო კონტროლი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურის დროს ხორციელდება. ტერმინი ex-ante ნიშავს წინასწარს.

² შემდგომი საფინანსო კონტროლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშვების ეტაპზე. ტერმინი ex-post შემდგომს ნიშავს.

ნაკლებად ეფექტურია აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის საქმეში.

მთავრობის წინასწარი და შემდგომი კონტროლის ფაზებში აქტიურად მონაწილეობენ გარე მაკონტროლებელი ორგანოები, რომელთა სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციებით არის განსაზღვრული. საქართველოში სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად მონაწილეობს ორგორც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის, ისე მისი შესრულების ეტაპებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს აქტიურ როლს ასრულებს ეროვნული ბანკი, რომელიც მონეტარული პოლიტიკის შესრულების კონტროლზეა ორიენტირებული.

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს „უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას - **Power of the Purse**³” წარმოადგენს. აღნიშნული კომპეტენცია ხაზს უსგამს პარლამენტის ექსკლუზიურ როლს საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრაში.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია კარგი მმართველობის პრინციპის (**good governance**)⁴ მნიშვნელოვანი ასპექტია.

სამართლებრივ დოქტრინაში, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის შემადგენელ ნაწილადაც განიხილავენ. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ხაზი გაესგას პარლამენტის ექსკლიზიურ როლს საფინანსო კომპეტენციის განხორციელების საქმეში, ხოლო, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია მთავრობის სტაბილური ფინქციონირების უზრუნველყოფა.

საფინანსო კომპეტენციის განხორციელებისას პარლამენტი ესტრაორდინალური კონტროლის ისეთ ფორმებს იყენებს, როგორიცაა, ინტერპელაცია, კითხვა/შეკითხვა, იმპიჩმენტის მექანიზმი, დროებითი საგამოძიებო კომისია და უნდობლობის გამოცხადება. აღნიშნული მექანიზმების გამოყენება სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ფორმაზეა არის დამოიკიდებული.

საქართველოს პარლამენტი ან საერთოდ არ იყენებს ესტრაორდინალური კონტროლის ფორმებს ან იშვითად იყენებს მათ. ორგორც წესი, საქართველოს პარლამენტი არ იყენებს ესტრაორდინალური კონტროლის ფორმებს საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

ნაშრომში გაანალიზებულია პარლამენტის საგადასახადო და ფულად - საკრედიტო პოლიტიკა, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი.

წინამდებარე ნაშრომში კვლევისას გამოყენებულია **შედარებით-სამართლებრივი მეთოდი**, როგორც საშუალება ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად.

სადოქტორო ნაშრომში პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ქართულ მოდელთან ერთად გაანალიზებულია სხვადასხვა ქმედების საუკეთესო მოდელები და მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით

³ აღნიშნული ტერმინი პარლამენტის საფინანსო და საგადასახადო კომპეტენციას ასახავს, რომელიც საჯარო ფინანსების მართვაში პარლამენტის სუვერენულ როლზე მიანიშნებს.

⁴ კარგი მმართველობის პრინციპი ანგარიშვალდებულ მთავრობას და პარლამენტის ეფექტურ კონტროლის კომპეტენციას გულისხმობს.

შეთავაზებულია რეკომენდაციები პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა განხორციელდა, რამაც შესაძლებელი გახდა საუკეთესო პრაქტიკის განზოგადება და ანალიზი.

ნაშრომში გამოყენებულია **სისტემური და ლოგიკური ანალიზის მეთოდები**, რითაც პარლამენტის საფინანსო კომპეტენციების სისტემური დაჯგუფება და ტენდენციების გამოკვეთა განხორციელდა.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სხვადასხვა მექანიზმების შეფასებისას დედუქციური და ინდუქციური კვლევის მეთოდების საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა შესაბამისი დასკვნები და რელევანტური რეკომენდაციები.

ნაშრომის **სტრუქტურა** შესავლის, ცხრა თავისა და დასკვნისაგან შედგება.

პირველი თავი საფინანსო კონტროლის არსის განსაზღვრებას გვათვაზობს, სადაც ძირითადი ადგილი საფინანსო კომპეტენციის არსის გარკვევას და წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლისისა და ზედამხედველობის ცნებათა განმარტებას ეთმობა. მითითებულ თავში მიმოხილულია პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია, როგორც კარგი მმართველობისა და რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი ასპექტი. ამასთანავე, მიმოხილულია პარლამენტის უმნიშვნელოვანესი კომპეტენცია - „Power of the Purse, როგორც ფისკალური დისციპლინის დამყარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

მეორე თავში გაანალიზებულია პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები და სახელმწიფო ბიუჯეტის სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნება.

მესამე თავი სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ფორმებს და საბიუჯეტო კანონმდებლობაზე მათ გავლენას ეხება.

მეოთხე თავი პარლამენტის საფინანსო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროცესის თავისებურებებს ეხება.

მეხუთე თავი საკომიტეტო სისტემას და მათ მიერ საფინანსო უფლებამოსილების განხორციელების თავისებურებებს ეხება.

მეექვე თავში გაანალიზებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლი საფინანსო კონტროლის განხორციელების როგორც წინასწარ, ისე შემდგომ უტაკებზე.

მეშვიდე თავში მიმოხილულია საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმები და მათი გამოყენების თავისებურებანი.

მერვე თავი პარლამენტის საგადასახაო პოლიტიკას და მისი განხორციელების თავისებურებებს ეხება.

მეცხრე თავში გაანალიზებულია პარლამენტის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და მისი განხორციელების სპეციფიკა. ამათანავე, მითითებულ თავში აქცენტი კეთდება ეროვნული ბანკის როლზე სახელმწიფო ბიუჯეტის განხლვის წინასწარ და შემდგომ ეტაპებზე.

მეათე თავი მოიცავს საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერების გზებს.

დასკვნაში ჯამდება დასახული მიზნის მისაღწევად ჩატარებული კვლევის შედეგები.

ნაშრომის სათაურის შერჩევისას, არჩევანი ორ ტერმინს – „საფინანსო კონტროლსა” და „ფინანსურ კონტროლს” შორის იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ეტიმოლოგიურად და შინაარსობრივად განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის არ არის, მაინც რადგან დოქტრინაში ძირითადად ტერმინი „ფინანსური კომპეტენცია” იხმარება, გადაწყდა ნაშრომის სათაურში აღნიშნული ტერმინის გამოყენება.

ამასთანავე, ნაშრომში აქცენტი კეთდება ფინანსურ კომპეტენციაზე, როგორც საპარლამენტო კონტროლის ფორმაზე. კვლევაში გამოყენებულია ორი ტერმინი „საფინანსო ზედამხედველობა” და „საფინანსო კონტროლი”. ხშირად, ამ ორ ტერმინს სონონიმური მნიშვნელობა აქვს, ხოლო რიგ შემთხვევებში, ფინანსური კონტროლი აქცენტს სამართლებრივთან ერთად პოლიტიკურ კონტროლზეც აკეთებს. საფინანსო კონტროლს, უფრო მეტად რეპრესიული ფუნქცია აქვს, ხოლო საფინანსო ზედამხედველობა აქცენტს პრევენციაზე აკეთებს.

წინამდებარე ნაშრომში ტერმინოლოგიურ საკითხებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. კვლევაში აქცენტი პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის შინანარსის შესწავლასა და ანალიზს ეთმობა.

ნაშრომის **სიახლე და ორიგინალობა** მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში მწირია ფუნდამენტური კვლევა საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციისა, ამ საკითხზე ძირითადად არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა უცხო ენაზე. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია უცხოენოვანი სამართლებრივი ლიტერატურა და აქტები. ნაშრომის თემატიკის შერჩევისას, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ არჩეულიყო თემა, რომელსაც სჭირდებოდა კვლევა.

წინამდებარე ნაშრომი არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ფუნდამენტური კვლევისა, რომელიც გარკვეულ წლილს შეიტანს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის გავითარებაში.

სადოქტორო თემის **აქტუალობა** მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს დღის წესრიგში სერიოზულად დგას კონკრეტული ღონისძიებების გატარება პარლამენტის როლისა და მისი საკონტროლო კომპეტენციის გაძლიერების მიმართულებით.

მიუხედავად საქართველოში რადენჯერმე განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმისა, დღემდე ვერ მოხერხდა პარლამენტის საფინანსო უფლებამოსილების სათანადო რეგლამენტაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა პარლამენტის მიერ უფლების საკონტროლი კომპეტენციის განხორციელებას.

ნაშრომის **მიზანს** წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის დადებითი მხარეებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ქართული მოდელის ოპტიმალური მოწესრიგება, დახვეწა და სათანადოდ გაწერა, პარლამენტის როლის გააქტიურებითა და წინ წამოწევით. საკვლევ თემაში აქცენტი კეთდება პარლამენტის საკომიტეტო სისტემის გაძლიერებასა და მათ მიერ რეალური საფინანსო კონტროლის განხორციელებაზე, აგრეთვე, საფინანსო კონტრილის ექსტრაორდინალური ფორმების უფლების უფლებურ გამოყენებაზე. ნაშრომში შეთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

I. საფინანსო კონტროლის არსი

საფინანსო კონტროლის არსში გაანალიზებულია პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ძირითადი მიმართულება.

საფინანსო კომპეტენცია, პარლამენტის უძველეს კომპეტენცია წარმოადგენს, რომელიც საპარლამენტო კონტროლის *ex-ante*⁵ და *ex-post*⁶ ფაზებში ვლინდება. საფინანსო კომპეტენცია, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ერთის მხრივ პარლამენტარიზმის განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ, კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებას ემსახურება.

პარლამენტის უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას - „**Power of the Purse**”⁷, განეკუთვნება, რომელიც დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მისი არსი საჯარო ფინანსების მართვაში პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციაში მდგომარეობს. ამასთანავე, პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია კარგი მმართველობის პრინციპის (**good governance**) შემადგენელი ნაწილია.

1.1 საფინანსო კომპეტენცია - პარლამენტის უფლებამოსილების ძირითადი მიმართულება

პარლამენტის ძირითად კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, კანონშემოქმედებითობა, ზედამხედველობის განხორციელება და წარმომადგენლობითობა წარმოადგენს.

გამართული საპარლამენტო ინსტიტუციების შემთხვევაში, პარლამენტის მიერ მისი კონსტიტუციური პრეროგატივების განხორციელება ხდება კომპლექსურად და არა ერთმანეთისგან განყენებულად ან განცალკევებით.

საფინანსო კომპეტენცია პარლამენტის უფლებამოსილების ძირითად მიმართულებას და მისი სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ პრეროგატივას წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, საფინანსო კომპეტენცია არის პარლამენტის ცალკე კომპეტენცია თუ საკანონმდებლო კონტროლის კომპეტენციის ნაწილი.

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია წარმოადგენს პარლამენტის ცალკე კომპეტენციასაც და არა მხოლოდ

⁵ წინასწარი საფინანსო კონტროლი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურის დროს ხორციელდება. ტერმინი *ex-ante* ნიშნავს წინასწარს.

⁶ შემდგომი საფინანსო კონტროლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე. ტერმინი *ex-post* შემდგომს ნიშნავს.

⁷ აღნიშნული ტერმინი პარლამენტის საფინანსო და საგადასახადო კომპეტენციის ასახავს, რომელიც საჯარო ფინანსების მართვაში პარლამენტის სუვერენულ როლზე მიანიშნებს.

პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის შემაღებენელ ნაწილს. კონტროლის კომპეტენციასთან ერთად, პარლამენტი განსაზღვრავს საფინანსო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და საგადასახადო ვალდებულებებს აღვენს. ამასთანავე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებებს განსაზღვრავს.

ისტორიულად პარლამენტებს საფინანსო კომპეტენცია საკანონმდებლო კომპეტენციაზე ადრე მიენიჭათ, რამაც მისი აღეკვატური კონსტიტუციური რეგლამენტაცია განაპირობა.

საფინანსო კომპეტენცია კონტროლის კომპეტენციასთან ერთად უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მახასიათებელს წარმოადგენს.

ზოგიერთი მეცნიერი „ხელისუფლების დანაწილების პირობებში, პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის რამდენიმე საშუალებას გამოყოფს: ზედამხედველობა, კანონმდებლობა და ბიუჯეტის კეთება.”⁸

პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება ჟენდაზე უკეთესად ტერმინ „კონტროლში“ წარმოჩინდება.

ზოგიერთი მეცნიერი ტერმინ „კონტროლს“ „ზეგავლენის ტერმინთა“ (influence terms) ჯგუფს მიაკუთვნებს⁹.

სამართლებრივ დოქტრინაში პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის აღსანიშნავად ხმარობენ როგორც ტერმინ - საფინანსო ზედამხედველობას (*Financial oversight*), ისე საფინანსო კონტროლს (*Financial control*).

ეს ორი ტერმინი სამართლებრივ ლიტერატურაში ხან ერთმანეთის სინონიმად გამოიყენება, ხან კი მცირედ განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია.

მეცნიერთა მოსაზრებით „აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის საზედამხედველო ფუნქციების ანალოგიურია, რომელიც აშშ-ს სენატის კომიტეტმა განმარტა როგორც „კონგრესის უფლებამოსილებათა ფართო სპექტრი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკის განხორციელების კონტროლსა და გადახედვას გულისხმობს.”¹⁰

ტერმინი საფინანსო კონტროლი ტერმინ საფინანსო ზედამხედველობისგან განსხვავებით უფრო მეტად შესაძლებელია აღიქმებოდეს, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტი.

ტერმინ საფინანსო ზედამხედველობას საფინანსო კონტროლისაგან განსხვავებით დამატებითი პრევენციული ფუნქცია გააჩნია. მისი მიზანია უფრო მეტად უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშგადებულებისა და ეფექტურობის შენარჩუნება,

⁸ Remington T.F., Separation of Powers and Legislative Oversight in Russia, WBI Development Studies, Legislative oversight and Budgeting, a World Perspective, editors Rick Stabenhurst, Riccardo Pelizzo, David M. Olson, Liza von Trapp, World Bank Institute, Washington DC, 2008, 173, www.worldbank.org.

⁹ Damgaard E., Representation, Delegation and Parliamentary Control, Copenhagen, April 14-19, 2000, 7.

¹⁰ Remington T.F., Separation of Powers and Legislative Oversight in Russia, WBI Development Studies, Legislative oversight and Budgeting, a World Perspective, editors Rick Stabenhurst, Riccardo Pelizzo, David M. Olson, Liza von Trapp, World Bank Institute, Washington DC, 2008, 192, www.worldbank.org.

ვიდრე პოლიტიკის განხორციელების კონტროლი. საფინანსო კონტროლის ფუნციას კი შესრულების კონტროლი წარმოადგენს და უფრო მეტად რეპრესიული ფუნქციის მატარებელია.

სამართლებრივ დოტრინაში ხშირად გამოიყენება ცნებები: პარლამენტის *ex ante* და *ex post* საფინანსო კონტროლი.

ex ante ფაზაზე პარლამენტის საქმიანობაში იგულისხმება პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ხარჯების გადების უფლებამოსილების მინიჭება. იგი მოიცავს პარლამენტის როლს ბიუჯეტის დაგეგმვაში და ხარჯების გადებაში. *ex ante* ფაზაში იკვეთება პარლამენტის როლი, როცა იგი მონაწილეობას იღებს მთავრობისათვის ხარჯების გადების უფლებამოსილების მინიჭებაში. ეს კი ხორციელდება ბიუჯეტის კანონის განხილვისა და დამტკიცებისას.

ex post ფაზაზე კონტროლი ხორციელდება ფინანსური ანგარიშის განხილვისას, გარე აუდიტის განხორციელებისას, საბიუჯეტო პროცესის შეფასებითი სტადიის დროს. *ex post* ფაზაზე ხდება უკვე ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და წინა პლანზე იწვევს გარე აუდიტის, უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლი.

ზოგიერთი მეცნიერი *ex ante* კონტროლს, *ex post* კონტროლისაგან განსხვავებით მოთხოვნადამალულ (demand-concealing) კონტროლს უწოდებს. მათ გამოკვეთილ მახასითებელს წარმოადგენს ის, რომ კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ინარჩუნებს მთავარობის ხარჯვით გადაწყვეტილებების წინასწარი გადახედვის კომპეტენციას.¹¹

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საჯარო ფინანსებს სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნიათ: რესურსების ეფექტური განაწილება, შემოსავლების რედისტრიბუცია და ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაცია.“¹²

პარლამენტის უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას განეკუთვნება - „Power of the Purse”, რომელიც დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული უფლებამოსილების თანახმად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შემოსავლები და ხარჯები რომელსაც იგი ამტკიცებს არის ფისკალურად სწორი, არსებული რესურსების ფარგლებში შეესაბამება მოსახლეობის საჭიროებებს და სრულდება სათანადოდ და ეფექტურად.¹³

ხშირად ტერმინს - „Power of the Purse”, საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო კონტროლის ძირითად ასპექტადაც განიხილავთ, რომელიც ძირითადად მთავრობის მიერ ხარჯების გადების საპარლამენტო კონტროლზე არის ორიენტირებული.

პარლამენტის საფინანსო და საკონტროლო კომპეტენციას სასიცოცხლი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობამ თავისი ფისკალური უფლებამოსილება ეფექტურად და დემოკრატიულად შეასრულოს.¹⁴

პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენცია, უპირველესად, პარლამენტის მიმართ მთავრობის ანგარიშებას გულისხმობს. იგი ასევე,

¹¹ Rabin J., *Handbook for Budgeting*, New York, 1992, 5

¹² The Budget System of Korea, Ministry of Strategy and Finance, 2014.3, 3.

¹³ Wehner J., „Back from the Sidelines”, Redefining the Contribution of Legislatures to the Budget Cycle”, World Bank Institute Working Papers, Washington D.C. 2004, 3, <worldbank.org>.

¹⁴ იქვე, 1

ითვალისწინებს საანგარიშო წლის შემდეგი პერიოდში საბიუჯეტო ანგარიშის და საჯარო ანგარიშის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის წარდგენას, მთავრობის ყოველწლიურ მოხსენებას პარლამენტისათვის საბიუჯეტო სფეროში მთავრობის მიერ მიღწეულ შედეგებზე.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტის კონტროლი თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური კონტროლის ფორმაა, რადგან თუ ვიმსჯელებთ მის შინაარსზე, იგი არის მთავრობის საქმიანობის გეგმა ციფრობრივ (თანხობრივ) გამოხატულებაში. მისი მეშვეობით, პარლამენტს აქვს საშუალება თვითონ დაამტკიცოს მთავრობის ეკონომიკური საქმიანობის გეგმა და გაეცნოს შესრულების შედეგებს. საბიუჯეტო კონტროლის განხორციელების ყველაზე უმთავრესი მოქმედი არის ის, რომ მისი საშუალებით ყველაზე უფრო საუკეთესოდ შეიძლება დანახულ იყოს გატარებული საფინანსო და ფისკალური პოლიტიკის შედეგიანობა.¹⁵

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საფინანსო კომპეტენციის მანდატი საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ორგანოებს, სათანადოდ წარმოადგინონ მათი ამომრჩევლების სურვილები და წუხილები მთავრობების წინაშე და მედიატორის ფუნქცია შეასრულონ ამომრჩევლებსა და მთავრობას შორის“¹⁶.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია გამომდინარეობს რაციონალური პარლამენტარიზმის იდეისგან, რაც პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მკაცრი ორგანიზების სურვილით გამოირჩევა.

მისადებია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტი, როგორც ხალხის მიერ არჩეული „სუვერენის“ ამოცანას, პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც ინსტრუმენტალიზებულია კანონების ფორმულირებითა და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებით. ამ თვალისაზრისით, მნიშვნელოვანია პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება. პარლამენტის ექსკლუზიურ და გადაუნაწილებელ კომპეტენციაში შედის ბიუჯეტის დამტკიცება, რაც ნიშნავს ბიუჯეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, თუ რომელი წყაროდან და რა მოცულობის შემოსულობები უნდა შევიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში და რისთვის, რატომ და რა მოცულობით უნდა იქნას გადებული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანუ, სახელმწიფო შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს პარლამენტი, თავად სხვა ნებისიერი მხარის მონაწილეობის გარეშე.“

საპარლამენტო დემოკრატიაში პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება ძირითადად საპარლამენტო ფუნქციას წარმოადგენს; საბიუჯეტო უფლებამოსილება პარლამენტისთვის ეგრეთწოდებული „სამეფო უფლებამოსილების“ ტოლვასი გადაუნაწილებელი და არადელეგირებული უფლებაა, რომლის გარეშეც დემოკრატიული არჩევნებით არჩეული პარლამენტი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის შესახებ (უმრავლესობის მიერ) გადაწყვეტილების მიღებასთან და

¹⁵ ლოქტორანტ მამუკა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: უშუალო და წარმომადგენლობითი მმართველობა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2010, 10, <<http://www.nplg.gov.ge>>.

¹⁶ Stapenhurst F.C., Pelizzo R., A Bigger Role for Legislatures, Finance & Development, a quarterly magazine of the IMF, December 2002, Volume 39, Number 4, 1, <www.imf.org>.

მთავრობის კონტროლის განხორციელებასთან მიმართებით პოლიტიკურ ნებას ვერ აქცევს რეალობად. ეს უკანასკნელი გულისხმობს ბიუჯეტის შესრულებისას მთავრობის მიერ გამოყენებული სახსრების კანონიერების, მიზანშეწონილობის და ეფექტიანობის კონტროლს პარლამენტის მხრიდან.”¹⁷

პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, წინასწარ და შემდგომ საფინანსო ცონტროლს როგორც საპარლამენტო სტრუქტურების, ისე გარე მაკონტროლებელი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს.

1.1.1 საფინანსო კომპეტენცია – რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მნიშვნელოვანი ასპექტი

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია რაციონალური პარლამენტარიზმის იდეისგან გამომდინარეობს, რაც პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მკაცრი ორგანიზების სურვილით გამოირჩევა.

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეა ერთის მხრივ, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის დეტალურ რეგლამენტაციაში და მეორეს მხრივ, მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ დაცული იყოს წონასწორობა პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართებაში, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს ნდობა-უნდობლობის მექანიზმის იმდაგვარი რეგულირება, რომ გამოირიცხოს სახელისუფლებო ვაკუუმი და საბოლოო გადაწყვეტილება დაცული იყოს მაქსიმალური ობიექტურობით.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „რაციონალიზებული სისტემის მთავარ მიზნად აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის სტაბილურობა, ამასთან პოლიტიკური ინსტიტუტების გამართული ფუნქციონირება იქცა. ფუნდამენტური და საბაზისო კონცეფციის გავლენით, ჩამოყალიბდა ისეთი სისტემები, რომლებიც დიდწილად უწყობდა ხელს სამთავრობო სტაბილურობას. სწორედ, რომ სამთავრობო სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის მთავარი ფუნქცია და არსი.“¹⁸

ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი ომის შემდგომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კონსტიტუციებში მთავრობისა და პარლამენტის ურთიერთობის რაციონალიზაციის მიზნით. რაციონალიზებული პარლამენტარიზმი არის კონსტიტუციური მექანიზმებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც გამიზნულია კაბინეტის სტაბილურობის განმტკიცებისკენ ისე, რომ შენარჩუნებულ

¹⁷ გერინგი პ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საბარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 5, <http://sao.ge>

¹⁸ გოდოლაძე კ., საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში – პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, დეპარლამენტარიზაცია: მითი თუ რეალობა, თბ., 2013, 35.

იქნეს საპარლამენტო სისტემის ძირითადი თავისებურებები მთავრობის პოლიტიკაზე საკანონმდებლო ზედამხედველობის ჩათვლით.¹⁹

საფინანსო კომპეტენციასთან მიმართებით, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეა უპირველესად მთავრობისათვის ნდობა-უნდობლობის გამოცხადების, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის კითხვა-შეკითხვების დასმისა და ინტერპელაციის ინსტიტუტის გამოყენების საკითხებში მდგომარეობს.

სრულად უნდა გაზიარდეს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტარიზმის მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგეს წინასწარი და შემდგომი საპარლამენტო კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე, რაც გულსხმობს პარლამენტის როლს და მნიშვნელობას როგორც ბიუჯეტის მიღების ისე შესრულების კონტროლის დროს.²⁰

რაციონალიზებული პარლამენტარიზმი არის საკონსტიტუციო ბერკეტებისა და პროცედურების სისტემა, რომელიც მიზანმიმართულია კაბინეტების სტაბილურობისკენ და იმავდროულად პარლამენტის ძირითადი მახასიათებლის შენარჩუნებისკენ, მთავრობის პოლიტიკის შესრულების კონტროლის ჩათვლით. კაბინეტის კოლექტიური პასუხისმგებლობა, რომელიც ხორციელდება პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადებით, წარმოადგენს პარლამენტარიზმის სიძლიერის ძირითად მახასიათებელს.²¹

ზოგიერთი მეცნიერი პარლამენტის „რაციონალიზაციას“ შემდეგი სამი ფაქტორით ზომავს: უნდობლობის ვოტუმით და მთავრობის გადაყენებასთან დაკავშირებული სიძლიერებით, მთავრობის საქმიანობის კონტროლით და შეზრულვებით კერძო პირების მიერ პარლამენტში კანონაროვექტის წარდგენასთან დაკავშირებით.²²

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პირობებში, საფინანსო კომპეტენციის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა პარლამენტის მიმართ.

საპარლამენტო სისტემის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ მთავრობას პოლიტიკის განხორციელებისათვის ესაჭიროება პარლამენტის ნდობა და მხარდაჭერა, თავის მხრივ პარლამენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა მის მიმართ ნდობის დაკარგვის შემთხვევაში.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია ძირითადად ოპერირებს პოზიტიური პარლამენტარიზმის პირობებში, როდესაც მთავრობას საფინანსო პოლიტიკის განხორციელებისათვის ესაჭიროება პარლამენტის მიერ ნადობის გამოცხადება და უფლებამოსილებით აღჭურვა.

რაციონალური პარლამენტარიზმის პირობებში, საფინანსო კონტროლის განხორციელებისას, პარლამენტის განკარგულებაშია პონტიური სხვადასხვა საშუალებები: პლენარული სესიები და

¹⁹ განჩვევი კ., რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მ. მელქაძის რედაქტორობით, თბ., 1996, 38-39.

²⁰ Lowerse T., Unpacking Positive and Negative Parliamentarism, Salamanca, Spain, April 10-15, 2014; <www.sv.uio.no>.

²¹ Tanchev E., Parliamentarism Rationalized, 2 E.Eur. Const. Rev..33 (1993), <<http://heinonline.org>>.

²² Siaroff A., Varieties of Parliamentarism in the Advanced industrial Democracies, International Political Science Review 2003, 448, <<http://ips.sagepub.com>>.

საკომიტეტო მოსმენები, მოკვლევის საპარლამენტო კომისიები, ომბუდმენის და გენერალური აუდიტორის ინსტიტუტები და სხვა.

ეფექტური პარლამენტი რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პირობებში გულისხმობს, როგორც მთავრობის საქმიანობის წინასწარ, ისე შემდგომ კონტროლს, რომელიც კონტროლის, როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმებით ხორციელდება.

პარლამენტის შიდა ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებს განეკუთვნება: საპარლამენტო შეკითხვები, ინტერპელაცია, პლენარური და საკომიტეტო მოსმენები, საჯარო ანგარიშის კომიტეტის კონტროლის მექანიზმი. რაც შეეხება გარე საპარლამენტო კონტროლს, მას მიეკუთვნება უძღვესი აუდიტორული ორგანოსა და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული კონტროლი, რომელიც საპარლამენტო კონტროლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის პირობებში, პარლამენტის მიერ უკეთესად არის შენარჩუნებული მთავრობის ფისკალური დისციპლინა, ბიუჯეტის ტრანსპარანტულობა და მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ.

რაციონალური პარლამენტარიზმის პირობებში სამართლებრივ დოქტრინაში განარჩევენ საპარლამენტო კონტროლის შემდეგ სახეებს: პარტიზანული კონტროლი. რომელიც ხორციელდება ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან. აღნიშნული კონტროლის სახე ეფექტურია, როდესაც ეხება მთავრობისათვის მტკიცნეულ მხარეებს. არაპარტიზანული კონტროლი განეკუთვნება კონტროლის ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს კონტროლის სხვადასხვა ფორმებს როგორიცაა: შეკითხვები, საკომიტეტო მოსმენები და სხვა. აღნიშნული წარმომადგენების საპარლამენტო კონტროლის ყველაზე ეფექტურ ფორმას. მესამე სახის კონტროლს კი განეკუთვნება კონტროლი, რომელიც სადამსჯელი დონისძიებებს გულისხმობს (მაგალითად გაკიცხვის რეზოლუცია და სხვა).²³

ბიუჯეტის დამტკიცებისა და განხილვის პროცესზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით, ზოგირთი მეცნიერი პარლამენტებს ჰყოფს „სამ კატეგორიად“²⁴:

ბიუჯეტის შემუშავებელი საკანონმდებლო ორგანოები – პარლამენტს აქვს უფლებამოსილება შესწორებები შეიტანოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, არ გაიზიაროს მთავრობის მიერ შეთავაზებული მოსაზრებები ბიუჯეტთან დაკავშირებით ან ჩაანაცვლოს მთავრობის ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვერსიით (შვედეთი, ამერიკის შეერთებული შტატები);

ბიუჯეტზე გავლენის მომხდენი საკანონმდებლო ორგანოები – მათ შეუძლიათ შესწორებები შეიტანონ ან უარყონ მთავრობის მიერ შეთავაზებული საბიუჯეტო წინადადებები, თუმცა, მათ არ აქვთ უფლებამოსილება დამოუკიდებლად შეიმუშავონ თავიანთ ბიუჯეტები (იტალია, ნიდერლანდები). ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანის კომპეტენციას ლიმიტირებულია. მათ შეუძლიათ ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და არა გაზრდა.

²³ Pennings P., Parliamentary Control of the Executive in 47 Democracies, Amsterdam, 14-19 April. 2000, 2.

²⁴ Posner P., Park C.K., Role of the Legislature in the Budget Process: Recent Trends and Innovations; ISSN 1608-7143; OECD Journal on Budgeting, Volume 7-No.3, 2007, 10.

საკანონმდებლო ორგანოები მცირე როლით საბიუჯეტო პროცესში ან კომპეტენციის გარეშე – მათ აქვთ მცირე კომპეტენცია ცვლილებები შეიტანონ ბიუჯეტის პროექტში ან უარყონ მთავრობის მიერ შეთავაზებული ბიუჯეტი (გაერთიანებული სამეფო).

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი ხაზინადარია. იგი კანონების, მათ შორის საბიუჯეტო კანონის მიღებით განსაზღვრავს რა ქვეყნის პოლიტიკას, მის განხორციელებას მთავრობას ავალებს. შესაბამისად, პარლამენტი, უფლებამოსილია, დანახარჯებისა და შემოსულობების კანონიერებასა თუ ეფექტურობაზე კონტროლი აიყვანოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის უმაღლეს ნიშნულამდე – მთავრობის გადაყენებამდეც კი.²⁵

„საერთაშორისო პრაქტიკაში განიხილება ბიუჯეტირების პროცესში პარლამენტის ჩართულობის ხუთი ძირითადი მიზეზი:

პარლამენტს ყველა ქვეყანაში გააჩნია ბიუჯეტის დამტკიცების კონსტიტუციური უფლებამოსილება; პარლამენტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, შესაფერისი ადგილია ბიუჯეტის განსახილველად და აღმასრულებელი ხელისუფლების პრიორიტეტების საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

საბიუჯეტო პროცესები ხშირად დახურულია საზოგადოებისთვის და მხოლოდ პარლამენტს აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესი; პარლამენტის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესებში ემსახურება ხელისუფლების დაბალანსებულობას და ხელს უწყობს მთავრობის გამჭვირვალობას. გამჭვირვალობა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სიცხადის წინაპირობაა. პარლამენტში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს შეთანხმება პოლიტიკის ალტერნატივებს შორის. პარლამენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საზოგადოებრივი დებატების პლატფორმა. ეს ხელს შეუწყობს კონსენსუსის მიღწევას საზოგადოებაში; პარლამენტის მონაწილეობამ შეიძლება დახვეწოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროგრამების ხარისხი”²⁶.

სრულად უნდა გაზიარდეს მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფოს არსებობის ნებისმიერ ეტაპზე მმართველობის სრულყოფილი ფუნქციონირების დონე სახელმწიფოში მოქმედი კონტროლის სისტემის გამართულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი იურიდიული პირისა და მით უმეტეს, სახელმწიფოს ორგანოების სრულყოფილი საქმიანობისათვის აუცილებელია კონტროლი.”²⁷

„პარლამენტს უფლება უნდა ჰქონდეს, გააკოტროლოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯების კანონიერება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, სიითი შემადგენლობის

²⁵ ჯიბლა შვილი ზ., პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებანი საბიუჯეტო სცეროში, თბ., 2015, 3, <<http://emc.org>>.

²⁶ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისთვის, თბ., 2012, 8, <<http://parliament.ge>>.

²⁷ წაქაძე ზ., საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის სრულყოფისთვის, აღმანახი 2003, №18, 1, <<http://www.nplg.gov.ge>>.

უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შეაჩეროს შესაბამისი ხარჯის გაწევა.”²⁸

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმა ეფუძნება რაციონალური პარლამენტარიზმის კონცეფციას.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, დღევანდელი კონსტიტუციური რეალობა ეფუძნება პარლამენტის „სუპერრაციონალურ” მოდელს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმითა და პრემიერ მინისტრის დომინირებული როლით.²⁹

საქართველოში პარლამენტის საფინანსო კომპეტენციასთან მიმართებით რაციონალური პარლამენტარიზმის ასქექტები ვლინდება საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მულის მე-4¹ ნაწილით, რომლის თანახმადაც „თუ პარლამენტი ორი თვის განმავლობაში ვერ მოახერხებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაწყებას, ეს ჩაითვლება უნდობლობის საკითხის აღმოჩენა და გაგრძელდება კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები.

ეფექტურმა პარლამენტმა ხელი უნდა შეუწყოს და უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ერთად უნდა უზრუნველყოს კონტროლი და ზედამედველობა ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე.

როდესაც პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციაზეა საუბარი, ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებას, ოპოზიციურ სპექტრსა და საზოგადოებას შორის კონსტრუქციული დიალოგის გაღრმავების და პარლამენტსა და შიდა თუ გარე მაკონტროლებელ ორგანოებს შორის უფრო ინტეგრირებული და მჭიდრო ურთიერთობების განხორციელებაში მდგომარეობს.

„პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს ყოველმხრივი მიღები საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით. ამ კუთხით, არაფერი უნდა იყოს შემზღვევი: პარლამენტი თვალყურს უნდა ადევნებდეს ფინანსების ყოველგვარ მოძრაობას“³⁰.

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის არსი ძირითადად პარლამენტსა და მთავრობას შორის დაბალანსებულ ურთიერთობას გულისხმობს, რომელიც გაწონასწორების კონსტიტუციური მექანიზმების გამოყენებით ქვეყნის სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს. ამასთანავე, რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეა ძლიერი საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში მდგომარეობს, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეფუძნება.

²⁸ საზოგადოება: როგორ აწესრიგებს ორი საკონსტიტუციო პროექტი ქვეყნის ფინანსებს და კონტროლს, ბანკები და ფინანსები, 1, www.bfm.ge.

²⁹ Godoladze K. Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects, Humanities and Social Science Review, Tbilisi, 2013, 454.

³⁰ Brazier A., Director of the Hansard Society’s Parliament and Government Programme, published the following article on his report, The Fiscal Maze: Parliament, Government and Public Money, in the April 2007 issue of Parliamentary Affairs (Volume 60, Number 2), Parliament and Government, Parliamentary Affairs on Parliament’s scrutiny of public money, 3, www.hansardsociety.org, (8.04.2013).

1.1.2 საფინანსო კომპეტენცია - კარგი მმართველობის (good governance) პრინციპის შემადგენელი ნაწილი

იურიდიულ დოქტრინაში კარგი მმართველობა, თავისი არსით გაგებულია როგორც ადმინისტრაციული სამართლის ნორმატიული პრინციპი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს განახორციელოს პოლიტიკა უფექტურად, საკმარისად, კორუფციის გარეშე და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.³¹

კარგი მმართველობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს საჯარო მოთხოვნილებებს, სახელმწიფო ორგანიზაციების გამოყენება/გაღება უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი. გამჭვირვალობა თავისი არსით არის ანგარიშვალდებულების წინაპირობა, რომელიც თავის შერიც კარგი მმართველობის საფუძველს წარმოადგენს.

კარგი მმართველობის დოქტრინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს კანონის უზენაესობის პრინციპი წარმოადგენს, რომელიც საჯარო ფინანსების მართვაში გულისხმობს მთავრობის ვალდებულებას, როგორც საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების ვალდებულებას განახორციელოს საჯარო ფინანსების განკარგვა პარლამენტის მიერ დადგენილი პარამეტრების შესაბამისად.

კარგი მმართველობის პრინციპი საჯარო ფინანსების მმართვაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სუვერენულ როლს გულისხმობს, რომელიც პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციაშიც ვლინდება.

როდესაც საუბარია საჯარო ფინანსებში კარგი მმართველობის პრინციპის დამკვიდრებაზე, აქვე ჩნდება **ex - ante და ex - post ანგარიშვალდებულების ცნებები.**

საფინანსო სფეროში მთავრობის ანგარიშვალდებულება შესაძლებელია განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებამდე/გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მთავრობის ex - ante ანგარიშვალდებულების საკითხი დგება პარლამენტში ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს, როდესაც ბიუჯეტის მიღება დამოკიდებულია ერთადერთ აქტორზე – უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოზე. რაც შეეხება ex - post ანგარიშვალდებულების საკითხს, იგი დღის წესრიგში დგება მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ეტაპზე, როდესაც აღმასრულებელ ხელოსუფლებას ანგარიშგება უწევს პარლამენტის წინაშე.

საპარლამენტო კონტროლის დროს, გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა კარგი მმართველობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. გამჭვირვალობის პრინციპი დიდწილად განაპირობებს წესრიგს საჯარო ფინანსებსა და საბაზრო ეკონომიკაში. თითქმის ყველა ქვეყანაში პრობლემად რჩება მთავრობისა და ბიუროკრატიის მანქანის გამჭვირვალობის საკითხი.

³¹ Chowdhury N., Skarstedt C.E., The Principle of Good Governance, Oxford, U.K, March, 2005, 4. <<http://www.worldfuturecouncil.org>>.

პარლამენტის მიერ საფინანსო კონტროლის განხორციელებისას, მთავრობის გამჭვირვალობა შესაძლებელია განმარტებულ იქნას, როგორც ყველა საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პარლამენტისათვის საფინანსო კონტროლის განსახორციელებლად. ამასთანავე, გამჭვირვალობა თავისი არსით გულისხმობს პარლამენტისათვის პერიოდულად ან მოთხოვნის საფუძველზე ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას საფინანსო კონტროლის განსახორციელებლად.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გამჭვირვალობა, როგორც კარგი მმართველობის ერთ-ერთი ასპექტი გულისხმობს ხარისხს იმისა, რის შესაბამისადაც კანონი, რომელიც აწესრიგებს მმართველობის კონკრეტულ სფეროს, საქმიანობას, ქმედებებს, პროცესს ან პრაქტიკას, არის მუდმივად დამაჯერებელი და გასაგები დაინტერესებული მხარისათვის.³²

კარგი მმართველობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კარგი მმართველობის პრინციპის შემდეგი მახასიათებლები: კანონის უზენაესობის პრინციპი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი, საჯარო ინტერესების პრიმატის პრინციპი, ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ხელისუფლების შტოების კონტროლის პრინციპი.³³

კარგი მმართველობის ფარგლებში, საფინანსო სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების პრინციპი, რაც გულისხმობს საკანონმდებლო ხელისუფლების სათანადო საფინანსო კონტროლის კომპეტენციით აღჭურვას მთავრობის საქმიანობაზე.

ამასთანავე, კარგი მმართველობა გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას საკუთარი მოსახლეობის წინაშე და მის მუდმივ ინფორმირებას საფინანსო სფეროში მიმდინარე პროცესების თაობაზე.

საფინანსო სფეროში კარგი მმართველობის პრინციპის შემადგენელ ელემენტს პარლამენტის ფინანსური დამოუკიდებლობა და მოსახლეობის წინაშე მისი ანგარიშვალდებულება წარმოადგენს, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცედურის წარმომადგენლობითი ხასიათი და პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციის ხარისხი, გარე და შიდა საპარლამენტო კონტროლის ინსტიტუტების მანდატი და ძლიერი საკომიტეტო სისტემა შეადგენს.

კარგი მმართველობის პრინციპის ხარისხის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია სათანადოდ შეფასდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის კონსტიტუციური ასპექტები, ისე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთობის პრაქტიკა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს პარლამენტის ურთიერთობა უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოებთან და

³² Rosa M. Lastra., Shams H., Accountability: Ex Ante or Scrutiny, Ex Post or Control and Transparency, 26 May, 2000, 8-9, <<http://www.lse.ac.uk>>.

³³ Olaya J., Hussman K., Preventing and Combatting Corruption: Good Governance and Constitutional Law in Tunisia, International IDEA&The Center for Constitutional Transitions at NYULaw, No.6, June 2013, New York, 2-3, <<http://constitutionaltransitions.org>>.

ეროვნულ ბანკთან, მათი უფლებამოსილების მოცულობა და მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში.

აღნიშნული პრინციპის განსაზღვრისას, საკვანძო როლი ენიჭება საჯარო ფინანსებში ფისკალური დისციპლინის უზრუნველყოფას პარლამენტის მიერ და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგადასახადო კომპეტენციას საჯარო ფინანსების მართვაში.

კარგი მმართველობის პრინციპი პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ეფექტური საპარლამენტო კონტროლით მიიღწევა.

საქართველოს კონსტიტუცია და პარლამენტის რეგლამენტი კარგი მმართველობის პრინციპის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს ადგენს, რაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საპარლამენტო კონტროლის სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. ეს ფორმებია: კითხვა/შეკითხვა, უნდობლობის გამოცხადება, იმპიჩმენტის პროცედურა, საკომიტეტო კონტროლი და დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. აღნიშნული მექანიზმების საშუალებით, საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობს და კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას საჯარო ფინანსებში.

1.1.3. Power of the Purse – კანონის უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპი საჯარო ფინანსებში

Power of the Purse ინგლისური ტერმინია და სიტყვასიტყვით სახელმწიფო ხაზინის მართვის ძალაუფლებას ნიშნავს. პარლამენტის აღნიშნული უფლებამოსილება სათავეს ინგლისის პარლამენტიდან იღებს. ამ უფლებამოსილების არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება განსაზღვროს გადასახადების აკრეფის წესი და აკონტროლოს ფულის მიმოქცევა სახელმწფოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, Power of the Purse პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს განეკუთვნება.

გადასახადების საკანონმდებლო წესით განსაზღვრის იდეამ კონსტიტუციური აღიარება პირველად ინგლისის 1215 წლის თავისუფლების დიდ ქარტიაში³⁴ (ლათ: Magna Carta Libertatum) ჰპოვა, რაც თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიის საფუძველი გახდა.

კონსტიტუციური პრინციპი - Power of the Purse აშშ-ის დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს.

Power of the Purse ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ექსკლუზიური საფინანსო კომპეტენციის განუყოფელ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლეს რაჩვენა აყვანილი.³⁵

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ Power of the Purse კომპეტენცია აშშ-ს კონგრესსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

³⁴ ინგლისის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტია, <<http://www.constitution.org>>.

³⁵ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, პირველი მუხლის მე-9 ნაწილის მე-7 დანაწესი, პირველი მუხლის მე-8 ნაწილის პირველი დანაწესი, <www.senate.gov>.

ისტორიულად, აღნიშნული კომპეტენცია წარმოადგენს პარლამენტების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს. შესაძლებელია, ითქვას, რომ კომპეტენცია Power of the Purse პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელ კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს.

პარლამენტის აღნიშნულმა კომპეტენციამ ისტორიულად ხელი შეუწყო პარლამენტის მიმართ მთავრობის ანგარიშვალდებულების იდეის ჩამოყალიბებას, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში არის რეგლამენტირებული.

პარლამენტის მიერ Power of the Purse-ს კომპეტენციის დამოუკიდებელი განხორციელება წარმოადგენდა მართველობის პროცესში საკანონმდებლო ორგანოს აღმავალი როლის ძირითად სიმტკიცეს³⁶

ჯონ მედისონმა „ფედერალისტი“ (№58) პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse-ს უწოდა ყველაზე სრულყოფილი და უფასებური იარაღი, რითაც კონსტიტუცია აღჭურავს ხალხის წარმომადგენლებს, რათა მათ პქონდეთ შესაძლებლობა რეალობაში გაატარონ სასარგებლო და სამართლიანი გადაწყვეტილებები.³⁷ მედისონი ამავე სტატიაში ამბობდა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას აქვს წვდომა ხალხის ჯიბეებისადმი.³⁸ აღნიშნულით, ჯონ მედისონი ხაზს უსვამდა საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიურ კომპეტენციას საჯარო ფინანსების კონტროლის საქმეში.

Power of the Purse ფუნქციას პარლამენტი ხშირად იყენებს, როგორც საშუალებას, რათა მან გააფართოვოს დემოკრატიული ბერკეტები მოქალაქეების სახელით.³⁹

კომპეტენცია Power of the Purse ემყარება ორ უმნიშვნელოვანეს პრინციპს:

საჯარო ქონების პრინციპის (The Principle of Public Fisc) და ასივნების, სახელმწიფო თანხის გადების კონტროლის (The Principle of Appropriations Control).

პირველი პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის ნებისმიერ ორგანოში ნებისმიერი წყაროდან შესული თანხა განეკუთვნება სახელმწიფო ფონდს, ხოლო მეორე პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აკრძალულია მთავრობის მიერ სახელმწიფო ფონდების ხარჯვა პარლამენტის თანხმობისა და ნებართვის გარეშე.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო ქონების პრინციპი და სახელმწიფო თანხის გადების კონტროლის პრინციპი ერთმანეთის ურთიერთშემავსებელ პრინციპებს წარმოადგენს: საჯარო ქონების პრინციპი ეხება ყველა ფედერალურ შემოსულობებს, ხოლო სახელმწიფო თანხის გადების პრინციპი განმარტავს ყველა კანონიერ ფედერალურ გასავალს.⁴⁰

³⁶ Posner P., Park C.K., Role of the Legislature in the Budget Process: Recent Trends and Innovations; ISSN 1608-7143; OECD Journal on Budgeting, Volume 7-No.3, 2007, 3.

³⁷ Fisher L., The Law of the Executive Branch, Presidential Power, The Oxford Commentaries on American Law, Oxford 2014, 223. The federalist391.

³⁸ Federalist 345.

³⁹ Stapenhurst R., The Legislature and the Budget, Washington DC, 2004, 1.

⁴⁰ Stith K., Congress' Power of the Purse (1988). Faculty Scholarship Series.Paper 1267, Yale law school, 1345, <<http://digitalcommons.law.yale.edu>>.

აღნიშნული პრინციპები წარმოადგენებ პარლამენტის მიერ განხორციელებული საფინანსო კონტროლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

კომპეტენცია Power of the Purse გარკვეულ ვალდებულებებს ანიჭებს არა მხოლოდ მთავრობას, არამედ პარლამენტსაც. აღნიშნული პრინციპის თანახმად, პარლამენტები ვალდებულების ხდებიან ეფექტური საფინანსო კონტროლი განახორციელონ მთავრობის საქმიანობაზე, როგორც ხარჯების გადების, ისე მათი რაციონალური დახარჯვის პუთხით. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, პარლამენტი ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე სახელმწიფო ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით.

ზოგიერთი მეცნიერი Power of the Purse –ის შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტს განაკუთვნებს **მთავრობის მიერ ხარჯების, სახელმწიფო ასივნების გადებისასთან დაკავშირებით პარლამენტის უარის კომპეტენციას (The power to deny appropriations)**⁴¹.

აღნიშნული კომპეტენციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტმა ეფექტური საფინანსო კონტროლი განახორციელოს ბიუროკრატიული ხარჯების გაწევაზე, რომლმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობასა და ფისკალურ წესრიგს.

Power of the Purse კომპეტენციას გადამტყვები, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურის დროს, პარლამენტის მიერ წინასწარი საფინანსო კონტროლის სტადიაზე. პარლამენტის მიერ ბიუჯეტის დამტკიცების კომპეტენცია Power of the Purse –ის დოქტრინის მნიშვნელოვან შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის კომპეტენცია კონტროლი გაუწიოს ფინანსების ხარჯვით ნაწილს და გადასახადების მართვას, უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას საჯარო ფინანსებში.⁴² ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე ყველაზე ხილულია პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის როლი. შახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების საქმეში მთავარი და საბოლოო სიტყვა ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ეთქმის.

სამეცნიერო ლიტერატურაში, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სიძლერის შემოწმების ერთ-ერთ ინდექსს, იმისათვის რათა გაიზომოს საკანონმდებლო ხელისუფლების ზეგავლენა საბიუჯეტო პროცესზე, წარმოადგენს ის, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს საკანონმდებლო ორგანო კომპეტენციას - Power of the Purse.⁴³

პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse უზრუნველყოფს პორიზონტალური ბალანსის დამკვიდრებას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.⁴⁴

⁴¹ იქვე, 1360

⁴² Wehner J., Brosamle K., Dimsdale T., Mathiesen M.A., Merz T., Mondo E., Strengthening Legislative Financial Scrutiny in Developing Countries, London, 16 May, 2007, 13, <<http://www.europarl.europa.eu>>.

⁴³ Russo F., Verzichelli L., The Adoption of Positive and Negative Parliamentarism: Sistemic or Idiosyncratic Differences? Salamanca, April 2014,9.

⁴⁴ Wehner J., Parliament and the power of the Purse: The Nigerian Constitution of 1999 in Comparative Perspective, Journal of African Law 46, 2 (2002), 2012-231, School of Oriental and African Studies, United Kingdom, 217-218, <<http://siteresources.worldbank.org>>.

პარლამენტის კომპეტენციას Power of the Purse საზოგადოებრივი ურთიერთობის ფუნქცია გააჩნია. პარლამენტი ამ კომპეტენციის გამოყენებით, ხელს უწყობს ფისკალურ გამჭვირვალობასა და ქვეყანაში კარგი მმართველობის (good governance) პრინციპის დამკვიდრებას⁴⁵.

როგორც მეცნიერი იოაკიმ ვენერი აღნიშნავს, Power of the Purse უდაო დემოკრატიულ პრინციპს წარმოადგენს, რომლითაც პარლამენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ მთავრობის მიერ გადებული ხარჯები და შემოსავლები ფისკალურად ჯანსაღი პროცესია, შეესაბამება მოსახლეობის საჭიროებებს და რომ მთავრობის მიერ გაწეული ხარჯვითი ღონისძიებები ეფექტური და კანონშესაბამისია.⁴⁶

შესაძლებელია, ითვას, რომ პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse შესაძლებელია ეწოდოს კანონის უზენაესობის პრინციპი საჯარო ფინანსებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse რატომდაც გაიგივებულია წინასწარ საფინანსო კონტროლთან, მხოლოდ ხარჯების გადებისა და გადასახადების საკანონმდებლო წესით დადგენასთან, რაც არ არის სწორი.

პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც თავისი არსით გულისხმობს როგორც ფინანსების წინასწარ კონტროლს ასევე, მთავრობის მიერ საფინანსო ვალდებულებების შესრულების შემდგომ შემოწმებასაც, ვინაიდან აღნიშნული კომპეტენცია იმდენად ფართოა, რომ იგი ხშირად პარლამენტის საფინანსო და კონტროლის კომპეტენციასთანაც არის გაიგივებული.

Power of the Purse კონსტიტუციურ პრინციპს აზრი ეკარგება, თუ მასში მხოლოდ პარლამენტის წინასწარ კონტროლს ვიგულისხმებთ. აღნიშნულ პრინციპში იგულისხმება როგორც პარლამენტის წინასწარი საფინანსო კონტროლი⁴⁷, ისე შემდგომი საფინანსო კონტროლი⁴⁸.

1.2 საფინანსო კომპეტენცია - საპარლამენტო კონტროლის ფორმა საქართველოში

წინამდებარე თავში განხილულია პარლამენტის საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვანი ეტაპები, პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია, როგორც კონტროლისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ფორმა საქართველოში.

⁴⁵ იქვე 218.

⁴⁶ Wehner J., „Back from the Sidelines”, Redefining the Contribution of Legislatures to the Budget Cycle”, World Bank Institute Working Papers, Washington D.C. 2004, 3, <worldbank.org>.

⁴⁷ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

⁴⁸ მთავრობის ანგარიშება პარლამენტის წინაშე.

12.1 Ex-Ante⁴⁹ საფინანსო კონტროლი – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ფორმა

პარლამენტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს საბიუჯეტო კონტროლის ex-ante სტადიაზე.

წინასწარი საფინანსო კონტროლის ძირითად მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოფა იმისა, ადეკვატურად შეესაბამება თუ არა საბიუჯეტო ასიგნებანი პოლიტიკის პრიორიტეტებს.⁵⁰

წინასწარი საფინანსო კონტროლის ეტაპზე პარლამენტი ასრულეს ბიუჯეტის მართვის ფუნქციას (**governance of budget**).⁵¹

წინასწარი საფინანსო კონტროლის სტადიაზე პარლამენტი ახორციელებს გადამწყვეტ როლს საჯარო ფინანსების მართვაში წესრიგის დამყარების კუთხით.

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ წინასწარ საფინანსო კონტროლს აქვს შემდეგი სახის ეფექტები: ისინი არეგულირებენ ხარჯების განაწილებას (არეგულირებენ საბიუჯეტო ასიგნების წესს), პარლამენტები აწესრიგებენ საგადასახადო ტვირთის განაწილების საკითხს (არეგულირებენ საგადასახადო პოლიტიკას), ზეგავლენას ახდენენ ფისკალურ პოლიტიკაზე.⁵²

წინასწარი საფინანსო კონტროლი წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების, კონტროლისა და გაწონასწორების პრინციპის ინტეგრაციურ ნაწილს, რომლის მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდა და განმტკიცება.

პარლამენტის საფინანსო კონტროლისა და ზედამხედველობის კომპეტენციის მნიშვნელობა სიღრმისეულად აღწერა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ სტუარტ მილმა. მისი განმარტებით, პარლამენტის, როგორც ხალხის მიერ არჩეული ორგანოს დანიშნულებას წარმოადგენს მთავრობაზე ზედამხედველობა და კონტროლი; მათი აქტებისათვის საჯაროობის უზრუნველყოფა, მთავრობის ანგარიშვალდებულების კონტროლი, თუ მთავრობა გააწილებს მათი დამნიშვნელის იმედებსა და მოლოდინებს, გადააყენოს ისინი დაკავებული თანამდებობებიდან და დანიშნონ აღმასრულებელი ხელისუფლების ახალი წარმომადგენლები⁵³.

ხშირად წინასწარი (ex-ante) კონტროლის ფორმა განიხილება, როგორც ძირითადი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი, სადაც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საკანონმდებლო ხელისუფლება

⁴⁹ წინასწარი საფინანსო კონტროლი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურის დროს ხორციელდება. ტერმინი ex-ante ნიშნავს წინასწარს.

⁵⁰ Santiso C., Legislatures and Budget Oversight in Latin America: Strengthening Public Finance Accountability in Emerging Economies, OECD Journal-Volume 4- No.2, 48, <<http://www.oecd.org>>.

⁵¹ იქვე 49, მეცნიერი კარლოს სანტისოს თანახმად, კონცეფცია „**governance of budget**“ გამოიყენება, რათა ხაზი გაუსვას ახალ ეკონომიკის ქვეყნებში საჯარო ბიუჯეტირების ინსტიტუციურ მექანიზმებს და საჯარო საფინანსო პასუხისმგებლობის პოლიტიკურ საკითხებს.

⁵² Folsher A., A Balancing Act: A Fiscal Responsibility, Accountability and Power of the Purse, OECD Journal of Budgeting, Volume 6-No.2, 2006, 12-13. <<http://www.oecd.org>>.

⁵³ Mill, 1861, 104.

საფინანსო კონტროლს. წინასწარი კონტროლის ეტაპზე პარლამენტი ასრულებს ორგორც საკანონმდებლო, ისე საფინანსო კონტროლის კომპეტენციას. მაგალითად, პარლამენტი იდებს ბიუჯეტის კანონს და აკონტროლებს საბიუჯეტო ხარჯების რაციონალურ განაწილებას ბიუჯეტის პროექტში.

არ უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ex-ante საფინანსო კონტროლი შემუშავდა იმიტომ, რომ ex-post კონტროლი არის ხარჯიანი და არაეფუქტური.⁵⁴

ორივე ტიპის კონტროლი საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და აქ რომელიმე კონტროლის ფორმის უფრო მეტ ეფექტურობაზე არ შეიძლება იყოს საუბარი. ორივე კონტროლის ფორმა ერთმანეთისგან გამომდინარეობს და ხელს უწყობს ერთიანი საბიუჯეტო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ex-ante საფინანსო კონტროლს მისთვის დამახასიათებელი დატვირთვა გააჩნია და მათი ცალ-ცალკე ეფექტურობის განხილვა არ არის მიზანშეწონილი.

ზოგიერთი მეცნიერი მთავრობის ანგარიშვალდებულებას ხედავს ძირითადად ex-post კონტროლის შემადგენელ ნაწილად⁵⁵, რაც არ არის სწორი. მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხი დგება როგორც შემდგომი, ისე წინასწარი საფინანსო კონტროლის ეტაპზეც.

წინასწარი კონტროლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს პარლამენტის მოთხოვნილებები მის შესრულებამდე. შემდგომი კონტროლი კი ერთვება მთავრობის მიერ საფინანსო ვალდებულებების შესრულებს ეტაპზე.

წინასწარი კონტროლის არსი ყველაზე უკეთესად ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე ჩანს.

პარლამენტის წინასწარი კონტროლის კომპეტენცია ხელს უწყობს ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესის გამჭვირვალობას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების, გადასახადებისა და ვალების თაობაზე.

„წინასწარი კონტროლის ეტაპზე, პარლამენტი ამტკიცებს რა ბიუჯეტს, იგი უფლებამოსილს ხდის აღმასრულებელ ხელისუფლებას შეასრულოს ორი ამოცანა. ერთი მხრივ, უზრუნველყოს სახელმწიფო შემთხვევების შემოტანა (უმჯგებ ქვეყნებში არსებობს მოთხოვნა, რომ გარასახადების შეკრების უფლება თვითიღილურად ყოველ წელს დამტკიცდეს პარლამენტის მიერ, ე.ი. პარლამენტის საშუალება აქვს აკონტროლოს საგადასახათო სისტემა), მეორე მხრივ, პარლამენტი უფლებამოსილს ხდის აღმასრულებელი ხელისუფლების თრგანოებს დახარჯონ გამოყოფილი სახსრებით.⁵⁶“

წინასწარი საფინანსო კომპეტენციის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პარლამენტის კომპეტენცია სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში შესწორებების შეტანასთან დაკავშრებით, რომელიც დიდწილად განაპირობებს პარლამენტის გავლენას საბიუჯეტო

⁵⁴ McGrath R.J., Strategic oversight and the institutional determinants of legislative policy control. PhD (Doctor of Philosophy) thesis, University of Iowa, 2011, 18. [www.<ir.uiowa.edu>](http://ir.uiowa.edu/).

⁵⁵ Santiso C., Eyes wide shut? The politics of Autonomous Audit Agencies in emerging economies, CIPPEC, 31 de mayo de 2007, 10.

⁵⁶ გეხსია ი., შოხა შეიძლია გამარაცხელია ა., გოგორიშვილი ი., სახოვაო გ. საზღვარგარეთის ქვეყნების საპარლამენტო პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 1991, 68.

პროცესზე. საპარლამენტო ინიციატივა ფინანსურ სფეროში საკმაოდ შეხდუდულია, რაც ვლინდება იმაში, რომ მთავრობის თანხმობის გარეშე მიზანშეუწყელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.

წინასწარი საფინანსო კონტროლის მნიშვნელობა ვლინდება ბიუჯეტის განხივისა და დამტკიცების პროცესში, რაც ბიუჯეტის ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. პარლამენტი წინასწარი საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმის გამოყენებით წყვეტს მის წინაშემდგარ ფინანსურ და ფინანსურ ამოცანებს.

პარლამენტი იხილავს რა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, წინასწარი საფინანსო კონტროლის მექანიზმის გამოყენებით უფლებამოსილია დაამტკიცოს, უარი თქვას დამტკიცებაზე ან შესწორებები შეიტანოს მასში. ამ ნაწილში, წინასწარი საპარლამენტო კონტროლის ეფექტურობას დიდწილად განსაზღვრავს საკომიტეტო სისტემების გამართულობა და პარლამენტის შიდა კონტროლის მექანიზმების კომპეტენციათა მოცულობა, ვინაიდან ბიუჯეტის მიღებამდე პარლამენტის წინასწარი ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს ბიუჯეტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე და მისი განხილვა პარლამენტის კომიტეტების მიერ.

ახორციელებს რა ex - ante საფინანსო კონტროლის კომპეტენციას, პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღებით განსაზღვრავს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკას და მის აღსრულებას მთავრობას ავალებს. შესაბამისად, პარლამენტი, უფლებამოსილია, დანახეარჯებისა და შემოსულობების კანონიერებასა თუ ეფექტიანობაზე წინასწარი საფინანსო კონტროლით, მთავრობის პასუხისმგებობა აიყვანოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის უმაღლეს რანგამდე – მთავრობის გადაყენებამდეც კი. ეფექტური საკომიტეტო სისტემა ეხმარება პარლამენტს შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა, საკანონმდებლო და საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციები მთავრობის საქმიანობაზე.

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საკომიტეტო სისტემას შეუძლია გააძლიეროს მთავრობა მის მიერ მთავრობის საქმიანობის შესწავლით, ასევე, უზრუნველყოს პარლამენტი უფრო ძლიერი და ეფექტური საზედამხედველო საშუალებებით და აღადგინოს ბალანსი პარლამენტის საკანონმდებლო და სათათბირო უფლებამოსილებებს შორის, ასევე, მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების კუთხით.“⁵⁷

წინასწარი საფინანსო კონტროლი ხელს უწყობს ფინანსური მდგრადობასა და საჯარო ფინანსების ოპტიმალურ გამოყენებას, ხოლო პარლამენტის როლი ფინანსური თვითმყოფადობისა და სიმტკიცის შენარჩუნებაში შეუფასებელია.⁵⁸

წინასწარი საფინანსო კონტროლის განხორციელებით, პარლამენტი ხელს უწყობს ქვეყანაში კარგი მმართველობის (good governance) პრინციპის დამკვიდრებას. ეფექტური წინასწარი საფინანსო კონტროლი

⁵⁷ Budget and Budgetary Process in the Parliament of India, Background Paper, Pakistan Institute of Legislative Development and Transparency, Parliamentary Centre, May 2010, 18, <<http://www.cbgaindia.org>>.

⁵⁸ Wehner J., Principles and Patterns of Financial Scrutiny: Public Accounts Committees in the Commonwealth, in Commonwealth and Comparative Politics Vol41, No.3, 21-36.

ხელს უწყობს პარლამენტის უპირველესი ფუნქციების – განონების მიღებისა და პოლიტიკის განსაზღვრის, აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობისა და მოქალაქეთა წარმომადგენლობის განხორციელებას.

„ეფექტური წინასწარი საფინანსო კონტროლის განხორციელება უპირველესად გულისხმობს კონტროლიასათვის საკმარისი დროის არსებობას, ძლიერ საკომიტეტო სისტემას, მაღალი ხარისხის საბიუჯეტო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ანალიზის შესაძლებლობებს და საბიუჯეტო კონტროლისათვის საკმარის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს“⁵⁹.

პარლამენტის წინასწარი საფინანსო კონტროლისას, ყველაზე უკეთესად ვლინდება საჯარო ფინანსების დაგეგმვისა და მართვის როლი. წინასწარი საფინანსო კონტროლის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მას აქვს პრევენციული ფუნქცია, რომელიც მთავრობის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.

წინასწარი საფინანსო კონტროლი პარლამენტარიზმის ძირითად არსეს გამოხატავს, რომლის ძირითადი მახასიათებელი მთავრობის საქმიანობის კონტროლისა და ანგარიშგებას ემყარება.

ვენეციის კომისიამ უნგრეთის მიმართ გამოტანილ 2011 წლის 17 მარტის №614/2011 დასკვნაში განაცხადა ex-ante საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობაზე საკონსტიტუციო სისტემაში. დასკვნის თანახმად, წინასწარო კონტროლი წარმოადგენს კანონმდებლობის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფას.⁶⁰

სასურველია, პარლამენტის პოზიციების და კომპეტენციის განმტკიცება ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე. აღნიშნული უპირველესად გულისხმობს პარლამენტისა და მისი შიდა სტრუქტურის მონაწილეობის გაზრდას ბიუჯეტის შინაარსობრივი განხილვისა და კორექტირების პროცესში, რაც პრობლემურია საბიუჯეტო კონტროლის წინასწარ ეტაპზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და საბიუჯეტო ოფისი, რომელთაც უნდა შეექმნათ ყველა პირობა ეფექტურად და ხარისხისათვის გააძლიერონ ბიუჯეტი და მისი ხარვეზები.

ვექტური საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია პარამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ანალიტიკური ფუნქციის გაძლიერება და კომპეტენტური აზრის ჩამოყალიბება მთავრობის წინაშე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, მათ შორის კონსულტაციების წარმოება სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, წინასწარი კონტროლის ეტაპზე ინფორმირებული და გაზრებული გადაწყვეტილების მიღების კუთხით.

⁵⁹ Staphenhrs R., Ohnston N., Pelizzo R., The Role of Parliament in Curbing Corruption, WBI Development Studies, The world Bank, Washington DC, 2006, 84.

⁶⁰ European Commission for Democracy Through Law (Venice Commision), Opinion no:614/2011, CDL- (2011)016, Strasbourg, 17 March 2011, 9-11. <<http://www.venice.coe.int>>.

1.2.2 Ex-Post⁶¹ საფინანსო კონტროლი – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მნიშვნელოვანი ფორმა

„საკანონმდებლო ხელისუფლება ახორციელებს სამუშავებელობას: წარმომადგენლობითს, როდესაც იგი წარმოადგენს მოსახლეობის ნებას, დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების ლეგიტიმურ წყაროს, საკანონმდებლოს, როდესაც იგი იღებს კანონებს და საზედამხედველოს – როდესაც პარლამენტი ზედამხედველობას უწევს პოლიტიკის შემუშავების პროცესს (ex – ante ზედამხედველობა) და როდესაც იგი ზედამხედველობს პოლიტიკის შესრულებასა და იმპლემენტაციას (ex – post ზედამხედველობა)”.⁶²

პარლამენტის შემდგომი საფინანსო კონტროლი (ex – post ზედამხედველობა) წარმოადგენს საფინანსო ზედამხედველობის კლასიკურ ფორმას, როდესაც პარლამენტი იყენებს სხვადასხვა კონსტიტუციურ საშუალებებს საფინანსო კონტროლის განსახორციელებლად.⁶³

შემდგომი საფინანსო კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს კითხვა/შეკითხვის, უნდობლობის გამოცხადების, იმპიჩმენტის პროცედურის, საკომიტეტო და საგამოძიებო მექანიზმების გამოყენებით.

შემდგომ საფინანსო კონტროლის სტადიაზე პარლამენტი აკონტროლებს როგორც ბიუჯეტის შესრულებას, ასევე, პარლამენტის მიერ განსაზღვრული საფინანსო პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესს.

ამ კუთხით, თუ წინასწარი (ex – ante) საფინანსო კონტროლის ეტაპზე, პარლამენტი საკანონმდებლო და საკონტროლო კომპეტენციას ერთდროულად ახორციელებს, ex – post ზედამხედველობის დროს საკანონმდებლო ხელისუფლება საკუთრივ აუდიტორა და კონტროლით არის დაკავებული და კონტროლის საშუალებებიც მრავალფეროვანი აქვს.

შემდგომი საფინანსო კონტროლის ესკლუზურ კონსტიტუციურ დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ იგი აძლევს პარლამენტს უფლებამოსილებას უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, როდესაც მთავრობა იყენებს საჯარო რესურსებს და ხელი შეუწყოს მის სწორ მართვას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. შემდგომი საფინანსო კონტროლის მიზანია საფინანსო სექტორში საჯარო ანგარიშვალდებულებისა და ფისკალური დისციპლინის უზრუნველყოფა.

„ბიუჯეტის შესრულების ეტაპზე საპარლამენტო კონტროლისას მოწმდება საჯარო ფინანსების მართვა სანდოობის, სიზუსტის, სისრულისა და კანონმდებლობასთან შესაბამოსიბის კუთხით, რაც

⁶¹ შემდგომი საფინანსო კონტროლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშების ეტაპზე.

⁶² Stapenhurst R., Pelizzo R., O'Brien M., Ex-Post Financial Oversight: Legislative Audit, Public Accounts Committees...ans Parliamentary Budget Offices? World Bank Institute, OECD Parliamentary Budget Officials and Independent Fiscal Institutions, 4th Annual meeting, OECD Conference Centre, Paris, 23-24 february 2012, 2.

⁶³ ეს საშუალებები მოიცავს საკომიტეტო მოსმენებს, კითხვა-შეკითხვებს, ინტერპელაციას, დებატებს, პეტიციას, რომელთა საშუალებითაც პარლამენტი ახორციელებს შემდგომი საფინანსო კონტროლის ფუნქციებს.

გულისხმობს იმას, შესრულდა თუ არა ბიუჯეტი პარლამენტის მიერ ბიუჯეტის მიღებისას განსაზღვრული პარლამეტრების თანახმად. ამასთასთანავე, ex – post ზედამხედველობის დროს პარლამენტი ამოწმებს საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობისა და საკმარისობის კრიტერიუმებს".⁶⁴

შემდგომი საპარლამენტო კონტროლის ეტაპზე, პარლამენტისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს იმის გარკვევა, ასრულებს თუ არა მთავრობას პარლამენტის მიერ განსაზღვრულ საფინანსო პოლიტიკას. შემდგომი საფინანსო კონტროლი ასევე, გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის დამტკიცებას ან მის დამტკიცებაზე უარის თქმას.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტის შესრულების შესახებ პარლამენტის მიერ ანგარიშის დამტკიცება ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს, ხოლო დამტკიცებაზე უარის თქმა უფრო მეტად პოლიტიკური პროცესია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს საშუალებას აძლევს საჯაროდ განიხილოს მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულების ხარევზები და პარლამენტის მიერ მისი დაუმტკიცებლობის მიზეზები, ასევე განხილოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.⁶⁵

პარლამენტის მიერ შემდგომი საფინანსო კონტროლის განხორციელების მეთოდები განსხვავდება თითოეული ქვეყნის ტრადიციების და პოლიტიკური და კონსტიტუციური ისტორიის მიხედვით. ზოგადად, თითქმის ყველა ქვეყანაში, პარლამენტი ახორციელებს ex - post საფინანსო კონტროლს საჯარო ფინანსებზე, თუმცა იმის განსასაზღვრად რამდენად ეფექტურად ახორციელებს პარლამენტი შემდგომი საფინანსო კონტროლის კომპეტენციას, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: რამდენად ძლიერია პარლამენტის საკომიტეტო სისტემა, რა ინტენსივობისა და ხარისხის ურთიერთობა აქვს პარლამენტს გარე საფინანსო კონტროლის ორგანოებთან (უმაღლესი აუდიტის ორგანოებთან) და რამდენად დამოუკიდებელი არიან გარე მაკონტროლებელი ორგანოები და ეროვნული ბანკები აღმასრულებელი ხელისუფლების ზეგავლენისაგან.

ამასთანავე, შემდგომი საფინანსო კონტროლის სიძლიერეს დიდწილად განაპირობებს პარლამენტის კომპეტენცია ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს. ამ ეტაპზე, პარლამენტს საშუალება ეძლევა განსაზღვროს საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რომლის შესრულებასაც იგი მოსთხოვს აღმასრულებელ ხელისუფლებას შემდგომი საპარლამენტო კონტროლის ეტაპზე.

ამ კუთხით, არ უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც გააჩნიათ სუსტი წინასწარი საფინანსო კონტროლის კომპეტენცია, უფრო მეტი ეფექტურობით ხასიათდებიან ბიუჯეტის შემდგომი საფინანსო კონტროლის ეტაპზე.⁶⁶

⁶⁴ Kanis A.M., Parliamentary Control of Budget Implementation, Study, Brussels 2012, 12.

⁶⁵ Jones F., Parliamentary Control of Budget Implementation, Policy Department of Budgetary Affairs, Brussels, 12.03.2009, 8.

⁶⁶ Posner P., Park C.K., Role of the Legislature in the Budget Process: Recent Trends and Innovations; ISSN 1608-7143; OECD Journal on Budgeting, Volume 7-No.3, 2007, 17.

ძლიერი წინასწარი საპარლამენტო კონტროლის კომპეტენცია მეტწილად განსაზღვრავს შემდგომი კონტროლის ეფექტურობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საჯარო ფინანსებში ფისკალური დისკიპლინისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის უზრუნველყოფას.

საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის როლის გაზრდის მნიშვნელობაზე საუბარია ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის დასკვნაში, რომელიც საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო ცელილებებს ეხებოდა.⁶⁷ ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, სასურველია, გაძლიერდეს პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენცია და პარლამენტის როლი საჯარო ფინანსების მართვაში.

მეცნიერები დიდი ხანია აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ „ძლიერი საკონსტიტუციო სისტემა წარმოადგენს საუკავშეო ფორმას, რითაც პარლამენტი უზრუნველყოფს მთავრობის, ცალკეული მინისტრების და ბიუროკრატიის წარმომადგენელთა ანგარიშვალდებულებას საკანონმდებლო ორგანოს მიმართ”⁶⁸. პარლამენტი შემგომი საფინანსო კონტროლის კომპეტენციას ახორციელებს ძლიერი საკომიტეტო სისტემის მეშვეობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ეტაპზე „პარლამენტი მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელებისთვის ფლობს ზოგად ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც მთავრობის მიმართ შეუძლია. კითხვით მიმართვის და ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება, მთავრობის წევრთა დასწრების მოთხოვნის უფლებამოსილება (ციტირების უფლება), გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მას შეუძლია მთავრობას მოუწოდოს გარკვეული ქმედებების განხორციელებისკენ ან პირიქით, აგრეთვე, როგორც „ultima ratio“ – მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების უფლებამოსილება, ანუ მისი გადარჩევა”.⁶⁹

ბიუჯეტის განხილვა, მიღება და მისი შესრულების კონტროლი გულისხმობს მთავრობის საბიუჯეტო გეგმების ავტორიზაციას, რომელიც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი საფინანსო პროგრამების განხორციელება მიზანშეწონილი და გამართლებულია.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „სახელმწიფოს არსებობის ნებისმიერ ეტაპზე მმართველობის სრულყოფილი ფუნქციონირების დონე სახელმწიფოში მოქმედი კონტროლის სისტემის გამართულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი იურიდიული პირისა და მით უმეტეს, სახელმწიფოს ორგანოების სრულყოფილი საქმიანობისათვის აუცილებელია კონტროლი.”⁷⁰

შემდგომი საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს პარლამენტების საჯარო ანგარიშის კომიტეტი.

⁶⁷ European Commission for Democracy Through Law (Venice Commision), Opinion no:543/2009, CDL-AD (2010)028, Strasbourg, 15 October 2010, 14. <<http://www.venice.coe.int>>.

⁶⁸ Shane M., The Committee System, School of Law&Government, Dublin City University, 1, <<https://www2.le.ac.uk>>. (18.01.2015)

⁶⁹ ქურინგი პ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ ქავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 13, <<http://sao.ge>>.

⁷⁰ წაქაძე პ., საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის სრულყოფისთვის, აღმანახი 2003, №18, 1, <<http://www.nplg.gov.ge>>. (8.12.2013)

საჯარო ანგარიშის კომიტეტის ფუნაცია მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს საკანონმდებლო ორგანოს უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ, საჯარო ფინანსების და რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კუთხით.

„პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიზანს და შედეგს წარმოადგენს: მთავრობის მიერ ვალდებულების უკეთესად შესრულება და მმართველობა, საზოგადოების გაუმჯობესებული რწმენა მთავრობის მიმართ, უფრო მეტად ანგარიშვალდებული მთავრობა, გაუმჯობესებული საფინანსო, მმართველობის სისტემა და მუშაობის პრაქტიკა საჯარო სექტორში, უკეთესად იმფორმირებული პარლამენტი და საზოგადოება.“⁷¹

პარლამენტის შემდგომი საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის საეციალური ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლი, რომელიც საპარლამენტო კონტროლის ნაირსახეობას წარმოადგენს.

დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოების ძირითად ფუნქციას ტრადიციულად წარმოადგენს მთავრობის მიერ განხორციელებული ფინანსების მენეჯმენტზე ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ფინანსების ერთიანობა და შემოწმებულ იქნას მთავრობის ფინანსური ინფორმაციის სარწმუნობა. დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოები ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების გზით უზრუნველყოფენ კანონის უზენაესობისა და ფისკალური დისციპლინის დამკაიდრებას საჯარო ფინანსებში.

„საბიუჯეტო კონტროლს გააჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა: ბიუჯეტი უზრუნველყოფს ძალისხმევათა კონსოლიდაციას საერთო მიზნისაკენ და შესრულების სათანადო შეფასებას.“⁷²

ამ კუთხით, ეფექტურ საზედამხედველო ფუნქციას პარლამენტი ახორციელებს მაშინ, როდესაც იგი ითხოვს ინფორმაციის მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.⁷³

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ex-post კონტროლისას, პარლამენტები ძირითადად იხილავენ საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობასა და შედეგიანობას, ასევე, ფისკალური დისციპლინის მნიშვნელოვან საკითხებს.

⁷¹ Assessing the Impact and Effectiveness of the Public Accounts Committee, Parliamentary Oversight – Committees and Relationships, a Guise to Strengthening Public Accounts Committees, Public Accounts CommitteeOrientation Package, CCAF-FCVI, 6, <<http://ccaf-fcv.com>>. (13.01.2015).

⁷² Some Benefits of Budgetary Control, by Smriti Chand Management, 1-2, <<http://www.yourarticlerepository.com>>.

⁷³ A Concept Paper on Legislatures and Good Governance based on a Paper prepared by John K.Johnson and Robert T. Nakamura for UNDP, July, 1999, <<http://mirror.undp.org>>.

II. პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები ქვეყნის კონსტიტუციით, რეგლამენტებითა და სხვა აქტებით რეგულირდება. აღნიშნულ თავში გაანალიზებულია კონსტიტუცია, როგორც პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელი ძირითადი კანონი, რომელიც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუს განსაზღვრავს და პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას აღგენს. ქვეყნების რეგლამენტები პროცედურულ ნორმებთან ერთად პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელ მატერიალურ ნორმებსაც შეიცავს, რომელიც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლის კომპეტენციას არეგულირებს. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციის მოწესრიგებელი სხვა აქტებით პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის ცალკეული ასპექტები წესრიგდება. ამასთანავე, აღნიშნულ თავში გაანალიზებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სამართლებრივი და ეკონომიკური ბუნება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციებში ვლინდება.

2.1 კონსტიტუცია – პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელი ძირითადი კანონი

კონსტიტუცია პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განმსაზღვრელი ძირითადი კანონია, რომლის სამართლებრივი მნიშვნელობა საბიუჯეტო პროცესში სამართლებრივი სისტემების ბუნებაზეა დამოკიდებულია.

სამართლებრივ დოქტრინაში განარჩევენ სართო და კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებს, რომელთა ანალიზის შედეგად პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მოწესრიგების თვალსაზრისით შესაძლებელია ორი ძირითადი ჯგუფის გამოყოფა:

პირველ ჯგუფს განეკუთვნება წერილობითი ფორმის კონსტიტუციები,⁷⁴ რომლებიც ნათლად განმარტავენ საბიუჯეტო პროცესის ძირითად მონაწილეობა ფუნქციებსა და ურთიერთობას პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. კონსტიტუციებში ნათლად არის განსაზღვრული პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენცია და საბიუჯეტო პროცესში ცხადად არის გამიჯნული აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოთა როლი და მნიშვნელობა.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში წერილობითი კონსტიტუციები აწესრიგებენ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების, ეროვნული ბანკის სამართლებრივ სტატუსა და უფლებამოსილებებს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებში, ძირითადი აქცენტი

⁷⁴ მაგალითად, ამ ტიპის კონსტიტუციებს განეკუთვნება საფრანგეთის კონსტიტუცია, გერმანიის ძირითადი კანონი, პოლონეთის კონსტიტუცია, პორტუგალიის კონსტიტუცია და სხვა.

კეთდება გარე აუდიტორული კონტროლის მექანიზმების უზენაეს როლზე საჯარო ფინანსების მართვაში. აღნიშნული ტიპის კონსტიტუციებში უფრო მეტი აქცენტი კეთდება ex - post აუდიტზე, ვიდრე ex - ante კონტროლზე. წინასწარი საფინანსო კონტროლი გაყვანილია ბიუჯეტის მიღებისა და განხილვის პროცედურაში და ნაკლებად არის წარმოჩენილი პარლამენტის წინასწარი საფინანსო კომპეტენცია.

მეორე კატეგორიის ქვეყნებს განეკუთვნება **დაუწერელი კონსტიტუციის მქონე ქვეყნები**⁷⁵. სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება პარლამენტების ექსკლუზიურ ფინანსურულ კომპეტენციაზე და შედარებით ბუნდოვნად არის წარმოჩენილი საბიუჯეტო პროცესის ძირითადი მონაწილეების როლი და ფუნქციები. საბიუჯეტო პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა ძირითადად დამყარებულია მათ შორის თანამშრომლობის პრაქტიკაზე, ვინაიდან არ არსებობს პარლამენტსა და მთავრობას შორის საბიუჯეტო პროცესის დეტალური, წერილობითი ფორმით მომწესრიგებელი აქტები.

დაუწერელი კონსტიტუციის პირობებში, მაგალითად, „გაერთიანებულ სამეფოში, ტრადიცია და პრეცედენტი გასაზღვრავს პარლამენტის პრევორატივებს საბიუჯეტო სფეროში”⁷⁶.

საფინანსო კომპეტენციის მოწესრიგების თვალსაზრისით, ზოგიერთი მეცნიერი განარჩევს ორი ტიპის კონსტიტუციას: **ნორმატიულს და პროგრამულს**. ნორმატიული კონსტიტუციის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მისი სამართლებრივი ნორმები შესაძლებელია პირდაპირ აღსრულდეს. რაც შეეხება პროგრამული ტიპის კონსტიტუციებს, მათი ნორმები არ არის თვითადსრულებადი.⁷⁷

იმ ქვეყნებს, რომელთა კონსტიტუციებიც შეიცავენ პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მომწესრიგებელ თავებს, შესაძლებელია მივაკუთხოვთ ნორმატიული ტიპის კონსტიტუციების⁷⁸ რიგს. რაც შეეხება, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას, იგი მხოლოდ პრინციპების დონეზე შეიცავს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მომწესრიგებელ ნორმებს და ამიტომ საჭიროებს სხვა აქტების მიღების საბიუჯეტო პროცესის დეტალური მოწესრიგების კუთხით.

შესაბამისად, ნორმატიული ტიპის კონსტიტუციები ძირითად წარმოდგენას იძლევა პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციაზე და მხოლოდ საპროცედურო საკითხები განსაზღვრულია პარლამენტის რეგლამენტით და ბიუჯეტის შესახებ სამართლებრივი აქტით. რაც შეეხება პროგრამული ტიპის კონსტიტუციას, კონსტიტუციურ

⁷⁵ მაგალითად, გაერთიანებული სამეფოში მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი, მათი როლი და მნიშვნელობა საბიუჯეტო პროცესში არ არის გაწერილი. პარლამენტის როლი საბიუჯეტო პროცესში არის ბუნდოვანი და არარეგლამენტირებული. იგივე შესაძლებელია ითქვას ახალი ზელანდიისა და კანადის კონსტიტუციებზეც.

⁷⁶ Legislatures and the Budget Process, An International Survey, Legislative Research Series, National Democratic Institute for International Affairs, US, 2003, 8.

⁷⁷ Jon R. Blundal., The Legal Framework for Budget Systems, an International Comparison, Volume 4, No.3, OECD Journal on Budgeting, Paris, OECD, 2004, 37.

⁷⁸ მაგალითად, საბერძნეთის კონსტიტუცია, იაპონიის კონსტიტუცია, გერმანიის კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუცია, პორტუგალიის კონსტიტუცია და სხვა.

აქტებთან ერთად მათ ესაჭიროებათ სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტების სემუშავება საბიუჯეტო პროცესის დარეგულირების კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საფინანსო სფეროში პარლამენტის კომპეტენცია და მისი რეალური როლი, უპირველესად, მაინც ქვეყნის კონსტიტუციით განისაზღვრება. სასურველია, კონსტიტუციით სათანადოდ იყოს მოწესრიგებული ქვეყნის საფინანსო სისტემის საკონსტიტუციო მოდელი. ქვეყნის ეფექტური საფინანსო სისტემა საშუალებას აძლევს პარლამენტს ადეკვატურად განახორციელოს საფინანსო კონტროლის კომპეტენცია.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საფინანსო კომპეტენციის მანდატი საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ორგანოებს, სათანადოდ წარმოადგინონ მათი ამომრჩევლების სურვილები და წუხილები მთავრობების წინაშე და მედიატორის ფუნქცია შეასრულონ ამომრჩევლებსა და მთავრობას შორის⁷⁹“.

ნორმატიული კოსტიტუციებიდან სისტემატიზაციის კრიტერიუმის დაცვის თვალსაზრისით, საქმაოდ დახვეწილია იაპონიის კონსტიტუცია, რომლის მე-7 თავიც ეძღვნება ფინანსებს⁸⁰.

სახელმწიფო ფინანსების მომწესრიგებელი თითქმის ყველა ნორმა გაწერილია იაპონიის კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ თავში, სადაც საუბარია იაპონიის პარლამენტის საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო უფლებამოსილებების შესახებ, ასევე, ამავე თავში მოცემულია იაპონიის საერთაშორისო ფინანსური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები.

საქართველოს ფინანსებისა და კონტროლის რეგულირებას საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავი ეძღვნება, რომელიც თავის მხრივ ექვსი მუხლისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში არსებობდა ანალოგიური თავები: „სახელმწიფო ფინანსები” და „სახელმწიფო კონტროლი“. მოქმედ კონსტიტუციაში არსებული დებულებები გადასახადებისა და სახელმწიფო კონტროლის შესახებ დიდწილად ემყარება 1921 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებულ პრინციპებს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ეროვნული ბანკის შესახებ მოქმედი კონსტიტუციური ნორმები პრინციპულად ახალია საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციასთან შედარებით.”⁸¹

ნორმატიული ტიპის კონსტიტუციების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ კონსტიტიციაში ნათლად ხდება ხაზგასმა იმისა, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია არა მარტო პარლამენტის, არამედ ხელისუფლების წყარო - ხალხის წინაშეც. ნორმატიული ტიპის კონსტიტუციის ნორმები თვითადსრულებადი და სამართლებრივად მბოჭავი პრინციპების ერთობას წარმოადგენს.⁸²

⁷⁹ Stapenhurst Frederick C., Pelizzo R., A Bigger Role for Legislatures, Finance & Development, a quarterly magazine of the IMF, December 2002, Volume 39, Number 4, 1, <<http://www.imf.org>> (31.01.2015).

⁸⁰ იაპონიის კონსტიტუცია <<http://japan.kantei.go>>

⁸¹ დავითა შვილი კ., საქართველოს კონსტიტუცია (საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა), სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, 1, <<http://www.nplg.gov.ge>>.

⁸² საფრანგეთის კონსტიტუციაში საფინანსო ურთიერთობები გაწერილია კონსტიტუციის მე-5 თავში. აღნიშნულ თავში საუბარია საფრანგეთის პარლამენტის

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, მიზანშეწონილია საბიუჯეტო სამართლის ძირითადი დებულებები უფრო დეტალურად იქნას განმტკიცებული ქვეყნის კონსტიტუციით, კონსტიტუციური დებულებები დეტალურ ანალიზს უნდა შეიცავდეს სპეციალურ კანონებში⁸³.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის თავში ძირითად აქცენტს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაზე აკეთებს. წინასწარი საფინანსო კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავის რეგულირების ძირითად საგანს, ნაკლები აქცენტი კეთდება ბიუჯეტთან დაკავშირებით პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშგებაზე ex - post კონტროლის ფორმით.

2.2 პარლამენტის რეგლამენტი – საფინანსო კონტროლის მომწესრიგებელი ძირითადი აქტი თუ მხოლოდ პროცედურების ერთობა?

იურიდიულ დოქტრინაში გავრცელებული განმარტების თანახმად, საფინანსო კომპეტენციის მოწესრიგების კუთხით, პარლამენტის რეგლამენტი წარმოადგენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო კომპეტენციის მომწესრიგებელი პროცედურული ნორმების ერთობლიობას, რომლის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის პროცედურული ნორმების გაწერა.

სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო სისტემებში რეგლამენტებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ, მაგალითად, parliamentary rules (საპარლამენტო წესები), reglament of parliament (პარლამენტის რეგლამენტი) და standing orders of parliament (პარლამენტის მუდმივი წესები).

ფინანსური კომპეტენციის თაობაზე და პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობაზე საფინანსო სფეროში. მეტ-ნაკლებად სისტემატიზირებულად აწესრიგებს ფინანსურ ურთიერთობებს ესპანეთის კონსტიტუციის მე-7 თავი - „კონომიკა და ფინანსები“. ამ თავში დეტალურად არის აღწერილი ესპანეთის პარლამენტის ფინანსური კონკეტენციის თთოქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი. იგალითის კონსტიტუციის 81-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „პალატები ყველწლიურად ამტკიცებენ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის პროექტებს. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 67-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად „სეიმი ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ზედამხედველობს მის შესრულებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი იმდენად დეტალურად აწესრიგებს საბიუჯეტო სამართლის საკითხებს, რომ მან ლიტერატურაში გერმანიის საფინანსო კონსტიტუციის სახელწოდებაც კი მიიღო. მაგალითად, შევდეთის კონფედერაციის 1999 წლის ფედერალური კონსტიტუციით განსაზღვრულია კონფედერაციის, კანტონებისა და კომუნების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და მისი შესრულების შესახებ სახელმწიფო ანგარიშის განხილვა-დამტკიცების წესი.

⁸³ შეგველია რ., ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პროცედუმა, სამეცნიერო ნაშრომების კრებული პროფ. ანზორ თოთაძის რედაქტორობით, თემუსუ, თბ., 2010, 128,

თითოეული ტერმინი ხაზს უსვამს იმას, რომ პარლამენტის რეგლამენტები არეგულირებენ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის წესებს სხვადასხვა სფეროში გადაწყვეტილებების მიღების დროს.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვას: საფინანსო კომპეტენციასთან დაკავშირებით, რეგლამენტი აწესრიგებს მხოლოდ პროცედურულ საკითხებს, თუ იგი უფრო მეტია ვიღრე საპროცესო დოკუმენტი და პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელების წესთან ერთად, განსაზღვრავს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო კონტროლის კომპეტენციის არსე და მნიშვნელობას.

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციასთან მიმართებით, შესაძებელია გამოვყოთ რეგლამენტების ორი ტიპი: რეგლამენტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საფინანსო ურთიერთობის მომწესრიგებელი პროცედურული ნორმების ერთობლიობას და რეგლამენტები, რომლებიც პროცედურალ ნორმებთან ერთად შეიცავენ მატერიალურ ნორმებს, როლებიც განსაზღვრავენ პარლამენტის, როგორც საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სტატუსს.

მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტის რეგლამენტი⁸⁴ ძირითადად წარმოადგენს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მომწესრიგებელი პროცედურული ნორმების ერთობლიობას, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს ბიუჯეტის მიღებისა და დამტკიცების წესზე და მასში თითქმის არ არის საუბარი პარამენტის, როგორც უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს როლსა და მნიშვნელობაზე.

იტალიის პარლამენტის რეგლამენტის⁸⁵ ანალიზის შედეგად, შესაძლებელია დაესკვნას, რომ რეგლამენტი ძირითადად აწსრიგებს პარლამენტის ზედა და ქვედა პალატას შორის ურთიერთობის პროცედურალ საკითხებს და თითქმის არ არის საუბარი პარლამენტის, როგორც უმაღლესი საფინანსო კონტროლის ორგანოს სტატუსზე.

საფინანსო კომპეტენციის მოწესრიგების თვალსაზრისით, ძირითადად პროცედურალ საკითხებს განსაზღვრავენ საბერძნეთის,⁸⁶ პორტუგალიის,⁸⁷ გერმანიის⁸⁸ და ჰოლანდიის⁸⁹ რეგლამენტებიც.

რაც შეეხება მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პარლამენტის რეგლამენტს⁹⁰, იგი აწსრიგებს როგორც პარლამენტის წარმომადგენობით პალატასა და სენატს შორის ურთიერთობებს, ასევე, განსაზღვრავს, პარლამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი

⁸⁴ Standing Orders of the Senate January, 2014,

<http://www.senat.fr/fileadmin/Fichiers/Images/Ing/Standing_orders_of_the_Senate.pdf>.

⁸⁵ Regolamento della Camera dei Deputati:

<http://www.camera.it/application/xmanager/projects/leg17/file/conoscere_la_camera/DA_SITO_25_settembre_2012.pdf>.

⁸⁶ Standing Orders of the Hellenic Parliament, <<http://www.hellenicparliament.gr/en/Vouli-ton-Ellinon/Kanonismos-tis-Voulis/>>.

⁸⁷ Rules of Procedure of the Assembly of the Republic of Portugal,

<http://www.en.parlamento.pt/Legislation/Rules_of_Procedure.pdf>.

⁸⁸ Rules of Procedure of German Bundestag, <<https://www.btg-bestellservice.de/pdf/80060000.pdf>>

⁸⁹ Rules of the Procedure of the Senate of the Kingdom of the Netherlands,

<http://www.eerstekamer.nl/id/vjtockpd5v8b/document_extern/rules_of_procedure_of_the_senate_of/f=/vjtocl2l71ov.pdf>.

⁹⁰ Rules of House of Representatives, <<https://rules.house.gov/>>.

ორგანოს უზენაეს როლს აღასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და ქვეყანაში ფისკალური დისციპლინის დამყარების კუთხით.

ანალოგიური შეიძლება ითქვას იაპონიის პარლამენტის რეგლამენტზე⁹¹, რომელიც ძირითადად ეფუძნება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაეს როლს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული საპროცედურო წესები შეიცავენ სამ ძირითად ელემენტს: საერთო სამართლის ელემენტს, საკონტრაქტო სამართლის ელემენტს და კოდექსის ელემენტს. იგი შედგება როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ხასიათის სამართლის ნორმებისგან.⁹²

პარლამენტის რეგლამენტი არის არა მხოლოდ პროცედურული ნორმების ერთობა, არამედ, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი აქცენტს აკეთებს როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივ სტატუსზე, ისე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთობაზე საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი შეიცავს როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ხასიათის ნორმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მოწესრიგების თვალსაზრისით, **ნებისმიერ აქტში უნდა ჩანდეს პარლამენტის უზენაესობის პრინციპი**, რაც გულისხმობს, მის პრეროგატივას მიიღოს კანონები და ის, რომ არავის უნდა შეეძლოს უგულგებელყოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ან ეჭვავეშ დააუენოს მისი შესრულება.⁹³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეგლამენტები ასევე, არეგულირებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საფინანსო ურთიერთობის საკითხებს, რეგლამენტების ოპტიმალური მოწესრიგებოს მოდელი პასუხს უნდა სცემდეს შემდეგ საკითხებს:

რა როლი აქვს პარლამენტს საბიუჯეტო პროცესში:

რა სპეციფიკის ურთიერთობა აქვს პარლამენტსა და მთავრობას საფინანსო კონტროლის კუთხით:

განსაზღვრულია თუ არა უმაღლესი მაკონტროლებელი იურიდიკურის სტატუსი და მნიშვნელობა საბიუჯეტო პროცესში:

რა როლი აქვს პარლამენტს ფისკალურ დისციპლინის დამყარებისა და საჯარო ფინანსების მართვის კუთხით:

ვლინდება თუ არა პროცედურული საკითხების უსწავლისას, საკომიტეტო სისტემის სიძლიერე:

⁹¹ The National Diet of Japan,

<http://www.shugiin.go.jp/internet/itdb_english.nsf/html/statistics/english/pamph_e.htm>.

⁹² Waldeck J., Legal Nature of Parliamentary Procedure, Cleveland State Law Review, Law Journals, Rev.85 (1972), 10, <<http://engagedscholarship.csuohio.edu>>.

⁹³ Eleftheriadis P., Parliamentary sovereignty and the Constitution, Canadian Journal of Law and Jurisprudence, Vol.XXII, No.2 (July 2009), 2.

რა გიპის ურთიერთობა აქვს პარლამენტს გარე კონტროლის ორგანოებთან;

რა როლი აქვს პარლამენტს აღმასრულებელი ხელისუფლების როგორც წინასწარი, ისე შემდგომი კონტროლის კუთხით;

რა ურთიერთობა აქვს პარლამენტს ეროვნულ ბანკთან ქვეყნაში ფინანსურის დისციპლინის დამყარების კუთხით.

2.3 საბიუჯეტო სისტემის მომწესრიგებელი სხვა აქტების თავისებურებანი

ზოგიერთ ქვეყანაში თავად კონსტიტუცია ითვალისწინებს კანონთა იერარქიას საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.

ქვეყნების კონსტიტუციები ითვალისწინებენ ორგანული კანონების არსებობას საბიუჯეტო სფეროში, რომელთაც ჩვეულებრივ კანონზე მაღალი სტატუსი გააჩნია.

ძირითადი ტენდენციის თანახმად, საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებენ ჩვეულებრივი კანონები. მაგალითად, საბიუჯეტო საკითხებს ორგანული კანონები აწესრიგებენ საფრანგეთსა და ესპანეთში. საფრანგეთში მოქმედებს ორგანული კანონი ბიუჯეტის შესახებ, რომელიც აწესრიგებს მხოლოდ სახელმწიფო საბიუჯეტო საკითხებს. მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას ხშირად უწოდებენ „საფინანსო კონსტიტუციას“.

საფრანგეთსა და ესპანეთში, საბიუჯეტო სისტემის მომწესრიგებელი ძირითადი კანონებია: ორგანული კანონები (ძირითადი კანონები), სხვა ჩვეულებრივი კანონები (მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული კანონები) და აღმასრულებელი რეგულაციები.

საფრანგეთისა და ესპანეთის საბიუჯეტო სისტემები ძირითადად ეყრდნობიან ორგანული კანონებს ბიუჯეტის შესახებ, სხვა აქტები, მხოლოდ შემავსებელ, დამატებით ფუნქციას ასრულებენ. საბიუჯეტო კანონთა იერქარქია საფრანგეთისა და ესპანეთის საბიუჯეტო სისტემის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.⁹⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანას არ გააჩნია ამგვარი იერარქია და საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებენ ჩვეულებრივი კანონები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საბიუჯეტო სისტემის მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ საბიუჯეტო სფეროს სხვადასხვა საკითხებს აწესრიგებენ დიდი რაოდენობის კანონები, რომელნიც ერთი და იგივე იერარქიულ საფეხურზე დგანან.⁹⁵

⁹⁴ The Reform of Budgetary Procedures in France, The New Organic Budget Law (2001); Organic law on Budget Stability and Financial Sustainability (27.04.2012) <<http://www.spanishreforms.com/organic-law-on-budget-stability-and-financial-sustainability>>.

⁹⁵ The Anti-Deficiency Act 1905, The Budget and Accounting Act 1921, The Congressional Budget and Impoundment Control Act 1974, The Inspector General Act 1978, The Federal Manager's Financial Integrity Act 1982, The Balanced Budget and Emergency Deficit Control Act 1985, The Budget Enforcement Acts, 1990 and 1997, The Chief Financial Officers Act 1990, The Federal Credit Reform Act 1990, The Government Performance and Results Act 1993, The Government Management Reform Act 1994, The Federal Financial Management Improvement Act 1996.

ამერიკის შეერთებული შტატების საბიუჯეტო სისტემის დამახასიათებელი ნიშანს წარმოადგენს ის, რომ საბიუჯეტო სისტემის მართვა იქ დეცენტრალიზებულია.

აშშ-ის თითოებულ შტატში მოქმედებს ცალკეული კონსტიტუციები, კანონები და რეგულაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფედერაციული ტიპის სახელმწიფოა, მაგალითად, გერმანიის ფედერაციისაგან განსხვავებით, იქ არ არსებობს საბიუჯეტო სამართლის ერთიანობისა და ერთგვაროვნების პრინციპი. ამერიკის შეერთებულ შტატებში საბიუჯეტო სისტემა მკვეთრად დეცენტრალიზებულია.

უმრავლესი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს არ აქვთ იერარქია საბიუჯეტო საკითხების მომწესრიგებული აქტების კუთხით. საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებს რამდენიმე ძირითადი კანონი.⁹⁶

ამ მხრივ გამონაკლიის წარმოადგენს ფინეთი, სადაც საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებს მხოლოდ ერთი კანონი. ფინეთის სახელმწიფო საბიუჯეტო კანონი აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმ მცირე საკითხებზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ფინეთის კონსტიტუციით.⁹⁷

ამ კუთხით, რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა დანიასა და ნორვეგიაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყნის კონსტიტუცია აწესრიგებს საბიუჯეტო საკითხებს, არანაირი ჩვეულებრივი კანონი არ არის მიღებული იმისათვის, რათა განისაზღვროს საბიუჯეტო სისტემის პრინციპები და დებალები. დანიისა და ნორვეგიის კონსტიტუციები დეტალურად აწესრიგებენ საბიუჯეტო საკითხებს, რომელნიც არ არის დაკონკრეტებული სხვადასხვა ცალკეულ აქტებში.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ დაწერილი კონსტიტუცია⁹⁸, გააჩნიათ მრავალი საბიუჯეტო კანონები და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული რეგულაციები საბიუჯეტო სისტემის შესახებ.

დეცენტრალიზებული საბიუჯეტო სამართლის სისტემა ძირითადად წარმოადგენს საერთო სამართლის ქვეყნების დამახასიათებელ თავისებურებას, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს საჯარო ფინანსების მართვის ავტონომოურობასა და არაერთგვაროვნებაში. საფინანსო სფეროს ამ ტიპის მართვას თან ახლავს საბიუჯეტო საკითხების დეტალური რეგულირება და მისდამი არაერთგვაროვანი მიღომა.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებს ძირითადად ახასიათებთ საბიუჯეტო სამართლის ერთგვაროვნება და საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათი. საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა კონტინენტური ევროპის საბიუჯეტო სამართლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

⁹⁶ მაგალითად, კანადაში საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებს შემდეგი აქტები: The Constitution Act 1867, The Financial Administration Act 1985 as amended (FAA), The Auditor General Act 1977 as amended (AGA), The Federal - Provincial Fiscal Arrangements Act 1985 as amended,

www.laws.justice.gc.ca იაპონიაში საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებენ შემდეგი აქტები: The Constitution 1986, The Public Finance Act 1947, The Diet Act 1947, The Public Accounts Act 1947, The Board of Audit Act 1947.

⁹⁷ ფინეთში საბიუჯეტო საკითხებს აწესრიგებს შემდეგი აქტი: State Budget Act 1988 with amendments.

⁹⁸ გაერთიანებული სამეფო და ახალი ზელანდია.

კონტინენტური სამართლის ქვეყნები ძირითად აქცენტს აკეთებენ საბიუჯეტო მართვის ცენტრალიზებულ, ერთგვაროვან სტილზე.

საბიუჯეტი საკითხები არსებითად მოწესრიგებულია ქვეყნების კონსტიტუციებით, ხოლო საბიუჯეტო კანონები ავსებენ ქვეყნის ძირითად კანონებს მატერიალური და პროცედურული ნორმებით. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ძირითად ფუნქციას საჯარო ფინანსების კუთხით საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა წარმოადგენს, ხოლო, რაც შეეხება მთავრობას, მისი უფლებამოსილება პარლამენტის მიერ შემუშავებული საფინანსო პოლიტიკის შესრულებაში მდგომარეობს⁹⁹.

სამართლებრივ დოქტრინაში, ზოგიერთი მეცნიერი განარჩევს ორი ტიპის რეგულაციას: პირველადი კანონი (Primary law) და მეორადი კანონი, რეგულაცია (secondary law).¹⁰⁰

ძირითადი განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველადი კანონი, რეგულაცია მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო მეორადი კანონები – აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, მეორად კანონებს, რეგულაციებს (secondary law) იღებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ეხმარებიან ძირითად კანონებს განვითარებასა და სრულყოფაში. ზოგიერთ შემთხვევებში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები იღებენ რეგულაციებს, რათა მოწესრიგონ ის სფეროები, რომელებსაც ძირითადი კანონები არ აწესრიგებენ.¹⁰¹

საბიუჯეტო სისტემის მომწესრიგებელი ნებისმიერი სამართლებრივი აქტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საბიუჯეტო სისტემის მდგრადობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საბიუჯეტო სამართლებრივი ნორმების ადეკვატური საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ეკონომიკური სტაბილურობისა და თვითმყოფადობის უზრუნველყოფა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო კომპეტენციათა ადეკვატური საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი¹⁰² განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე, საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების და ამ ხელისუფლებების ორგანოების მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, როგორც primary law ძირითად აქცენტს საბიუჯეტო პროცესის პროცედურულ ნორმებზე აკეთებს და რეგლამენტური ხასიათისაა.

⁹⁹ Dobell P., Ulrich M., Parliament and Financial Accountability, <<http://www.cbc.ca>>.

¹⁰⁰ Blondal Jon R., The Legal Framework for Budget Systems, an International Comparison, Volume 4, No.3, OECD Journal on Budgeting, Paris, OECD, 2004, 41.

¹⁰¹ იქვე, 41-42.

¹⁰² მას საქართველოს კანონის სტატუსი აქვს.

2.4. სახელმწიფო ბიუჯეტი – სამართლებრივი თუ საფინანსო დოკუმენტი

საბიუჯეტო სამართლში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბიუჯეტო პროცესის სამართლებრივ რეგულირებას. საბიუჯეტო პროცესი წარმოადგენს საკანონმდებლო წესით რეგლამენტირებულ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას ბიუჯეტის პროექტის შედგენის, მისი განხილვისა და დამტკიცების, აგრეთვე შესრულებისა და შეუსრულებლობის შესახებ ანგარიშის შედგენისა და დამტკიცების სტადიებზე.

მეცნიერები საბიუჯეტო პროცესს ყოფენ სამ ძირითად სტადიად: ბიუჯეტის შესწავლა, ბიუჯეტის ფორმულირება, ბიუჯეტის შესრულება, ბიუჯეტის მონიტორინგი და კონტროლი.¹⁰³

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ფინანსების ცენტრალიზებულ მართვას დიდი ხნის ისტორია აქვს, ტერმინი „ბიუჯეტი“ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების წინასწარი მოწონების დამადასტურებელ აქტს.“

ბიუჯეტის დამტკიცება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, ბიუჯეტს აძლევდა კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, სახელმწიფო სახსრების გამოყენების შესაძლებლობის მქონე სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის სახეს”¹⁰⁴.

„სიტყვა „ბიუჯეტი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან „budget“, რაც ტომარას ნიშნავს. როდესაც ინგლისის პარლამენტში მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იდო. მას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.”¹⁰⁵

„თანამედროვე გაგებით, ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ჩამონათვალია, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით, ჩვეულებრივ ერთი წლით”.¹⁰⁶

გაზიარებულ უნდა იქნას მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ბიუჯეტი არის მთავრობის შეთავაზება/წინადადება. ეს არ არის შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემთა ნაკრები, რაც რეალურად განხორციელდა, ბიუჯეტი არის მთავრობის განზრახვათა და გეგმათა ერთობლიობა“.¹⁰⁷

¹⁰³ Igbuzor O., Budgetary and Financial Matters and the Roles of Parliament, 4, <<http://www.otiveigbuzor.com/wp-content/uploads/2013/12/THE-ROLES-OF-PARLIAMENT-for-Kogi.pdf>>.(6.09.2014)

¹⁰⁴ უწყებელია რ., ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პრობლემა, სამეცნიერო ნაშრომების კრებული პროფ. ანზორ თოთაძის რედაქტორობით, ოქტემბერი, 2010, 124.

¹⁰⁵ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, გზამკლებები, ფონდი „დია საზოგადოება-საქართველო“, თბ., 2007, 4,

<http://www.osgf.ge/files/news/news2007eng/Guide_to_Budget_System-1_Otuq_q7JBy.pdf>.

¹⁰⁶ იქვე, 4.

სახელმწიფო ბიუჯეტს შემდგები მახასიათებლები გააჩნია: პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღება კონსტიტუციით განსაზღვრული კონკრეტული პერიოდისათვის, იგი არის მთავრობის საფინანსო-ეკონომიკური გეგმა, რომლის მიზანსაც მონეტარული პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს, იგი არის შესარულებლად სავალდებულო აქტი, რომლიც აღსრულებაზეც საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება.

ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, ბიუჯეტი არის პოლიტიკური დოკუმენტი, მართვის ინსტრუმენტი, მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების მონიტორინგის პროცედურას. იგი არის ეროვნული განვითარების გეგმის შეფასებისა და იმპლემენტაციის ისტრუმენტი.¹⁰⁸

„კონტინენტურ ქვეყნებში ბიუჯეტი მოიცავს როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯების ნაწილსაც და მტკიცდება ერთიანი საკანონმდებლო აქტით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 110-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ფედერაციის ყველა შემოსავალი და გასავალი შეიტანება ბიუჯეტის გეგმაში.“ იგივე აზრია ჩადებული საფრანგეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, პარლამენტმა უნდა მიიღოს ფინანსური კანონი, რომლითაც უნდა განისაზღვროს ქვეყნის შემოსავლები და ხარჯები. საერთო სამართლის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და კანადა, ფინანსური ბილი ანუ ბიუჯეტის შემოსავლები და ბილი ასიგნებათა შესახებ ანუ საბიუჯეტო გასავლები პარლამენტის მიერ განიხილება და მიიღება ცალ-ცალკე.¹⁰⁹“

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „ბიუჯეტს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები: იგი შესაძლებლობას იძლევა მთლიანი შემოსავალი შედარდეს მთლიან გასავალთან, ხარჯებთან, შესაძლებლობას იძლევა ხარჯები იქნა კლასიფიცირებული, მისი შესაბამისი მნიშვნელობა და გადაუდებლობა შეფასდეს, ბიუჯეტს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სიტუაციაზე, იგი იძლევა შესაძლებლობას პარლამენტმა განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი, როგორც **პოლიტიკური იარაღი**. ბიუჯეტი ხაზს უსვამს მთავრობის იდეოლოგიურ ვალდებულებებს, პოლიტიკურ ფილოსოფიას და პოლიტიკურ პლატფორმას, ბიუჯეტი არის მთავრობის პოლიტიკის განაცხადი გამოხატული ფისკალურ ტერმინებში, ბიუჯეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორ ხდება საჯარო საქონლისა და სერვისების გენერირება და განაწილება, როგორც **ეკონომიკური იარაღი**, ბიუჯეტი ფორმირებას ახდენს ეკონომიკური პრიორიტეტების და აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას (განვითარებას), იგი გავლენას ახდენს ინვესტირების

¹⁰⁷ Isaksen J., Amundsen I., Wiig A., with Abreu C., Budget, State and People, Budget Process, Civil Society, and Transparency in Angola, CMIReport, R2007:7; 2, <<http://www.cmi.no/publications/file/2706-budget-state-and-people-budget-process.pdf>>.

¹⁰⁸ Eze, Chukwuemeka M. and Nnendum, Ugochukwu A., Obiajulu, Public expenditure management reforms and national development: A critical evaluation of Obasanjo's administration, 1999-2007, African Journal of Political Science and International Relations, Vol.7(2), May 2013, 42, <<http://academicjournals.org/journal/AJPSI>>.

¹⁰⁹ შენგელია რ., ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პრობლემა, სამეცნიერო ნაშრომების კრებული პროფ. ანხორ თოთაძის რედაქტორობით, თემუსუ, თბ., 2010, 124.

მიმართულებაზე, ხელს უწყობს დასაქმებას, ზეგავლენას ახდენს შემოსავლების კვლავდისტრიბუციაზე.

როგორც **სამართლებრივი იარაღი**, ბიუჯეტი მზადდება და მიიღება კონსტიტუციითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გაწერილი პროცედურით, იგი ფორმირებას ახდენს ეკონომიკური პრიორიტეტის და ეკონომიკურ ზრდის (განვითარების)¹¹⁰.

სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი არსით არის უპირველესად სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს პრიორიტეტებს საფინანსო სფეროში. სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის საფინანსო კანონი გამოხატული ფისკალურ მაჩვენებლებში.

როგორც სამართლებრივი აქტი, სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცავს სტრატეგიულ ფინანსურ გეგმას, შესრულების გეგმასა და შესრულების ანგარიშების ელემენტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც სამართლებრივი აქტი, ავალდებულებს მთავრობას მართოს საჯარო ფინანსები სახელმწიფო ბიუჯეტში გაწერილი პარამეტრების თანახმად.

სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც სამართლებრივ აქტს, ამტკიცებს პარლამენტი, რითაც ავალდებულებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მის ეფექტიან და რაციონალურ შესრულებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღება საქართველოს კონსტიტუციით საბიუჯეტო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურის თანახმად.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის შესასრულებლად საგალდებულო აქტი, რომლის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე.

რაც შეეხება ბიუჯეტის საფინანსო-ეკონომიკურ ბუნებას, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის მთავრობის საფინანსო განაცხადი, რომელიც პარლამენტის მიერ მიიღება კონკრეტული პერიოდისათვის, რათა მიღწეულ იქნას საჯარო პოლიტიკის ძირითადი მიზნები.

¹¹⁰ Draman R., Overview of the Budget Process – Government/Legilative Relations and the Role of Information, Parliamentary Centre, 6-8, <<http://siteresources.worldbank.org/PSGLP/Resources/RasheedDraman.pdf>>.

III. სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ფორმები და მათი გავლენა საბიუჯეტო კანონმდებლობაზე

პარლამენტის გავლენა საბიუჯეტო პროცესში და მისი ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დიდწილად გაპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის მმართვა-გამგეობის ფორმით.

სამართლებრივ დოქტრინაში საუბარია იმაზე, რომ წმინდა

საპრეზიდენტო სისტემებში უკეთესად არის უზრუნველყოფილი ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პრინციპი და პარლამენტის კონსტიტუციური როლი ქვეყნის ძირითად კანონში. პარლამენტი საკანონმდებლო უფლებამოსილების შესრულებით და საბიუჯეტო კონტროლის მექანიზმების გამოყენებით ზედამხედველობას უწევს მთავრობის საქმიანობას საჯარო ფინანსების მართვისა და ფისკალური დისციპლინის უზრუნველყოფის კუთხით.

წმინდა საპრეზიდენტო მმართველობის სისტემებში მკვეთრად არის გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების როლი და დატვირთა საბიუჯეტო პროცესის თოთოვეულ ეტაპზე.

ამასთანავე, დოქტრინაში საუბარია იმაზე, რომ ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას დიდწილად განაპირობებს პრეზიდენტის ძლიერი როლი საბიუჯეტო პროცესში და მისი როგორც მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების თავმოყრა ერთი პირის ხელში.¹¹¹

დოქტრინაში საუბარია იმაზე, რომ **საპარლამენტო მმართველობის სისტემებში** ბუნდოვნად არის გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებანი საბიუჯეტო პროცესში.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინა შენარჩინუბულია მმართველ პარტიაში ან სხვა პარტიებში, მთავრობა კანონპორექტით მიმართავს პარლამენტს, რომელიც იდებს მას ყოველგვარი დაბაბულობის გარეშე. პარტიული დისციპლინის შენარჩუნება ორპარტიულ სისტემაში გაცილებით აღვილია, ვიდრე კოალიციურ სისტემაში, რომელიც ქმნიან მთავრობას. ამ შემთხვევაში, პარტიული დისციპლინის დამყარება გაცილებით რთული შეიძლება აღმოჩნდეს. ორივე სისტემაში, მთავარი ეფექტური კონტროლის საშუალებას წარმოადგენს პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება, რომელიც არსებითად განსაზხლვრავს აღმასრულებელი მთავრობის სამომავლო ბეჭს.¹¹²

საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყნებში, საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ფისკალური დისციპლინისა და Power of the Purse კომპეტენცია ძირითადად საკანონმდებლო ხელისუფლების ხელშია.

იმ სისტემებში, სადაც მკვეთრად არის გამიჯნული საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებისაგან, პარლამენტს უწევს მეტი

¹¹¹ Lienert I., Who Controls the Budget: The Legislature or the Executive?, IMF Working Paper, Fiscal Affairs Department, June 2005, 5.

¹¹² Jon R. Blundal., The Legal Framework for Budget Systems, an International Comparison, Volume 4, No.3, OECD Journal on Budgeting, Paris, OECD, 2004, 48-49.

აქცენტის გადატანა შემდგომ საფინანსო კონტროლზე, წინასწარი საფინანსო კონტროლის მექანიზმები კი შედარებით შეზღუდულია.

საპარლამენტი ხელისუფლების სისტემებში, პარლამენტი უფრო ეფექტურია როგორც წინასწარო კონტროლის, ისე შემდგომი კონტროლის ეტაპზე. საპარლამენტო მმართველობის ფორმებში, ძლიერი საკომიტეტო სისტემა დიწილად განაპირობებს პარლამენტის ეფექტურობს საჯარო ფინანსების ზედამხედველობის კუთხით.

ძლიერი საკომიტეტო სისტემა საფინანსო და საბიუჯეტო და საჯარო ანგარიშის კომიტეტთან ერთად განაპირობებს საკანონმდებლო ხელისუფლების მნიშვნელოვან როლს ფისკალური დისციპლინის დამყარების კუთხით. პარლამენტის რეალურ როლსა და დატვირთვას საბიუჯეტო პროცესში დიდიწილად განაპირობებს განვითარებული პარტიული სისტემა და გარე აუდიტის ორგანოების კომპეტენციის სარისხი.

შერეული მმართველობის ფორმის ქვეყნებში საბიუჯეტო

პროცესის ძირითად მოთამაშედ მთავრობა გვევლინება, რომელიც პარლამენტში წარადგენს ბიუჯეტის პროექტს. მთავრობას გააჩნია საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის პროექტის ექსკლუზიური წარდგენის კომპეტენცია. შერეული მმართველობის სისტემა ხელს უწყობს საბიუჯეტო პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების როლი გამოკვეთას და ძირითად აქცენტს აკეთებს გარე კონტროლის მექანიზმებზე.

შერეული მმართველობის მქონე ქვეყნებში ძირითადი აქცენტი კეთდება წინასწარ საბიუჯეტო კონტროლზე და შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს შემდგომი საფინანსო კონტროლის მექანიზმები.

შერეული მმართველობის მქონე ქვეყნებში მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს პრეზიდენტს, როგორც არბიტრს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დამყარების კუთხით. საბიუჯეტო პროცესები, რომელიც მთავრობასა და პარლამენტს შორის გარკვეული დაძაბულობის წყაროდ შეიძლება იქცეს, პრეზიდენტს მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია კონფლიქტის განმუხტვის მიმართულებით.

მმართველობის ფორმების გავლენა პარლამენტის როლზე საბიუჯეტო პროცესში დიდიწილად დამოკიდებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივი ურთიერთობის სფერიფიკაზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ფორმისა, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რჩება უზენაეს აქტორად საბიუჯეტო პროცესის თითქმის ყველა სტადიაზე. პარლამენტის ძლიერ საფინანსო კომპეტენციას დიდიწილად განსაზღვრავს პარლამენტის ძლიერი საკომიტეტო სისტემა დაგ არე აუდიტის ორგანოთა კომპეტენციის ხარისხი.

ამასთანავე, პარლამენტის საბიუჯეტო კონტროლის კომპეტენციაზე დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და პარლამენტის ზედა პალატის კომპეტენცია ბიუჯეტის შესრულების ზედამხედველობისა და შემდგომი კონტროლის კუთხით.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური მოდელის პირობებში, მეტისმეტად შესუსტებულია

პარლამენტის როლი პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლის სფეროში. მის საპირისპიროდ, არააღეკვატურად არის გაძლიერებული პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური პოზიციები სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში.¹¹³

სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის ქართულო მოდელის თავისებურებანი ასახვას ჰქოვებს პარლამენტსა და მთავრობას შორის საბიუჯეტო ურთიერთობისას. პრეზიდენტიალიზმის ტენდენციებით გაჯერებული ქართული მოდელი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის კუთხით გარკვეულ დისბალანსს აყალიბებს.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა გადაისინჯოს 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით შემოთავაზებული სახელმწიფო მოწყობის დაუბალანსებელი მოდელი და გარდაიქმნას იგი რომელიმე კლასიკურ (საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეულ) ან საპარლამენტო) მოდელად. დემოკრატიისათვის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი სახელმწიფო მოწყობის სწორედ არაკლასიკური, წინააღმდეგობრივი კონსტიტუციური მოდელის დანერგვა.¹¹⁴

მოქმედი ქართული მოდელი საბიუჯეტო ურთიერთობების თვალსაზრისით ძირითადად ორიენტირებულია მთავრობის დომინანტ, „ბოლო და გადამწყვეტი სიტყვის” როლზე ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ქართული მოდელი არ ემსახურება პარლამენტის საკონტროლო კომპეტენციის სათანადოდ წარმოჩნას ხელისუფლების დანაწილების სისტემაში.

უცილებელია, საბიუჯეტო ურთიერთობებთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციაშ გაითვალისწინოს სახელმწიფო მმართველობის დაბალანსებული მოდელი, რომელიც საშუალება მისცემს საქართველოს პარლამენტს სათანადო საფინანსო კონტროლი განახორციელოს მთავრობის საქმიანობაზე.

¹¹³ კობახიძე ი., კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, 2-3,
<http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=2130>.

¹¹⁴ იქვე, 18.

IV. საკანონმდებლო პროცესის თავისებურებანი პარლამენტიში საფინანსო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით

აღნიშნულ თავში გაანალიზებულია საკანონმდებლო პროცესის თავისებურებანი პარლამენტიში საფინანსო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით.

საბიუჯეტო პროცესი მრავალმხრივი ასპექტებით ხასიათდება, სადაც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სხვადასხვა მნიშვნელობის დატვირთვა გააჩნია.

პარლამენტის მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში საფინანსო კონტროლის წინასწარ და შემდგომ ფაზებში ვლინდება. პარლამენტი მეტ- ნაკლები აქტიურობით მონაწილეობს საფინანსო კონტროლის წინასწარ და შემდგომ ეტაპებზე.

4.1 საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების თავისებურებანი საბიუჯეტო პროცესში

სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტ როლს წარმოაჩენს. პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების პრივილეგიას წარმოადგენს. საკანონმდებლო ინიციატივის ეტაპზე პარლამენტს სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. აღნიშნულ თავში მიმოხილულია საკანონმდებლო ინიციატივის თავისებურებანი საბიუჯეტო პროცესში და პარლამენტის როლი საბიუჯეტო ინიციატივასთან დაკავშირებით.

4.1.1 აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების პრივილეგია პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით?

საბიუჯეტო პროცესის ყველა სტადიას თავისი დატვირთვა გააჩნია. დაქვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საბიუჯეტო პროცესის პირველი ეტაპი – ბიუჯეტის პროექტის მომზადება, აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს. თუცმა, ამ კუთხით, არსებობდა გამონაკლისებიც.

საფრანგეთში 1791 და 1795 წლების კონსტიტუციებით, აგრეთვე აშშ-ში, 1921 წლის საფინანსო რეფორმის ჩატარებამდე ბიუჯეტის პროექტის ფორმირება საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს ევალებოდა. წარმომადგენლობითი ხელისუფლება ამ საქმიანობით როგორც წესი, არც ერთ ქვეყანაში არ არის დაკავებული. როგორც წესი, ქვეყნებში ბიუჯეტის პროექტებს აყალიბებენ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები. მაგალითად, ბულგარეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიაში – მსგავსი პრეროგატივებით

უფლებამოსილნი არიან აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები, მთავრობები.

ბიუჯეტის მომზადება კომპლექსური, რთული და ინკლუზიური პროცესია.

გაზიარებულ უნდა იქნას მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეინარჩუნებს ქვეყანა აღებულ პოლიტიკურ კურსს და მიაღწევს დასახულ მაკროეკონომიკურ მიზნობრივ მაჩვენებლებს. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობა და ორგანიზებულობა შემდგომში მისი წარმატების საწინდარია”.¹¹⁵

ბიუჯეტის კანონის პროექტი სამართლებრივ დოკუმენტთან ერთად, მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტია, რომელსაც მთავრობა ყოველწლიურად წარადგენს პარლამენტი, პარლამენტი, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო, სწორედ ბიუჯეტის კანონით ადგენს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ავალდებულებს მთავრობას ბიუჯეტის კანონით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ბიუჯეტის კანონით მთავრობა იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია თუ როგორ აპირებს სხვადასხვა სფეროების დაფინანსებას და რომელი წყაროებიდან მოზიდული თანხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ „მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონებს ახორციელებს და მათ ადმინისტრირებას ახდენს. მთავრობა ასრულებს პარლამენტის, ხალხის მიერ არჩეული „სუვერენის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მისი ფუნქცია სახელმწიფოს მართვაა. მთავრობა და მისი შემადგენელი ნაწილები რეალურად აცოცხლებენ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს და ახდენენ პარლამენტის გადაწყვეტილებების ინტეგრირებას ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრებაში.”¹¹⁶

ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენის და განხილვის პროცესი უნდა იყოს საჯარო და გამჭვირვალე, რადგან იგი მოიცავს ინფორმაციას შემოსავლების, გადასახდელებისა და ხარჯების შესახებ.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას უნდა აღინიშნოს, რომ „ამერიკის შერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის პაკეტი მოიცავს: პრეზიდენტის საბიუჯეტო მიმართვას, ინფორმაციას პრეზიდენტის პრიორიტეტებზე, საბიუჯეტო მიმოხილვას უწყებების მიხედვით, შემაჯამებელ ცხრილებსა და სხვა დამატებით მასალებს. ამასთან, ბიუჯეტის პროექტი მოიცავს შუალედურ მიმოხილვას (საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას მომზადებულ შუალედურ ანალიზს).¹¹⁷”

ოპტიმალურად შემუშავებული ბიუჯეტი უნდა წარმოადგენდეს გასული წლების შედეგებისა და მონაცემების შეჯამებას, მომავალი

¹¹⁵ ჩაქვეტაძე გ., ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი: ასპექტები საერთაშორისო გამოცდილებიდან, ივლისი 2014, 3 <<http://sao.ge/files/kanonmdebloba/publication/biujetis-sagegmvis-procesi.pdf>>.

¹¹⁶ გერინგი გ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 5, <<http://sao.ge/files/auditi/publications/GE-Verfassungsanalyse.pdf>>.

¹¹⁷ Official Web-site of Office of Management and Budget, the Presidents Budget for Fiscal Year 2015; <<http://www.whitehouse.gov/omb/budget>>

საბიუჯეტო წლისთვის პრიორიტეტებისა და სტრატეგიის განსაზღვრას და ლოგიკურ დასაბუთებას, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებების შუალედურ და შემდომ შეფასებას და ანალიზს.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენისას, მთავრობამ უნდა მიმოიხილოს იმ კონკრეტულ სფეროებში მიღწეული შედეგები, რომლის დაფინანსებასაც ძირითადი საფინანსო კანონი ითვალისწინებს

მაგალითად, კანადა განვითარებული საბიუჯეტო სისტემის მქონე სახელმწიფოდ და ბიუჯეტის მომზადების პროცედურის წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა. კანადის სახელმწიფო ბიუჯეტი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, სადაც ბიუჯეტის მომზადების დოკუმენტაცია თემატურად არის განაწილებული.¹¹⁸

ჩეხეთში, ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ეკონომიკური განვითარების პროგნოზებს ყველა მიმართულებით. ამასთან, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გამოყენებული მაკროეკონომიკური პროგნოზების რეალისტურობა და გამჭვირვალობა, ფინანსთა სამინისტრო წელიწადში ორჯერ აწყობს შეხვედრას პროგნოზების დამოუკიდებელ წყაროებთან – კერძო ორგანიზაციებთან (კოლოქიუმი) და შედეგები ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.¹¹⁹

სამართლებრივ დოკტრინაში არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) ბიუჯეტთან დაკავშირებით ერთადერთი ინიციატორი (საკანონმდებლო ინიციატივის მქონე).

პარლამენტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენა ყველა სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების პრეოროგატივა. სწორედ ამიტომ, საკარლამენტო და შერეულ რესპუბლიკებში აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია სრულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და შედეგებზე.

მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „საკანონმდებლო საქმიანობა ნაკლებად ეფექტიანი იქნება, თუ საკანონმდებლო ინიციატივა წაერთმევათ თანამედროვე მთავრობებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ექვემდებარებათ პროფესიული აპარატი და, ამასთან, ახორციელებენ პარლამენტის მიერ მოწონებულ პროგრამას“¹²⁰.

1812 წლის ქადიზის ესპანეთის კონსტიტუცია ერთ-ერთი პირველია, სადაც ბიუჯეტის კანონპროცექტის წარდგენის მთავრობისუფლი პრივილეგიაა ასახული. აღნიშნული კონსტიტუციის არსი მთავრობასა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებათა მკვეთრ გამოჯვნაში გამოიხატება¹²¹.

¹¹⁸ Official Web-site of Government of Canada,< <http://www.budget.gc.ca/2014/docs/plan/toc-tdm-eng.html>>.

¹¹⁹ ჩაკვეტაძე გ., ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი: ასპექტები საერთაშორისო გამოცდილებიდან, ივლისი 2014, 23 <<http://sao.ge/files/kanonmdebloba/publication/bijjetis-sagegnvis-procesi.pdf>>.

¹²⁰ შიორ ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა (კონსტიტუციონალიზმის შესავალი), თბ., 2003, 229.

¹²¹ Sobreval N., Perea (University of Kent, UK.), Eastman S., (Creighton University USA) Cadiz Constitution of 1812 and its Impact in the Atlantic World and Beyond, <<https://lasa.international.pitt.edu>> (26.09.15).

გაიმარის კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა რაიხსტაგს (ქვედა პალატა) რაიხსრატის (ზედა პალატა) მიერ დამტკიცების შემდეგ შეეძლო.¹²²

რაც შეეხება გერმანიის დღეგანდელ კონსტიტუციას, იგი მოითხოვს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდასა და მისი შემოსავლების შემცირებასთან დაკავშირებით წარდგენილი კანონპროექტების ფედერალური მთავრობის მიერ დადასტურებას¹²³.

აღმასრულებელი ხელისუფლების პრივილეგია პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციებით არის განსაზღვრული.¹²⁴

რაც შეეხება საქართველოში ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და წარდგენას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტი ამ საქმეში სიმბოლურ როლს ასრულებს და საბიუჯეტო პროცესში ძირითადად მაკორდინირებელი როლი გააჩნია. სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადებისა და წარდგენის ეტაპზე მთავრობას მონოპოლია აქვს.

გაზიარებულ უნდა იქნას მკვლევართა მოსახრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენის უფლებამოსილება მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს. ვინაიდან ბიუჯეტი წარმოადგენს ციფრებში გამოსახულ მთავრობის საქმიანობის გეგმას, მხოლოდ მას (მთავრობას) უნდა ხელეწივებოდეს საკუთარი გეგმის შედგენა და მისი პარლამენტისათვის შეთავაზება. პარლამენტი კი იურიდიულ ძალას ანიჭებს აღნიშნულ გეგმას. პარლამენტი ამტკიცებს რა ბიუჯეტს, იგი უფლებამოსილს ხდის აღმასრულებელ ხელისუფლებას შესარულოს ორი ამოცანა. ერთი მხრივ, უზრუნველყოს სახელმწიფო შემოსავლების შემოგანა (უმეტეს ქვეყნებში არსებობს მოთხოვნა, რომ გადასახადების შეკრების უფლება ოფიციალურად ყოველ წელს დამტკიცდეს პარლამენტის მიერ, ე.ი. პარლამენტის საშუალება აქვს აკონტროლოს საგადასახადო სისტემა), მეორე მხრივ, პარლამენტი უფლებამოსილს ხდის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს დახარჯონ გამოყოფილი სახსრები”¹²⁵.

საქართველოში 2010 წელს მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის დროს, საერთაშოსრისო ექსპერტები აფიქსირებდნენ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის როლი ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში იყო ძალიან შეზღუდული, ის, რომ რეალურად მხოლოდ მთავრობას აქვს საკანონმდებლო ინიციატივა ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში (93-ე მუხლის I ნაწილი), პარლამენტის არ შეუძლია

¹²² Yu-Chung Shen., *The Anomaly of the Weimar Republic's Semi-Presidential Constitution*, *Journal of Politics and Law*, Vol. 2, No.3, September 2009, 36-38, <<http://ccsenet.org>>.

¹²³ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა (კონსტიტუციონალიზმის შესავალი), თბ., 2003, 231.

¹²⁴ საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვის შემდეგ პარლამენტის წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი; იაპონიის კონსტიტუციის 86-ე მუხლის ადგენს, რომ „კაბინეტი ყოველ საფინანსო წელს იდგენს და პარლამენტის განსახილვებით და დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტს; ესანეოთის კონსტიტუციის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ „მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტს; გენერალური კორტესები მას განიხილავს, შეაქვს შესწორებები და ამტკიცებს.

¹²⁵ გეხსია ი.. შიხაშვილი გ., ქარაცხელია ა.. გოგორიშვილი ი., სახოკია გ., საზღვარგარეთის ქვეყნების საპარლამენტო პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 1991, 68.

შეცვალოს ბიუჯეტის პროექტი და გაზრდილი საჯარო ხარჯები, შემცირებული შემოსავლები ან დამატებითი ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით საჭიროებენ დამტკიცებას მთავრობის მიერ (მე-6 ნაწილი). ექსპერტთა რეკომენდაციით, უფრო ხელსაყრელი იქნებოდა პარლამენტის მნიშვნელობის გაზრდა ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებში.¹²⁶

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტისათვის ბიუჯეტის წარდგენის პრივილეგიის მინიჭება არსებითად ხელყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რითაც შესაძლებელია საფრთხე შეექმნას მთავრობის მიერ საჯარო პოლიტიკის განხორციელებას და პარლამენტის მიმართ საფინანსო ვალდებულებების შესრულებას. სახელმწიფო ბიუჯეტი არის პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეძლევა საშუალება დასახოს და მიაღწიოს პოლიტიკის მიზნებს, ხოლო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უფლებამოსილია პოლიტიკური შეფასება მისცეს მთავრობის საქმიანობას.

აღნიშნული ბალანსის დარღვევა ხელყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განხორციელებას საჯარო ფინანსების მართვაში.

4.1.2 ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პარლამენტთან შეთანხმება – საფინანსო სფეროში საკანონმდებლო ინიციატივის მნიშვნელოვანი ასპექტი

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის დეფინიცია მოცემულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც, იგი „არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე, ინფორმაციას, საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ“. მთავრობის მიერ აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმება ხდება საქართველოს პარლამენტთან.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის შეთანხმების პროცედურა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვრება (მე-14 თავი).

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენამდე, აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია პარლამენტის კომიტეტებთან შეათანხმოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

¹²⁶ ბაბუკი ვ., ფიში ს., რამენბეგური ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ეფროპისაკენ, თბ., 2012, 252-253.

ფაქტიურად, საქართველოს მთავრობას საბიუჯეტო სფეროში ორგანიზაციები გააჩნია, ჯერ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, ხოლო შემდეგ ში, ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენის სახით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პარლამენტში წარდგენისა და კომიტეტებთან შეთანხმების ძირითად მიზანს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის დაგენერაციის დაგენერაციის და მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების ეფექტურად მართვა წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებები, სადაც გამოყოფილია ამოცანები, რომელთა შესრულებითაც მთავრობა ახორციელებს პოლიტიკას საჯარო ფინანსებში. კონკრეტული ქვეამოცანები კი გამომდინარებს თითოეული სამინისტროს და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების სტრატეგიებიდან.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, საქართველოს კონტიტუციის 93-ე მუხლის პირველი პუნქტით „კონსტიტუციურად წახალისებულია ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ განშტოებათა თანამშრომლობა: ეს არის აუცილებელი კონსენსუსის ორმხრივი შესაძლებლობა, რაც თავისთვალი მთელს საბიუჯეტო წელზე გათვლილი ნდობის კოტუმის ძირითადი არტერია.“¹²⁷

სამინისტროთა პრიორიტეტებისა და სამთავრობო პროგრამების საფუძველზე, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფორმირება ხორციელდება. საფინანსო პრიორიტეტები კი დეტალურად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში რეგლამენტირდება. სამთავრობო პროგრამების, სახელმწიფო უწყებათა პრიორიტეტებისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში აღეკვატური ასახვა ხელს უწყობს წესრიგის დამკვიდრებას საჯარო ფინანსებში.

როგორც წესი, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზე, საშუალოვადიან ფისკალურ პროგნოზე და საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მოიცავს.

ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი როგორც საფინანსო, ისე სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონშია ინკორპორირებული. იგი წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი განვითარების გეგმას შემდეგი ოთხი წლისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა საკონსტუტუციო დონეზეა აუვანილი, სადაც აღნიშნულია რომ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენა ვერ განხორციელდება საპარლამენტო კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებებისა შეთანხმების გარეშე.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებისას, საქართველოს პარლამენტი მხედველობაში იღებს არა მხოლოდ კონკრეტული წლის საბიუჯეტო პარამეტრებს, არამედ სახელმწიფოს გრძელვადიანი განვითარების გეგმას (ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს) მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

¹²⁷ ჯიბლაშვილი ბ., პარლამენტის საკონსტროლო უფლებამოსილებაზე საბიუჯეტო სფეროში, თბ., 2015, 2, <<http://emc.org.ge>>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის დატვირთვა საბიუჯეტო პროცესში დიდია, თუ გავითვალისწინებო იმასაც, რომ დოკუმენტში გაწერილია ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტები რამდენიმე წლის განმავლობაში.

საერთაშორისო გამოცდილებას თუ გავაანალიზებთ, როგორც წესი, ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის ბიუჯეტის პროექტთან ერთად ერთპალატიან პარლამენტში წარდგენა არ არის საკანონმდებლო აქტებით (მით უფრო კონსტიტუციით) რეგლამენტირებული. ძირითადად საუბარია, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად პარლამენტში მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორების შეფასების წარდგენაზე, რომელიც ძირითადად მთავრ საბიუჯეტო გაანგარიშებებს ეხება და არ წარმოადგენს არც სამართლებრივ და არც პოლიტიკის დოკუმენტს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისგან განსხვავებით.¹²⁸

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მსგავსად, ბიუჯეტის პარლამენტში წარდგენამდე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის ძირითადი მონაცემებისადა მიმართულებების დოკუმენტის პარლამენტში წარდგენის პროცესი კონსტიტუციით დეტალურად არ არის რეგლამენტირებული, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დაესკვნას, რომ ქვეყანათა გარკვეულ ჯგუფში¹²⁹ იკვეთება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ჩართულობა ბიუჯეტის განხილვის ადრეულ ეტაპზე.

როგორც ზოგიერთი კვლევით დგინდება, ეროვნული პარლამენტების გარკვეული ჯგუფი ახორციელებს ბიუჯეტის წარდგენამდე დებატებს (pre-budget debate) მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილი მოხსენების საფუძველზე.¹³⁰

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის ქართული მოდელი ინკლუზიურობის გარდა, საჯაროობითა და კონსესუსის პრინციპით ხასიათდება, რაც ბიუჯეტის განხილვის პროცედურის დირსებად და უპირატესობად უნდა ჩაითვალოს.

ბიუჯეტის განხილვის უგელა ეტაპზე საპარლამენტო სტრუქტურებისა და დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ინსტიტუტების ჩართულობა ხელს უწყობს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერების პროცესს.

¹²⁸ აღნიშნული პრაქტიკის ქვეყნებს შემდეგი ქვეყნები განეკუთვნება: ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პორტუგალია, სერბეთი, სლოვაკეთი, შვედეთი, თურქეთი, ხორვატია, დანია, ესტონეთი, საბერძნეთი.

¹²⁹ უნგრეთი, იტალია, პორტუგალია, შვედეთი.

¹³⁰ OECD Document prepared for the 21st annual meeting of Senior Budget Officials, May 29-30, 2000, 8.

4.2. პარლამენტის კომპეტენციის ზღვარი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გეტოს გამოყენების პრივილეგია

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სიძლიერეს გარკვეული და განსაზღვრავს ის, აქვს თუ არა პარლამენტს ბიუჯეტში შესწორებების შეტანის უფლებამოსილება. აღნიშნული კომპეტენცია დიდწილად განაპირობებს პარლამენტის გავლენას საბიუჯეტო პროცესზე.

ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანის შესახებ პარლამენტის კომპეტენციასთან დაკავშირებით, გამოყოფენ სხვადასხვა მოდელებს:

კუსტომინისტერის ტრადიციის პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანოს არ აქვს ბიუჯეტის ინიცირების უფლებამოსილება და მკაცრად შეზღუდულია საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენცია ცვლილებები შეიტანოს მთავრობის მიერ ინიცირებულ საფინანსო კანონპროექტებში.

ვესტმინისტერის ტრადიციის პარლამენტს არ შეუძლია ფინანსური კანონების ინიცირება და მას აქვს მკაცრად განსაზღვრული უფლებამოსილება შესწორებები შეიტანოს მთავრობის საფინანსო ინიციატივებში. პარლამენტს შეუძლია მხოლოდ შეამციროს მთავრობის მიერ შეთავაზებულ ბიუჯეტის პროექტში არსებული პუნქტები, თუმცა, მას არ შეუძლია პროექტში შეიტანოს ახალი პუნქტები ან გაზარდოს არსებული პუნქტები. საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო უფლებამოსილებანი ზოგჯერ ბალანსდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვეტოს გამოყენების უფლებამოსილებით. ვეტოს უფლებამოსილებას უფრო მეტად იყენებენ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელში, თუმცა, არსებობს რამდენიმე საპარლამენტო მმართველობის ქვეყნა, სადაც გამოიყენება ვეტოს უფლებამოსილება ფინანსურ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას წარმოადგენს ახალი ზელანდია.

მაგალითად, **ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს** აქვს შეუზღუდავი საკანონმდებლო უფლებამოსილება ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. თუმცა, დროდადრო თავად კონგრესი იზდუდავს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებას. აშშ-ში პარლამენტის წევრებს შეუძლიათ ბიუჯეტის პროექტში ისეთი შესწორებების შეტანა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შემცირდეს ცალკეული პროგრამების დაფინანსება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შესწორებებმა არ უნდა შეცვალონ მოქმედი კანონები

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესის საბიუჯეტო უფლებამოსილება გაწონასწორებულია პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების პრეროგატივით.

„აღმასრულებელი ხელისუფლების ვეტო არის ორი სახის: ვეტო, რომელიც, უფლებას აძლევს პრეზიდენტს მთლიანად დაადოს ვეტო კანონს (**package veto**). მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება დაბლოკოს კონგრესის მიერ ასიგნებებთან დაკავშირებით მიღებული კანონი. რაც შეეხება ნაწილობრივ ვეტოს (**a line item veto or partial veto**), შესაძლებლობას

აძლევს პრეზიდენტს, ვეტო დაადოს საფინანსო კანონის ცალკეულ დებულებებს. მაგალითად, ნაწილობრივი ვეტოს გამოყენების უფლება აქვს ჩილეს პრეზიდენტს.”¹³¹

ზოგიერთ ქვეყნებში, პარლამენტის აქვთ უფლებამოსილება შეწორებები შეიტანონ ბიუჯეტის პროექტში, თუ აღნიშნული არ იწვევს საბიუჯეტო ხარჯების ზრდას. აღნიშნული მოდელი მოქმედებს ფრანგოფონულ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში კი პარლამენტის წევრების უფლებამოსილება შესწორებები შეიტანონ ბიუჯეტის პროექტში მკვეთრად არის შეზღუდული.¹³²

შეზღუდული კონსტიტუციის პირობებში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში,¹³³ პარლამენტს არ აქვს უფლება რაიმე შეწორება შეიტანოს ბიუჯეტში მთავრობის თანხმობის გარეშე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები მოკლებული არიან ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანის უფლებამოსილებას.¹³⁴

იმ ქვეყნებში¹³⁵, სადაც პარლამენტის კონსტიტუციური როლი არ არის განვითარებული, პარლამენტებს აქვთ ფართო უფლებამოსილება

¹³¹ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in public Finance, 37, <<http://wbi.worldbank.org/wbi/Data/wbi/wbicms/files/drupal-acquia/wbi/parliamentbudgetmodule.pdf>>.

¹³² მაგალითად, ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის რეგლამენტი ადგენს, რომ შესწორებები, რომლითაც გათვალისწინებულია ხარჯების გაზრდა, შესაძლებელია განხილულ იქნას იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული შესწორებებით ასევე განსაზღვრულია ბიუჯეტის შესაბამის თავში ხარჯების ტოლფასოვანი შემცირება, რაც შეეხება შესწორებებს, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებას, საერთოდ არ განიხილება მთავრობის თანხმობის გარეშე; საკმაოდ დისკრიმინაციულად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის კონსტიტუციის მე-40 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „პარლამენტის წევრთა მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადებები და შესწორებები არ შეიძლება მიღებულ იქნას, თუ მათმა მიღებაშ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო სახსრების შემცირება, სახელმწიფო ხარჯებს წარმოქმნა ან გაზრდა; გერმანიის ძირითადი კანონის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „კანონები, რომლებითაც იზრდება ფედერალური მთავრობის მიერ შემოთავაზებული საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ ახალ ხარჯებს, ან მომავალში გამოიწვევენ მათ, საჭიროებს ფედერალური მთავრობის თანხმობას. აღნიშნული ვრცელდება ასევე იმ კანონებზეც, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებას ან მომავალში გამოიწვევენ მათ. ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოითხოვოს, რომ ბუნდესტაგმა გადადოს აღნიშნული კანონების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება; საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს, რომლის 93-ე მუხლის მე-8 ნაწილიც ადგენს, რომ „კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოადგიშნული კანონპროექტები – მთავრობის მიერ პარლამენტოან შეთანხმებული სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში“.

¹³³ მაგალითად, მალავი, განა

¹³⁴ Constitution of Malawi (1995), Section 57; Constitution of Ghana (1992), Section 013. <<http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/malavi.pdf>>; <http://www.judicial.gov.gh/constitution/chapter/chap_13.htm>.

¹³⁵ ამ ტიპის ქვეყნებს წარმოადგენენ ნამიბია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

ცვლილებები შეიტანონ ბიუჯეტის პროექტში, თუმცა, ისინი ამას კრაქტიკაში არ აკეთებენ.¹³⁶

რაც შეეხება საქართველოს რეალობას უნდა აღინიშნოს, რომ „საზოგადოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღების უფლებამოსილება უდავოდ პარლამენტს ენიჭება, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციამ, ამავდროულად ნაკლებად გავრცელებული წესი შეიტანა და მთავრობის თანხმობის გარეშე, პარლამენტი ვერ განახორციელებს ცვლილებას ბიუჯეტის წარდგენილ პროექტში (ეს წესი სულ რამდენიმე ქვეყანაში – მოლდოვა, პოლონეთი მოქმედებს). თუმცა, არსებობს ფუნდამენტურად განსხვავებული მიღვომაც, რაც საკანონმდებლო სივრცეში პარლამენტის საკანონმდებლო უზენაესებისაგან წარმოდგება და ეს არის პარლამენტის შესაძლებლობა – მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, როლისთვისაც ხარჯები არაა ბიუჯეტში გათვალისწინებული და ამ შემთხვევაში, პარლამენტი განსაზღვრავს შესაბამისი საჭირო ხარჯების დასაფარ სახსრებს და წყაროებს”.¹³⁷

ჯერ კიდევ საქართველოში 2010 წელს მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის დროს, საერთაშორისო ექსპერტები გამოთქამდნენ წუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტი არ არის უფლებამოსილი, მთავრობის თანხმობის გარეშე მოახდინოს ინიცირება ან ცვლილებები შეიტანოს იმ სფეროში, რაც ტრადიციულად პარლამენტის ხელშია მოქცეული.¹³⁸

საბიუჯეტო უფლებამოსილებასთან დაკავშირებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა გადაწყვეტილებაში პარლამენტის პრედომინანტური უფლებამოსიების შესახებ.¹³⁹

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტის შეზღუდავი უფლებამოსილება საშუალებას აძლევს პარლამენტს, თეორიაში, წარადგინოს პარლამენტში საკუთარი ბიუჯეტი და ხელახლა მოახდინოს მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტის გაწერა“.¹⁴⁰

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარლამენტის წევრებს უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანის უფლება. ასევე უნდა ითქვას, რომ მცირეა იმ ქვეყანათა რიცხვი, სადაც არ არის შეზღუდული დეპუტატთა უფლება შესწორებები შეიტანონ ბიუჯეტის პროექტში.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, ამ შემთხვევაში საქმე ეხება საპარლამენტო ინიციატივის რადიკალურ შეზღუდვას“¹⁴¹.

როგორც კრაქტიკა გვიჩვენებს, საპარლამენტო ინიციატივა ფინანსურ სფეროში საკმაოდ შეზღუდულია. ამასთანავე, ძალიან ძნელია

¹³⁶ Wehner J., The Parliamentary Budget Process and Parliamentary Research Capacity: A summary of seven countries, IDASA .

¹³⁷ ჯიბდა შეიძლი ზ., პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებანი საბიუჯეტო სფეროში, თბილისი, 2015, 1, <<http://emc.org.ge/2015/>>. საქართველოს მსგავსი წესი მოქმედებს რემინეტში, ესტონეთში, ინგლისსა და ლატვიაში.

¹³⁸ ბაბუკი კ., ფიში ს., რაიკებებები ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბ., 2012, 173.

¹³⁹ BVerfG, NJW 1997, 1387; Hemmer/Wust/Christensen/Grieger, Staatsrecht II, 453.

¹⁴⁰ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in public Finance, 35-36, <<http://wbi.worldbank.org/wbi/Data/wbi/wbicms/files/drupal-acquia/wbi/parliamentbudgetmodule.pdf>>.(31.01.2015).

¹⁴¹ ლოვო ვ., პარლამენტარიზმი, თბ., 2005, 119.

მოიძებნოს კანონპროექტი, რომელიც არ იწვევს რაიმე ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან ფინანსური ვალდებულებების აღებას.

პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს მთავრობის თანხმობის გარეშე ბიუჯეტის კანონპროექტის ცვლილებების განხორციელების უფლებობა.

ამასთანავე, სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ის, რომ „მთავრობას აქვს ბიუჯეტის ინიცირების უფლებამოსილება, არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბიუჯეტის პროექტი, როდესაც იგი ყველა სამინისტროსთან შეთანხმებისა და მთავრობის ინტერესებზე მორგების შემდეგ საკონსტიტუციო და სხვა საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, პარლამენტს განსახილველად წარედგინება, მატერიალურად ხელშეუხებელი, იმ წუთიდანვე „გაყინული“ და პარლამენტის ავტონომიურ წვდომას მოკლებული იყოს. იმ მომენტისთვის, როდესაც ბიუჯეტის პროექტი მთავრობის სივრციდან გამოდის და პარლამენტში ინაცვლებს და იხილება, პარლამენტზე გადადის ქმედებების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების სუვენერული უფლებამოსილება”¹⁴².

ამასთანავე, მისაღებია ის არგუმენტი, რომ პარლამენტის სუვერენული უფლებამოსილების შეზღუდვით, შედეგად შეიძლება მივიღოთ ის, რომ „პარლამენტი ვერ შეძლებს ბუჯეტის, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების საგნის მატერიალურად შეცვლას ან მასში მონაწილეობის მიღებას საკუთარი შეხედულებების, ნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. ამით, პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება იძენს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და შემოიფარგლება იმით, რომ საბოლოო ჯამში მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის საბოლოო პროექტი ან მიღებული ან მთლიანად უარყოფილ იქნას.”¹⁴³

მისაღებია ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „მსგავსი, ფორმალური გადაწყვეტილებით შემოსაზღვრული პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც საპარლამენტო დემოკრატიის მქონე სახელმწიფოთა პრაქტიკაში არის ისტორიულად დამკვიდრებული და გამართლებული. არასასურველი შედეგი დაკავშირებულია საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადაღებით ფორმულირებულ „თანხმობის“ დათქმასთან, რომლის მიხედვით პარლამენტს მთავრობის თანხმობის გარეშე ბიუჯეტის პროექტის შეცვლა არ შეუძლია.”¹⁴⁴

¹⁴² გერინგი გ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ ქავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 8, <<http://sao.ge/files/auditi/publications/GE-Verfassungsanalyse.pdf>>.

¹⁴³ გერინგი გ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ ქავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 8, <<http://sao.ge/files/auditi/publications/GE-Verfassungsanalyse.pdf>>.

¹⁴⁴ იქვე, 9.

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან და არსებული ქართული რეალობიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოიძებნოს ფინანსურ სფეროში საპარლამენტო ინიციატივის ოპტიმალური მოწესრიგება.

სასურველია საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველოს მთავრობა შეიძუშავებს და პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს; საქართველოს პარლამენტი განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. შეაქვს მასში შესაბამისი შესწორებები და იღებს მას სითო შემადგენლობის უმრავლესობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში პარლამენტის მიერ ცვლილებების შეტანისას მთავრობის თანხმობის დათქმა არსებითად ხელყოფს ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს და აკნინებს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას.

4.3. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების განსაკუთრებული პროცედურის მახასიათებლები

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურას დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემჭიდროვებულ, ოპტიმალურ ვადებში ერთი ან მეტი მოსმენით მიღებას უკავშირდება. აღნიშნულ თავში გაანალიზებულია საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების განსაკუთრებულ პროცედურასთან დაკავშირებით და მიმოხილულია სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის თავისებურებანი საქართველოს პარლამენტში.

4.3.1 პარალელური რეზოლუცია და შემთანხმებელი პროცედურა - პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის განსაკუთრებული ნიშნები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა-დამტკიცების პროცესს დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია. ამერიკაში 1974 წლის კანონით ბიუჯეტის კონგრესისა და იმპაუდმენტის შესახებ განსაზღვრულია კონგრესში ბიუჯეტის მიღების პროცედურა¹⁴⁵. აღნიშნული აქტი ასევე, ადგენს წარმომადგენელთა და სენატის პალატების საბიუჯეტო კომიტეტსა და კონგრესის საბიუჯეტო ოფიციელს.

აშშ-ში საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთ თავისებურებას კონგრესის მიერ ბიუჯეტოან დაკავშირებით პარალელური რეზოლუციის მიღება წარმოადგენს. 1974 წლის ბიუჯეტის კანონის 301-ე მუხლი ადგენს, კონგრესის მიერ ბიუჯეტოან დაკავშირებით ყოველწლიურად პარალელური რეზოლუციის მიღების წესს¹⁴⁶.

აღნიშნული რეზოლუცია მიიღება მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი კონგრესში წარადგენს ბიუჯეტის პროექტს¹⁴⁷. კონგრესმა

¹⁴⁵ Congressional Budget and Impoundment Control Act of 1974, <<http://www.gpo.gov>>.

¹⁴⁶ Congressional Budget and Impoundment Control Act of 1974, <<http://www.gpo.gov>>.

¹⁴⁷ Lee Robert D Johnson., Ronald Wayne, Joyce Philip G., Public Budgeting Systems, 8th edition, Boston, 2007, 291, <www.jpub.com>.

უნდა დაასრულოს პარალელური რეზოლუციის მიღება ყოველი წლის 15 აპრილამდე¹⁴⁸.

პარალელური რეზოლუცია წარმოადგენს კონგრესის ორივე პალატის საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც არ საჭიროებს პრეზიდენტის ხელმოწერას. პარალელურ რეზოლუციებს კონგრესი იღებს ბიუჯეტის განხილვის დროს. აღნიშნული რეზოლუცია უზრუნველყოფს შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებით კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კოორდინაციას და კონგრესის მიერ მკაცრი ფინანსური დისციპლინის დაცვას. ბიუჯეტთან დაკავშირებით პარალელური რეზოლუციებს არ გააჩნიათ საკანონმდებლო ხასიათი. ისინი ძირითადად გამოიყენება ამა თუ იმ ფაქტების, პრინციპების და ორივე პალატის მოსაზრებების კონსტატაციისათვის. აღნიშნული რეზოლუციები არ არიან კანონისროების ექვივალენტურნი და განსაზღვრული მიზნით გამოიყენებიან. აღნიშნული რეზოლუციები გამოხატავენ პარლამენტის პალატების სენტიმენტებს საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.

აშშ-ში საბიუჯეტო პროცესის მეორე თავისებურებას შემთანხმებელი პროცედურა წარმოადგენს. ამ პროცედურის განხორციელებისას, კონგრესი პარალელური საბიუჯეტო რეზოლუციით ავალებს ერთ ან რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტს, რათა მათ მოამზადონ შესაბამისი ცვლილებები კანონში, რომელიც შესაძლებელს გახდის საბიუჯეტო რეზოლუციით გათვალისწინებული დონისძიებების განხორციელებას.¹⁴⁹

კონგრესში ბიუჯეტის მიღების პროცედურა პირობითად შეიძლება ორ ფაზად დაიყოს. თავდაპირველად, კონგრესის მიერ განისაზღვრება ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, განსაკუთრებით კი – სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის ხარჯების ოდენობა. ორივე პალატის საბიუჯეტო კომიტეტები დებულობენ ერთობლივ საბიუჯეტო რეზოლუციას. მეორე ფაზაზე კი ხორციელდება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების შესახებ კანონების მიღება. ამ ფუნქციას პარლამენტის პალატების საკანონმდებლო კომიტეტები ახორციელებენ. აშშ-ში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. არავითარი ხარჯის გაღება არ შეიძლება ასიგნებათა შესახებ კანონის მიღებამდე, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევას. ასეთ კანონზე პრეზიდენტის მიერ ხელმოწერით მთავრდება ბიუჯეტის განხილვისა და მიღების საკანონმდებლო ეტაპი.

ამერიკის შეერთებული შტატების საბიუჯეტო პროცედურა ძირითადად შემთანხმებელ პროცედურებს ერყდნობა, სადაც ორივე პალატა აქტიურად მონაწილეობს საბიუჯეტო პროცესში. ამერიკის შეერთებული შტატები ძირითადად ხასიათდება ძლიერი ზედა პალატის სისტემით და მკაცრად რეგლამენტირებული საბიუჯეტო პროცედურით.

ფედერალური ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს, აშშ-ს კონგრესი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაუწონასწორებელი ხარჯების გაწევის სურვილის ფილტრს, სადაც რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეიდან გამომდინარე, მკაცრი საპარლამენტო კონტროლის პირობებში, პარლამენტი აკონტროლებს

¹⁴⁸ Riddick Floyd M., Frumin Alan S, Riddick's Senate Procedure, Washington, 1992, 513.

¹⁴⁹ Congressional Budget and Impoundment Control Act of 1974, <<http://www.gpo.gov>>.

როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების, ისე ხარჯების გაწევის პროცესს.

ფედერალური ბიუჯეტის მიღების დროს, პროცესში მონაწილე ყველა მხარე ეყრდნობა დემოკრატიული ხედვის ძირითად პრინციპს – ფედერალური ბიუჯეტსა და ფედერალური მთავრობის ყველა საქმიანობაში ასახულია თუ არა ამერიკელთა უმრავლესობის ღირებულებები და სურვილები.

ამ შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, „Power of the Purse” კომპეტენციიდან გამომდინარე, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ფინანსურ ხარჯვაზე ნებართვის გამცემ ერთადერთ კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მართოს, ქვეწის ფინანსები კონგრესის მიერ დადგენილ საფინანსო პრიორიტეტებიდან გამომდინარე.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი გადამწყვეტ როლს ასრულებს საბიუჯეტო პროცედურაში მისი საკონსტიტუციო სტატუსიდან და პრაქტიკიდან დამომდინარე, რომელიც საპარლამენტო კონტროლს უწევს აღმასრულებელ ხელისუფლებას როგორც საბიუჯეტო ასიგნებების გაწევის, ისე პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებულების პუთხით.

4.3.2 საშუალო კომიტეტის როლი პარლამენტის პალატებს შორის კომპრომისის ძიებაში და პარლამენტის ქვედა პალატის მიერ ზედა პალატის პროტესტის დაძლევა ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს

საბიუჯეტო პროცესი გერმანიაში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. გერმანიის ძირითადი კანონის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბიუჯეტის პროექტი ერთდროულად შეიტანება ბუნდესრატსა და ბუნდესტაგში. ბუნდესტაგს თავისი გადაწყვეტილება მის შესახებ გამოაქვს ექსკვირიან ვადაში, ხოლო წარმოდგენილ პროექტში წინადადების შეტანის შემთხვევაში სამკვირიან ვადაში.¹⁵⁰

ბუნდესტაგში ბიუჯეტის პროექტი იხილება სამი მოსმენით. გერმანიის ბუნდესტაგის რეგლამენტის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბიუჯეტის პროექტი გადაეცემა საბიუჯეტო კომიტეტს. სპეციალიზირებული კომიტეტი ბიუჯეტთან დაკავშირებით წარადგენენ თავიანთ მოსაზრებებს¹⁵¹.

ბუნდესტაგში ბიუჯეტის განხილვაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საკომიტეტო მუშაობას. ბუნდესტაგის საბიუჯეტო კომიტეტი არის ის ადგილი, სადაც ნამდვილი სამუშაო სრულდება. პარლამენტის წევრები ხშირად უწოდებენ მას „ზეკანონმდებელს“¹⁵².

საბიუჯეტო კომიტეტის მომხსენებლები (წარმომადგენლები) დეტალურად იხილავნ ბიუჯეტის კანონის პროექტის ხარჯვით ნაწილს სამინისტროებთან ერთად და გადასცემენ რეკომენდაციებს საბიუჯეტო

¹⁵⁰ Basic Law of the Federal Republic of Germany, <www.bundestag.de>.

¹⁵¹ Rules of Procedure of the German Bundestag, 64, <www.bundestag.de>.

¹⁵² Рената Горгес, Так работают правительство и парламент, Москва, 1993, 68.

კომიტეტს. საბოლოოდ, საბიუჯეტო კომიტეტი გადაცემს ბუნდესტაგს ბიუჯეტის კანონის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მეორე მოსმენისას იმართება დებატები მთავრობასა და ოპოზიციას შორის. მესამე მოსმენისას, საბოლოოდ კენჭი უყრება ბიუჯეტის მთლიან პროექტს შესწორებებთან ერთად.

ბუნდესტაგში მე-3 მოსმენით კენჭისყრის შემდეგ ბიუჯეტის პროექტი ეგზავნება ბუნდესრატს. ბუნდესრატის დათანხმების შემთხვევაში ბიუჯეტის კანონს ხელს აწერს ფედერალური ფინანსთა მინისტრი, ფედერალური კანცლერი და ფედერალური პრეზიდენტი.

გერმანიის პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცედურის თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ ბუნდესრატს გარკვეული პრეტენზიების ქონის შემთხვევაში შეუძლია საშუამავლო (შეთანხმებული) კომიტეტის მოწვევა გერმანიის ძირითადი კანონის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. თუკი საშუამავლო კომიტეტი წარადგენს შესწორებებს, ბუნდესტაგმა კიდევ ერთხელ უნდა უყაროს კენჭი ბიუჯეტის კანონის პროექტს.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება იმ კანონების მიღება, რომელიც არ საჭიროებს ბუნდესრატის აუცილებელ თანხმობას. ფედერალური ბიუჯეტის კანონპროექტი ამ ტიპის კანონთა რიცხვს მიეკუთვნება. გერმანიის ძირითადი კანონის 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ბუნდესტაგი უმრავლესობით უარყოფს საშუამავლო კომიტეტში შესწორებებს, ბუნდესრატს მაინც რჩება შესაძლებლობა ძირითადი კანონის 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად შეიტანოს პროტესტი ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონის წინააღმდეგ. თუმცა ამ შემთხვევაშიც ბუნდესტაგს გარკვეული უპირატესობა გააჩნია. ძირითადი კანონის 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად მას შეუძლია ბუნდესრატის პროტესტის დაძლევა მის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.¹⁵³

უნდა აღინიშნოს, რომ „ბუნდესრატი საბიუჯეტო პროცესში საკონსულტაციო როლს ასრულებს. გერმანიის ფედერალური ბიუჯეტის შედგენის შემდეგ მას აქვს ექვსი კვირა მთავრობისათვის რეკომენდაციების წარსადგენად. პალატის საფინანსო კომიტეტი შესაფასებლად ბიუჯეტს უგზავნის პროვინციის თექვსმეტ მინისტრს. მინისტრები ამზადებენ მოკლე განცხადებებს, კომიტეტი კი კენჭს უყრის შემოთავაზებულ შესწორებებს. მიღებული შესწორებები შეიტანება მოხსენებაში, რომელიც ეგზავნება ფედერალურ მთავრობას, რომელიც აღნიშნულზე შეიმუშავებს კომენტარებს და უგზავნის ბუნდესტაგს. ამ პროცესში, უკრადლება ექცევა პროვინციათა ინტერესებს.¹⁵⁴

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ერთი შეხედვით, გერმანიის საბიუჯეტო სისტემა ხაზს უსვამს პარლამენტის ზედა პალატის მნიშვნელობას საბიუჯეტო პროცესში, იყენებს საშუამავლო კომიტეტის მექანიზმს პალატებს შორის საბიუჯეტო კანონთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად. ბუნდესტაგის მიერ ბუნდესრატის პროცესტის დაძლევის კონსტიტუციური მექანიზმს ფაქტიურად ნულამდე დაჟავს ბუნდესრატის საბიუჯეტო პრეორიტიზები საკანონმდებლო სფეროში.

¹⁵³ Basic Law of the Federal Republic of Germany, <www.bundestag.de>.

¹⁵⁴ Niall Johnson, Financial Oversight, a Handbook for Parliamentarians, World Bank Institute, 11, <<http://gopacnetwork.org>>.

4.3.3. „მაქოს“ პრინციპის აკრძალვა ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაში და ბიუჯეტის განხილვის ურგენტული პროცედურის თავისებურებანი

საფრანგეთის ბიუჯეტის მიღების პროცედურის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი განხილვისას არ გამოიყენება „მაქოს“ პრინციპი, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია საფრანგეთის საკანონმდებლო პროცესისათვის.

საფრანგეთის საკანონმდებლო პროცესი ხასიათდება გაწელილი პროცედურით და კანონმდებლობის გაჭიანურებული მიღებით. ამ კუთხით, გამონაკლისს წარმოადგენს ბიუჯეტის განხილვის პროცედურა საფრანგეთის პარლამენტში.

ჩვეულებრივი პროცედურის თანახმად, იმისათვის, რათა საკანონმდებლო ტექსტი მიღებულ იქნას პარლამენტის მიერ, მანამდე იდენტური ტექტებს კენჭი უნდა ეყაროს პარლამენტის ორივე პალატაში. მას შემდეგ, რაც კანონის პროექტის ტექსტს კენჭი ეყრება ერთ პალატაში, იგი სასწრაფოდ იგზავნება მეორე პალატაში. აღნიშნული თანმიმდევრული მოსმენები ქმნიან ეგრეთწოდებულ „მაქოს“, რომელიც შესაძლებელია შეჩერებულ იქნას ერთობლივი კომიტეტის შექმნით. აღნიშნული კომიტეტი შედგება შვიდი პარლამენტის წევრისაგან და შვიდი სენატორისაგან. ისინი აწარმოებენ საპარლამენტო მოლაპარაკებებს, რათა მიღებულ იქნას ერთობლივი ტექსტი, რომელიც მოიცავს ყველა იმ სადაცო საკითხს, რომელიც არ სებობს პალატებს შორის. თუ მოლაპარაკებები არ იქნება წარმატებული, პარლამენტის ორივე პალატის მიერ სადაო საკითხების განხილვის შემდეგ, „საბოლოო სიტყვას“ ეროვნულ ასამბლეაში ამბობს მთავრობა, რომელიც სთხოვს მას, რომ იგი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. მას შემდეგ რაც საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო შეამოწმებს კანონის კონსტიტუციურობის საკითხს, იგი პრომულგირებისათვის გადაეცემა საფრანგეთის პრეზიდენტს.

„მაქოს“ პრინციპის არ გამოყენება ბიუჯეტის განხილვისას მდგრამარეობს შემდეგ ში: თითოეულ პალატაში ერთი მოსმენის შემდეგ, ან თუ სენატი ბიუჯეტთან დაკავშირებით არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონით განსაზღვრულ ვადაში, მაშინ ბიუჯეტის პროექტი განიხილება გადაუდებელი (ურგენტული) პროცედურის შესაბამისად. ბიუჯეტის განხილვის ურგენტული პროცედურა გულისხმობს ბიუჯეტის გაერთიანებული კომიტეტის მიერ განხილვას, რომელიც მოიწვევა მთავრობის მიერ.

საფრანგეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს, რომ „თუ პარლამენტი სამოცდაათი დღის ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, პროექტის დებულებები ძალაში შედიან ორდონანისის გამოცემით“¹⁵⁵.

საფრანგეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ „ფინანსური კანონი, რომელიც აღგენს საბიუჯეტო წლის შემოსავლებსა და გასავლებს, არ იქნება წარდგენილი იმ ვადაში, რაც საკმარისი იქნება ამ კანონის საბიუჯეტო წლის დაწყებამდე პრომულგირებისათვის, მთავრობა გადაუდებელი წესით მიმართავს პარლამენტს, მისცეს გადასახადების აკრეფის ნებართვა და დეკრეტით

¹⁵⁵ Constitution of France, October 4, 1958, <www2.assemblee-nationale.fr>.

ხსნის იმ კრედიტებს, რომელიც ეხება სახელმწიფო ორგანოების დაფინანსებას და მოქმედებს პარლამენტის მიერ უპყ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად“¹⁵⁶.

საფრანგეთის კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად „ფინანსური კანონპროექტები თავდაპირველად შეიტანება ეროვნულ კრებაში“¹⁵⁷. საფრანგეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლი კი ადგენს, რომ თუ ეროვნული კრება პირველი მოსმენით პროექტის წარდგენიდან ორმოცი დღის ვადაში ვერ მიიღებს მის შესახებ გადაწყვეტილებას, მთავრობა პროექტს განსახილველად გადასცემს სენატს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს თხუთმეტი დღის ვადაში“¹⁵⁸.

იმ შემთხვევაში თუკი ეროვნული კრება მიიღებს გადაწყვეტილებას ორმოცი დღის ვადაში, მაშინ სენატი იმსჯელებს და ბიუჯეტობან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს ოცი დღის ვადაში.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, **რომ დე გოლის კონსტიტუციის ერთი მნიშვნელოვანი ნორაცია ის არის, რომ მთავრობა ჩართულია საკანონმდებლო პროცესის ყველა სტადიაზე**¹⁵⁹.

საფრანგეთის პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი ხასიათდება მთავრობის დომინანტური როლით ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაში, როდესაც პარლამენტის პალატები ვერ აღწევენ კონსენსუს ბიუჯეტის პროექტის სადაც ნორმებთან დაკავშირებით.

საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის მიღების პროცედურაში მთავრობა გვევლინება მთავარ აქტორად და გამონაკლის შემთხვევებში კანონშემოქმედათ, რაც ერთის მხრივ, შესაძლოა ლახავდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის იდეას.

მეორეს მხრივ, საფრანგეთის საბიუჯეტო პროცედურაში მთავრობის აქტიური როლი განპირობებულია ბიუჯეტის მიღების ეკონომიურობის პრინციპით და ბიუჯეტის კანონის შემიჭიდროევებულ ვადებში განხილვის აუცილებლობით.

4.3.4 ბიუჯეტის გახილვა ერთი მოსმენით - საბიუჯეტო პროცედურის დამახასიათებელი ნიშანი

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვისა და მიღების პროცედურა პარლამენტებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც ეკონომიკური, ისე სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვისა და მიღების პროცედურის განსაკუთრებულობაში, უპირველესად, იგულისხმება აღნიშნული პროცედურის მოქნილობა, ბიუჯეტის კანონის პროექტის ოპტიმალურ ვადებში განხილვა, მისი მიღება ერთი მოსმენით.

¹⁵⁶ იქვე, 47-ე მუხლი.

¹⁵⁷ იქვე, 39-ე მუხლი.

¹⁵⁸ იქვე, 47-ე მუხლი.

¹⁵⁹ ქვერენსჩიდაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, წიგნი V, თბ., 1997, 119.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის კანონის მიღების პროცედურას სხვადასხვა ქვეყნების რეგლამენტები მათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით აწესრიგებენ.

მაგალითად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 184-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება ერთი მოსმენით, რეგლამენტით დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტში ერთი მოსმენით ბიუჯეტის კანონის მიღების მიზანს უპირველესად, ბიუჯეტის ოპტიმალურ, შემჭიდროვებულ ვადებში მიღება წარმოადგენს.

წინასწარი საბიუჯეტო კონტროლის პროცედურას (ბიუჯეტის განხილვას და დამტკიცებას პარლამენტში) მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია, რაც *ex-ante* საფინანსო კონტროლის არსიდან გამომდინარეობს.

წინასწარი საფინანსო კონტროლის დროს, პარლამენტის უმნიშვნელოვანების ფუნქციას „მთავრობის მხრიდან არასათანადო, თვითნებური და არაკონსტიტუციური ქცევის პრევენცია წარმოადგენს. პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების იდეა მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვაში, გადასახადის გადამხდელთა თანხის რაიონალურ მართვასა და მთავრობის გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საფინანსო პოლიტიკის უზრუნველყოფაში მდგომარეობს”.¹⁶⁰

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, წინასწარი საპარლამენტო კოტროლი არსად არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც საბიუჯეტო პროცესში. მის ძირითად არსეს მთავრობის მუშაობის ეფექტურობის გარანტიება წაროადგენს.¹⁶¹

ბიუჯეტის კანონის პროექტის ერთი მოსმენით განხილვას, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები გააჩნია.

ვინაიდან ბიუჯეტის წარმოადგენს ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს, რომელის განსაკუთრებით სენიტიურია გარე გამოწვევებთან მიმართებით, უმჯობესია, მისი განხილვა და დამტკიცება არ იქნას დროში გაწელილი, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის, რომ საფინანსო პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები პარლამენტის მიერ დროულად და ადეკვატურად იქნას ადქმული საბიუჯეტო თანხების რეალისტურად გაწერის თვალსაზრისით.

რაც უფრო დიდხანს ანდომებს პარლამენტი ბიუჯეტის განხილვას, მით უფრო მაღალია პოლიტიკური გავლენა საბიუჯეტო პროცესზე და მკვეთრად იზრდება პარლამენტის როლი. ჩვეულებრივი პროცედურით ბიუჯეტის მიღებისას, შესაძლებელია მეტად იქნას უზუნველყოფილი პარლამენტის წევრთა ჩართულობა ბიუჯეტის განხილვის პროცეში, ამასთანავე, ბიუჯეტის კანონის მიღება ჩვეულებრივი პროცედურით (მაგალითად, სამი მოსმენით სხვა საკანონმდებლო აქტების მსგავსად) ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არის უპირველესად საკანონმდებლო აქტი. სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მოსმენით მიზანშეუწონლად უნდა

¹⁶⁰ Yamamoto H., Tools for Parliamentary Oversight, A Comparative Study of 88 national parliaments, Switzerland, 2007, 9-10.

¹⁶¹ Stabenhurst R., Oelizzo R., M.Olson D., Lsa von Trapp., Legislative Oversight and Budgeting, A World Perspective, A World Bank Institute, Washington DC, 2008, 51.

იქნას მიჩნეული, გინაიდან ამ დროს მაღალია პარლამენტის მიერ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღების რისკი.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საბიუჯეტო პროცედურის ეფექტურობას სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს: რეგულარული და პერიოდულად განმეორებადი საბიუჯეტო პროცესი, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის ჩართულობას ბიუჯეტის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარდგებამდე, შესაბამისი დრო ბიუჯეტის საკანონმდებლო განხილვებისათვის და განგრძობადი საკანონმდებლო ჩართულობა, თუ ბიუჯეტი გერ მიიღება კანონით დადგენილ ვადებში.¹⁶²

ერთი მოსმენით ბიუჯეტის მიღების პროცედურის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ყველა ეს ფაქტორი უკეთესად არის უზრუნველყოფილი ერთი მოსმენის პროცედურის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ პროცედურული ვადების სათანადოდ გაწერა კანონშემქომედებაში კარგი მმართველობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. საკომიტეტო სხდომები საჯაროა, რაც საზოგადოების წარმომადგენლებს თეორიულად აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო პროცესში და გავლენა მოახდინონ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა ჩართულობა დიდწილად დამოკიდებულია სწორად გაწერილ საპარლამენტო პროცედურაზე. ისეთი მნიშვნელოვანი კანონი, როგორიც არის ბიუჯეტი, საართველოში ხშირად გამარტივებული პროცედურით მოკლე ვადებში მიიღება, რაც დაინტერესებულ მხარეებს სრულად ჩართვის შესაძლებლობას არ აძლევს. მაგალითად, ცვლილებები სახელმწიფო ბიუჯეტში საჭიროებს პარლამენტის დეპუტატთა მხარდაჭერად მხოლოდ თითო მოსმენით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და პლენარულ სხდომაზე.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, კვლევის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ძირითადად მიიღება სამი მოსმენით.¹⁶³

სამი მოსმენით ბიუჯეტის მიღება არსებითად ზრდის პარლამენტის მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. სახელმწიფო ბიუჯეტი უპირველესად წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა მიიღებოდეს ჩვეულებრივი კანონისათვის დადგენილი წესით.

სამი მოსმენით სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას, პარლამენტი უფრო ეფექტურად ახორციელებს როგორც წინასწარი, ისე შემდგომი საფინანსო კონტროლის კომპეტენციას.

საქართველოს პარლამენტში მოქმედ საბიუჯეტო პროცედურაში, საქართველოს უმაღლესი წარმომადებლობითი ორგანო ძირითადად მაკორდინირებელი ფუნქციით შემოიფარგლება და ეფექტიან საფინანსო კონტროლს ვერ ახორციელებს.

¹⁶² Legislatures and the Budget Process, An International Survey, Legislative Research Series, Democratic Institute for International Affairs, US, 2003, 13-14.

¹⁶³ მაგალითად, ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება: გერმანია, იტალია, რუსეთი, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი და სხვა.

4.3.5 ბიუჯეტის მიღება სამი მოსმენით – განსაკუთრებული თუ სტანდარტული პროცედურა?

სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება სამი მოსმენით დამახასიათებელია რიგი სახელმწიფო ებისათვის.¹⁶⁴

იტალიაში ბიუჯეტის განხილვის პროცედურის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი ანალოგიურია კანონპროცესის განხილვის პროცედურისა.

იტალიის დეპუტატთა პალატის რეგლამენტის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „ასამბლეაში კანონპროექტების განხილვა შედგება საერთო მიმართულებების განხილვისა და მუხლობრივი განხილვისაგან“¹⁶⁵. ვინაიდან იტალიის პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის განსაკუთრებული პროცედურა არ არის განსაზღვრული, ზემოაღნიშნული ხორმა ვრცელდება სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესზეც.

იტალიის პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის განსაკუთრებულობა გაწერილია იტალიის კონსტიტუციის 72-ე მუხლში, რომელიც ადგენს პალატების მიერ მუდმივი კომისიებისათვის კანონპროექტების განხილვისა და მიღების უფლებამოსილების გადაცემას.¹⁶⁶

იტალიის პარლამენტში გარკვეულ საკითხებზე საკანონმდებლო პროცესი დეცენტრალიზირებულია. მუდმივ კომიტეტი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვისა და მიღებისა, თუმცა აქაც არსებობს გარკვეული გამონაკლისები.

იტალიის პარლამენტის პალატის მიერ კანონპროექტების განხილვისა და უშუალოდ მიღების ჩვეულებრივი პროცედურა ყოველთვის გამოიყენება საკონსტიტუციო და საარჩევნო კანონპროექტებთან, ასევე იმ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საკანონმდებლო ხელისუფლების დელეგირებას, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, ბიუჯეტის შესახებ კანონის ან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცებას.

იტალიის პარლამენტში ბიუჯეტის პროექტი, როგორც წესი, გადაეცემა მუდმივმოქმედ საბიუჯეტო კომისიას, რომელშიც პროექტის გადაცემიდან 20 დღის განმავლობაში შედის მასალები ბიუჯეტის განხილვის შესახებ სხვა კომისიებიდან და სამთავრობო უწყებებიდან. შემდეგ კი იწყება ბიუჯეტის განხილვა კომისიაში, რომელშიც მონაწილეობას დებულობენ კომპეტენტური მინისტრები. თუ კომისიაში შესულია შენიშვნები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, კომისია იდებს გადაწყვეტილებას შენიშვნების მიღების ან არ მიღების შესახებ. შენიშვნათა უარყოფა არ გამორიცხავს მათ განხილვას პალატაში პლენარულ სხდომაზე.¹⁶⁷

¹⁶⁴ მაგალითად, ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება: გერმანია, იტალია, რუსეთი, ახალი ზელანდია, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი და სხვა.

¹⁶⁵ Regolamento della Camera dei Deputati, 52, <www.camera.it>.

¹⁶⁶ The Constitution of the Italian Republic, <<http://en.camera.it>>.

¹⁶⁷ Regolamento della Camera dei Deputati, 52, <www.camera.it>.

ბიუჯეტის განხილვის პროექტი სხდომაზე გამოაქვს კომისიის მიერ დანიშნულ მომსენებლს, რომელიც თავის მოხსენებაში წარმოადგენს მთავრობის წარმომადგენელის მიერ მოწოდებულ წერილობით მოსაზრებებსაც. პროექტის განხილვის შემდეგ ბიუჯეტის შესახებ მიიღება შესაბამისი რეზოლუცია.

იტალიაში, სადაც პარლამენტის ორივე პალატას თანაბარი უფლებამოსილებები გააჩნია, ბიუჯეტის კანონის პროექტი რიგრიგობით (მონაცემლეობით) შეიტანება პარლამენტის თითოეულ პალატაში. ფინანსური კანონპროექტი გადადის ერთი პალატიდან მეორეში, ვიდრე ისინი არ შეთანხმდებიან.

იტალიის პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცედურა გარეგულწილად ხასიათდება „მაქოს“ პრინციპის ვამყენებით. რაც საბიუჯეტო კანონპროექტის ზედა და ქვედა პალატაში მოძრაობას გულისხმობს შეთანხმების მიღწევამდე.

რუსეთის ვედერაციის 1998 წლის 17 ივნისის საბიუჯეტო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო დუმა ვედერალური ბიუჯეტის კანონის პროექტს იხილავს სამი მოსმენით¹⁶⁸.

საბიუჯეტო კოდექსის 199-ე მუხლის I ნაწილი განსაზღვრავს, რომ პირველი მოსმენით ბიუჯეტის განხილვისას იხილება მისი კონცეფცია, რუსეთის ფედერაციის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით პირველი მოსმენით იხილება ფედერალური ბიუჯეტის მირითადი მახასიათებლები.

საბიუჯეტო კოდექსის 205-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო დუმა ბიუჯეტის კანონის პროექტს განიხილავს 35 დღის განმავლობაში მისი პირველი მოსმენით მიღების დღიდან.

მესამე მოსმენას კი დუმა ბიუჯეტის კანონის პროექტს იხილავს 15 დღის განმავლობაში მისი მეორე მოსმენით მიღების დღიდან.

ამის შემდეგ, ხუთი დღის განმავლობაში კანონი ფედერალური ბიუჯეტის შესახებ დასამტკიცებლად გადაეცემა ვედერაციის საბჭოს.

აქ უკვე კანონი განიხილება არა მუხლობრივად, არამედ მთლიანად. მოწონებული კანონი ეგზავნება პრეზიდენტს პრომულებისათვის. დაწუნების შემთხვევაში, ბიუჯეტის შესახებ კანონს პალატათა შემთანხმებლური კომისიის ბიუჯეტის დასკვნის საფუძველზე ხელახლა იხილავს სახელმწიფო დუმა ერთი წაკითხვით. კანონი პირვანდელი ვარიანტით მიღებულად ითვლება, თუ მას განმეორებითი კენჭისერის დროს ხმას მისცემს დეპუტატთა საერთო ოდენობის არანაკლებ ორი მესამედი. ვედერალური ბიუჯეტის საიდუმლო მუხლების განხილვა ხდება ვედერალური კრების ორივე პალატის დახურულ სხდომაზე.¹⁶⁹

რუსეთის პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცესი გაჭიანურებული პროცედურით ხასიათდება, რითაც გარეგულწილად საფრთხე ექმნება ბიუჯეტის განხილვის ეკონომიკურობის პრინციპს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვის სეიმშიც სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღება სამი მოსმენით, ჩვეულებრივი კანონმდებლობისათვის დადგენილი წესით. ბიუჯეტის მიღებას ლიტვის სეიმში აქვს ვართოდ

¹⁶⁸ Бюджетный кодекс Российской Федерации (принят ГД ФС РФ 17.07.1998), <www.consultant.ru>.

¹⁶⁹ Бюджетный кодекс Российской Федерации (принят ГД ФС РФ 17.07.1998), <www.consultant.ru>.

წარმომადგენლობითი ხასიათი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას ძირითადი აქცენტი კეთდება საკომიტეტო მუშაობაზე.¹⁷⁰ ანალოგიური პროცედურით მიღება სახელმწიფო ბიუჯეტის დატვის სეიმში¹⁷¹.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ იკვეთება გარკვეული ტენდენცია რიგ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის სამი მოსმენით მიღებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო და სამართლებრივი დოკუმენტი, ეფექტურ საპარლამენტო კონტროლს საჭიროებს. სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ზედამხედველობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საჯარო ფინანსების მართვას.

4.3.6 საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის პროცედურის ხარვეზები

კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს ხელისუფლებათა ძალაუფლების გაწონასწორებას და ყველაზე „ცუდ” ხელისუფლებასაც არ უნდა აძლევდეს საშუალებას ავნოს სახელმწიფოს.¹⁷²

კონსტიტუციამ, როგორც ქვეყნის ძირითადმა სამართლებრივმა დოკუმენტმა, სახელმწიფოს სამართლებრივი სტაბილურობა და და ძალითა ბალანსის დაცვა უნდა უზრუნველყოს.

პარლამენტის კონსტიტუციური სტატუსის განსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად საკითხს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო კონტროლის კომპეტენცია წარმოადგენს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სიძლიერეს დიდწილად განსაზღვრავს კონსტიტუციით ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პრინციპის სათანადო რეგლამენტაცია.

„ხელისუფლების დანაწილება სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი პრინციპია. ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია, რომელიც, ისტორიულად, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის წარმოშობასთან ერთად აღმოცენდა, გულისხმობის სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფას განსხვავებული ფუნქციების მიხედვით და მიზნად ისახავს პოლიტიკური ძალაუფლების შეზღუდვას ხელისუფლების განშტოებათა შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების (checks and balances) ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე. ამგვარმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ძალაუფლების ქმედითი შეკავება და კონტროლი, გაზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი და ხელი შეუწყოს საჯარო მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.”¹⁷³

¹⁷⁰ Seimas of the Republic of Lithuania Statute, !7 February 1994 #1-399, <<http://www3.lrs.lt>>.

¹⁷¹ Rules of Procedure of the Saema of Latvia, <<http://www.saeima.lv/en/legislation/rules-of-procedure>>.

¹⁷² გეგენავა დ., უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელი, გორდიას პვანი საქართველოს კონსტუციაში, სამართლის უკრალი №1, 2013, თბ., 329.

¹⁷³ კობახიძე ი., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლი, სამართლის უკრალი №1, 2013, თბ., 311.

2009 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საბიუჯეტო კოდექსი, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციასა და პარლამენტის რეგლამენტთან ერთად დამტკიცირა პარლამენტის კომპეტენცია საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით და მოაწესრიგა პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშგების პროცედურა.

საქართველოს კონსტიტუციის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლეობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.“

საქართველოს კონსტიტუციის 92-ე მუხლი სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ზოგად კონსტიტუციურ პრეროგატივას განსაზღვრავს. აღნიშნული რეგულაცია კვაზი-დეკლარაციული ხასიათისაა და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის სუვერენურ როლს წარმოაჩენს.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ბიუჯეტის კანონს ხელს აწერს, არ მიანიშნებს საპარლამენტო უფლებამოსილების დაუშვებელ შეზღუდვაზე. ეს უფრო მეტად გავრცელებული პრაქტიკაა საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ბევრ ქვეყანაში, სადაც ქვეყნის მეთაური ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს. მას შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობაც, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს.¹⁷⁴

უფრო მეტიც, პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე ხელმოწერის პრეროგატივა საერთოდ არ ზღუდავს პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილებას და სრულად შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს.

სერიოზულ ხარვეზს შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც „მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა.“

ბერლინის კონფერენციაზე უცხოელმა ექსპერტმა დაფიქსირეს სურვილი, საქართველოს პარლამენტი ყოფილიყო აღჭურვილი შედარებით ფართო უფლებამოსილებით საბიუჯეტო პროცესში და მას მინიჭებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლება.¹⁷⁵

აღნიშნული შეზღუდვა კონსტიტუციის 48-ე მუხლით განსაზღვრულ საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და კონსტიტუციონურ რეგლამენტირებულ მთავრობის სამართლებრივ სტატუსს ეწინააღმდეგება. პარლამენტი არის ერთადერთი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის

¹⁷⁴ გერინგი გ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 7, <<http://sao.ge>>.

¹⁷⁵ Prof. Dr. Wolfgang Babek, Summary of the Berlin Conference on the Constitutional Reform in Georgia, კონფერენციაზე კანონის პროექტის მიმართ გამოთქმული კიოტიკული შენიშვნების ანალიზიკური მიმოხილვა, 14, <http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=2130>.

მიმართულებებს. საქართველოს მთავრობა, როგორც კონსტიტუციური ორგანო, ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. პარლამენტის 93-ე მუხლის მე-3 ნაწილის განსაზღვრული შეზღუდვა ართმევს პარლამენტს შესაძლებლობას წინასწარი (ex-ante) კონტროლი განახორციელოს მთავრობის საფინანსო საქმიანობაზე.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმადაც „კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ. აღნიშნული რეგულაციის ანალიზიდან ირკვევა, რომ მთავრობის თანხმობის კონსტიტუციური დათქმის გარეშე პარლამენტი ვერ განახორციელებს კანონშემოქმედებით უფლებამოსილებას.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „თუ საქმე ეხება კანონპროექტების ფინანსურ შედეგებს მომავალი საბიუჯეტო წლისთვის, ასეთი კანონების მიღება ერთი შეხედვით, პარლამენტს შეუძლია მთავრობის ფორმალური თანხმობის გარეშე, თუმცა, კანონპროექტი უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის მიერ ყოველწლიურად წარდგენილ ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტს. გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი მთავრობის მიერ განისაზღვრება, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს პარლამენტის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას.”¹⁷⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობასა და პარლამენტს შორის საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ცალსახად არ არის განაწილებული და გამიჯნული საბიუჯეტო კომპეტენციები. ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტო უმთავრესად სამართლებრივი აქტია, მთავრობის კონსტიტუციური პრეროგატივა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენით უნდა შემოიფარგლოს. აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვებსა და დისკუსიებში საპარლამენტო მუშაობის ნებისმიერ ფორმატში.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, მთავრობის ამგვარი **პრევენციული ვეტოს უფლება** ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთან სრულიად ბუნდოვანია „თანხმობის” იურიდიული ბუნება. მიზანშეწონილია, კანონპროექტთან დაკავშირებით პრინციპული უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, მთავრობამ გამოიყენოს ალტერნატიული ბერკეტი და დოკუმენტს დაუკავშიროს ნდობის საკითხი.¹⁷⁷

¹⁷⁶ ქერინგი ქ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 11, <<http://sao.ge>>.

¹⁷⁷ კობახიძე ი., კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, 14, <http://www.osgf.ge/files/publications/2010/Const_Final_GEO_11_pdf.pdf>. <http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=2130>.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად „პარლამენტი უნდა იყოს ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს ბიუჯეტის ხარჯების გაზრდისა თუ შემცირების საკითხი. ამ კუთხით, მთავრობის თანხმობის სავალდებულობა საფრთხე უქმნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და დამკვიდრებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წერიგს.“

სასურველია, საქართველოს კონსტიტუციამ ნათლად განსაზღვროს, აუდიტის სამსახურის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოს პარლამენტთან მიმართებით. გარკვეულ ბუნდოვანებას შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც „საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით“. საჯარო სახსრების ხარჯვას პარლამენტი აკონტროლებს არა მხოლოდ აუდიტის სამსახურის მეშვეობით, არამედ, პარლამენტის შიდა სტრუქტურებიც საშუალებითაც, როგორიცაა, პარლამენტის კომიტეტი, დროებითი საგამოძიებო კომისიები და სხვა. შესაბამისად, აღნიშნული დებულება არასრულად წარმოაჩენს პარლამენტის როლს და ურთიერთქმედებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, რომელიც გარე საფინანსო კონტროლის ორგანოს წარმოადგენს.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული საპარლამენტო მოდელის კლასიკურ ჩარჩოებში მოსაქცევად და ხელისუფლების შტოებს შორის დისბალანსის აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, უნდა გაძლიერდეს პარლამენტის, როგორც მთავრობის მაკონტროლებელი ორგანოს კომპეტენციები. საპარლამენტო მოდელი, ესოდენ სუსტი პარლამენტით არცთუ მდიდარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყანაში ხანგრძლივი ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების ძალზე სერიოზულ რისკს შეიცავს.¹⁷⁸

ზემოაღნიშნული საკითხების რეგულაციის გარეშე, აზრს კარგავს პარლამენტის კომპეტენციის არსი და მნიშვნელობა.

¹⁷⁸ კობახიძე ი., კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, 14, <http://www.osgf.ge/files/publications/2010/Const_Final_GEO_11_pdf.pdf>. <http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=2130>.

4.3.7 დრო პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენასა და ახალ ფისკალურ წელს შორის და ბიუჯეტის დადგენილ დროს მიუღებლობის შედეგად გამოყენებული მექანიზმები

ბიუჯეტის გახილვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარლამენტის მიერ ბიუჯეტის პროექტის ანალიზისა და განხილვების სარისეს.

ეროვნული პარლამენტების კანონმდებლობით¹⁷⁹ აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია პარლამენტში ბიუჯეტი წარადგინოს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე გარკვეული პერიოდით ადრე.

აღნიშნული რეგულირებით საკანონმდებლო ორგანოს ეძლევა სათანადო დრო განიხილოს ბიუჯეტი, შეიტანოს მასში შესწორებები, უზრუნველყოს საკომიტეტო და პლენარული განხილვები და მიიღოს ბიუჯეტის შესახებ კანონი ახალი ფისკალური წლის დაწყებამდე.

სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების შესწავლის შედეგად, იკვეთება, რომ ბიუჯეტის განხილვის დრო ერთმანეთისგან შესაძლებელია რადიკალურად განსხვავებული იყოს.¹⁸⁰

ტრადიციულად კი ბიუჯეტის განხილვს დრო მერყეობს 3-4 თვემდე.¹⁸¹ მაგალითად საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „მთავრობა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არა უგიანეს სამი თვისა”.

ბიუჯეტის პროცედურის რაციონალურად წარმართვის შემთხვევაში, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, სათანადოდ შეისწავლოს, გაანალიზოს და დაამტკიცოს ბიუჯეტი ახალი ფისკალური წლის დაწყებამდე.

ზოგიერთ ქვეყანას¹⁸² აქვს საკანონმდებლო მექანიზმები, დროებით დააფინანსოს აღმასრულებელი ხელისუფლება, თუ პარლამენტი ვერ ასწრებს ბიუჯეტის კანონის დადგენილ დროს დამტკიცებას.

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნულ მექანიზმს საბიუჯეტო კრიზისების დაძლევის მნიშვნელოვან პროცედურად მიიჩნევს.¹⁸³

რიგ ქვეყნებში,¹⁸⁴ მთავრობის ბიუჯეტის დადგენილ დროში მიუღებლობა უნდობლობის გამოცხადების საფუძველად განიხილება და მთავრობის გადაუქენებისა და ახალი არჩევნების დანიშვნის წინაპირობას წარმოადგენს.

¹⁷⁹ კონსტიტუციებით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით.

¹⁸⁰ მაგალითად, მექსიკის პარლამენტში ბიუჯეტის განიხილვისა და მიღების პროცედურას სჭირდება 15 დღე, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პარლამენტში 8 თვე.

¹⁸¹ მაგალითად სამხრეთ აფრიკის პარლამენტს აქვს 3-4 თვე ბიუჯეტის განსახილველად ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო კომიტეტს, რომელიც ვალდებულია განიხილოს ბიუჯეტი, აქვს 7 დღე ბიუჯეტის პროექტის ანალიზისა და შენიშვნებით მთავრობისათვის დასაბრუებლად.

¹⁸² ინდოეთის პარლამენტში ბიუჯეტის წარდგენა ხდება თებერვლის ბოლო სამუშაო დღეს. პარლამენტს ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე აქვს ერთი თვე ბიუჯეტის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ ინდოეთის პარლამენტი ვერ იდებს სახელმწიფო ბიუჯეტს კანონით დადგენილ ვადაში, იგი ანიჭებს შტავრობას უფლებამოსილებას დროებით გაიღოს ხარჯები როი თვის განმავლობაში.

¹⁸³ Budget in Parliament, a publication of Lok Sabha Secretariat, New Delhi (March 1998).

¹⁸⁴ გაერთიანებული სამეფო, ახალი ზელანდია, ავსტრალია, კანადა.

სრულიად განსაკუთრებული წესი იკვეთება მაგალითად, ჩილეს შემთხვევაში. მისი კონსტიტუციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ჩილეს პარლამენტი 60 დღის განმავლობაში არ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტს, იგი ავტომატურად იქცევა კანონად, რასაც ნულამდე დაჰყავს პარლამენტის როლი საბიუჯეტო პროცესში.¹⁸⁵

საინტერესოა, ასევე ნიგერიის შემთხვევაც. ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, თუ ხუთი კვირის განმავლობაში ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ნიგერიის პარლამენტი ვერ მიიღებს ბიუჯეტს, კონსტიტუციის თანახმად, ნიგერიის პრეზიდენტი უფლებამოსილია გაიღოს ხარჯები 6 თვის განმავლობაში¹⁸⁶.

საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „თუ პარლამენტი ვერ მოახერხებს წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას 3 თვის განმავლობაში, ხარჯები დაიფარება წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით.”

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციამ ბიუჯეტის დადგენილ დროს მიუდებლობის შემთხვევაში, მშეიდობიანი და არაკონფლიქტური წესი დაამკვიდრა, რაც ხელს უწყობს პარლამენტის როლისა და მნიშვნელობის გაზრდას საბიუჯეტო პროცესში.

ჯერ კიდევ 2010 წლის საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის დროს, პროფესორმა ფიშმა ადნიშნა, რომ პარლამენტის არასაკმარისი ხმა პქონდა საბიუჯეტო მუხლთან მიმართებით¹⁸⁷. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილების გაზრდისა და გაძლიერების კუთხით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დადგენილ დროში მიუდებლობის შედეგებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით იკვეთება შემდეგი ტენდენცია: პარლამენტები იდებენ დოკუმენტით ბიუჯეტს, იყენებენ წინა წლის ბიუჯეტს, აღმასრულებელი ხელისუფლება სწევს აუცილებელ ხარჯებს, ბიუჯეტის დადგენილ დროში მიუდებლობის შედეგები არის საკანონმდებლო წესით შეზღუდულად რეგლამენტირებული ან საერთოდ არ არის საკანონმდებლო წესით გაწერილი.¹⁸⁸

2010 წლის საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის დროს ექსპერტები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ცვლილებას წარმოადგენდა ის, რომ პრეზიდენტს აღარ აქვს უფლება გადააკეთოს მთავრობა ან დაითხოვოს პარლამენტი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება ბიუჯეტის დამტკიცებას. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული „დაცვის მექანიზმი“ შესაძლებლობას აძლევს მთავრობას, განახორციელოს ადრე ნაკისრი ვალდებულებები. ეს მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტობას სახელმწიფო

¹⁸⁵ ჩილეს კონსტიტუცია, <<https://www.camara.cl>>.

¹⁸⁶ ნიგერიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუცია (1999), <www.nigeria-law.org>.

¹⁸⁷ ბაბუკი კ., ფიშმა ს., რაისებეგერი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბ., 2012, 172.

¹⁸⁸ წარმო: adapted fro Parliaments of the World (Interparliamentary Union, 1986), table 37b.

ფინანსების სისტემაში დახმარების პოლიტიკურ
სტაბილურობას.¹⁸⁹

საქართველოს კონსტიტუციის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მიუღებლობის შემთხვევაში არაკონფრონტაციული წესის დამკვიდრება ხელს უწყობს პარლამენტარიზმის განვითარებასა და კონსტიტუციური წესრიგის განმტკიცებას საქართველოში.

¹⁸⁹ ბაბუაძე გ., ფიჭო ს., რაიმებაბეგრივი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გხა გვროვნისაკენ, თბ., 2012, 154.

V. პარლამენტის საკომიტეტო სისტემა – სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტური განხილვის აღგილი

საკომიტეტო სისტემა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის ეფექტურ აღგილს წარმოადგენს, სადაც ყველაზე მეტი სამუშაო სრულდება სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და საჯარო ანგარიშის კომიტეტი ხელს უწყობენ პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერებას და მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის წინაშე.

საკომიტეტო მექანიზმების გამოყენებით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო აკონტროლებს საჯარო ფინანსების მართვას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. ამასთანავე, კომიტეტების საშუალებით პარლამენტი უზრუნველყოფს ფისკალური წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში.

5.1 პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის როლი ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში

ბიუჯეტის მიღებამდე პარლამენტის ზედამხედველობისა და კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს ბიუჯეტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სესიაზე და მისი განხილვა მუდმივი კომიტეტების მიერ.¹⁹⁰ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტი აქტიურ როლს ასრულებს ბიუჯეტის განხილვისა და მიღების პროცედურაში.

არსებობენ ქვეყნები, სადაც საბიუჯეტო საკითხებს პარლამენტებში კურირებენ მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები, სხვა კომიტეტებს საფინანსო კომპეტენცია არ გააჩნიათ¹⁹¹. რიგ ქვეყნებში კი არსებობენ სხვა კომიტეტებიც საფინანსო კომპეტენციებით.¹⁹²

თუმცა, არსებობენ ქვეყნები, რომელთაც აქვთ პიბრიდული სისტემა.¹⁹³

¹⁹⁰ Burman A., Financial Oversight by Parliament, Background Note for the Conference of Effective Legislatures, PRS Legislative Research, November 15, 2010, 1, <<http://www.prssindia.org>>.

¹⁹¹ მაგალითად, დანიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, იაპონიაში, ესპანეთში და თურქეთში არსებობენ მხოლოდ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები, რომელთაც გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია საფინანსო საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, სხვა კომიტეტები ბიუჯეტის პროგექტის განხილვის უფლებამოსილებით არ სარგებლობენ.

¹⁹² მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკში, უნგრეთში, ახალ ზელანდიაში, პოლონეთსა და შვედეთში პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს მინიჭებული აქვთ სრული შესაძლებლობა, სხვადასხა სფეროების მიხედვით განახორციელონ ხარჯების განაწილება, თუმცა სხვა კომიტეტებს ანიჭებენ უფლებას, განსაზღვრონ მათ იურისდიქციაში და სფეროში არსებული დეტალები. მაგალითად, ავსტრალიის პარლამენტი არ იყენებს ცენტრალურ საბიუჯეტო კომიტეტს, არამედ უგაგნის ბიუჯეტის შესაბამის ნაწილს, შესაბამისი სფეროს კომიტეტს.

¹⁹³ მაგალითად, მექსიკის საბიუჯეტო კომიტეტს აქვს მთავარი უფლებამოსილება საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ სხვადასხვა სპეციალიზირებული კომიტეტები ესწრებიან საბიუჯეტო კომიტეტის სხდომებს, როდესაც მათ იურისდიქციაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით წყდება ხარჯების საკითხი. მაგალითად, ნიგერიაში სპეციალიზირებული კომიტეტები პარლამენტის ორივე

უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის კომიტეტის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მისი შესაძლებლობა, შესწორებები შეიტანოს ბიუჯეტში ან მთელი პალატის სახელით შესთავაზოს შესწორებების განხილვა ბიუჯეტის პროექტში.

„გაერთიანებულ სამეფოში, პარლამენტის კომიტეტები შედარებით სუსტები არიან, მათი უფლებამოსილება შესწორებები შეიტანონ ბიუჯეტის კანონის პროექტში შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს. მაგალითად, ინდოეთში, დარგობრივ კომიტეტებს არ აქვთ ბიუჯეტის კანონის პროექტში შესწორებების შეთავაზების უფლება; შესწორებების შეთავაზების უფლება აქვთ მხოლოდ პარლამენტის ინდივიდიალურ წევრებს, რომელნიც პარლამენტს შესწორებებს სთავაზობენ პლენარულ სესიაზე.”¹⁹⁴

სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებისა და მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულების საკითხს დეტალურად სწავლობენ და იკვლევენ ინდოეთის პარლამენტის საფინანსო კომიტეტები, ასევე, ისინი უზრუნველყოფენ მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ.¹⁹⁵

ისრაელის ქანესეთში, საფინანსო კომიტეტი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან კომიტეტს პარლამენტში. ბიუჯეტის პროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, პროექტი განხილვისათვის გადაეცემა საფინანსო კომიტეტს.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საბიუჯეტო პროცესში საბიუჯეტო კომიტეტის როლი განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ბიუჯეტის პროექტში შესწორებების შეტანის კომპეტენცია, დრო, რომელიც გამოყოფილია საკომიტეტო დებატებისთვის, საბიუჯეტო პროცესში ჩართული კომიტეტების არჩევანი, კომიტეტების უფლება დამოუკიდებელი აწარმოონ კვლევა და ურთიერთქმედება აღმასრულებელი ხელისუფლებას დაქვემდებარებულ სტრუქტურებთან“.¹⁹⁶

საკანონმდებლო ორგანოს უნდა ჰყავდეს ძლიერი კომიტეტები, რათა მათი მუშაობა იყოს ეფექტური.

„კომიტეტები წარმოადგენენ საკანონმდებლო ორგანოთა „ძრავას“. იქ, სადაც საკომიტეტო სისტემა არასათანადოდ არის განვითარებული და დებატები იმართება ძირითადად პალატებში, საკანონმდებლო ორგანოს საბიუჯეტო უფლებამოსილება არის სუსტი. შესაბამისად, ბევრი ქვეყნის პარლამენტმა აღიარა ეფექტური კომიტეტების მნიშვნელობა.“¹⁹⁷

გაზიარებულ უნდა იქნას მკვლევართა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საპარლამენტო კომიტეტების როლი

პალატიდან, იმისათვის რათა განიხილონ მათი სფეროებისათვის მიკუთვნებული ბიუჯეტის ნაწილები, ხდებიან საკუთრების კომიტეტების ქვემიტებები.

¹⁹⁴ Johnson N., Financial Oversight, a Handbook for Parliamentarians, World Bank Institute, 12, <http://gopacnetwork.org/Docs/Oversight_handbook_EN.pdf>.

¹⁹⁵ Budget and Budgetary Process in the Parliament of India, Background Paper, Pakistan Institute of Legislative Development and Transparency, Parliamentary Centre, May 2010, 13, <<http://www.cbgaindia.org/>>.

¹⁹⁶ Krafchik W., and Wehner J., The Role of Parliament in the Budget Process, 1999, 9-13, <<http://www.resdal.org/Archivo/d00001e9.htm>>.

¹⁹⁷ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in Public Finance, World Bank Parliamentary Staff Training Program, 37.

დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ვის შეუძლია შესწორებების შეთავაზება, ხმის მიცემა და სად; რომელი კომიტეტები არიან ჩართულნი ბიუჯეტის განხილვაში და რა ურთიერთობებია ამ კომიტეტებს შორის; რა უფლებამოსილებები გააჩნიათ მათ შესწორებების შეთავაზების კუთხით; რა დროა გამოყოფილი ბიუჯეტის განხილვისთვის; არის თუ არა შესაძლებლობა, რათა დაქირავებულ იქნან ექსპერტები დამოუკიდებელი კვლევის ჩასატარებლად, არის თუ არა ბიუჯეტის განხილვისათვის გამოყოფილი ვადა ძალიან მცირე, პარლამენტისა და საბიუჯეტო კომიტეტის ურთიერთობა ბიუჯეტზე პასუხისმგებელ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან და სამინისტროების ფარგლებში არსებულ საბიუჯეტო სამსახურებთან; პოლიტიკური ნების არსებობა".¹⁹⁸

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება (რეკომენდაცია) იმასთან დაკავშირებით, რომ „უფრო მეტი დეტალური განხილვა მთავრობის ხარჯივითი გეგმების უნდა განხორციელდეს საპარლამენტო კომიტეტების ფარგლებში“¹⁹⁹.

„არსებობს რამდენიმე გზა, რათა ჩართული იქნან საპარლამენტო კომიტეტები ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. უმეტეს ეროვნულ პარლამენტებს აქვთ საფინანსო ან საბიუჯეტო კომიტეტები, რომლებიც იხილავენ საკანონმდებლო წინადადებებს საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით. დარგობრივი კომიტეტები წარადგენენ რეკომენდაციებს, მაგრამ ცენტრალიზებული საკომიტეტო მოდელის ფარგლებში. ეს რეკომენდაციები არ არის შესასრულებლად სავალდებულო“. ²⁰⁰

ამ ტიპის საკომიტეტო მოწყობა ხელს უწყობს იმას, რომ დაიცვას ბიუჯეტი გაზრდილი და არამიზნობრივი ხარჯებისგან, რომლის ინიციატივაც შეიძლება მომდინარეობდეს დარგობრივი კომიტეტებიდან. დარგობრივ კომიტეტები ყოველთვის არიან ამბიციურები და მიღრეკილნი, რომ რაც შეიძლება მეტი დაფინანსება მოიპოვონ თავისი საკურატორო სფეროებისათვის.

მაგალითად, შვედეთში, არსებობს ორსაფეხურიანი საკომიტეტო სისტემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგ ში: ფინანსური კომიტეტი ამტკიცებს სხვადასხვა ხარჯის სფეროებზე უმაღლეს ზღვარს, მაშინ როდესაც დარგობრივ კომიტეტებს აქვთ შესაძლებლობა შეიმუშავონ მათ სფეროებთან დაკავშირებით ბიუჯეტის პროექტი.

ევექტური საკომიტეტო სისტემა ხელს უწყობს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის გაძლიერებას საბიუჯეტო სფეროში. საფინანსო საბიუჯეტო და სხვა დარგობრივი კომიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის ძირითად ადგილს წარმოადგენენ. საფინანსო

¹⁹⁸ Bratic V., The Role of parliament in the Budgetary Process – The Example of the Croatian Parliament (2000-2003), Occasional Paper No. 19, October 2004, 11-12; <<http://www.ijf.hr/OPS/19.pdf>>.

¹⁹⁹ Brazier A., Director of the Hansard Society's Parliament and Government Programme, published the following article on his report, The Fiscal Maze: Parliament, Government and Public Money, in the April 2007 issue of Parliamentary Affairs (Volume 60, Number 2), Parliament and Government, Parliamentary Affairs on Parliament's scrutiny of public money, 2, www.hansardsociety.org, (8.04.2013).

²⁰⁰ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in Public Finance, World Bank Parliamentary Staff Training Program, 37.

კომიტეტის მეშვეობით, პარლამენტი ზედამხედველობს ფისკალური წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ორსაფეხურიანი სისტემა წარმატებულია იმ კუთხით, რომ ერთის მხრივ ბიუჯეტის განხილვის პროცესში არ იკარგება დარგობრივი კომიტეტების როლი და მნიშვნელობა და მეორეს მხრიც მათი სურვილები ბალანსირებულია ძლიერი საბიუჯეტო კომიტეტის უფლებამოსილებით.²⁰¹

„საკმაოდ ძლიერი უფლებამოსილებანი გააჩნია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის საბიუჯეტო კომიტეტს, კერძოდ, საბიუჯეტო კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით რეზოლუცია, შესწორება, მოხსენება, კანონპროექტი არ შეიძლება განხილულ იქნას წარმომადგენელთა პალატაში, სანამ საბიუჯეტო კომიტეტი არ წარმოადგენს მას პალატაში კანონპროექტის სახით.“²⁰²

რაც შეეხება ქართულ რეალობას, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს არსებული მოწესრიგებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის როლი ძირითადად შემოიფარგლება პარლამენტის სტრუქტურებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის საქმიანობის მაკოორდინირებელი ფუნქციით. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დღევანდელი ფუნქციებიდან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენს იმ სტრუქტურას, სადაც საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ძირითადი სამუშაო სრულდება.

იმისათვის, რათა გაიზარდოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფუნქციები, სასურველია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ფაქტორები: კომიტეტმა მთავრობის საქმიანობაზე საკონტროლო ფუნქციების განხორციელებისას, უნდა უზრუნველყოს:

„აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და ღიაობა საკომიტეტო მოსმენების განხორციელების გზით, აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ, უზრუნველყოს პარლამენტის მიმართ მთავრობის ფინანსური ანგარიშვალდებულება და კანონის უზენაესობის დაცვა.“²⁰³

პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის მიერ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულების პირობებში, პოლიტიკური პარტიების, აუდიტორული დაწესებულებებისა და პარლამენტის სტრუქტურების გაძლიერებას ღრმა უფასების მოხდენა შეუძლია მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე პარლამენტის მიმართ.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ძირითადად, მაკოორდინირებელი ფუნქცია უნდა შეიცვალოს ბიუჯეტის განხილვის პროცესში წინასწარი კონტროლისა და მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობის ძლიერი ფუნქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გადაწყვეტილებები საფალდებულო უნდა იყოს მთავრობისათვის შესასრულებლად.

²⁰¹ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in Public Finance, World Bank Parliamentary Staff Training Program, 38.

²⁰² House of Representative, Committee on Budget, <<http://budget.house.gov/about/>>.

²⁰³ Parliamentary Function of Oversight, Portal for Parliamentary Development, <<http://www.agora-parl.org/resources/aoe/oversight>>.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს მთავრობასთან ერთად წამყვანი როლი უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში, სასურველია, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა, ყოველი საარჩევნო ვადის დასაწყისში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უნდა დანიშნოს თითოეული დარგის (უწყების) ბიუჯეტის მიხედვით მომსხენებლები, რომლებიც მთელი საარჩევნო ვადის განმავლობაში, პასუხისმგებელნი იქნებიან თავთავიანთ საბიუჯეტო სფეროზე.

აუცილებელია, მათი პასუხისმგებლობა განისაზღვროს მთელი საარჩევნო ვადის განმავლობაში და არა მხოლოდ კონკრეტული საბიუჯეტო პერიოდის ვადით. მთელი საარჩევნო ვადის განმავლობაში, მომსხენებლებმა უნდა იმუშაონ მათი საკურატორო ბიუჯეტის სფეროების მიხედვით, რათა უკეთესად გაეცნონ შესაბამისი სამინისტროს, უწყების საფინანსო გეგმებს და პროგრამებს. შესაბამისად, მომსხენებლები იძენენ დმა ცოდნას თავიანთ საკურატორო საფინანსო სფეროებში, პარლამენტის წევრებისათვის აღნიშნული მომსხენებლები წარმოადგენენ კონკრეტული სფეროების მიხედვით საბიუჯეტო საკითხებზე, ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს, რაც მთლიანობაში ზრდის პარლამენტის ეფექტორობას საბიუჯეტო პროცესში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ბიუჯეტის პროექტის განხილვა საშუალებას მისცემს საქართველოს პარლამენტს გააუმჯობესოს მუშაობის ხარისხი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში ბიუჯეტის პროექტის განხილვა შესაძლებელია უფრო დეტალურად და ხარისხიანად, ვიდრე პლენარული სხდომების დროს, საკომიტეტო განხილვების დროს პარლამენტის წევრები უფრო მეტად არიან ჩართული ბიუჯეტის განხილვის პროცესში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოსმენები შესაძლებლობას აძლევს საზოგადოების წარმომადგენლებს, დაინტერესებულ პირებს დაესწრონ საკომიტეტო მოსმენებს, წარადგინონ თავიანთო მოსაზრებები პირდაპირ პარლამენტის წევრების წინაშე, რაც ხშირ შემთხვევებში გართულებულია პლენარული სესიების დროს. ეფექტური საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ეხმარება პარლამენტს შეასრულოს მისი ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა, საკანონმდებლო და საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციები მთავრობის საქმიანობაზე.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საკომიტეტო სისტემას შეუძლია გააძლიეროს მთავრობა მის მიერ მთავრობის საქმიანობის შესწავლით, ასევე, უზრუნველყოს პარლამენტი უფრო ძლიერი და ეფექტური საზედამხედველო საშუალებებით და აღადგინოს ბალანსი პარლამენტის საკანონმდებლო და სათათბირო უფლებამოსილებებს შორის და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების კუთხით.“²⁰⁴

„პარლამენტის როლი საბიუჯეტო პროცესში დამოკიდებულია ეფექტური საკომიტეტო სტრუქტურის არსებობაზე: კომიტეტი არის თითოეული პარლამენტის ძრავა, ძლიერი საკომიტეტო სისტემა არის წინაპირობა საბიუჯეტო პროცესში პარლამენტის ეფექტური ჩართვისა და

²⁰⁴ Budget and Budgetary Process in the Parliament of India, Background Paper, Pakistan Institute of Legislative Development and Transparency, Parliamentary Centre, May 2010, 18, <<http://www.cbgaindia.org>>..

მონაწილეობისა. საპარლამენტო კომიტეტს აქვს უფლებამოსილება მონიტორინგი გაუწიოს, შეფასოს, გადახედოს ბიუჯეტი და შეიმუშაოს რეკომენდაციები. მათ უფლება აქვთ კითხვები დაუსვან და შეხვდნენ იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბიუჯეტზე. საკანონმდებლო ორგანოს აქვს შესაძლებლობა კომუნიკაცია იქონიოს საზოგადოებასთან და მოისმინოს მათი ანალიზი და მოსაზრებები. მას შეუძლია შეიმუშაოს პერსონალური პერიციის სისტემები, რითაც დარიბი და მარგინალიზებული ჯგუფები თავის წვლილს შეიტანენ საბიუჯეტო პროცესში.”²⁰⁵

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს პარლამენტის ოთხ საკომიტეტო სტრუქტურას:

პარლამენტში შექმნილი არ არის საპარლამენტო კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საბიუჯეტო საკითხებს, სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებს ზედამხედველობს მთლიანად პარლამენტი; პარლამენტში შექმნილია ერთი საბიუჯეტო კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობს მთლიან საბიუჯეტო პროცესს, რომელიც საჭიროებს მნიშვნელოვან რესურსებს და დახმარებას. კომიტეტი ზედამხედველობას უწევს მთლიან პროცესს შიდა მომხსენებლის სისტემაზე დაყრდნობით. კომიტეტის პარგლებში ერთი ადამიანი იქნება გამოყოფილი, რომელიც კონკრეტულ სექტორს შეისწავლის და კურირებას გაუწევს. აღნიშნულ პიროვნებას დახმარებას გაუწევენ კომიტეტის წევრები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც პარლამენტში არიან წარმოდგენილნი; ორრიგიანი სისტემა, როდესაც ერთი საბიუჯეტო კომიტეტი კოორდინაციას უწევს საბიუჯეტო პროცესს და მართავს სახელმწიფო ასიგნებების სისტემას; პარლამენტში არ არსებობს საფინანსო კომიტეტი: ბიუჯეტს ანალიზს უკეთებს და მონიტორს უწევს სხვადასხვა დარგობრივი კომიტეტები.²⁰⁶

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს საბიუჯეტო პროცესში საფინანსო კომიტეტის ჩართულობის სხვადასხვა მოდელებს:

ბევრ შემთხვევაში საფინანსო ან საბიუჯეტო კომიტეტს აქვს სრული უფლებამოსილება ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში;

ზოგიერთი საკანონმდებლო ორგანოს საფინანსო კომიტეტს აქვს მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის განხილვის უფლებამოსილება;

ზოგიერთ პარლამენტებში, საფინანსო კომიტეტი მოქმედებს, როგორც მაკომინირებელი ორგანო დარგობრივი კომიტეტების მუშაობაში დარღობრივ ბიუჯეტზე.²⁰⁷

ძლიერი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი იძლევა შესაძლებლობას მთლიანად პარლამენტმა განახორციელოს საფინანსო კონგროლის სხვა

²⁰⁵ Parliament and the budgetary process including from a gender prospective, Regional Seminar, Colombo (Sri Lanka) 26-28 May 2003, Parliament of Sri Lanka, Inter- Parliamentary Union, General Report, Rapporteur: Mr. Anura Priyadarshana Yapa, MP, Chair of the Public Accounts Committee of the Sri Lankan Parliament, 6, <<http://www.ipu.org/splz-e/srilanka03.pdf>>.

²⁰⁶ Parliament and the budgetary process including from a gender prospective, Regional Seminar, Colombo (Sri Lanka) 26-28 May 2003, Parliament of Sri Lanka, Inter- Parliamentary Union, General Report, Rapporteur: Mr. Anura Priyadarshana Yapa, MP, Chair of the Public Accounts Committee of the Sri Lankan Parliament, 6, <<http://www.ipu.org/splz-e/srilanka03.pdf>>.

²⁰⁷ Wehner J., „Back from the Sidelines”, Redefining the Contribution of Legislatures to the Budget Cycle”, World Bank Institute Working Papers, Washington D.C. 2004, 13 <<http://siteresources.worldbank.org/WBI/Resources/WBI37230WehnerWeb.pdf>>.

ფუნქციები, როგორიცაა: საკომიტეტო მოკვლევისა და გამოძიების წარმოება, მინისტრებისათვის შეკითხვების დასმა, პეტიციების განხილვა და საპარლამენტო მოსმენების ჩატარება საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით და სხვადასხვა სპეციალური კონტროლისა ზედამხედველობის ორგანოების ჩამოყალიბება.

აუცილებელია, საქართველოს საპარლამენტო სისტემაში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, სხვა დარგობრივ კომიტეტებთან ერთად ჰქონდეს მთავარი ფუნქცია, სადაც განიხილება საფინანსო-საბიუჯეტო საკითხები, რათა მან შეძლოს ეფექტური წინასწარი და შემდგომი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება, როგორც ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე, ისე მისი შესრულების დროს.

ამასთანავე, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ყველა დარგობრივი კომიტეტი უნდა იღებდეს მონაწილეობას და განიცდიდეს პასუხისმგებლობას მათ საკურატორო სფეროებში ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საპარლამენტო სისტემისათვის ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს ძლიერი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, საჯარო ანგარიშის კომიტეტი და ძლიერი, რეალური ფუნქციებით აღჭურველი დარგობრივი კომიტეტი, რომლებიც სრულფასოვნად იღებენ მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთანავე, აუცილებელია, პარლამენტის ყველა კომიტეტმა სათანადო ღონისძიებები გაატაროს იმისათვის, რათა ეფექტურად განხორციელდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ეროვნული ბანკის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში, როგორც ბიუჯეტის განხილვისა და მიღების, ისე მისი შესრულების კონტროლის დროს.

5.2 პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტი – საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის ეფექტური მექანიზმი

საჯარო ანგარიშის კომიტეტი საბიუჯეტო კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. საჯარო ანგარიშის კომიტეტის მეშვეობით, პარლამენტი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიერ განხორციელებული კონტროლი პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის წინასწარ და შემდგომ ეტაპებზე ვლინდება.

თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტი ფუნქციონირებს, იგი ძირითადად კონცენტრირებულია საპარლამენტო კონტროლის ex post ეტაპზე და გარე მაკონტროლებელი ორგანოს პარტნიორად გვევლინება.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, საჯარო ანგარიშის კომიტეტი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც პარლამენტი იყენებს მთავრობის საქმიანობის შესამოწმებლად²⁰⁸.

²⁰⁸ The Public Accounts Committee of the Parliament of Ghana, Parliamentary Centre of Accra, 2009, 1, <<http://www.parlcent.org/en/wp->

პირველად საჯარო ანგარიშის კომიტეტი შეიქმნა გაერთიანებულ სამეფოში თემთა პალატის რეზოლუციის საფუძველზე 1861 წელს. მისი შექმნის მიზანი მთავრობის საპარლამენტო კონტროლში მდგომარეობდა.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის სისტემა ძირითადად ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი.

მეცნიერთა შეფასებით, საჯარო ანგარიშის კომიტეტი არის ყველაზე ძველი კომიტეტი გესტმინისტერის ტიპის საპარლამენტო სისტემაში. საჯარო ანგარიშის კომიტეტის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს საკანონმდებლო ორგანოს უზრუნველყოს მთავრობის ანგარიშვალდებულება პარლამენტის მიმართ, საჯარო ფინანსების და რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კუთხით²⁰⁹.

პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტი ამოწმებს საჯარო ფინანსების ხარჯვის მიზნობრიობის საკითხს და ზედამხედველობს ფისკალური დისციპლინის დამყარებას საჯარო ფინანსებში. კომიტეტს აქვს გადამწყვეტი როლი საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და პარლამენტის მიერ საბიუჯეტო პროცესების უფლებური მართვის კუთხით. საჯარო ანგარიშის კომიტეტის ფუნქციონირება ხელს უწყობს მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის სამართლებრივი რეგლამენტაციის კუთხით იურიდიული დოქტრინაში განარჩევენ შემდეგ მოდელებს: კომიტეტის სტატუსი და უფლებამოსილება განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით; საჯარო ანგარიშის კომიტეტის სტატუსი და კომპეტენციები რეგლამენტირებულია პარლამენტის რეგლამენტით და კომიტეტის სტატუსი და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია პარლამენტის აქტით.²¹⁰

პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტის სტატუსსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს ანტიგვის, ბარბუდას, ბანგლადეშისა და ზამბიის კონსტიტუციები. საჯარო ანგარიშის კომიტეტი რეგლამენტირებულია ინდოეთის, მალტის, ტანზანიისა და უგანდას რეგლამენტებში. რაც შეეხება ავსტრალიას და გაერთიანებულ სამეფოს, საჯარო ანგარიშის კომიტეტი იქმნება პარლამენტის აქტის საფუძველზე.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიზანს და შედეგს წარმოადგენს: მთავრობის მიერ ვალდებულების უკეთესად შესრულება და მმართველობა, საზოგადოების გაუმჯობესებული რწმენა მთავრობის მიმართ, უფრო მეტად ანგარიშვალდებული მთავრობა, გაუმჯობესებული საფინანსო,

content/uploads/2011/04/handbooks_and_guides/Public_Accounts_Committee_Ghana_Book_EN.pdf

²⁰⁹ Johnson N., Financial Oversight, a Handbook for Parliamentarians, World Bank Institute, 14-16, <http://gopacnetwork.org/Docs/Oversight_handbook_EN.pdf>.

²¹⁰ Stabenhurst R., Pelizzo R., and O'Brien M., Ex Post Financial Oversight: Legislative Audit, Public Accounts Committees...And parliamentary Budget Offices? OECD Parliamentary Budget Officials and Independent Fiscal Institutions, 4-th Annual meeting, 23-24 February 2012, 5-6, <<http://www.oecd.org/gov/budgeting/49778002.pdf>>.

მმართველობის სისტემა და მუშაობის პრაქტიკა საჯარო სექტორში, უკეთესად იმფორმირებული პარლამენტი და საზოგადოება.”²¹¹

მკვლევართა განმარტებით, საჯარო ანგარიშის კომიტეტის კომპეტენციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი შემდეგი უფლებამოსილებანი: საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავება, გამოძიების წარმოება მიმღინარე და გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად, მთავრობის ჩარევის გარეშე შეარჩიოს თემები, რომელზეც წარმართავს გამოძიებას, აქცენტირება მთავრობის ანგარიშვალდებულებაზე პარლამენტის წინაშე ფინანსების ხარჯვასთან დაკავშირებით²¹².

საჯარო ანგარიშის კომიტეტის უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებებს წარმოადგენს მოწმეთა და დაინტერესებულ პირთა დაბარება საკომიტეტო მოსმენაზე და მათი ვალდებულება პასუხი გასცენ კომიტეტის შეკითხებებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალდებულება დაესწრონ საჯარო ანგარიშის კომიტეტის სხდომებს და პასუხი გასცენ პარლამენტის წევრთა შეკითხებებს

ამასთანავე, საჯარო ანგარიშის კომიტეტი უფლებამოსილია შეისწავლოს ბიუჯეტის შემოსავლები და გასავლები და განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა.

საჯარო ანგარიშის კომიტეტთა ანალიზიდან ვლინდება, რომ როგორც წესი, საჯარო ანგარიშის კომიტეტები არ არიან დაკავებულნი მხოლოდ საფინანსო პოლიტიკის საკითხებით, ისინი დაკავებულნი არიან საქმით, რომელიც ეხება საფინანსო პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გზებს. საჯარო ანგარიშის კომიტეტი ძირითადად ორიენტირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო პოლიტიკის შესრულების აუდიტზე.

პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტს აქვს კომპეტენცია გამოიძიოს და შეისწავლოს ყველა საკითხი, პარლამენტის მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში²¹³.

საჯარო ანგარიშის კომიტეტი უფლებამოსილია გამოიძიოს კონკრეტული საკითხები, რომელიც უკავშირდება მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ ფინანსების აღმინისტრირებისა და განკარგვის რაციონალურობისა და ეფექტურობის კუთხით.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის სამართლებრივი სტატუსიდან გამოდინარე, იგი უფლებამოსილია გენერალურ აუდიტორთან ერთად განახორციელოს საჯარო ფინანსების მართვის რაციონალურობის შემოწმება სახელმწიფო დაწესებულებებში.

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, საჯარო ანგარიშის კომიტეტის გარდა, სხვა დარგობრივი კომიტეტების ჩართვა აუდიტის

²¹¹ Assessing the Impact and Effectiveness of the Public Accounts Committee, Parliamentary Oversight – Committees and Relationships, a Guise to Strengthening Public Accounts Committees, Public Accounts CommitteeOrientation Package, CCAF-FCVI, 6, <http://ccaf-fcv.com/attachments/260_6-Assessing-ENG.pdf>. (13.01.2015)

²¹² Stapenhurst R., Pelizzo R., M. Olson D., Von Trapp L., Legislative Oversight and Budgeting, A World Perspective, The World Bank, Washington DC, 2008, 123.

²¹³ Stapenhurst R., Pelizzo R., M. Olson D., Von Trapp L., Legislative Oversight and Budgeting, A World Perspective, The World Bank, Washington DC, 2008, 118-120.

ანგარიშის შესახებ მოხსენების განხილვაში, მნიშვნელოვნად გაზრდის პარლამენტის საკონტროლო კომპეტენციას.²¹⁴

საჯარო ანგარიშის კომიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს საპარლამენტო გამოძიება და მიიღოს ყველა ის ღოკუმენტაცია, რომელიც მას აუცილებლად მიაჩნია მისი ფუნქციების ჯეროვნად განსახორციელებლად. კომიტეტი უფლებამოსილია მის სხდომებზე მოიწვიოს მთავრობის წევრები და მიიღოს მათგან პასუხები საჯარო ფინანსების ხარჯვის კანონიერებასთან დაკავშირებით. საჯარო ანგარიშის კომიტეტი შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და აწვდის მას მთავრობის წევრებს და სხვადასხვა რელევანტურ უწყებებს.

როგორც ზოგიერთი მკაფიობრივი განმარტავს, საჯარო ანგარიშის კომიტეტის მუშაობის მნიშვნელოვან პრინციპებს წარმოადგენს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.²¹⁵

როგორც წესი, საჯარო ანგარიშის კომიტეტი მუშაობას იწყებს გენერალური აუდიტორის მოხსენების განხილვით. მას შემდეგ, რაც კომიტეტი მიიღებს მოხსენებას აუდიტის სამსახურიდან, საჯარო ანგარიშის საკომიტეტო მოსმენები არის მთავარი მექანიზმი, რომელსაც ესწრებიან სახელმწიფო უწყებები, შესაბამისი ორგანოები, კომიტეტის წევრთა კითხვებისათვის პასუხის გასაცემად.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიერ გამოძახებული თანამდებობის პირები ვალდებული არიან დაესწრონ კომიტეტის მოსმენებს. უმეტეს საჯარო ანგარიშის კომიტეტებში, პარლამენტის წევრთა კითხვები მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტული მინისტრისთვის, არამედ, სამინისტროს თანამდებობის სხვა პირისათვისაც.

გაზიარებულ უნდა იქნას მკაფიობრივი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო ანგარიშის კომიტეტის დიაობა და მისი სხდომების გამართვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, არსებითად უწყობს ხელს კომიტეტის ეფექტურობას.²¹⁶

საჯარო ანგარიშის კომიტეტის ეფექტურობას დიდწილად განაპირობებს მისი ურთიერთობა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან.

მეცნიერთა შეფასებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს თამაშობს საბიუჯეტო პროცესში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ძირითადი როლი შემოსავლებისა და ხარჯების დამტკიცებაში მდგომარეობს, ხოლო საჯარო ანგარიშის კომიტეტის ფუნქციას საბიუჯეტო თანხების განკარგვის მიზნობრიობის საპარლამენტო კონტროლი წარმოადგენს.²¹⁷

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისა და საჯარო ანგარიშის კომიტეტის ეფექტური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერებას და მისი საკონტროლო ფუნქციების ამაღლებას.

²¹⁴ იხ: იქვე, 55

²¹⁵ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in Public Finance, World Bank Parliamentary Staff Training program, 54, <<http://siteresources.worldbank.org/PSGLP/Resources/budgetall.pdf>>.

²¹⁶ Stapenhurst R., and Alandu M., The Accountability Function of the Parliament of Ghana, 18, <<http://www.american.edu/sis/africacouncil/upload/Paper-5-Alandu-Stapenhurst-Ghana.pdf>>.

²¹⁷ Krafchik W., and Wehner J., The Role of Parliament in the Budget Process, 1999, 11 <<http://www.resdal.org/Archivo/d00001e9.htm>>.

„საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და საჯარო ანგარიშის კომიტეტს შორის მჭიდრო ურთიერთობა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საჯარო ანგარიშის კომიტეტი ძირითადად ზედამხედველობს ბიუჯეტის შესრულებას, მათ შორის მონტორინგს უწევს გენერალური აუდიტორის საქმიანობას.“²¹⁸

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას, იგი ასრულებს შემდეგ აქტივობებს: იგი მართავს საჯარო მოსმენებს, სადაც იხილება მთავრობის მოხსენებები და რეკომენდაციები, იგი ახორციელებს ინსტრუქტაჟს პარლამენტის პალატის შიგნით და პრესას აძლევს ინტერვიუს“.²¹⁹

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითად, გერმანიაში, საჯარო ანგარიშის კომიტეტი საბიუჯეტო კომიტეტის ქვეყომიტების წარმოადგენს. გაერთიანებულ სამეფოში და ავსტრალიაში, სჯარო ანგარიშის კომიტეტი რეალურად არ მონაწილეობს საბიუჯეტო პროცესში. იგი უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას ბიუჯეტის განხილვის პროცესში გამართულ დებატებში, საჯარო ანგარიშის კომიტეტის არ აქვს მჭიდრო ურთიერთობა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტთან და სხვა დარგობრივ კომიტეტებთან.

ავსტრალიასა და ინდოეთში, საჯარო ანგარიშის კომიტეტები ორპალატიან კომიტეტებს წარმოადგენენ, ნიგერიაში კი პარლამენტის ორივე პალატას აქვს საჯარო ანგარიშის კომიტეტები. ინდოეთსა და ავსტრალიაში საჯარო ანგარიშის კომიტეტები მდლავრი კონტროლის კომპეტენციით გამოირჩევიან.

საჯარო ანგარიშის კომიტეტი უდაოდ წარმოადგენს გენერალური აუდიტორის პარტნიორს. საჯარო ანგარიშის კომიტეტი ახორციელებს საგამოძიებო უფლებამოსილებებს გენერალური აუდიტორის მიერ მიწოდებულ იმფორმაციებზე დაყრდნობით.

პარლამენტში ძლიერი საჯარო ანგარიშის კომიტეტის ფუნქცია უნდა მდგომარეობდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის შესრულების კონტროლში. საჯარო ანგარიშის კომიტეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს, რითაც პარლამენტი უზრუნველყოფს საბიუჯეტო კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე, ფინანსების კანონიერად და რაციონალურად განკარგვის კუთხით.

საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა ჰქონდეს გენერალური აუდიტორის მიერ წარდგენილი ანგარიშის შესწავლის შედეგად, მთავრობის მიერ ადმინისტრირებული საჯარო ფინანსების შესწავლის კომპეტენცია. საჯარო ანგარიშის კომიტეტის ძირითად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს, პარლამენტის სახელით, მთავრობის მიერ წარმოებული ფინანსური ადმინისტრირების შეფასება. საჯარო ანგარიშის კომიტეტის საქმიანობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საჯარო სექტორის რესურსების ეფექტური და ეფექტური გამოყენების სტიმულირება, ფინანსების ხარჯების პროცესის საჯაროობა, დაინტერესებული

²¹⁸ Krafchik W., and Wehner J., The Role of Parliament in the Budget Process, 1999, 11-12 <<http://www.resdal.org/Archivo/d00001e9.htm>>.

²¹⁹ Assessing the Impact and Effectiveness of the Public Accounts Committee, Parliamentary Oversight – Committees and Relationships, a Guise to Strengthening Public Accounts Committees, Public Accounts CommitteeOrientation Package, CCAF-FCVI, 6, <http://ccaf-fcv.com/attachments/260_6-Assessing-ENG.pdf>. (13.01.2015)

პირებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა პარლამენტის მიმართ.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტის წევრებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ საჯარო ანგარიშის კომიტეტის როლის გაძლიერების გზების შემუშავებას და აქცენტი უნდა გააკეთონ შემდეგ საკითხებზე: შენარჩუნებულ უნდა იქნას ქვეყნის საჯარო სექტორის ერთიანობა, გაზარდონ პარლამენტის შესაძლებლობა დაამუშავონ აუდიტორული ინფორმაციის მზარდი მოცულობა”²²⁰.

გაზიარებულ უნდა იქნას დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო ანგარიშის კომიტეტის წარმატების განმსაზღვრელია მისი შემადგენლობა, ძირითადი პოლიტიკური პარტიების დაბალანსებული წარმომადგენლობა კომიტეტში და მთავრობის მინისტრების გამორიცხვა კომიტეტის შემადგენლობიდან. საჯარო ანგარიშის კომიტეტი, დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის საქმიანობაში და დაცული უნდა იყოს მთავრობის ყოველგვარი ჩარევისაგან.²²¹

საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ერთ-ერთი საკვანძო პოსტია პარლამენტში.

ვესტმინისტერის მოდელში, საჯარო ანგარიშის კომიტეტის თანამდებობა ოპოზიციური პარტიის წევრს უკავია. ზოგიერთ ქვეყანაში, აღნიშნული თანამდებობას საჯარო ანგარიშის კომიტეტის უხუცესი წევრი იკავებს.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარის საქმიანობის ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ იგი საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას მთავრობის საფინანსო საქმიანობის ნაკლოვანებების თაობაზე და მედიას აცნობს იმ პრობლემებს, რომელიც ასახულია ეროვნული აუდიტის სამსახურის ანგარიშებში.²²²

საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარეს უკავია გადამწყვეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლებად ცნობილი კონსტიტუციური თანამდებობა. საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარე ძირითადად არის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარე, მთავრობის გარეთ არის ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია იმგვარ საკითხებზე, რომელთა დაკავშირებითაც პარლამენტს და საჯარო ანგარიშის კომიტეტის სხვა წევრებს არ მოხსენდებათ ხოლმე.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარეს უკავია ძალიან სენიტიური და გადამწყვეტი თანამდებობა. იგი იღებს საჩივრების დიდ რაოდენობას, რომელიც ეხება ინტერესთა კონფლიქტს მთავრობაში ან კორუფციულ საკითხებს. ამგვარ საჩივრებზე, ეროვნული აუდიტის სამსახური ზოგჯერ იწყებს გამოყიდვას და მის შესახებ ინფორმაციას კონფიდენციალურად აწვდის საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარეს.

²²⁰ Commonwealth Parliamentary Association, World Bank Institute, Parliamentary Financial Scrutiny: The Role of Public Accounts Committees, 7, <<http://dev.cpahq.org>>. (12.09.2014)

²²¹ იბ: იქვე, 121

²²² Dunleavy P., Gilson C., Bastow S., Tinkler J., (2009): The National Audit Office, the Public Accounts Committee and the risk landscape in UK Public Policy. URN 09/1423. The Risk and Regulation Advisory Council, London, UK, <<http://eprints.lse.ac.uk/25785/>>.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის წევრების რაოდენობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. იგი საშუალოდ მერყეობს შვიდიდან ოცდახუთ წევრამდე²²³.

როგორც ზოგიერთი მკვლევარი განმარტავს, „საჯარო ანგარიშის კომიტეტის გავლენის ტესტს წარმოადგენს არა ის, რამდენად მისაღებია მთავრობისათვის მისი რეკომენდაციები, არამედ ის, თუ როგორ ხდება მათი შესრულება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ”.²²⁴

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეფექტურმა საჯარო ანგარიშის კომიტეტმა უნდა განახორციელოს შემდეგი ვუნქციები: საჯარო ანგარიშის კომიტეტი უნდა იყოს შედარებით პატარა, კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა წარმოადგენდეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, საჯარო ანგარიშის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს უხუცესი პარლამენტარი, კომიტეტის წევრები უნდა დაინიშნონ სრული ვალით და შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით.²²⁵

ამასთანავე, კანონმდებლობაში ნათლად უნდა გაიწეროს საჯარო ანგარიშის კომიტეტის როლი და კომპეტენცია, საჯარო ანგარიშის კომიტეტის საკომიტეტო განხილვები უნდა იყოს დიდ დაინტერესებული პირებისათვის, გენერალური აუდიტორის მოხსენება ავტომატურად უნდა გადაეცეს საჯარო ანგარიშის კომიტეტს მოკვლევის დასაწყებად, საჯარო ანგარიშის კომიტეტმა წელიწადში ერთხეულ უნდა განახორციელოს ანგარიშგება პარლამენტის წინაშე.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა ჰყავდეს სტაბილური და გამოცდილი წევრები და მუდმივი თანამშრომლები. წევრთა ცვლა განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს საჯარო ანგარიშის კომიტეტზე მისი ფართო სპექტრის ინტერესების, მგრძნობელობის და კომპლექსურობიდან გამომდინარე.²²⁶

იმისათვის, რათა საჯარო ანგარიშის კომიტეტმა ეფექტურად განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლებამოსილება, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები: საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა ჰქონდეს ეფექტური ex post კონტროლის ფუნქცია, რაც მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნულმა კომიტეტმა ეფექტური კონტროლი განახორციელოს მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულებასა და ხარჯების გადების ეფექტურობაზე.

საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა გააჩნდეს მკაფიო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი. რაც გამოიხატება იმაში, რომ

²²³ მალტის პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტი შედგება შვიდი წევრისაგან, კანადის პარლამენტის ანგარიშის კომიტეტი – ჩვიდმეტი წევრისგან, განას საჯარო ანგარიშის კომიტეტი არაუმეტეს ოცდახუთი წევრისაგან ხოლო ინდოეთის პარლამენტის – ოცდაორი წევრისგან.

²²⁴ Johnson N., Financial Oversight, a Handbook for Parliamentarians, World Bank Institute, 17, <http://gopacnetwork.org/Docs/Oversight_handbook_EN.pdf>.

²²⁵ Commonwealth Parliamentary Association, World Bank Institute, Parliamentary Financial Scrutiny: The Role of Public Accounts Committees, 10 <<http://dev.cpahq.org>>. (12.09.2014)

²²⁶ Malloy J., The Standing Committee on Public Accounts, 99-100, <http://www.cbc.ca/news2/background/groupaction/v2fullreport/CISPA Vol1_3.pdf>. 17.01.2015)

კონსტიტუციაში ნათლად გაიწეროს მისი როლი და მნიშვნელობა პარლამენტის საკომიტეტო სისტემაში.

საჯარო ანგარიშის კომიტეტის საქმიანობის **პროცედურული საკითხები სასურველია გაიწეროს კომიტეტის დებულებაში.** რომელსაც დაამტკიცებს პარლამენტი.

საკანონმდებლო აქტით სათანადოდ უნდა გაიწეროს **საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, ეროვნულ ბანკთან,** რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის მიერ ეფექტური საფინანსო კონტროლის განხორციელებას.

საკანონმდებლო აქტით ნათლად უნდა გაიწეროს **საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან,** რითაც ხაზი გაესმევა აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ.

საკანონმდებლო აქტით ნათლად უნდა მოწესრიგდეს **საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტებთან და სხვა დარგობრივ კომიტეტებთან,** რითაც არსებითად გაძლიერდება პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია.

დებულებით ნათლად უნდა გაიწეროს **საჯარო ანგარიშის კომიტეტის შემადგენლობა, მისი ხელმძღვანელობის კომპეტენცია და საქმიანობის საფუძვლები.**

საკანონმდებლო აქტით ნათლად უნდა მოწესრიგდეს **საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან,** რაც მნიშვნელოვნებად გაზრდის მისი მუშაობის ხარისხს.

VI. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ორლი საფინანსო კონტროლის განხორციელებაში

საჯარო ფინანსების სფეროში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება მთავარ გამოწვევას წარმოადგენს განვითარების პროცესში მყოფი ეკონომიკური სისტემებისათვის ფისკალური პასუხისმგებლობისა და კორუფციის დაძლევის ხელშეწყობის თვალსაზრისით.²²⁷

ამ კუთხით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის საეციალური ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლი, რომელიც საპარლამენტო კონტროლის ნაირსახეობას წარმოადგენს.

დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოების ძირითად ფუნქციას ტრადიციულად წარმოადგენს მთავრობის მიერ განხორციელებული ფინანსების მენეჯმენტზე ზედამხედველობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ფინანსების ერთიანობა და შემოწმებულ იქნას მთავრობის ფინანსური ინფორმაციის სარწმუნობა. დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოები ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების გზით უზრუნველყოფენ კანონის უზვნაუსობის დამკვიდრებას საჯარო ფინანსებში.

საბიუჯეტო პროცესში უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების როლი ვლინდება როგორც წინასწარი საფინანსო კონტროლის (ex ante financial control) ისე შემდგომი საფინანსო კონტროლის (ex post financial control) ეტაპზე.

საბიუჯეტო პროცესში ჩართულ მნიშვნელოვან აქტორებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ეროვნული ბანკი წარმოადგეს.

საბიუჯეტო პროცესის საჯაროობისა და უართოდ წარმომადგენლობითობის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბიუჯეტის განხილვის პროცედურა საქართველოს პარლამენტში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვაში პარლამენტის სტრუქტურებთან ერთად მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ეროვნული ბანკი. ისინი ბიუჯეტის განხილვის ყველა ეტაპზე არიან ჩართული.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 183-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს აუდიტის სამსახურსა და ეროვნულ ბანკს განსახილველად წარედგინება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ისე მისი შესრულების ანგარიში და ქვეყის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახური ე.წ გარე საპარლამენტო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური კონტროლის დაწესებულებაა, რომლის მეშვეობითაც სწორედ პარლამენტი ახორციელებს კონტროლს. ეს ერთგვარი საპარლამენტო „საცეცია“, პარლამენტის ყოველდღიური საკონტროლო საქმიანობის შეუძლებლობის საკომპენსაციოდ.“²²⁸

²²⁷ Santiso C., Auditing, accountability and anti-corruption: how relevant are autonomous audit agencies?, GCR, 2007, 358, <www.transparency.org>.

²²⁸ ჯიბრაშვილი ზ., პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებაზე საბიუჯეტო სფეროში, თბ., 2015, 3, <<http://emc.org>>.

წინასწარი საფინანსო კონტროლის ეტაპზე,²²⁹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც გარე საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანო, პარლამენტს წარუდგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ასევე, მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენების თაობაზე. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის 184-ე მუხლის თანახმად, გენერალური აუდიტორი, მისი კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე, პარლამენტის პლენარის სხდომაზე წარადგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ამ პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ, ასევე, მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს მთავრობის მოხსენების თაობაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი საბიუჯეტო პროცესში დიდწილად მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს.

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად „საჯარო სახსრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და სარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.“

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უმაღლესი მაკონტრლებელი ორგანო, წინასწარ და შემდგომ კონტროლს უწევს საჯარო ფინანსების რაციონალურ და კანონიერ ხარჯვას ქვეყანაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საშუალებით, საქართველოს პარლამენტი ახორციელებს ეფექტურ საფინანსო კოტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე.

ზოგადი კლასიფიკაციის თანახმად „არსებობენ ორი ტიპის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტები – სასამართლოს მოდელი და გენერალური აუდიტორის მოდელი²³⁰, თუმცა არსებობს სხვადასხვა ვარიაციები და ჰიბრიდული მოდელები.“

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალური აუდიტორის მოდელი გამოირჩევა პარლამენტთან უფრო ახალო ურთიერთქმედებაში, ვიდრე აუდიტორული სასამართლოს მოდელი. სასამართლოს მოდელი აქცენტირებას აკეთებს ხარჯების გაწევის კანონიერებაზე მაშინ, როდესაც გენერალური აუდიტორის მოდელი აქცენტს აკეთებს შესრულების აუდიტზე.”²³¹

გენერალური აუდიტორის მოდელის მაკონტროლებელი ორგანოები უფრო აქტიურ როლს ასრულებენ საბიუჯეტო პროცესში როგორც წინასწარი, ისე შემდგომი საფინანსო კონტროლის ეტაპზე.

პარლამენტის წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლის თვალსაზრისით, ზოგიერთი მეცნიერი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს: დამოუკიდებელი უწყებები,

²²⁹ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს.

²³⁰ გენერალური აუდიტორის მოდელი არსებობს საქართველოში.

²³¹ Wehner J., Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in Public Finance, World Bank Parliamentary Staff, Training Program, 48;

<<http://siteresources.worldbank.org/PSGLP/Resources/budgetall.pdf>>.

რომლებიც ანგარიშს აპარებენ საკანონმდებლო ორგანოს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს აუდიტის სამსახური, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ანგარიშგების სამსახური), დამოუკიდებელი სასამართლოები მართლმსაჯულების ფუნციებით (იტალიის საანგარიშო სასამართლო), დამოუკიდებელი უწყებები აღმასრულებელი ხელისუფლების ქვეშ (იაპონიის აუდიტის საბჭო).²³²

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოების სტანდარტულ ტიპებად კლასიფიცირება ხორციელდება მათი ინსტიტუციური მახასიათებლებისა და ფუნქციების მიხედვით.²³³

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გარე საფინანსო კონტროლის ორგანოების ტიპებად კლასიფიცირების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს აღნიშნული ორგანოების ჩართულობა ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში.²³⁴

მონოკრატიული ტიპის²³⁵ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ დამოუკიდებელ მაკონტროლებელ ორგანოს სათავეში უდგას ერთი პირი – გენერალური აუდიტორი. ეს ორგანო წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოს დამხმარე ინსტიტუტს ფართო ავტონომიით. ამ მოდელის პირობებში ძირითადი აქცენტი კეთდება უფრო ex post აუდიტზე, ვიდრე ex ante კონტროლზე. მონოკრატიული მოდელი უპირატესობას ანიჭებს ფინანსურ და ვალდებულებით შესრულების აუდიტს (შემოწმებას) სამართლებრივი ნორმების დაცვის კონტროლთან შედარებით. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს ჩილე. ამ ორგანოს კონტროლი უფრო მიმართულია კორექტირებისაკენ (შეცდომების გამოსწორებისაკენ), ვიდრე დასჯისაკენ. მონოკრატიული მოდელი ძირითადად ფუნქციონირებს ანგლო-საქსურ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, კანადა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა (ჩილე, კოლუმბია, მექსიკა, კერუ).

მონოკრატიული მოდელის შეფასებისას, არ უნდა იქნას გაზიარებული მეცნიერ კარლოს სანტისოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მოდელის პირობებში, ძირითადი აქცენტი კეთდება შემდგომ საფინანსო კონტროლზე, წინასაწარ საფინანსო კონტროლთან შედარებით. პირიქით, მონოკრატიული მოდელის პირობებში, გარე საფინანსო კონტროლის ორგანო ერთდროულად ახორციელებს საფინანსო კონტროლს ex ante და ex post ფაზებზე. სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების დროს, იგი იხილავს მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და იმავდრულად მთავრობის ანგარიშს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.²³⁶

²³² Pausner Paul L., George Maison University, Legislatures and Budgeting, 2015, 24, <<http://www.oecd.org/gov/budgeting/39895281.pdf>>.

²³³ Santiso C., Eyes Wide Shut? The Politics of Autonomous Audit Agencies in Emerging Economies, CIPPEC, 31 de mayo de 2007, 8-9, <www.papers.ssrn.com>.

²³⁴ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების წინასაწარ და შემდგომ ეტაპზე ჩართულობის კუთხით, შესაძლებელია გამოიყოს გარე საფინანსო კონტროლის მონოკრატიული, ბორდისა და სასამართლოს მოდელები.

²³⁵ აღნიშნული კლასიფიკაცია და მონოკრატიული მოდელის აღწერა მეცნიერ კარლოს სანტისოს კუთვნის.

²³⁶ საქართველო, ჩილე, მექსიკა.

• **სასამართლო მოდელი²³⁷** შედგება აუდიტორთა კოლეგიური სასამართლოს ან საანგარიშო ტრიბუნალებისაგან. აღმინისტრაციულ საქმეებზე მათ გააჩნიათ კვაზი სასამართლო უფლებამოსილება, რომლებიც ხშირად მოქმედებენ აღმინისტრაციული ტრიბუნალის ფორმით. ისინი ძირითად აქცენტს აკეთებენ სამართლებრივი ნორმების დაცვის შემოწმებაზე ვალდებულების შესრულების შემოწმებასთან შედარებით. საკანონმდებლო ორგანოსთან მათი კავშირი უფრო სუსტია მონოკრატიულ მოდელთან შედარებით. რომანული სამართლის ქვეყანათა რიცხვიდან ამ მოდელს მიეკუთვნება საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ლათინურ ამერიკაში კი ბრაზილია და ელ სალვადორი.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალსახად გარკვეულ ქვეყანათა ამ მოდელისადმი მიკუთვნება საქმაოდ რთულია.²³⁸

სასამართლოს მოდელი ძირითადად გამოირჩევა პასიური როლით საბიუჯეტო პროცესის როგორც წინასწარ, ისე შემდგომი კონტროლის ეტაპზე და აქცენტს აკეთებს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების კუთხით.

ბორდის (საბჭოს) მოდელი²³⁹ წარმოადგენს გარკვეულ ინსტიტუციურ ჰიბრიდს. იგი გამოირჩევა აუდიტორთა ბორდის (საბჭოს) მიერ გადაწყვეტილებების კოლეგიურად მიღებით მსგავსად სასამართლო მოდელში ტრიბუნალებისა. მათ არ გააჩნიათ იურისდიქციული ან კვაზი-სასამართლო უფლებამოსილება. ბორდის მოდელის პირობებში დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო გამოსცემს აუდიტორული შემოწმების დასკვნას სამთავრობო ანგარიშის უტყუარობისა და საიმედოობის თაობაზე, რომელსაც იხილავს საკანონმდებლო ორგანო. აღნიშნული მოდელი არსებობს გერმანიაში, პოლანდიაში, შვედეთში და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში (არგენტინა და ნიკარაგუა).

ბორდის მოდელში ძირითადი აქცენტი კეთდება შემდგომ საფინანსო კონტროლზე წინასწარ საფინანსო კონტროლთან შედარებით.²⁴⁰

უნდა აღინიშნოს, რომ სამიგე მოდელს გააჩნია საერთო მახასიათებლები, რაც მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. ეს მახასიათებლებია: უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და მათი მეტ-ნაკლები ანგარიშგალდებულება საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ცალსახად რომელიმე ქვეყნის დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოს ზემოაღნიშნულ სამ მოდელთაგან რომელიმესათვის მიკუთვნება, მაიც უნდა აღინიშნო, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური შესაძლებელია მიკუთვნებულ იქნას მონოკრატიული მოდელისათვის, შემდეგი მიზეზების გამო:

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური არსებული, ფუნქციური, ორგანიზაციული და ფინანსური სტატუსით არის

²³⁷ აღნიშნული კლასიფიკაცია და სასამართლო მოდელის აღწერა მეცნიერ კარლოს სანტისოს ეკუთვნის.

²³⁸ ხაზგასმა ჩემია.

²³⁹ აღნიშნული კლასიფიკაცია და ბორდის მოდელის აღწერა მეცნიერ კარლოს სანტისოს ეკუთვნის.

²⁴⁰ ხაზგასმა ჩემია.

თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი, რომლის ძირითად ფუნქციას აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობა წარმოადგენს.

VII. საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმები

საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმების საშუალებით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ზედამხედველობს საჯარო ფინანსების მართვას და პარლამენტის წინაშე ანგარიშების. ინტერპელაციის, კითხვა/შეკითხვის, საგამოძიებო კომისიის, იმპიჩმენტისა და უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის გამოყენებით, პარლამენტო ზედამხედველობს და საფინანსო კონტროლს უწევს ადმასრულებელ ხელისუფლებას. აღნიშნული მექანიზმების ეფექტური გამოყენება პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის გამოყენება კარგი მმართველობის წინაპირობას წარმოადგენს.

7.1 ინტერპელაცია და კითხვა/შეკითხვა – საპარლამენტო კონტროლის ფორმები საქართველოში

მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორია მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის სხვადასხვა ფორმებს იცნობს, როგორიცაა: ინპიჩმენტი, სამთავრობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხილვა, საკომიტეტო კონტროლი, ინტერპელაცია, კითხვა/შეკითხვა, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება, საგამოძიებო კომისიების მიერ განხორციელებული კონტროლი და სხვა.

ზოგიერთი მეცნიერი განარჩევს „ორი ტიპის საპარლამენტო კონტროლს: ორდინალურს და ექსტრაორდინალურს.“

ორდინალური საპარლამენტო კონტროლის სახეებია: სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება და მთავრობის ანგარიშება პარლამენტის წინაშე.

ექსტრაორდინალური საპარლამენტო კონტროლის სახეებს განეკუთვნება: ინტერპელაცია, პარლამენტის წევრთა კითხვები, საგამოძიებო კომისია და მთავრობის გადაყენება უნდობლობის გამოცხადების გზით. ²⁴¹ ექსტრაორდინალური კონტროლის ფორმას წარმოადგენს იმპიჩმენტიც²⁴².

როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს „ექსტრაორდინალური საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები ძირითადად გამოიყენება როგორც ad hoc²⁴³ ინსტრუმენტები საპარლამენტო ოპოზიციის მიერ პარლამენტში პოლიტიკური კონფრონტაციებთან დაკავშირებით.“²⁴⁴

არ უნდა იქნას გაზიარებული მკვლევართა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერპელაცია და კითხვა/შეკითხვა ad hoc კონტროლის მექანიზმებს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტები მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მუდმივ მიზანს ემსახურება და საჯარო ფინანსების კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

²⁴¹ Shala M., Politic Control of Public Administration from Assembly of Kosovo, Academic Journal of Interdisciplinary Studies, MCSEr Publishing, Rome-Italy, Vol 4 No 2 SI, August 2015, 140-145.

²⁴² ხაზგასმა ჩემია.

²⁴³ სპეციალური, კონკრეტული მიზნისთვის განკუთვნილი

²⁴⁴ Bagrami A., Parliamentary Democracy (Comparative Aspects), fourth edition, Prishtina, 103.

საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის სხვადასხვა სახეები ყველა დემოკრატიულ ქვეყანას გააჩნია, მიუხედავად მმართველობის ფორმისა. მმართვა-გამგეობის ფორმები გავლენას ახდენენ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების სამართლებრივ შედეგებზე. საპარლამენტო მმართველობის ქვეყანაში ინტერპელაციის პროცედურას შეიძლება მოჰყვეს უნდობლობის გამოცხადება ან/და გაკიცხვის რეზოლუციის მიღება.

ექსტრაორდინალური საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებისას, სასურველია, თითოეული მმართველობის ფორმის ფარგლებში გაანალიზდეს პარლამენტარიზმისა და პრეზიდენტიალიზმის დამახასიათებელი ნიშნები და მათი გამოვლინებები საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას. არის შემთხვევები, როდესაც საპარლამენტო სისტემებმა შესაძლოა გარკვეული უფლებამოსილების შესრულებისას იფუნქციონირონ, როგორც საპრეზიდენტო სისტემებმა და პირიქით.²⁴⁵

საპრეზიდენტო სისტემებში, „სადაც ხელისუფლების მკაფრი დანაწილების პრინციპი მოქმედებს მთავრობა არც თუ ისე მიმზიდველად გამოიყერება“.²⁴⁶

ინტერპელაცია და კითხვა/შეკითხვა ეფაქტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს საბიუჯეტო კონტროლის განხორციელებისას, როგორც ბიუჯეტის მიღების²⁴⁷ ისე ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე.²⁴⁸ აღნიშნული მექანიზმების გამოყენება ხელს უწყობს საბიუჯეტო კონტროლის ეფექტურ განხორციელებას მთავრობის საქმიანობაზე და პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სიძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთანავე, საპარლამენტო ინტერპელაციისა და კითხვა-შეკითხვის ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს საპარლამენტო ოპოზიციას ზედამხედველობა გაუწიოს საჯარო ფინანსების მართვასა და მის რაციონალურ გამოყენებას მთავრობის მიერ.

პარლამენტის, როგორც ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი ძირითადად, პოლიტიკური ხასიათის მატარებელია. აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც პარლამენტის წინაშე პოლიტიკურად პასუხისმგებელი ორგანო, ვალდებულია პარლამენტის მიერ განსაზღვრული საჭირო და საგარეო პოლიტიკა განახორციელოს, თუ არ მოხდება უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ განსაზღვრული კურსის გატარება, შესაძლებელია მთავრობის ნდობა-უნდობლობის საკითხიც დადგეს. ინტერპელაციის, როგორც შეკითხვის ერთ-ერთი სახის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შედეგად პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მთავრობის გადაყენება შეიძლება მოჰყვეს.

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო როგორც წესი, მთავრობის საფინანსო კონტროლისათვის ისეთ მექანიზმებს იყენებს

²⁴⁵ Albert R., The Fusion of Presidentialism and Parliamentarism, American Journal of Comparative Law 57, 2009, Boston, 531-532, <<http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1515&context=lsfp>>.

²⁴⁶ Ackerman B., The New Separation of Powers, Harvard Law Review, Vol.113, January 2000, 663, <<http://abdet.com.br/site/wp-content/uploads/2014/11/The-New-Separation-of-Powers.pdf>>.

²⁴⁷ წინასწარ საბიუჯეტო კონტროლი

²⁴⁸ შემდგომი საბიუჯეტო კონტროლი

როგორიცაა: ზეპირი და წერილობითი შეკითხვა, ინტერპელაცია²⁴⁹, სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებული კონტროლი, გაკიცხვის რეზოლუცია, უნდობლობის ვოტუმი, საპარლამენტო მოსმენები და სხვა.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პარლამენტის წინაშე მინისტრებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულება ყოველთვის არ გულისხმობს მათ პასუხისმგებლობას, ხოლო პასუხისმგებლობა თუ ის არსებობს (მმართველობის საპარლამენტო და შერეული მმართველობის დროს), ანგარიშვალდებულებასაც მოიცავს. ასეთი ფორმის სახელმწიფოების კონსტიტუციებში საუბარია მხოლოდ გარკვეულ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ აქ ანგარიშვალდებულებაც უდავოდ იგულისხმება.”²⁵⁰

საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმები პარლამენტის საფინანსო კონკეტენციის განხორციელების მფაქტურ მექანიზმებს წარმოადგენს. კითხვა/შეკითხვისა და ინტერპელაციის ინსტრუმენტების გამოყენებით, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ზედამედველობს საჯარო ფინანსების მართვას საფინანსო კონტროლის როგორც წინასწარ (ex ante) ისე შემდგომ (ex post) ეტაპებზე.

კითხვა/შეკითხვისა და ინტერპელაციის მექანიზმების გამოყენებით, უმდლესი წარმომადგენლობითი ორგანო ახორციელებს ფისკალური წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში.

საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებისათვის ძირითადად, დამახასიათებელია საფინანსო კონტროლის ისეთი მექანიზმი როგორიცაა ინტერპელაცია. ინტერპელაციის ინსტიტუტს ჯერ კიდევ საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა, იგი გულისხმობდა პარლამენტის მიერ მთავრობის წევრებისგან ახესნა-განმარტებების მოთხოვნის უფლებას.²⁵¹

მეცნიერებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ინტერპელაციასა და კითხვა-შეკითხვის გამიჯვნის კუთხით, რომელიც შედევის თვალსაზრისით, გარკვეულ გავლენას ახდენს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციაზე

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი „ინტერპელაციას საპარლამენტო კონტროლის ცალკე ფორმად მიიჩნევს, რომელიც პარლამენტს უფლებას აძლევს მოსთხოვოს მთავრობას ანგარიში მისი საქმიანობის შესახებ, ხოლო შეკითხვას განმარტავს პრლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ინფორმაციის მიღებისა და მისდამი კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმად, რაც პარლამენტს ეხმარება დროულად გამოავლინოს მმრთველობის საქმიანობაში დაშვებული შეცდომები და ხელი შეუწყოს მათ ამ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებაში.”²⁵²

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი ქართველი კონსტიტუციონალისტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ინტერპელაცია შეკითხვის ერთ-ერთი ფორმაა. შეკითხვა ორი სახისაა: მარტივი შეკითხვა და ინტერპელაცია. მარტივი შეკითხვა არ საჭიროებს

²⁴⁹ ძირითადად საპარლამენტო და შერეული მმართვა-გამგეობის ქონე ქვეყნებში.

²⁵⁰ წაქაძე ი; საპარლამენტო კონტროლი საქართველოში, ალმანახი 2001, №16, სახელმწიფო სამართლალი, 7, <<http://www.nplg.gov.ge>>,

²⁵¹ Constitution de 1791, <<http://www.conseil-constitutionnel.fr/conseil-constitutionnel/francais/la-constitution/les-constitutions-de-la-france/constitution-de-1791.5082.html>>.

²⁵² გინჯოლავა ზ., საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ; 1993, 50.

სპეციალურ პროცედურას, შედის ზეპირი სახით და ასევე მიიღება პასუხიც – განხილვის გარეშე, თუ ამას პარლამენტი არ მოითხოვს. ინტერპელაციის დროს შეკითხვა პარლამენტში შეიტანება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხთა ირგვლივ; დგინდება პასუხის გაცემის ვადა, რომელიც ასევე წერილობით გაიცემა. პლენარულ სხდომაზე პასუხის განხილვას მოსდევს კამათი და შეიძლება დამთავრდეს მთავრობის, პრემიერ მინისტრის ან ცალკეული მინისტრის მიმართ გაკიცხვის რეზოლუციის მიღებით, რომელსაც შეიძლება ნდობის საკითხზე კენჭისყრა და მაშასადამე, მათი გადადგომა მოჰყვეს.”²⁵³

ინტერპელაციისგან²⁵⁴ განხილვებით, ზეპირი შეკითხვა არის აღმსარულებელი ხელისუფლებისადმი მიმართული მოთხოვნა, განმარტება მისცეს საკანონმდებლო ხელისუფლებას საჯარო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხთან, მათ შორის საფინანსო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ზეპირი შეკითხვის მექანიზმი არ გულისხმობს პოლიტიკური სანქციების გამოყენებას გაკიცხვის რეზოლუციის ან უნდობლობის გამოცხადების ქუთხით.

სრულად იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ინტერპელაცია უპირველეს ყოვლისა იწვევს კამათს და შეიცავს პოლიტიკურ სანქციას, ვინაიდან კამათი მთავრდება კენჭისყრის საფუძველზე რეზოლუციის მიღებით, რაც გამოხატავს პარლამენტის კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას მთავრობის მოცემულ განმარტებაზე.”²⁵⁵

ინტერპელაცია საკმაოდ მძლავრი მექანიზმია პარლამენტის მიერ საფინანსო კონტროლის კომპეტენციის განხორციელებისას, რაც გამოიხარება იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებობას ან საჯარო ფინანსების არამიზნობრივ მართვას შედეგად შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მისთვის უნდობლობის გამოცხადება მოჰყვეს.

საფინანსო სფეროში ინტერპელაციის და კითხვა-შეკითხვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ დეპუტატთა კითხვებზე მთავრობის წევრთა პასუხები შესაძლებელია გახდეს პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტისა და კონტროლის უმაღლესი ორგანოების მხრიდან მთავრობის საქმიანობაზე მოკვლევისა და გამოძიების დაწყების წინაპირობა.

ინტერპელაციის, როგორც პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო კოტროლის მექანიზმის ეფექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ავალდებულებს მთავრობას, არა მხოლოდ პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას, არამედ ამტკიცოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე მთავრობის საფინანსო პოლიტიკის მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა.

ინტერპელაციის, როგორც პარლამენტის საფინანსო კონტროლის ფორმის სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ მაგალითად ზოგიერთ

²⁵³ გელქაძე თ., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ; 1996, 130-131

²⁵⁴ შეკითხვის ერთ-ერთი ფორმა.

²⁵⁵ წაქაძე ი.; საპარლამენტო კონტროლი საქართველოში, აღმანახი 2001, №16, სახელმწიფო სამართალი, 3, <<http://www.nplg.gov.ge>>.

ქვეყანაში²⁵⁶ ინტერპელაციაზე მთავრობის პასუხის გაუცემლობამ შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის დატოვება გამოიწვიოს.

ინტერპელაციას, როგორც საპარლამენტო შეკითხვის ერთ-ერთ სახეს, მათ შორის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საფინანსო კომიტეტის განხორციელებისას შემდეგი მახასიათებლები გააჩნია:

- ინტერპელაციის გამოყენების წინადადება პარლამენტის წევრთა გარკვეული ჯგუფის მიერ არის ინიცირებული;
- ინტერპელაციის წინადადება ფორმდება წერილობით და შემდეგ რეკვიზიტებს მოიცავს: საკითხის ზუსტი ფორმულირება, ინტერპელაციის გამოყენების დასაბუთება, დეპუტატთა ჯგუფის დასახელება და ხელმოწერა, ინტერპელაციის ტექსტის შინაარსი კენჭისყრაზე წარსადგენად;
- დეპუტატთა ჯგუფის ინტერპელაცია წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს ან პალატის სპიკერს, რომელიც მას გადასცემს მთავრობას;
- ინტერპელაცია პლენარული სესიის დღის წესრიგში მოხვდება მასზე მთავრობის პასუხის შემდეგ;
- ინტერპელაციის მექანიზმი გულისხმობს მთავრობის, პრემიერ-მინისტრის ვალდებულებას პასუხი გასცეს პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიერ დასმულ შეკითხვებს და დაიცვას პოზიცია პარლამენტის წინაშე;

მისაღებია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერპელაცია წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მცირე საშუალებებიდან, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციას აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის კუთხით.²⁵⁷ ინტერპელაციის მექანიზმი საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მკაფიოებელის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერპელაცია წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების წინადმდეგ პრევენციულ მექანიზმს.²⁵⁸ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილების არამიზნობრივად და თვითნებურად გამოყენების საფრთხე კველაზე მეტად საჯარო ფინანსების განკარგვაში ვლინდება. ინტერპელაციისა და კითხვა/შეკითხვის ინსტრუმენტის გამოყენებამ შესაძლებელია ხელი შეუწყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული გადაცდომების პრევენციას საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით.

²⁵⁶ ელ-სალვადორი, ელ-სალვადორის კონსტიტუცია, 165-ე მუხლი <<http://www.asamblea.gob.sv/eparlamento/indice-legislativo/buscadordedocumentos-legislativos?palabrasInteres=&tipoDocumento=AcuerdosdeReformaalaConstitucion>>

²⁵⁷ Extracted from Funding of Combating Corruption: Constitutional Frameworks fro the Middle East and North Africa, Center for Constitutional Transitions, International IDEA and the United Nations Development Programme 2014, <http://www.idea.int/publications/combatting-corruption/upload/combatin_corruption_e4.pdf>.

²⁵⁸ Lehoucq F., Constitutional Design and Democratic Performance in Latin America, Mexico City, 2005, 3, <<https://repositories.lib.utexas.edu/bitstream/handle/2152/4081/lehoucq.pdf?sequence=2&isAllowed=y>>.

უნდა აღინიშნოს, რომ „აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო კონტროლი ინტერპელაციისა და „საგამოძიებო კომისიების“ საშუალებით პარლამენტარიზმის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს“.²⁵⁹

„ინტერპელაცია წარმოადგენს პარლამენტის მიერ განხორციელებული პირდაპირი კონტროლის ფორმას.²⁶⁰ მისი გამოყენებით, პარლამენტის ახორციელებს მთავრობის კონტროლს მის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებებისა და საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების კუთხით.

კითხვა-შეკითხვისა და ინტერპელაციის მექანიზმი მთავრობის საფინანსო კონტროლის ეფექტური მექანიზმია. აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველწლიურად მიმართავს პარლამენტს, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღებასთან ან მასში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კუთხით. აღნიშნული ინსტრუმენტები ხელს უწყობენ პარლამენტის სტრუქტურებისა და დეპუტატთა ჯგუფების თანამშობლობას და მათი ძალისხმეულის კონსოლიდაციას აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობასა და კონტროლობას დაკავშირებით.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „ბოლო ათწლეულებში მთელი რიგი ქვეუნების პარლამენტებში აღინიშნება საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მექანიზმების გამკაცრება. კერძოდ, 1974 წლის ივნისში საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ შემოიღო კონტროლის სრულიად ახალი ფორმა და ადრე არსებულ ზეპირ შეკითხვებთან ერთად დააწესა მთავრობის კონტროლის უფრო ქმედით მექანიზმი - „შეკითხვები მთავრობას“. ამას დაემატა ისიც, რომ 1977 წლის ივლისიდან საფრანგეთის პარლამენტის საკონტროლო და საგამოძიებო კომისიები აღიჭურვა ახალი მნიშვნელოვანი პრეროგატივებით, ამასთან 1979 წლიდან შეიქმნა ახალი მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებიც იძლევა აღმინისტრაციის გაკონტროლების უფრო ქმედით მექანიზმებს და უფრო მეტ საშუალებას“. ²⁶¹

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის რეგულაცია ინტერპელაციის შინაარსის მატარებელია, რადგან მთავრობის პასუხს შესაძლებელია საპარლამენტო კამათი და განხილვები მოჰყვეს.

ინტერპელაცია წარმოადგენს პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებას, რომლის ძირითადი არსი მთავრობასთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაა. ინტერპელაციის მექანიზმი, იმ დეპუტატებს, რომლებიც უმრავლესობის პოზიციებს არ იზიარებენ, საშუალებას აძლევთ საპარლამენტო კონტროლი გაუწიონ მთავრობის საქმიანობას და

²⁵⁹ Cheibub J.A., Elkins Z., Ginsburg T., Beyond Presidentialism and Parliamentarism, The University of Chicago Law School, December 2013, 9-10.

²⁶⁰ კელუხჯერიძე ი.; თანამედროვე გერმანიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობა, აღმანახი 2004, №21, სახელმწიფო სამართლი, 4, <<http://www.nplg.gov.ge>>,

²⁶¹ დოქტორანტ მამუკა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი ოქმაზე: უშუალო და წარმომადგენლობითი მმართველობა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2010, 109, <<http://www.nplg.gov.ge>>.

საზოგადოების წინაშე წარმოადგინონ ხედვები საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების შესახებ.

ინტერპელაცია არის პარლამენტის წევრის მთავრობისათვის მიმართვის უფლებამოსილება და მთავრობის ვალდებულება მიაწოდოს დეპუტატს ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ინტერპელაცია მხოლოდ კითხვა-შეკითხვის რეჟიმით არ შემოიფარგლება. მისი არსი მთავრობის წევრისათვის მოთხვილი დოკუმენტებისა და მოსაზრებების წარმოდგენისა და ინფორმაციის გაცვლის ვალდებლებაში მდგომარეობს.

როგორც წესი, ინტერპელაციის უფლება აქვს როგორც პარლამენტის ცალკეულ წევრს და დეპუტატთა ჯგუფს, ისე, პარლამენტის სტრუქტურულ ერთეულებს.

ინტერპელაციისა და კითხვა-შეკითხვების მექანიზმის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზიდან შეიძლება დახსკვნას. რომ გვევთრი მიჯნა არ არის გავლებული ინტერპელაციისა და შეკითხვის მექანიზმს შორის. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების გამოცდლევიდან ვლინდება. რომ თავად ინტერპელაციის რამდენიმე გარიაციები მოქმედებს, ამასთანავე, ზოგიერთი ქვეყნის საპარლამენტო სისტემა იცნობს შეკითხვების სხვადასხვა სახეობებს, მათ შორის „დიდ შეკითხვას“ და „მარტივ შეკითხვებს“. მათ შორის განსხვავება ძირითადად განხილვის პროცედურასა და თანმდევ სამართლებრივ შედეგებში მდგომარეობას.

ინტერპელაციის მექანიზმი ძირითადად საპარლამენტო და შერეული მმართველობის ქვეყნებში გამოიყენება. სადაც ძლიერია საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე და მთავრობის ანგარიშვალდებულება ძლიერი საფინანსო და საპარლამენტო კონტროლით მიიღწევა.

შევეთში ინტერპელაციისა და შეკითხვის მექანიზმები არსებითად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. საპარლამენტო კონტროლის ორივე ფორმას მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოსდევს. შევეთში ინტერპელაციის შეტანა ხდება პალატის ნებართვით, რომელსაც მთავრობა წერილობით პასუხობს.²⁶² შვედეთში არსებობს შეკითხვის სამი ტიპი: ზეპირი და წერილობითი შეკითხვა, ინტერპელაცია.

ინტერპელაციისა და კითხვა-შეკითხვის მექანიზმის პროცედურა მკაცრი რეგლამენტით გამოირჩევა, რათა პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების მიკერძოებლად გამოყენება არ განხორციელდეს.

კითხვა-შეკითხვის ინსტიტუტი საკმაოდ რეგლამენტირებულია თურქეთის პარლამენტში, რომლის ინიციატორები თურქეთის პარლამენტის წევრები და დეპუტატთა ცალკეული ჯგუფები არიან²⁶³.

ფინეთში ინტერპელაცია აღმასრულებელი ხელისუფლების მძღვრი კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.

უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საპარლამენტო კონტროლი ფინეთის

²⁶² Constitution of Sweden, The Fundamental Laws and the Rikstag Act, chapter. 6, 174, <<https://socialsciences.exeter.ac.uk/media/universityofexeter/collegeofsocialsciencesandinternationalstudies/politics/research/statorg/sweden/ngolawsite/constitution - English.pdf>>.

²⁶³ Constitution of the Republic of Turkey, 1995, article 98-99, <https://global.tbmm.gov.tr/docs/constitution_en.pdf>.

პარლამენტარიზმის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.²⁶⁴ ფინეთში შეკითხვების ოთხი სახე მოქმედებს: ზეპირი შეკითხვა, წერილობითი შეკითხვა, ინტერპელაცია და შეკითხვა სახელმწიფო საბჭოს.

იტალიაში არსებობს შეკითხვის სამი ტიპი: წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა და ინტერპელაცია.

საფრანგეთის საპარლამენტო ცხოვრებაში არის ოთხი სხვადასხვა შეკითხვა: წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა დებატების გარეშე, ზეპირი შეკითხვა დებატებით, შეკითხვები საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.

პოლანდიის პარლამენტში მოქმედებს სამი სახის შეკითხვა: წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა და ინტერპელაცია.

გერმანიაში ინტერპელაციის ფორმა „დიდი შეკითხვის“ სახელწოდებით არის ცნობილი. გერმანიაში ინტერპელაციის მექანიზმს შეკითხვის ერთ-ერთ სახედ თვლიან. იგი უნდა შეიტანოს არანაკლებ 30 წევრმა. „დიდი შეკითხვის“ შედეგად ხშირად ბუნდესტაგში ფართო დებატები იმართება. გერმანიაში საპარლამენტო ცხოვრებაში მოქმედებს 6 სხვადასხვა სახის შეკითხვების სახეობა: „დიდი შეკითხვა“, მცირე ინტერპელაცია, წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა, გადაუდებელი შეკითხვა და ფედერალური მთავრობისადმი მიმართული შეკითხვა. ძირითადად, გერმანიაში საპარლამენტო კონგროლის შემდეგი ფორმები მოქმედებს: მცირე და დიდი ინტერპელაცია²⁶⁵, წერილობითი კითხვები და შეკითხვის დრო.²⁶⁶

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „დიდი შეკითხვა“ საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან მთავრობის კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.²⁶⁷ პარლამენტებში არსებობს ოპოზიციის დღე, რა დროსაც შეკითხვების დასმა მხოლოდ ოპოზიციის მიერ ხორციელდება. ამ დროს, საპარლამენტო ოპოზიციას ემდევა უნიკალური შესაძლებლობა შეკითხვები დაუსვას მთავრობას საჯარო პოლიტიკასთან, მათ შორის, ფედერალურ საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.

ირლანდიაში არსებობს ორი ტიპის შეკითხვა: ზეპირი და წერილობითი შეკითხვები.

ფილი ბრიტანეთისათვის ცნობილი არ არის ინტერპელაციის მექანიზმი. მას ჰგავს პროცედურა „წინადადება სხდომის გადადების

²⁶⁴ Lavapuri J., Ojanen T., Scheinin M., Rights-based Constitutionalism in Finland and the Development of pluralist constitutional review, International Journal of Constitutional Law, Volume 9, Issue 2, 1, <<http://icon.oxfordjournals.org/content/9/2/505.full>>.

²⁶⁵ მცირე და დიდი ინტერპელაციას საქმაოდ ხშირად იყენებს ბუნდესტაგი, როგორც საპარლამენტო კონტროლის ფორმას. წერილობითი ფორმით ინტერპელაციის პროცედურის დაყენების უფლება აქვს პარლამენტის წევრთა 5 %-ს. მოთხოვნა ეგზავნებოდა ბუნდესტაგის თავმჯდომარებელი ვინაიდან დიდი ინტერპელაცია ძირითადად ეხება მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს, პლენარულ სხდომაზე მისი დაყენების უფლება აქვთ ოპოზიციურ პარტიებს.

²⁶⁶ შეკითხვებს ძირითადად ბუნდესტაგის ცალკეული წევრები სვამენ. ყოველ თვე ბუნდესტაგის წევრს შეუძლია ოთხამდე შეკითხვა დაუსვას მთავრობის წარმომადგენელს, რომელზეც ადმასრულებელი ხელისუფლება წერილობითი ფორმით პასუხობს. კითხვების დროს მთავრობის წევრები ვალდებული არიან ზეპირად უპასუხონ ბუნდესტაგის წევრებს.

²⁶⁷ Magone J., Contemporary European Politics: A Comparative Introduction, New York, 2011, 4.

შესახებ”²⁶⁸. აღნიშნული პროცედურა საშუალებას აძლევს თემთა პალატის წევრებს მთავრობის წინაშე დაყენონ სახელმწიფო პოლიტიკას მიკუთვნებული საკითხები. ბრიტანეთში ფუნქციონირებს შეკითხვების შემდეგი მექანიზმები: წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა და კერძო გაფრთხილების შეკითხვა.

ბეჭდიაში ფუნქციონირებს ოთხი ტიპის შეკითხვა: წერილობითი შეკითხვა, ზეპირი შეკითხვა, გადაუდებელი შეკითხვა და საკომიტეტო შეკითხვები.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ „წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საკონტროლო უფლებამოსილებების განხორციელების ხარისხი პირდაპირაა დაკავშირებული ხალხის მიერ წარმომადგენლების მეშვეობით სახელმწიფო მმართველობის ზედამდგელობის განხორციელების შესაძლებლობასთან. წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტის მიერ სრულყოფილი საკონტროლო უფლებამოსილებების განხორციელების გარეშე, წარმოუდგენელია საუბარი ხალხის მიერ მმართველობაზე კონტროლის განხორციელებასა და სახელმწიფოში დემოკრატიის არსებობაზე.”²⁶⁹

თხუთმეტამდე ეპროპული ქვეყნის პრაქტიკის ანალიზიდან შეიძლება დაესკვას, რომ მკვეთრი მიჯნა არ არის გავლებული ინტერპელაციასა და წერილობით შეკითხვას შორის, რაც მათი გამოყენების შემთხვევების დუბლირებას ემსახურება.²⁷⁰

საქართველოში ექსტრაორდინალური საპარლამენტო კონტროლის ისეთი ფორმები, როგორიცაა კითხვა-შეკითხვა ფართო ვარიაციებით არ გამოირჩევა.

საქართველოს კონსტიტუციის²⁷¹ პარლამენტისა და მთავრობას შორის ურთიერთობისას, კითხვა პასუხის სამ ფორმას ითვალისწინებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ცალკეული დეპუტატის უფლებას „კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მიიღოს მათგან პასუხი”. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს არა მარტო დეპუტატის მიერ კითხვით მიმართვის უფლებას, არამედ კითხვის ადრესატის მიერ პასუხის გაცემის ვალდებულებასაც.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი აზუსტებს, რომ პარლამენტის წევრის მიერ ადრესატისათვის კითხვა შეიძლება დაისვას მხოლოდ წერილობითი ფორმით.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ „პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს,

²⁶⁸ Franklin, Mark N., Norton Philip, Study of Parliamentary Group, Parliamentary Questions, Oxford, Clarendon Press, 1993, 1,

²⁶⁹ დოქტორანტ მამუკა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: უშუალო და წარმომადგენლობითი მმართველობა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2010, 119, <http://www.nplg.gov.ge>

²⁷⁰ Novak P., Parliamentary Questions in Selected Legislative Chambers, Directorate General for Internal Policies, Constitutional Affairs, European Parliament, Brussels, 2014, 9-17, <<http://www.europarl.europa.eu>>.

²⁷¹ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე და მე-60 მუხლები.

საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.” ამ შემთხვევაში, შეკითხვის ადრესატები ვალდებული არიან დეპუტატთა შეკითხვებს უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შესაძლებელია, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირების პასუხები განხელულ იქნას პარლამენტის ხდომაზე კოლეგებთან ერთად. შეკითხვების სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მათ ადრესატები პასუხობენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს. შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი. ფრაქციას და დეპუტატთა არანაკლებ ათკაცნიან ჯგუფს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ორი შესაძლებლობა აქვს: ფრაქციის სხდომაზე დაბარება და სამთავრობო საათი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 94-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს, რომ მთავრობის წევრი, ფრაქციის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დაესწროს ფრაქციის სხდომებს. მან პასუხი უნდა გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს, ასევე, ვალდებულია წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

პლენარული სხდომები ყოველი თვის ბოლო პარასკევს იმართება სამთავრობო საათი. პარლამენტის წევრთა ჯგუფების შეკითხვებზე პასუხი სამთავრობო საათზე წარედგინება პარლამენტის წევრებს. საქართველოს პარლამენტის 221-ე მუხლის მეორე ნაწილი ადენს, რომ შეკითხვის ადრესატები პარლამენტის წევრთა ჯგუფებს პასუხებს სცემენ წერილობით.

ზოგიერთი მეცნიერი „შეკითხვას, კითხვისაგან განსხვავებით, საპარლამენტო კონტროლის უფრო „სერიოზულ“ ფორმად მიიჩნევს რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი შეკითხვის შემთხვევაში, უფრო მკაცრადაა განსაზღვრული ამ უფლების მქონე სუბიექტთა წრე, რაც ამოიხსატება იმაში, რომ შეკითხვის უფლება გააჩნია არა პარლამენტის ცალკეულ წევრს, არამედ, საპარლამენტო ფრაქციასა და პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს და მეორეც, შეკითხვის შემთხვევაში, არსებობს საპარლამენტი კამათის შესაძლებლობა, ვინაიდან, მოცემული მუხლის²⁷² მეორე პუნქტში არსებობს დათქმა: „პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი“. ²⁷³

ამასთანავე, შეკითხვის მექანიზმი შედეგის თვალსაზრისით უფრო ეფექტურია პარლამენტის მიერ მთავრობის საქმიანობაზე საფინანსო კონტროლის განხორციელებისას, რაც მთავრობის მიერ პარლამენტისათვის წერილობითი პასუხის წარდგენასა და არგუმენტაციის უზრუნველყოფაში გამოიხატება.

საქართველოს პარლამენტის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი

²⁷² საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლი.

²⁷³ წაქადე ი; საპარლამენტო კონტროლი საქართველოში, აღმანახი 2001, №16, სახელმწიფო სამართალი, 4, <<http://www.nplg.gov.ge>>.

კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პაუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინონ პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.” ამ შემთხვევაში, კონსტიტუცია ითვალისწინებს სამ მომწვევ სუბიექტს: კომიტეტს, კომისიას და პარლამენტს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო კონტროლს შემდეგი მექანიზმებით ახორციელებს: **მინისტრთა ჯაბინების წევრის და პრემიერ-მინისტრის პარლამენტის სხდომაზე დაბარება**.

საქართველოს კონსტიტუციის 206-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „პარლამენტს უფლება აქვს, კომიტეტის ან პრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსტრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის საქართველოს მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს.” ამავე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, მინისტრის მოსმენის შემდეგ, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს დადგენილება ან რეზოლუცია. ამ პრეროგატივით, ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ შეიძლება მოიწვიოს როგორც ცალკეული მინისტრი, ასევე, რამდენიმე ან ყველა მინისტრი, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, ერთად.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლი ითვალისწინებს ცალკე წესს სამთავრობო გეგმის შესრულების კონტროლისათვის. აღნიშნული მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტს დამსტრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის შემადგენლობის ერთი მეოთხედისა, შეუძლია პრემიერ-მინისტრს მოსთოვოს, სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის რიგგარეშე წარდგენა. პრემიერ-მინისტრს ანგარიშის წარდგენის 15 დღიანი ვადა აქვს.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის კომიტეტს, მას პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, მთავრობის წევრებთან ურთიერთობის ორი მექანიზმი აქვს: **ზეპირი და წერილობითი**.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 44-ე მუხლის თანახმად, წერილობითი კომინიკაციის წესის მიხედვით, ადრესატები ვალდებული არიან, პარლამენტის კომიტეტის მიერ დადგენილ ვადაში, წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. ზეპირი ურთიერთობის ფორმა განსაზღვრავს, რომ საქართველოს მთავრობის წევრი ვალდებლია დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს პარლამენტის მიერ მაკონტროლებელი ფუნქციის არასაკმარისად განხორციელებასთან დაკავშირებით, არსებობს პრობლემები, რაც შემდეგი ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული: კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის არასაკმარისი მექანიზმები, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ტრადიციებისა და საპარლამენტო

კულტურის ნაკლებობა და ორგორც პარლამენტის წევრთა, ისე ადმასრულებელი ხელისუფლების დაბალი პოლიტიკური კულტურა და მართლშეგნება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის²⁷⁴ თანახმად, ევროპის განვითარებული ქვენების საკანონმდებლო ორგანოებისგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტის წევრები იშვიათად იყენებენ კითხვის უფლებას,²⁷⁵ საქართველოს პარლამენტის წევრები იშვიათად ინტერესდებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამთავრობო პროგრამის განხორციელებითა თუ საჯარო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით²⁷⁶, სადეკუტატო კითხვები ძირითადად არ არის დაკავშირებული აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტური განხორციელების პრინციპალ საკითხებთან, მთავრობის წევრთა პასუხები უმრავლეს შემთხვევაში არ არის სრულყოფილი²⁷⁷, კანონმდებლობაში არსებული მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის წევრის პასუხისმგებლობას პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილი პროცედურის დარღვევისათვის პრაქტიკაში არ მოქმედებს.²⁷⁸

2016 წლის მარტის თვეში, მითითებული სადოქტორო ნაშრომის კვლევის ფარგლებში, გამოთხვილ იქნა საჯარო ინფორმაცია²⁷⁹ საქართველოს პარლამენტიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებში²⁸⁰ გაგზავნილ იქნა სულ 687 წერილობითი შეკითხვა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 6 სამთავრობო

²⁷⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა VIII მოწვევის პარლამენტის წევრთა მიერ დასმული წერილობითი კითხვებით და მათზე მიღებული პასუხებით (2012 წლის ნოემბრიდან – 2015 წლის 23 სექტემბრამდე). კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებენ საქართველოს პარლამენტის წევრები მაკონტროლებულ ფუნქციას, რა საკითხებით ინტერესდებიან ყველაზე ხშირად და რამდენად სრულყოფილად იღებენ პასუხს დასმულ კითხებზე.

²⁷⁵ VIII მოწვევის პარლამენტში, 2012 წლიდან 2015 წლის სექტემბრის ჩათვლით 27 დეპუტატის მიერ დასმულია 405 კითხვა.

²⁷⁶ VIII მოწვევის პარლამენტის წევრთა მიერ არც ერთი კითხვა არ დასმულა ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციისა და თანამშრომლობის მიმართულებით.

²⁷⁷ ასუხებს ხელს აწერს არა მინისტრი, არამედ სამინისტროს თანამშრომელი.

²⁷⁸ იხ: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევა: <<http://www.transparency.ge/node/5689>>.

²⁷⁹ საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის №2792/2-4 (28.03.2016) წერილი.

²⁸⁰ წერილობითი შეკითხვები გაგზავნი იქნა სხვადასხვა უწყებებში: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ყველა სამინისტროში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, საქართველოს მტავარ პროკურატურაში, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საქართველოს სახაზინო სამსახურში, საქართველოს ეროვნულ ბანკში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოში, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ვეტერინარიის საქმეთა სახელმწიფო სამსახურში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქ. თბილისის მერიაში და სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

საათი.²⁸¹ ამავე საანგარიში პერიოდში²⁸², საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ დასმული იქნა 13 ზეპირი შეკითხვა²⁸³. საანგარიში პერიოდში, საპარლამენტო ფრაქციების მიერ სხვადასხვა უწყებებში გაიგზავნა 24 წერილობითი კითხვა²⁸⁴.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლებელია, შემდეგი დასკვნების გაკეთება:

საქართველოს პარლამენტის თითქმის არ იყენებს კითხვა/შეკითხვის მექანიზმს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობისას.

პარლამენტის წევრების მიერ წერილობითი შეკითხვების გამოყენების ტენდენცია არსებითად იზრდება 2012 წლიდან.

პარლამენტი საკმაოდ იშვითად იყენებს ზეპირი კითხვების დასმის პრაქტიკას. 2012 წლის შემდეგ პარლამენტის წევრებს ზეპირი შეკითხვები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადენლებისთვის არ დაუსვამს.

საქართველოს პარლამენტის პრაქტიკი იშვითად იყენებს წერილობითი კითხვების დასმის შესაძლებლობას სახელმწიფო უწყებების მიმართ. 2012 წლის შემდეგ, ფრაქციების მიერ წერილობითი კითხვები არ დასმულა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს აქვს გარკვეული ხარვეზები კითხვა-შეკითხვის პროცედურის სათანადოდ გაწერის კუთხით.

უცილებელია, შეკითხვის ინსტრუმენტის სათანადო, მკაცრი საკანონმდებლო რეგლამენტაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ მექანიზმის თვითხებურად გამოყენების საფრთხე.

ამასთანავე, აუცილებელია, განსხვავებული პროცედურა და სამართლებრივი რეჟიმი დადგინდეს კითხვისათვის და შეკითხვისათვის, რათა წარმოჩნდეს ის განსხვავება, რომელიც ამ ორ ინსტრუმენტს შორის არსებობს.

აუცილებელია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტმა ნათლად გაითვალისწინოს რეგულაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საპარლამენტო შეკითხვასა და კითხვაზე უარის თქვა გახდეს მთავრობის გადაყენების საფუძველი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტმა ცალკე უნდა გაწეროს კითხვა-შეკითხვის პროცედურა მთავრობის მიერ საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ასევე, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განხორციელების როგორც ex-ante ისე ex - post ეტაპებზე.

²⁸¹ 2008 წელს 5 შეკითხვა, 2009 წელს 1 შეკითხვა, 2010 წელს 1 შეკითხვა, 2011 წელს 1 შეკითხვა, 2012-2013 წლებში – 77 შეკითხვა, 2014 წელს – 174 შეკითხვა, 2015 წელს 373 შეკითხვა, 2016 წელს (22 მარტის მდგომარეობით) 55 შეკითხვა.

²⁸² 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით.

²⁸³ 2008 წელს 2 ზეპირი შეკითხვა, 2009 წელს 4 ზეპირი შეკითხვა, 2010 წელს 2 ზეპირი შეკითხვა, 2011 წელს 4 ზეპირი შეკითხვა, 2012 წელს 1 ზეპირი შეკითხვა.

²⁸⁴ 2009 წელს ფრაქციამ – ერთიანი ნაციონალური მომრაობა” 6 წერილობითი კითხვა, „ქრისტიან-დემოკრატები 2 წერილობითი კითხვა, „ძლიერი საქართველო” 1 წერილობითი კითხვა. 2010 წელს 1 ჯგუფური წერილობითი შეკითხვა, 2011 წელს ფრაქციამ - „ერთობა სამართლიანობისთვის” 5 წერილობითი კითხვა, „ქრისტიან-დემოკრატები 2 წერილობითი კითხვა, 2012 წელს „ერთობა სამართლიანობისთვის” 7 წერილობითი კითხვა.

7.2 იმპიჩმენტი – საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტი საქართველოში

იმპიჩმენტი საპარლამენტო დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითადი ინსტრუმენტია, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია ითვალისწინებს.

ზოგიერთი მეცნიერი „იმპიჩმენტს პარტიზანულ პოლიტიკურ იარაღს“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ იგი არის ერთადერთი მექანიზმი, რომლითაც აშშ-ში უდირსი პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ფედერალური მოსამართლე შეიძლება გადაუენებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან”.²⁸⁵

იმპიჩმენტის მექანიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ბალანსის დაცვაში. იმპიჩმენტის პროცედურა პირდაპირი წესით, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის პასუხისმგებლობის გადამწყვები საფუძველია. ხელისუფლების შეკავება-გაწონასწორება, ვეტოსა და იმპიჩმენტის მექანიზმის დამკვიდრება დაბალანსებული მმართველობის სისტემის მთავარი საფუძველია. დემოკრატიული მმართველობა პარლამენტის მიერ შეზღუდულ და დაბალანსებულ აღმასრულებელ ხელისუფლებას გულისხმობს, რომელიც ანგარიშვალდებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

იმპიჩმენტის ინსტრუმენტი მთავრობის პოლიტიკური კონტროლის იარაღად და ანგარიშწორების მექანიზმად შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ მისი გაწერა სათანადო სამართლებრივი პროცედურით არ განხორციელდება.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშრებით, რომ „სახელისუფლებო ძალასა და პასუხისმგებლობას შორის საჭირო წონასწორობის შენარჩუნება დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანაა. იმ შემთხვევაში, თუ არაელიტას არ გააჩნია სახელმწიფო ელიტაზე კონტროლის რაიმე ფორმა, ძნელია, პოლიტიკურ სისტემას დემოკრატია დაერქვას. მეორე მხრივ, არაელიტას არ შეუძლია თავად ითავოს მართვა.“²⁸⁶

ამ გუთხით, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: იმპიჩმენტი არის პოლიტიკური თუ სამართლებრივი ინსტიტუტი თუ ორივე ერთად და რა როლს ასრულებს იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო გალდებულების შეუსრულებლობისას კონსტიტუციის თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში.

²⁸⁵ Neumann Richard K., The Revival of Impeachment as a Partisan Political Weapon (2006), Hofstra University , Legal Studies Reasarch Paper N06-22, 176,
<http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=923834>.

²⁸⁶ სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა, ქურ. „სოლიდარობა“, №2(29)2009, 39.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ იმპიჩმენტი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტია.²⁸⁷ იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენებით, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დგება როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შედეგი. საპრეზიდენტო მმართვა-გამგეობის ქვეყნებში, იმ პირობებში, როდესაც სამართლებრივად შეუძლებელია პრეზიდენტისათვის უდობლობის გამოცხადება, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის თვალსაზრისით, იმპიჩმენტი კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

იმპიჩმენტის მექანიზმი საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა აშშ-ში, როგორც კონგრესის კონტროლის მექანიზმი აშშ-ის პრეზიდენტზე.²⁸⁸ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმპიჩმენტის მექანიზმი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურზე – პრეზიდენტზე კონტროლის ძირითადი ინსტრუმენტია.

მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს, რომ „აშშ-ის კონგრესის უფლებამოსილება განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების იმპიჩმენტი, ილუსტრირებას ახდენს ინსტიტუციური სიბეჭის დინამიკას. კონგრესის მიერ იმპიჩმენტის უფლებამოსილების გამოყენება საკმაოდ იშვიათად ხდება მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.²⁸⁹

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, იმპიჩმენტის ინსტრუმენტის გამოყენებისას, იხილება თანამდებობის პირის პოლიტიკური და სისიხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც შედეგად თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მოჰყვეს.²⁹⁰

იმპიჩმენტის მექანიზმი ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და გაწონასწორების პრინციპის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.²⁹¹ აღნიშნული პროცედურის გამოყენებით აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისფლებებს შორის ურთიერთკონტროლის მდგომარეობა მყარდება, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხელისუფლების უზურპაციის განხორციელების პრევენციას ახდენს.

ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, უნდობლობის ვოტუმის წინაპირობა შეიძლება პოლიტიკური უთანხმოება იყოს განსახვავებით საპრეზიდენტო რესპუბლიკისგან, სადაც იმპიჩმენტი მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულს უკავშირდება.²⁹²

არ უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმეტეს საპარლამენტო სისტემებში იმპიჩმენტის პროცედურა თითქმის არ გამოიყენება, იმიტომ, რომ

²⁸⁷ ვუტკარაძე ი., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პროცედემა, ობ., 2010, 4, <<http://www.nplg.gov.ge>>.

²⁸⁸ Yahoo Christopher S., Calabresi Steven G., Colangelo Anthony J., The Unitary Executive in Modern Era, 1945-2004, Iowa Law Review, Vol.90, No2, 601, 2005, Vanderbilt Public Law Research Paper, No.04-12, Northwestern Public Law Research Paper N.04-09, <<http://ssrn.com/abstract=690822>>.

²⁸⁹ Vermeule Adrian., The Atrophy of Constitutional Powers (January 6, 2011), Harvard Public Law Working Paper, No.11-07,9, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1736124>.

²⁹⁰ Mora-Donatto C., Constitutional Instruments for Parliamentary Control, Mexican Law Review #3, January-June 2005, 2, <<http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc10.htm>>.

²⁹¹ Nichols J., The Genius of Impeachment: The Founders' Cure for Royalism, New York, 2006, 31,

²⁹² Sargentich T., The Presidential and Parliamentary Models of National Government, American University International Law Review 8 no. 2/3, 1993, 580, <<http://digitalcommons.wcl.american.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1870&context=auilr>>.

საპარლამენტო სისტემებს მთავრობის საქმიანობის კონტროლის სხვა მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნია.²⁹³ თუ მაგალითად, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში დგება მხოლოდ პოლიტიკური შედეგი, იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენებამ აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებისათვის სამართლებრივი შედეგიც შეიძლება დააყენოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ჩათვლით. იმპიჩმენტის მექანიზმით პარლამენტი გადის პირთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზეც, რაც ამ მექანიზმის ერთ-ერთ უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს.

იურიდიულ დოქტრინაში იმპიჩმენტთან დაკავშრებით ორგვარი მოსაზრება ფიქსირდება: „მეცნიერთა ერთი ნაწილი იმპიჩმენტის გამოყენებას როგორც საპარლამენტო ჯგუფების უთანხმოების მოგვარების მეთოდს განიხილავს, რომელიც იმპიჩმენტს დაქვემდებარებული თანამდებობის პირის თანამდებობაზე დარჩენის ლეგიტიმაციას შეეხება, ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილი იმპიჩმენტს სტატიკური მნიშვნელობის ფაქტად აფასებს, რომელიც თანამდებობის პირის მიერ დაკავებული პოზიციის დატოვებისკენ არის მიმართული.”²⁹⁴

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ჟველა კარგ პოლიტიკურ ინსტიტუციას აქვს როგორც პრევენციული, ისე დარღვევის გამოსწორების ფუნქცია.”²⁹⁵ იმპიჩმენტი არის კონსტიტუციით გათვალისწინებული მექანიზმი, რომლის უპირველესი დანიშნულება მაღალი თანამდებობის პირების გადაცდომათა პრევენციაა.

იმპიჩმენტის განხორციელების ოთხი ძირითადი მოდელი შეიძლება გამოიყოს, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის პარლამენტის როლი წარმოჩენილი.

პირველი მოდელის მიხედვით, იმპიჩმენტის საკითხი აღიძვრება პარლამენტის მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო იდებს. ამ ტიპის ქვეშებს ბულგარეთი²⁹⁶ და იტალია²⁹⁷ განეცუთვნება.

მეორე მოდელის თანახმად, პარლამენტი სრულად თვითონ წყვეტს იმპიჩმენტის საკითხს. ამ ტიპის მოდელში პარლამენტი გამოირჩევა ძლიერი საპარლამენტო კონტროლის კომპეტენციით. ამგვარ ქვეყანას ამერიკის შეერთებული შტატები²⁹⁸ წარმოადგენს. იმპიჩმენტის განხორციელება აშშ-ს კონგრესის ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს.

²⁹³ Strom K., Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, European Journal of Political Research, Department of Political Science, University of San Diego, US, 2003, 15, <<http://www.uh.edu/polisci/strom.pdf>>.

²⁹⁴ Turley J., Senate Trials and Factional Disputes: Impeachment As a Madisonian Device, Duke Law Journal, Vol.49, Number 1, October 1999, 1.

²⁹⁵ Mansfield Harvey C., Statesmanship and Party Government: A Study of Burke and Bolingbroke, Chicago, 1965, 146.

²⁹⁶ Constitution of the Republic of Bulgaria, <<http://parliament.bg/en/const>>.

²⁹⁷ Constitution of Italy, <http://en.camera.it/application/xmanager/projects/camera_eng/file/costituzione_EN_dicembre2014.pdf>.

²⁹⁸ US Constitution, <<http://congressionalconstitutioncaucus-garrett.house.gov/resources/us-constitution>>.

მესამე მოდელის მიხედვით, იმპიჩმენტის მიზანშეწონილობის საკითხს აღძრავს პარლამენტი, ხოლო გადაწყვეტილება რეფერენდუმზე მიიღება. ასეთი კატეგორიის ქვეყანას ავსტრია²⁹⁹ წარმოადგენს.

მეოთხე მოდელის თანახმად, იმპიჩმენტის მიზანშეწონილობის შესახებ საკითხს აღძრავს პარლამენტი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის მიერვე შექმნილი კვაზი-სასამართლო ორგანო. ამგვარი გამოცდილების ქვეყანას საფრანგეთი წარმოადგენს.³⁰⁰

საქართველოში იმპიჩმენტოან დაკავშირებულ საკითხებს ძირითადად საქართველოს კონსტიტუცია, პარლამენტის რეგლამენტი და კანონი „იმპიჩმენტის შესახებ“ აწესრიგებენ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკმაოდ ვიწროა იმპიჩმენტის სუბიექტთა წრე. იმპიჩმენტის მექანიზმი შემდეგ პირთა წრეზე ვრცელდება: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობის წევრები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, სახელმწიფო ოფიციალური სამსახურის გენერალური აუდიტორი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭის წევრები. რაც შეეხება სხვა უმაღლესი თანამდებობის პირებს, როგორიცაა, პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა თანამდებობის პირები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა წევრები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, მთავარი პროკურორი და სხვა, მათი თანამდებობიდან გადაყენება ან/და უფლებამოსილების შეწყვეტა სხვა სპეციალური აქტებით რეგულირდება.

„იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად „იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღმდერის საფუძველია თანამდებობის პირის ისეთი ქმედება, როგორიც არის: საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა.“

რაც შეეხება „საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის“ საფუძველს, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მიერ საბიუჯეტო უფლებამოსილების შესრულებლება ან არაჯეროვანი შესრულება და საფინანსო პოლიტიკის არასათანადოდ განხორციელება. შესაძლოა გახდეს მთავრობის წევრების მიმართ იმპიჩმენტის საკითხის აღძრის საფუძველი. საქართველოს მთავრობის მიერ საფინანსო გალოგებულებების არაჯეროვანი შესრულება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს და იმპიჩმენტის საკითხის აღმდერის საფუძველი შეიძლება გახდეს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრულ საფინანსო პოლიტიკას. რომლის არაჯეროვანი შესრულებაც კონსტიტუციის დარღვევაა.

ვინაიდან მთავრობა ვალდებულია განახორციელოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული საფინანსო პოლიტიკის მიმართულებები, რომელზეც საპარლამენტო კონტროლოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს, იმპიჩმენტის მექანიზმი მთავრობის საქმიანობაზე ex-post კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ დოქტრინაში,

²⁹⁹ Federal Constitutional Law of Austria,

<http://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Erv&Dokumentnummer=ERV_1930_1>.

³⁰⁰ Constitution of France, <http://www2.assemblee-nationale.fr/langues/welcome-to-the-english-website-of-the-french-national-assembly>

საბიუჯეტო გალდებულებების დარღვევისას, მირითადად საუბარია მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადებაზე და ნაკლებად იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზე. იმპიჩმენტის პროცედურას უფრო მეტად კვაზი-სასამართლო ინსტრუმენტად განიხილავენ და ნაკლები უურადღება ექცევა მის, როგორც საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტის ბუნებას. იმპიჩმენტის ინსტიტუტის არსი პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის არსში მდგომარეობს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მექანიზმი მხოლოდ კონტროლის განხორციელების საშუალებად უნდა იქნას მიჩნეული. **ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა გაიწეროს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო გალდებულებების შეუსრულებლობა მიიჩნევა კონსტიტუციის დარღვევის ერთ-ერთ სახედ, რომელიც იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, თანამედროვე პარლამენტარიზმის განმავლობაში, იმპიჩმენტის მექანიზმი არ ყოფილა გამოყენებული მთავრობის მიერ საბიუჯეტო გალდებულებების შეუსრულებლობისას.**

ამ თვალსაზრისით, სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „იმპიჩმენტისათვის პოლიტიკური ხასიათის მისანიჭებლად და ხელისუფლების კონტროლისა და ბალანსის სისტემაში თავისი როლის შესასრულებლად, იმპიჩმენტი მთლიანად საკანონდებლო ხელისუფლებას უნდა დაექვემდებაროს. სასამართლო ხელისუფლება უნდა გამოირიცხოს არსებით საკითხებზე დასკვნის ვალდებულების მიცემისაგან და მთელი პასუხიმგებლობა უნდა აიღოს პარლამენტმა, რომელიც პოლიტიკური კრიტერიუმებით შეაფასებს, ჩადენილია თუ არა პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ ისეთი ქმედება, რომელიც ხალხის ნდობის დაკარგვას იწვევს და ამ თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულია მისი თანამდებობიდან გადაყენება ან მისი ხელისუფლებაში შენარჩუნება.”³⁰¹ აღნიშნული რეგულაცია, არსებითად გაზრდის საქართველოს პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციას აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე.

ალექსანდრე პამილტონი „ვედერალისტის“ წერილებში საუბრობდა იმაზე, რომ უზენაეს სასამართლოს არ უნდა ჰქონოდა იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტის პრეროგატივა.³⁰²

იმპიჩმენტის ისტრუმენტის მთლიანად პარლამენტისათვის დაქვემდებარება ერთის მხრივ გააძლიერებს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის და მეორეს მხრივ გაზრდის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისა და ამომრჩევლის წინაშე. მოქმედი რეგულაციით, იმპიჩმენტის პროცედურაში საქართველოს პარლამენტს მხოლოდ ტექნიკური როლი გააჩნია. მისი კომპეტენცია თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღმდეგითა და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე იმპიჩმენტის წესით პირის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებით შემოიფარგლება. საქართველოს პარლამენტი

³⁰¹ გოცირიძე კ., იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის, მართლმსაჯულება და კანონი №1(44)'15, თბ., 16.

³⁰² Lee Youngjae., Law, Politics, and Impeachment: The Impeachment of Roh Moo-hyun from a Comparative Constitutional Perspective, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, Paper 4, 3-1-2005, 3, <http://lsr.nellco.org/nyu_pltwp/4/>.

არსებითად არ შედის პოლიტიკურ - სამართლებრივ მსჯელობაში იმასთან დაკავშირებით დაარღვია თუ არა თანამდებობის პირმა საქართველოს კონსტიტუცია. ამ კუთხით, საქართველოს პარლამენტი შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით.

საქართველოს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის უპეოესად წარმოჩენის მიზნით, უნდა გაზიარდეს აშშ-ის გამოცდილება, სადაც იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენება კონგრესის ექსკუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ იმპიჩმენტი საპრეზიდენტო რესპუბლიკებში კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, მისი არსებობა შერეული და საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში შემდგომი საპარლამენტო კონტროლის არსებითი ინსტრუმეტია. აუცილებელია, ქართული რეალობაში იმპიჩმენტის შესაძლებლობა უფრო გაიზარდოს, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტს მთავრობის საქმიანობაზე სრულყოფილი კონტროლის კომპეტენცია განახორციელოს.

ზოგიერთი მცნიერის განმარტებით, 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ „უფრო ქმედითი და ეფექტური გახდა პარლამენტის უფლება, თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი და უმაღლესი თანამდებობის სხვა პირები იმპიჩმენტის წესის გამოყენებით. იმპიჩმენტის ორივე საფუძველზე (კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის ჩადენა) დასკვნას მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო ამზადებს, მაშინ, როდესაც 2010 წლის რეფორმადე უზენაეს სასამართლოს ევალებოდა დანაშაულის ნიშნების არსებობის დადგენა.“³⁰³

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის დროს, იმპიჩმენტის პროცედურაში შესრული ცვლილებები დადგებითად შეფასდა ვენეციის კომისიის მიერ, რომლის თანახმადაც, ცვლილებების შედეგად „იმპიჩმენტის წესი ნაკლებად რთულად არის წარმოდგენილი. ვინაიდან იმპიჩმენტის პროცედურა შედგება იურიდიული და პოლიტიკური ნაწილისაგან. აბსოლუტურად აღარ არის აუცილებელი განისაზღვროს „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები“ და „კონსტიტუციის დარღვევა“. საპარლამენტო უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს უმნიშვნელო ინციდენტებს. მიუხედავად ამისა, ორივე მაგალითში მისაღები იქნება სიტყვა „სერიოზულის“ დამატება“.³⁰⁴

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ, გამარტივდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის (პრეზიდენტის) იმპიჩმენტის საკანონმდებლო პროცედურაც. იმპიჩმენტის საფუძვლების არსებობისას, დარღვევის დადგენის კომპეტენცია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია. მის მიერ დასკვნის წარდგენიდან 15 დღის მანძილზე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის მექანიზმით თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იმპიჩმენტის პროცედურის აღმართების სამართლებრივი საფუძვლები (კონსტიტუციის

³⁰³ დემუტრა შვილი ა., მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, თბ., 2013, 23-24.

³⁰⁴ ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრების პროექტი, მოსაზრება №543/2009, CDL (2010)062, სტრატეგია, 2010 წლის 31 ივლისი, 6-7, <[http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2010\)062-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2010)062-geo)>.

დარღვევა და სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა) ძალიან ზოგადია და დაკონკრეტებას საჭიროებს. აუცილებელია, გაიწეროს კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევები, რის საფუძველზეც შესაძლებელია იმპიჩმენტის პროცედურის აღმვრა. კონსტიტუციის დარღვევაში უნდა იგულისხმებოდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო ვალდებულებების შეუსრულებლობაც. საქართველოს კონსტიტუციამ იმპიჩმენტის დაწყების საფუძვლად მთავრობის მიერ საფინანსო ვალდებულებებიც შეუსრულებლობაც უნდა მიიჩნიოს. აღნიშნული რეგულაციის რეგლამენტაცია კონსტიტუციით უნდა განხორციელდეს.

ამასთანავე, გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „იმპიჩმენტის დაწყების საფუძველი უნდა იყოს არა კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა, არამედ ისეთი პოლიტიკური გადაცდომები თუ დანაშაულები, რომლებიც „ამხობენ კონსტიტუციას“ და ძირს უთხრიან სახელმწიფო ინსტიტუტების ერთიანობის პრინციპს.“³⁰⁵

ზოგიერთი მეცნიერი იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენების საფუძვლად „პოლიტიკურ დანაშაულებს მიიჩნევს. პოლიტიკური დანაშაულებს განეკუთვნება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადაცდომა, რომელიც შეიძლება ჩადენილ იყოს საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების განხორციელებისას. პოლიტიკური დანაშაულები შეიძლება არ იყოს სისხლისსამართლებრივად დასჯადი. ყველა პოლიტიკური დანაშაული არ არის სისხლისსამართლებრივად დასჯადი, ისევე როგორც ყველა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება არ არის პოლიტიკური დანაშაული.“³⁰⁶

2016 წლის მარტის თვეში, მითითებული სადოქტორო ნაშრომის კვლევის ვარგლებში, გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია³⁰⁷ საქართველოს პარლამენტიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის მიერ არ ყოფილა გამოყენებული იმპიჩმენტის პროცედურა. აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტი საერთოდ არ იყენებს იმპიჩმენტის მექანიზმს რელევანტური თანამდებობის პირების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციაში იმპიჩმენტის პროცედურა სათანადო გაწერას საჭიროებს, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიურ როლს იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით.

7.3 პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია – საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი

³⁰⁵ Brown E., The Law of Presidential Impeachment, Utah Law Review Vol 1973 (Winter), No.4, 681-704, 16.

³⁰⁶ Gerhardt Michael J., Putting the Law of Impeachment in Perspective, College of William and Mary Las School, Faculty Publications, Paper 975. US, 929,
<<http://scholarship.law.wm.edu/facpubs/975/>>.

³⁰⁷ საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის №2792/2-4 (28.03.2016) წერილი.

პარლამენტის ძირითად ფუნქციას ხელისუფლების წყაროს – ხალხის წარმოდგენა, კანონების მიღება და კონტროლის განხორციელება წარმოადგენს. საპარლამენტო კონტროლი კანონების მიღებითა და საჯარო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრით იწყება და გრძელდება მათი შესრულების კონტროლის კომპეტენციის განხორციელებით. აღნიშნული კომპეტენციების განსახორციელებლად პარლამენტი სხვადასხვა მექანიზმებს მიმართავს.

ზოგიერთი მეცნიერი პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების სამ სამოქმედო დონეს გამოყოფს: „**პლენარული სისტემა:** სამთავრობო პოლიტიკის დამტკიცება, კანონების მიღება, სახელმწიფო სახსრების გამოყენების დამტკიცება, ნდობის ვოტუმი, საერთაშორისო მისიებში ეროვნული მონაწილეობის დამტკიცება, თანხმობა უმაღლეს პოზიციებზე დანიშნასთან დაკავშირებით; **კომისიები:** საკანონმდებლო ანგარიშები, რეკომენდაციები, მოსმენები და განხილვები, საკონტროლო შემოწმება ადგილზე, შუამდგომლობების შესწავლა; **პარლამენტის წევრები:** საკანონმდებლო ინიციატივები და შესწორებები, პოლიტიკური დეკლარაციები, კითხვები და ინტერპელაციები და სხვა.”³⁰⁸

საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვან სახეს ჰიდა საპარლამენტო კონტროლი წარმოადგენს. დროებითი საგამოძიებო კომისია ორგორც საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კონტროლის კომპეტენციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. დროებითი საგამოძიებო კომისიის მეშვეობით, პარლამენტი სახელმწიფო თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა და მათ მიერ საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვას იკვლევს.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ორი მნიშვნელოვანი მიზანი აქვს, რომელიც მის კომპეტენციას განაპირობებს: შესაბამის უწყებებს მიაწოდონ ინფორმაცია და რჩევა საჯარო პოლიტიკის, მათ შორის საფინანსო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და გამოიძიოს ის საკითხები, რომელიც საზოგადოების შეშფოთებას და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „იმისათვის, რათა შეფასდეს საგამოძიებო კომისიის სამართლებრივი სტატუსი და მის მიერ უფლებამოსილების შესრულების ხარისხი, მნიშვნელოვანია, საგამოძიებო კომისიის სამართლებრივი ბუნების, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის იდენტიფიცირება, რომელშიც კომისიას უწევს ფუნქციონირება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის, თუ რა ვითარებაში განახორციელა კომისიამ მოკვლევის კომპეტენცია და რა სამართლებრივი ძალა აქვს საგამოძიებო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.”³⁰⁹

³⁰⁸ ვუიორი თ., უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, უენევა, 2013, 11.

³⁰⁹ Richardson I., Paper55/2014, FW Guest Memorial Lecture1989: Commissions of Inquiry, Victoria University of Wellington Research Papers by the Rights Honourable Sir Ivor Richardson, 7, <[file:///C:/Users/Tamar/Downloads/SSRN-id2189704%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Tamar/Downloads/SSRN-id2189704%20(1).pdf)>.

როდესაც პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სამართლებრივ ბუნებას ვეხებით, საჭიროა შემდეგი საკითხის გამოყოფა: დროებით საგამოძიებო კომისიას აქვს მხოლოდ საკონსულტაციო-სარეკომენდაციო კომპეტენცია, იგი არის მხოლოდ, ფაქტების შემგროვებელი უწყება, თუ კომისია არის პარლამენტის საგამოძიებო ორგანო, რომლის მოკვლევი შედეგებიც კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს. ამასთანავე, საინტერესოა, რამდენად წვდება დროებითი საგამოძიებო კომისიის კომპეტენცია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო ვალდებულებების შეუსრულელობის შეწავლას.

ქვეყნების პარლამენტები დელეგირებას ახდენენ მათი კონტროლისა და გამოძიების (მოკვლევის) კომპეტენციებისა მის მიერვე შექმნილ საეციალიზირებულ საგამოძიებო კომისიებზე. კომისიის კომპეტენცია პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში განიმარტება და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანის კონტროლის კომპეტენციიდან გამომდინარეობს.

როდესაც პარლამენტის საგამოძიებო ფუნქციებზეა საუბარი, აღნიშნული კომპეტენცია ხშირად იყენებს საქმეზე მოსმენისა და ზეპირი განხილვის მექანიზმებს, რომლის ძირითადი მიზანიც პოლიტიკური და არა მხოლოდ სამართლებრივი კონტროლის განხორციელებაა.

ამიტომ, სამართლებრივ დოქტრინაში ხშირად ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია პოლიტიკური ხასიათის ორგანოა თუ მასში სჭარბობს კვაზი-სასამართლო ფუნქციები. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ფუნქციები პოლიტიკური სტატუსით არის ნაკარნახევი, დროებითი საგამოძიებო კომისიის მოკვლევის სამართლებრივი შედეგების თვალსაზრით, იგი კვაზი-სასამართლო ორგანოდაც უნდა იქნას განხილული.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სამართლებრივი სტატუსი უმეტეს ქვეყნებში ქვეყნის კონსტიტუციებით, პარლამენტის რეგლამენტებით ან კანონებით განისაზღვრება. რიგ ქვეყნებში საგამოძიებო ორგანოების სტატუსი ან კონსტიტუციით ან რეგლამენტით ან/და კანონით რეგლამენტირდება.

ევროპის ქვეყნებში დროებითი საგამოძიებო კომისიის სხვადასხვა მოდელები და სამართლებრივი საფუძვლები გააჩნია.

ავსტრიაში საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხესა და მისი მუშაობის წესს კონსტიტუციის 53-ე მუხლი განსაზღვრავს. ავსტრიაში კომისიის შექმნის უფლებამოსილება პარლამენტის ეროვნულ საბჭოს გააჩნია. კომისიის შექმნის კომპეტენციით არ სარგებლობს ფედერალური საბჭო.³¹⁰

ბულგარეთის პარლამენტის ad hoc საგამოძიებო კომისია ფუნქციონირებს, რომლის სამართლებრივი სტატუსიც ბულგარეთის კონსტიტუციის 79-ე მუხლითაა განსაზღვრული³¹¹. კომისიებს აქვთ როგორც მოკვლევის ისე გამოძიების წარმოების ფუნქცია.

³¹⁰ Federal Constitutional Law of Austria,

<http://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Erv&Dokumentnummer=ERV_1930_1>.

³¹¹ Constitution of the Republic of Bulgaria, <<http://www.parliament.bg/en/const>>.

ჩეხეთის კონსტიტუციის პარლამენტიში კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, დეპუტატთა პალატა უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით საჯარო ინტერესების სფეროს მიკუთვნებული საკითხის გამოძიების წარმოების მიზნით, შექმნას საგამძიებო კომისია.³¹²

დანიის კონსტიტუციის აქტის 51-ე ნაწილი განსაზღვრავს, რომ პარლამენტი უფლებამოსილია შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია საჯარო მნიშვნელობის საკითხის შესასწავლად.³¹³

ლატვიის კონსტიტუციის 26-ე მუხლი ადგენს პარლამენტის მიერ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას.³¹⁴

პოლონეთის კონსტიტუციის 111-ე მუხლის თანახმად, სეიმი უფლებამოსილია შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით.³¹⁵

პორტუგალიის კონსტიტუციის 178-ე მუხლი ადგენს, რომ პარლამენტი უფლებამოსილია შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.³¹⁶

გერმანიის ბუნდესტაგის მისი წევრების ერთი მეოთხედის მოთხოვნით, უფლება აქვს შექმნას საგამოძიებო კომისია.³¹⁷

ლუქემბურგის კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, პარლამენტს უფლება აქვს შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია.³¹⁸

საინტერესო მაგალითი იკვეთება შევედეთის შემთხვევაში. **შვედეთის** საპარლამენტო სისტემა არ ითვალისწინებს დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნას, თუმცა აღნიშნული სისტემით, პარლამენტის თექვსმეტივე კომიტეტს შესაძლებლობა ეძლევა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საჯარო მოსმენები ან/და შეხვედრები გამართოს. ამ სისტემის უნკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის არსი კომიტეტების მიერ გამართულ საჯარო მოსმენებში ვლინდება. დროებითი საგამოძიებო კომისია, როგორც ასეთი ცალკე არ არსებობს, იგი კომიტეტის ფორმატშია ინტეგრირებული. მაგალითად **კვიპროსის წარმომადგენელთა პალატას** შეუძლია საგამოძიებო კომისიის შექმნა მხოლოდ საკითხის დრმად შესწავლის მიზნით. პარლამენტის ყველა კომიტეტს შეუძლია იმოქმედოს საგამოძიებო კომისიის სტატუსით საჭიროების შემთხვევაში.

საკმაოდ სუსტი საპარლამენტო კონტროლის კომპეტენციით გამოირჩევა **სლოვაკეთის პარლამენტი**, რომელსაც არ აქვს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის უფლებამოსილება.

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანს მთავრობის საქმიანობის ზედამხედველობა წარმოადგენს. საგამოძიებო კომისიის

³¹² The Constitution of Czech Republic, <<http://www.psp.cz/en/docs/laws/constitution.html>>.

³¹³ Constitutional Act of Denmark,

<http://www.thedanishparliament.dk/Publications/My_Constitutional_Act_with_explanations/Chapter%205.aspx>.

³¹⁴ Constitution of The Republic of Latvia,<<http://www.saeima.lv/en/legislation/constitution>>.

³¹⁵ Constitution of the Republic of Poland,<<http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>>.

³¹⁶ Constitution of the Portuguese Republic,

<<http://www.en.parlamento.pt/Legislation/CRP/Constitution7th.pdf>>.

³¹⁷ Basic Law of the Federal republic of Germany (article 44),

<http://www.bundestag.de/blob/284870/ce0d03414872b427e57fccb703634dcd/basic_law-data.pdf>.

³¹⁸ Constitution of Luxembourg,

<http://www.legilux.public.lu/leg/textescoordonnees/recueils/Constitution/constitution_gdl.pdf>.

ერთ-ერთ დამატებითი ფუნქცია კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დებულებების პატივისცემის უზრუნველყოფაში გამოიხატება.

დროებითი საგამოძიებო კომისიის ეფექტურობას მისი უფლებამოსილებები განაპირობებს. ამ კუთხით, კომისიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას სხვადასხვა ადმინისტერაციულ თუ კერძო სტრუქტურებში დაცული ინფორმაციის შემოწმება და მასალებზე წვდომა წარმოადგენს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომელი ორგანოებიდან შეუძლია საჭირო დოკუმენტაციის გამოთხვა საგამოძიებო კომისიას და რამდენად სავალდებულო ძალა გააჩნია მის გადაწყვეტილებას აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის, ასევე, არის თუ არა დასჯადი ადმინისტრაციული თუ კერძო პირების უარი კომისიის მოთხოვნების შესრულებასასთან დაკავშირებით.

დროებითი საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციის კუთხით შეიძლება გამოიყოს უფლებამოსილების ორი ტიპი: კომისიები, რომელთაც გამოძიების უფლებამოსილება გააჩნიათ³¹⁹ და კომისიები, რომელებიც მხოლოდ საპარლამენტო ზედამხედველობისა და კონტროლის ფარგლებში ახორციელებენ მოკვლევასა და შემოწმებას³²⁰.

საქართველოს პარლამენტის მნიშვნელოვანი ორგანოა დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლის საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და რეაგირების მიზნით ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის სამ საფუძველს იცნობს: „ინფორმაციას სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართლდარღვევის შესახებ, რომელებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ; რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.”

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უმთავრეს დანიშნულებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და საჯარო ფინანსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება წარმოადგენს. დროებით საგამოძიებო კომისიას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის მძლავრი ბერკეტები გააჩნია. კომისიის მოთხოვნით, სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინონ კომისიის მუშაობისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

³¹⁹ ამგვარ ქვეყნებს განეკუთვნებიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი.

³²⁰ ამგვარ ქვეყნებს განეკუთვნება კვიპროსი, დანია, ფინეთი, ლატვია.

პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას, მისთვის მინიჭებული საგანგებო და ექსტრაორდინალური უფლებამოსილების გამო, როგორიცაა, შესაბამისი საჯარო თუ კერძო პირის გამოძახება, ასესნა-განმარტების ჩამორთმევა და სხვა მას კვაზი-სასამართლოს ორგანოს ბუნებასაც ანიჭებს.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია, როგორც კონსტიტუციური ინსტრუმენტი, მნიშვნელოვანია ძალთა ბალანსისათვის საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 56-ე მუხლი, დროებით საგამოძიები კომისიის შექმნის საკითხის დასმის პრეროგატივას პარლამენტის ფართო სუბიექტთა წრეს ანიჭებს, როგორიცაა: პარლამენტის თავმჯდომარე, კომიტეტი, ფრაქცია და პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედი. კომისიის შექმნის შესახებ საკითხის დასმის უფლებამოსილების მქონე პირთო წრე ხელს უწყობს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის გაძლიერების პროცესს და მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ. დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის წესი და კომისიის წევრად უმრავლესობის არაუმეტეს ნახევრის რაოდენობა ხელს უწყობს ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის პროცესში. ოპოზიციური საპარლამენტო პარტიების მონაწილეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ზედამხედველობისა და კონტროლის პროცესში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 58-ე მუხლი დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების საერთო ვადას არაუმეტეს 6 თვით განსაზღვრავს, რაც არ არის მიზანშეწონილი. დროებითი საგამოძიებო კომისიის ამგვარი მოკლე ვადით შემოსაზღვრამ შესაძლოა უარყოფითი როლი შეასრულოს კომისიის მუშაობის შედეგზე. არის საკითხები, რომლის შესწავლას და სათანადო მოკვლევას ექვსთვიანი ვადა არ ყოფნის, განსაკუთრებით ნიშანდობლივია, როდესაც საკითხი შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და საჯარო ფინანსების კანონიერი ხარჯების თემებს, რომელიც ხანგრძლივ მოკვლევასა და შესწავლას საჭიროებს.

საპარლამენტო კონტროლის სიძლიერეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 64-ე მუხლის თანახმად „დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა.“ ამასთანავე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ეფექტური საზედამხედველო ფუნქციები ვლინდება მის კომპეტენციაში იმასთან დაკავშირებით, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით, წარადგინონ საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

დროებითი საგამოძიებო კომისიის კონტროლის კომპეტენცია იკვეთება გამომძიებლის დავალდებულებაში, დროებითი საგამოძიებო კომისიის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავრი პროკურორის დავალებით უზრუნველყოს კომისიის წევრებისათვის სისხლის სამართლის საქმისა და მასალების გაცნობის შესაძლებლობა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის კვაზი-სასამართლო ბუნება ვლინდება იმაშიც, რომ მას უფლება აქვს, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით გამართოს ზეპირი მოსმენა და ამა თუ იმ გარემოების გამო მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას შესაბამის პირებს.

კომისიის კვაზი-სასამართლო ბუნებიდან გამომდინარე, დროებითი საგამოძიებო კომისია ეფექტურ როლს ასრულებს კანონდარღვევის ადგვეთის ხელშეწყობის კუთხით, რაც ამ ორგანოს პრევენციულ ბუნებაზე მეტყველებს. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 64-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, განსახილეველ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დასვას საკითხი იმ შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც ვალდებულია ადგვეთოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე დასვას გამოძიების დაწყების, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების ადგვრის, უკანონო მფლობელობიდან სახელმწიფო ქონების გამოთხოვის ან სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი.”

პარლამენტის კომპეტენციის სიძლიერეს მის მიერ საპარლამენტო სტრუქტურების ფორმირების მოქნილი სისტემა განსაზღვრავს.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი უზრუნველყოფს შესაძლებლობას პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედისათვის (ნაცვლად ერთი მეოთხედისა) ჩამოაყალიბონ საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები პარლამენტის გადაწყვეტილების თანახმად. აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება დადებითად შეფასდა ვენეციის კომისიის მიერ. მისი განმარტებით „პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებამ, რაც აუცილებელია საპარლამენტო კომისიის ჩამოაყალიბებისათვის, შესაძლებელია, ხელი შეუწყოს მცირე ოპოზიციური პარტიების როლის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ „გადაწყვეტილება“ უმრავლესობისთვის პროცესში თვითნებობის უფლების მნინიჭებას, რადგან ეს მირს გამოუთხრის ოპოზიციის უფლებებს. შხვა შემთხვევაში, ტექსტის ცვლილება იქნებოდა კონტრაროდუქტიული იმ მიზნისა, რაც არის პარლამენტში ოპოზიციის სტატუსის გაძლიერება. პარლამენტის რეგლამენტი არ უნდა იყოს იმგვარი, რომ გაართულოს საპარლამენტო კომისიის შექმნა, მაშინ როდესაც შესაბამისი გადაწყვეტილება არის მიღებული პარლამენტართა მეხუთედის მიერ.”³²¹

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის პარლამენტის წევრთა რაოდენობის შეცირება ხელს შეუწყობს პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის გაზრდას საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მართვაზე. აღნიშნული ცვლილებით, ოპიზიციურ

³²¹ ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება №543/2009, CDL(2010)028, სტრასბურგი, 2010 წლის 15 ოქტომბერი, 7, <<http://constcommission.ge/1-5>>.

პარტიებსაც მიეცემათ შესაძლებლობა სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესწავლის მიზნით საგამოძიებო კომისიის შექმნისა.

უმაღლესი საკანონმდებლო კომპეტენციის გაძლიერებისა და საპარლამენტო პროცედურის მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლებელია, საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერ ხარჯვასთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტის მიერ შეიქმნას პარლამენტის წევრთა არანაკლებ 10 წევრის მოთხოვნით. ცვლილება ხელს შეუწყობს პაელამენტის წევრთა როლის გაზრდას საბიუჯეტო კონტროლის პროცესში.

არ უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედამდე შემცირება ქმნის რისკს, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიები შესაძლოა გამოყენებულ იყოს პოლიტიკური ზეწოლის საშუალებად ან პოლიტიკური ყურადღების მოსაპოვებლად და საზოგადოებაში საკუთარი თავის წარმოსაჩენად.”³²² დროებითი საგამოძიებო კომისიის მოქნილი პროცედურით ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ex-post საფინანსო კონტროლის კომპეტენციის განმტკიცებას საქართველოში.

ზოგიერთ ქვეყანაში დროებით საგამოძიებო კომისიას გამოძიების წარმოების ფუნქცია გააჩნია და კვაზი-სასამართლოს ბუნებისაა. ამ თვალსაზრისით, ფინეთი, ირლანდია, ესპანეთი და შვედეთი გამონაკლისს წარმოადგენს, სადაც საგამოძიებო კომისიები საპარლამენტო კომიტეტების მსგავსად მოკლებული არიან გამოძიების წარმოების ფუქციას.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიების კომპეტენციის სიძლიერეს დიდწილად კომისიის სხდომაზე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მოწმის სახით დაბარების უფლებამოსილება განაპირობებს და ამ უკანასკნელთა ვალდებულება ჩვენება მისცენ კომისია მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. ამასთანავე, როგორც ქვეყნებში, როგორიცაა, ავსტრია, საბერძნეთი, ირლანდია და პოლანდია დროებითი საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს გარკვეული სანქციები დაუწესოს იმ თანამდებობის პირებს, როლებიც უარს განაცხადებენ კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე. ამ თვალსაზრისით საინტერესო ავსტრია. მისი კანონმდებლობის თანახმად, კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული ჯარიმით ისჯება, რაც შეეხება პოლანდიას, სანქცია ადმინისტრაციული პატიმრობით არის გამოხატული.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიების კომპეტენციის სიძლიერეს დიდწილად განაპირობებს მისი ურთიერთობა სასამართლო სისტემასთან და ამ უკანასკნელის ვალდებულება გადასცეს კომისიას სასამართლოს ხელთ არსებული მასალები კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში. ამ ტიპის პრაქტიკა არსებობს ავსტრიაში, ბელგიაში, ფინეთში და იტალიაში. მაგალითად, საფრანგეთში, ირლანდიაში და

³²² ბაბუკი ვ., ფიში ს., რამაზებებების ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბ., 2012, 128.

<<http://www.georgischerknoten.de/images/knoten/GeorgischeBuecher/giz2013-ge-rewriting-a-constitution.pdf>>.

საბერძნეთში კომისიასა და სასამართლოს შორის ამგვარი ინტერაქცია არ არსებობს.

საგამოძიებო კომისიის, როგორც მდლავრი საპარლემენტო კონტროლის მექანიზმის წარმოსაჩენად, გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეფექტურ საპარლამენტო კონტროლს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააუმჯობესოს მთავრობის მუშაობის ხარისხი, იგი ფორმირებას ახდენს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებისა და წარმატებას ან წარუმატებლობას აღწევს სასურველი შედეგების მისაღებად.³²³

2016 წლის მარტის თვეში, მითითებული სადოქტორო ნაშრომის კვლევის ვარგლებში, გამოთხვილ იქნა საჯარო ინფორმაცია³²⁴ საქართველოს პარლამენტიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის მიერ ექსჯერ შეიქმნა საგამოძიებო კომისია. საანგარიში პერიოდის განმავლობაში, დროებითი საგამოძიებო კომისია არ შექმნილა საფინანსო საკითხების თაობაზე. 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საგამოძიებო კომისიის შექმნა მიზანშეუწოდებით იქნა მიწნეული თორმეტჯერ. არც ერთხელ არ დამდგარა დღის წესრიგში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საგამოძიებო კომისია არც ერთხელ არ შექმნილა საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, პარლამენტის ეფექტურ საგამოძიებო კომისიას უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

კომისიას უნდა ჰქონდეს საგამოძიებო ფუნქცია და იძულების ხასიათი, რაც მისი მუშაობის ეფექტურობას განაპირობებს.

მას უნდა უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტების დაუბრკოლებელი მიღების შესაძლებლობა.

საგამოძიებო კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ საჯარო დაწესებულებებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში დაუბრკოლებელი შესვლის უფლება მოკვლევის განსახორციელებლად.

კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეს უფლება, მოსთოვოს საჯარო მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს საჭირო დოკუმენტის ან ინფორმაციის დაუყოვნებლივ წარმოდგენა.

პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ უნდა ამართოს საჯარო მოსმენები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის როდესაც საქმე ეხება საჯარო ფინანსების არამიზნობრივად განკარგვას.

დროებითი საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთ მთავარ კონსტიტუციურ პრეროგატივას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ

³²³ Marsh I., The Commons Select Committee System in the 2015-2020 Parliament, Regnet Research Paper, No.90, Regulatory Institutions Network., 2015, 11. <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2666825>.

³²⁴ საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის №2792/2-4 (28.03.2016) წერილი.

უფლებამოსილების თვითნებურად, ბოროტად გამოყენების კონტროლი უნდა წარმოადგენდეს.

კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს მოწმეს მოსთხოვოს კითხვებზე პასუხის გაცემა და ჩვენების მიცემა მიუხედავად იმისა ინფორმაცია იწვევს თუ არა პირის თვითინკრიმინირებას.

კომისიისათვის განზრას ცრუ ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება უნდა ისჯებოდეს კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციამ და სხვა აქტებმა ნათლად უნდა გაწეროს პარამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ფუნქციები მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვასტან დაკავშირებით.

7.4 მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება – პარლამენტის საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმი

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მისი გამოყენებით, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო კონტროლს, როგორც წინასწარ, ისე შემდგომ ეტაპებზე. მითითებულ თავში გაანალიზებულია კონცეფცია „responsible government”, როგორც საპარლამენტო დემოკრატიის ქვაკუთხედი.

ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო უნდობლობის კონსტრუქციული კოტუმის გამოყენებით, აკონტრილებს მთავრობის საქმიანობას საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით.

7.4.1 კონცეფცია „responsible government” – საპარლამენტო დემოკრატიის ქვაკუთხედი

კონსტიტუციონალიზმში კონცეფცია „responsible government” პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლიანი მთავრობის ანგარიშვალდებულებას გულისხმობს. „responsible government”-ის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობას აქვს უნარი მიიღოს გადაწყვეტილებები და აგოს მათზე პასუხი პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე. პასუხისმგებლიანი მთავრობა, როგორც საპარლამენტო ანგარიშვალდებულების პრინციპი, საპარლამენტო დემოკრატიის ქვაკუთხედს შეადგენს.

დემოკრატიის ტრადიციულ-ლიბერალური თეორია წარმომადგენლობითი დემოკრატიის აღწერისას გამომდინარეობს ცენტრალური თეზისიდან, რომელის ანგლო-საქსურ ისტორიასთან არის დაკავშირებული. დემოკრატია აღინიშნება, როგორც „responsible government” ე.ო. როგორც საპასუხისმგებლო მართვა, მთავრობა, რომელსაც უნარი აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები და აგოს მათზე

პასუხისმსახურებით პოლიტიკური მმართველობის შეზღუდვაა წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაგების ძირითადი ელემენტი.³²⁵ „responsible government”-ის კონცეფცია რაციონალური პარლამენტარიზმის იდეის გამოვლინებას წარმოადგენს. ძლიერი, ქმედითი და პასუხისმგებლიანი მთავრობა ეფექტური მმართველობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენების თვალსაზრისით თანამედროვე და ტრადიციული პარლამენტარიზმი ერთი და იგივე არაა. ამ მხრივ ერთმანეთისაგან იმიჯნება ტრადიციული (კლასიკური) და რაციონალიზებული პარლამენტარიზმი.³²⁶

ტრადიციული პარლამენტარიზმის პირობებში, არ არსებობს არავითარი წინადობა მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებისა, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს: უნდობლობის გამოცხადება, იმპირატორის პროცედურის დაწყება, ინტერპელაცია და სხვა.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ პასუხისმგებლობის სისტემატური დაყენება მთავრობის არასტაბილურობას იწვევს.³²⁷

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის იდეამ კი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება კონსტიტუციით გაწერილი პროცედურით და ვადით გაითვალისწინა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მთავრობის არასტაბილურობა და კონსტიტუციური უწესრიგობა. ამ კუთხით, რაციონალიზებულმა პარლამენტარიზმმა დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნების კონსტიტუციური წესრიგისა და მთავრობის სტაბილურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

რაციონალიზებული პარლამენტარიზმის კონცეფცია და მთავრობის სტაბილურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო კონტროლის, ფისკალური დისციპლინის დამყარების დროს, როდესაც ერთის მხრივ მნიშვნელოვანია პარლამენტის მხრიდან მთავრობის საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება და მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია მთავრობის სტაბილური ფუნქციონირება საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად განკარგვის კუთხით.

აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობა ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპია ბრიტანეთის ვესტმინისტერის ტიპის საპარლამენტო სისტემაში. აღნიშნული პრინციპის თანახმად, მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტს წინაშე მათი საკურატორო სამინისტროებისა და მთლიანად მინისტრთა კაბინეტის ქმედებებისა და განხორციელებული საჯარო და საფინანსო პოლიტიკის გამო.

აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო საქმიანობაზე პარლამენტის კონსტიტუციური კონტროლის პრინციპი დაფუძნებულია პრეცედენტების, საპარლამენტო პრაქტიკის საფუძველზე და ნაკლებად

³²⁵ ძურგენბერგერი ბ., დემოკრატიის თეორია, 28, <<http://www.migri-law.ge/>>. (3.03.16).

³²⁶ ცანაგა და, მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც ძალაუფლების დაბალანსების მქანიზმი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, სამართლის ურნალი №1, 2014, თბ., 299.

³²⁷ ლოგო ფ., პარლამენტარიზმი, ნ. ცენტრული და მ. ბალაგაძის თარგმანი, ვ. კუჭლავას რედაქტორობით, თბ., 2005, 101.

გაწერილი კანონმდებლობის მიხედვით. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის გაერთიანებული სამეფო და კანადა, მთავრობის საფინანსო პასუხისმგებლობა ასევე, ეფუძნება მათ მიერ ფიცის დადების ტრადიციას. ვესტმინისტრის ტიპის ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელია მინიტრთა კაბინეტის წევრების როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი საფინანსო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ვესტმინისტრის ტიპის ქვეყნებში, საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით, პარლამენტის წინაშე მინისტრების კოლექტიური პასუხისმგებლობა სხვადასხვა ფორმებს იძენს. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მთავრობა რჩება თანამდებობაზე, მანამ სანამ ინარჩუნებს პარლამენტის ნდობას. აღნიშნულის საფუძველზე, ან მთლიანი მთავრობა რჩება თანამდებობაზე ან ტოვებენ თანამდებობას კოლექტიურად.

მინისტრთა კაბინეტმა მხარი უნდა დაუჭიროს მთავრობის საფინანსო პოლიტიკას, ისინი ასევე, ვალდებული არიან გადადგნენ ან მთავრობის დაშლა მოითხოვონ თუ პარლამენტი მათ ნდობას არ გამოუცხადებთ. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ბიუჯეტთან დაკავშირებით კენჭისყრისას ან საფინანსო ვალდებულების შეუსრულებლობისას.

საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით მინისტრების კოლექტიური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ ისინი შემოსაზღვრული არიან მთლიანად მთავრობის როგორც კონსტიტუციური ორგანოს გადაწყვეტილებებით, თუნდაც ცალკეულ მინისტრს ან მინისტრებს არ ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა კაბინეტის განხილვებში და გადაწყვეტილებებში. მინისტრები გუნდურად იღებენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.

მინისტრები შეთანხმებულად საუბრობენ პარლამენტში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრემიერ მინისტრი გაათავისუფლებთ მათ ამ პასუხისმგებლობიდან. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც მთავრობას არ აქვს ჩამოყალიბებული საფინანსო პოლიტიკა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და პარლამენტს აძლევს საშუალებას კენჭისყრა ჩაატაროს ამ ტიპის საკითხებზე ან როდესაც პრემიერ-მინისტრი უფლებას აძლებს მინისტრს ან მინისტრებს რომ პარლამენტში განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს საჯარო პოლიტიკის, მათ შორის საფინანსო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს, ცალკეული მინისტრები უფლებამოსილნი არიან ინდივიდუალურად მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო დებატებში და პარლამენტისგან განსხვავებული პოზიციაც დააფიქსირონ. მინისტრები ვალდებული არიან დაიცვან დებატების კონფიდენციალურობა. ვესტმინისტრის ტიპის პარლამენტისათვის დამახასიათებელია მთავრობის ერთ გუნდად წარმომადგენლობა, რომელიც კოლექტიურად პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე საფინანსო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

საფინანსო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მინისტრები, ასევე, „პერსონალურადაც პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე. პარლამენტის წინაშე მინისტრების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ვრცელდება როგორც მათი

ქმედებებისათვის, ისე მის საკურატოროსფეროში შემავალი სტრუქტურებისა და საჯარო მოხელეების ქმედებებთან დაკავშირებითაც. საჯარო მოხელის მიერ კანონის უხეშ დარღვევას შესაძლოა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომაც მოჰყვეს”.³²⁸

ძალაუფლების შეზღუდვა მიიღწევა მთავრობის კონტროლისა და პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, კონტროლი კონსტიტუციონალიზმის მთავარი კონცეფციაა. კონტროლისა და პასუხისმგებლობის სისტემა უზრუნველყოფს მთავრობის რაციონალურობას, ხდის მას უფრო წინდახედულსა და თანმიმდევრულს. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, პარლამენტის მეშვეობით კი საზოგადოების წინაშე.³²⁹

ზოგიერთი მეცნიერი „responsible government”-ს განმარტავს, როგორც ქვეყნის მართვას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, რომელიც პარლამენტის მეშვეობით ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე.³³⁰ აღნიშნული მიდგომა უპირველესად პარლამენტის წარმომადგენლობითი ხასიათიდან გამომდინარეობს და პარლამენტარიზმის ძირითად არსებობის გამოხატავს.

ანგარიშვალდებულება ისეთივე ძველი მექანიზმია, როგორც თავად ცივილზებული მთავრობა. ანგარიშვალდებულებას რეტროსპექტიული ხასიათი გააჩნია, რომელიც მთავრობის მიერ უკვე განხორციელებულ ქმედებებს ეხება. აღმასრულებელ ხელისუფლებას ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილება საზოგადოებრივ სიკეთის და არა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. კანონის უზენაესობის პრინციპი კი გულისხმობს იმას, რომ ძალაუფლების მქონე პირებმა არ უნდა გადააჭარბონ მათ უფლებამოსილებებს.³³¹

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის საკითხი აქტუალურია დემოკრატიული მმართველობის მქონე ქვეყნებისათვის. ნებისმიერი აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელია.³³²

ანგარიშვალდებული მთავრობა წარმოუდგენელია შემდეგი კონსტიტუციური პრინციპების გარეშე, როგორიცაა: კანონის უზენაესობა, სახალხო სუვერენიტეტი და შეზღუდული მთავრობა.³³³

ასევე, მისადებია ზოგიერთი მეცნიერის შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის კონტროლისა და პასუხისმგებლობის ფორმების მრავალფეროვნებით მაიც საპარლამენტო სისტემა გამოირჩევა. საპარლამენტო სისტემაში პასუხისმგებელი მთავრობის არსებობა მისი უდაგო კრიტერიუმია.³³⁴

³²⁸ იხ.: ინფორმაცია: Andre Munro <<http://www.britannica.com/topic/ministerial-responsibility>>.

³²⁹ ცანაგა და, მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, სამართლის უზრნალი №1, 2014, თბ., 289.

³³⁰ Umeshwari C., Responsible Government: a case study of Bihar, 1919-1937, the University of Michigan, 2007, 23.

³³¹ Turpin C., Tomkins A., British Government and the Constitution, Cambridge, 2007, 132

³³² Bradley A., Ewing K., Constitutional and Administrative Law, Harlow, 2007, 107.

³³³ Patrick J., McGrath., the Way to Responsible Government: the Constitutional Re-Structuring America Needs, US, 2000, 2.

³³⁴ ლოგო ვ., თანამდეროვე დიდი დემოკრატიები, ნ. ცქიტიშვილისა და მ. ბალავაძის თარგმანი, ვ. კეშელავას რედაქტორობით, თბ., 2002, 128.

ზოგიერთი მეცნიერი კონცეფციას „responsible government” კანადის სამართლებრივ კონტექსტში შემდეგნაირად განმარტავს: მთავრობა, რომელიც თემთა პალატაში არის წარმოდგენილი მინიჭებული აქვს ქვეყნის მართვის უფლებამოსილება, რადგან იგი თემთა პალატაში ინარჩუნებს უფლებამოსილებას ზედამხედველობა გაუწიოს პალატის წევრთა უმრავესობას³³⁵.

ზოგიერთი მეცნიერი პასუხისმგებლიანი მთავრობის კონტექსტში წარმომადგენლობითი მთავრობის იდეას ავითარებს³³⁶, რომელიც დიდ ბრიტანეთისა და კანადის საპარლამენტო მმართველობისთვისაა დამახასიათებელი.

მეცნიერთა ნაწილი „responsible government”-ის „არჩევითი” კუთხით გაგებას არასაკმარისს უწოდებს.³³⁷

პასუხისმგებლიანი მთავრობის კონცეფცია უპირველესად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს.

აღნიშნული პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო ქმნის მართლწესრიგს და შესაბამის გარანტიებს. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ისეთივე სავალდებულოა ადმინისტრაციის კანონიერების პრინციპი, როგორც ხელისუფლების სხვა შტოებისთვის. სამართლებრივი სახელმწიფოს არსი კანონის მიერ ხელისუფლების შეზღუდვა და ბოჭვაა. თანამედროვე სამართლებრივი და კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეა აღმოცენდა ხელისუფლების შებოჭვის იდეასთან მჭიდრო კავშირში.³³⁸

სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი პრინციპი, მისი მიზანი და ამოცანა საზოგადოებისა და პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფაში მდგომარეობს³³⁹. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი კონცეფცია მთავრობის სამართლებრივ ბოჭვას და პარლამენტის წინაშე ანგარიშგებას გულისხმობს.

სამართლებრივი სახელმწიფო ერთის მხრივ ანგარიშავლდებულების დაცვას ხოლო მეორეს მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობას ემსახურება.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ ელემენტს აღმასრულებელი ხელისუფლების პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობა წარმოადგენს.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, საპარლამენტო დემოკრატიის არსებითი ნიშანია მთავრობის პარლამენტის მიერ ფორმირება და მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა უმაღესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მთავრობის ფორმირება მხოლოდ არჩევნებით არ განისაზღვრება, იგი წარმოადგენს პარტიებს შორის პოლიტიკური გაჭრობის შედეგას.

³³⁵ Senator Duglas Everett and Senator Duff Roblin, A Question of Responsible Government, Canadian Parliamentary Review, 11:1 (Spring 1988) 14-17.

³³⁶ Dunn C., A Note on the Meaning of Responsible Government, Canadian Parliamentary Review, Vol.11, no 3, 1988, 12, <http://www.revparl.ca/11/3/11n3_88e_Dunn.pdf>.

³³⁷ Birch A.H, Representative and Responsible Government, University of Toronto Press, Toronto, 1969, 138.

³³⁸ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი სამართლებრივ სახელმწიფოზე, <http://library.court.ge/gil/index.php?term_id=487>.

³³⁹ Sommermann K.-P., Art. 20, in: v. Mangoldt H., Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, München 2010, 232.

ამასთანავე, ეს გულისხმობს, რომ მთავრობამ თავისი მანდატი შეიძლება დაასრულოს პარლამენტის ვადის ამოწურვამდე, თუ ამას გადაწყვეტს პარლამენტი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების გაზით.³⁴⁰

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ნდობა-უნდობლობის საკითხი შესაძლოა წამოიჭრას მთავრობის ფუნქციონირების თითქმის ყველა ეტაპზე.³⁴¹

როგორც ზოგიერთი მეცნიერი განმარტავს, საქართველოს კონსტიტუცია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს რამდენიმე დებულებით აღიარებს. აღნიშნული პრინციპი მოხსენიებულია კონსტიტუციის პრემბულაში, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს დამკიდრებას საქართველოს მოქალაქეთა ურყევ ნებად და კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად მიზნად და ამოცანად აცხადებს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გარკვეული ელემენტები – მათ შორის კონსტიტუციის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანის ძირითად უფლებათა წარუვალობისა და უზენაესობის პრინციპები კონსტიტუციის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით და ადამიანის ძირითადი უფლებების განმამტკიცებელი ცელქული დებულებით არის უზრუნველყოფილი.³⁴²

პასუხისმგებლიანი მთავრობის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება მის მიერ საბიუჯეტო უფლებამოსილებების განხორციელებისას. მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობას შესაძლებელია პარლამენტის მიერ მისთვის უნდობლობის გამოცხადება ან ინტერპელაციის პროცედურას მოჰყვეს, ხოლო კონსტიუციის პრინციპების დარღვევა ან საფინანსო დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია ინიშმენტის ადგვრის ან/და დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველიც გახდეს.

კონცეფცია „responsible government“ საბიუჯეტო კონტროლის როგორც წინასწარ, ისე შემდგომი საბიუჯეტო კონტროლის ეტაპებზე ვლინდება. პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან ერთად მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარშსაც წარადგენს. პარლამენტის წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობას საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით რეგროაქტიული ხასიათიც გააჩნია. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხს აგებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე და პარლამენტს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხს აგებს იმ ქმედებებზე, რომელიც საპარლამენტო კონტროლამდე განხორციელდა.

პასუხისმგებლიანი მთავრობის კონცეფციის ჭრილში პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის ზედამხედველობასა და კონტროლს გულისხმობს. პასუხისმგებლიანი მთავრობა პარლამენტის

³⁴⁰ Diermeier D., Eraslan H., Merlo A., A Structural Model of Government Formation, January 2003, Econometrica, Vo.71, No.1, 27, <<http://public.econ.duke.edu/~psarcidi/lunchf08/diersmerlo.pdf>>.

³⁴¹ Huber J. D., The Vote of Confidence in Parliamentary Democracies, The American Political Science Review Vol. 90, No. 2, 1996, 270, <http://www.jstor.org/stable/2082884>.

³⁴² ქობახიძე ი. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლი, სამართლის ქურნალი №1, 2013, თბ., 308.

მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას და „კანონებს ახორციელებს და მათ ადმინისტრირებას ახდენს“³⁴³.

7.4.2 უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმი – საფინანსო კონტროლის მექანიზმი

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმაშ საქართველოს კონსტიტუციაში უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის მექანიზმი შემოიტანა.

საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება ხორციელდება უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის საფუძველზე. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის თანახმადაც, თუ პარლამენტი ახალი საბოლოო წლის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში ვერ მოახერხეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებას. საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ გარკვეული ვადის განმავლობაში ბიუჯეტის მიუღებლობის შემთხვევაში, ავტომატურად იწყება უნდობლობის მექანიზმის გამოყენება.

უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთვრობის მოქმედი შემადგენლობისათვის უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად, პარლამენტი ნდობას უცხადებს მთავრობის ახალ შემადგენლობას. უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს პარლამენტს თავიდან აიცილოს სამთავრობო კრიზისი და განმუხტოს დაძაბულობა ხელისუფლების შტოებს შორის.

უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის ქართული მოდელი ვენეციის კომისიამაც გააკრიტიკა. კომისიის შეფასებით, უნდობლობის საკითხის აღმრვასთან დაკავშირებული წესები თავიდან უნდა იყოს განხილული და გადახედილი. პროცედურა იმგვარად არის გაწერილი, რომ პარლამენტის მიერ შეუძლებელი გახდეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება. ვენეციის კომისიის დასკვნით, არ არსებობს კენჭისყრის საჭიროება უნდობლობის პროცედურის აღსაძვრელად. ანდა ჩატარდეს მხოლოდ ერთი კენჭისყრა. საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი³⁴⁴ არ არის შესაბამისობაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან. ალოგიკურია, პრემიერ-მინისტრისთვის ნდობის გამოსაცხადებლად პარლამენტის წევრთა ერთი მეორედის მხარდაჭერა, ხოლო უნდობლობის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტოს გადასალახად სამი მეუთედის უმრავლესობა. ეს აძლევს ძალიან დიდ ძალაუფლებას პრეზიდენტს და აკნინებს არა მხოლოდ პარლამენტის ძალაუფლებას, არამედ პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურ

³⁴³ მერინგი ბ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 5, <http://sao.ge>.

³⁴⁴ პარლამენტის მიერ იმავე კანდიდატის წარდგენა ხმათა სამი მეუთედის გადაწყვეტილებით.

პასუხისმგებლობასაც, რაც უნდა იყოს ახალი სისტემის ქვაძუთხედი. ვენეციის კომისია განმარტავს, რომ მეორე მოსმენის შემდეგ მხოლოდ ერთი დადგებითი ცვლილება შევიდა: შემცირდა პროცედურის ვადები. ეს არის დადგებითი მოვლენა, თუმცა არასაკმარისია.³⁴⁵

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობისას, კონსტიტუციის 81-ე მუხლთან დაკავშირებით პროფესორმა ბლანკენაგელმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილება. მან კონსტიტუციის 81-ე მუხლთან დაკავშირებით შემდეგი პრობლემები დაასახელა: პროცედურული ეტაპების რაოდენობა, ვადები და კვორუმი.³⁴⁶ პროფესორი ფიშიც თვლიდა, რომ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონოდა პარლამენტის ნებისმიერ დროს დათხოვნის უფლებამოსილება.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართულ მოდელს მთელი რიგი ხარვეზები გააჩნია, რაც შეუსებამოა ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასაწორების კონსტიტუციურ პრინციპთან.

საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად უნდობლობის საკითხის აღძრის შესახებ პარლამენტს შეიძლება მიმართოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მეხუთედმა, რა არარეალურად მაღალი ციფრია, რაც საპარლამენტო კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს. როგორც წესი, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ინსტრუმენტის ინიცირებისათვის ევროპის უმრავლეს ქვეყნებში პარლამენტის წევრთა ერთი მეოთხედის ან უფრო ნაკლების შემადგენლობას იყენებენ.³⁴⁷

საქართველოს კონსტიტუციით უნდობლობის საკითხის აღმრგვისათვის ცალკე კენჭისყრის გათვალისწინება მიზანშეუწონელია და პროცესის გაჭიანურებას ემსახურება. ამასთანავე, აბსოლუტურად ირაციონალურია ის ფაქტი, რომ საკითხის აღძრის გადასაწყვეტად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა – იგივე რაოდენობა რაც უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებისათვის არის საჭირო. პარლამენტის მიერ უნდობლობის შესახებ გადაწყვეტილება თავისი მნიშვნელობით და საკითხის საბოლოო გადაწყვეტის კუთხით გაცილებით მაღლა დგას საკითხის ინიცირებისაგან განსხვავდებით, რომელიც საბოლოო შედეგის მატარებელი არ არის. ამ ორი საკითხის ერთ რანგში აყვანა არსებითად ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს და უნდა შეიცვალოს.

საქართველოში უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს მისი განხილვის გაწელილი პროცედურა, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ წესრიგთან. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მიზანი ხელისუფლების შტოებს შორის დაბაბულობის განმუხტვა და არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის დაცვა და გადარჩენა უნდა იყოს. საქართველოში უნდობლობის კონსტრუქციული

³⁴⁵ ვენეციის კომისიის 2010 წლის 7 ოქტომბრის დასკვნა, CDL-AD(2010)028 Final opinion on the draft constitutional law on amendments and changes to the constitution of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session (Venice, 15-16 October 2010).

³⁴⁶ ბაბუაშვილი გ., ფიში ს., რაიმუნდგაური ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გხა ევროპისაკენ, თბ., 2012, 167.

³⁴⁷ ამგვარი პრაქტიკა მოქმედებს შემდეგ ქვეყნებში: ბელგია, ისრაელი, სლოვენია, პოლონეთი, უნგრეთი, ეპანეთი, გერმანია.

ვოტუმის მექანიზმი ძირითადად პრემიერ-მინისტრის დაცვისა და მისი პოსტის სტაბილურობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. თავისი არსით უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მიზანი კონსტიტუციური წესრიგისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის საზიანოა, როდესაც კონსტიტუციური მექანიზმი ხელისუფლების რომელიმე ერთი შტოს ინტერესებს ემსახურება.

საქართველოში პროცედურის სრულად გასავლელად საჭიროა არანაკლებ 60 დღე, რაც შეუთავსებელია უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის არსება და მიზანთან. როგორც წესი, ამგარად გაწელილი პროცედურა არ მოქმედებს ეკონომიკური ქვეყნების დიდ ნაწილში. საქართველოში უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ინსტრუმენტი პრემიერ-მინისტრის ინტერესებს და მის მიერ ფარული შეთანხმებების წარმოების წახალისებას ემსახურება.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტის იმ წევრებმა უნდა დაასახელონ მთავრობის ახალი შემადგენლობა, ვინც უნდობლობა გამოცხადა მას. საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლი კი განსაზღვრავს, რომ პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ თუ მეტულებს.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის არსიდან გამომდინარე, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას და მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებას საერთო პროცედურა უნდა აწესრიგებდეს და ერთმანეთის გაუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. საქართველოს კონსტიტუციაში რატომდაც აქცენტი კეთდება მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურაზე და საუბარი არ არის მთავრობის ფორმირებაზე, რაც არსებითად წინააღმდეგობაში მოდის უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის არსობრივად უნდა მოჰყვეს მთლიანად მთავრობის, როგორც კოლეგიური ორგანოს ცვლილება.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება და პარლამენტის როლს აკნინებს საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის ის დანაწესი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის ვეტოს გადალახვა და მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის მხარის დაჭერას პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა სჭირდება. პრეზიდენტის ვეტო საერთოდ არ უნდა გამოიყენებოდეს პარლამენტის მიერ კონსტრუქციული ვოტუმის გამოყენებისას, ვინაიდან მთავრობის ფორმირება და უნდობლობის გამოცხადების გზით მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა პარლამენტის მთავარ კომპეტენციას წარმოადგენს. უნდობლობის ვოტუმის დროს პრეზიდენტის ვეტოს გამოყენება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმზე გათვალისწინებული პრეზიდენტის ვეტო, რომლის გადასალახად და პროცედურის დასასრულებლად ხმათა 3/5-ია საჭირო, როდესაც ნდობის გამოცხადებისთვის სიითი შემადგენლობის უმრავლესობაა საკმარისი. ეს პარლამენტს არათანაბარ ვითარებაში აყენებს მთავრობასთან, ვინაიდან თუ აღმოჩნდება, რომ მთავრობა და

პრეზიდენტი ერთ პოზიციას იზიარებენ, პარლამენტი შექმნილი ოპოზიციური უმრავლესობა (თუ ის 3/5-ზე ნაკლებია) ყოველთვის დათხოვნის საფრთხის წინაშე დგას.³⁴⁸

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, 2010 წლის კონსტიტუციის პროექტი ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის თვალსაზრისით პარლამენტის როლი უკიდურესად სუსტია, ხოლო მთავრობა, კერძოდ კი, პრემიერ-მინისტრი ძალაუფლების მატარებელ მონსტრად გვევლინება, რომელიც ჩრდილავს ხელისუფლების ყველა სხვა უმაღლესი ორგანოს უფლებამოსილებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია პრემიერის მიერ ნდობა გამოცხადებული მთავრობის სრული შემადგენლობის შეცვლის უფლებამოსილება, რა დროსაც პარლამენტის როლი უგულვებელყოფილია, პარლამენტის ბერკეტები მყოფე და ამ ბერკეტების გამოყენების რთული პროცედურის გათვალისწინებით.³⁴⁹

ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების სისტემას შეუძლია მთავრობა უფრო ყურადღებიანი გახადოს საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.³⁵⁰

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი საკმაოდ დეტალურად და ორგანულად არის რეგულირებული გერმანიის ძირითად კანონში. გერმანული მოდელი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სრული დაცვით აყალიბებს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის კონსტიტუციურ მექანიზმს.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის გაწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითად კანონში კონსტიტუციური წესრიგისა და ქვეყნის სტაბილური განვითარების მიზნით არის განპირობებული.

გერმანიის კანცლერის ძლიერი კონსტიტუციური პოზიციის უზრუნველყოფი მთავარი ელემენტი უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმია.³⁵¹ გერმანიის ძირითადი კანონის 67-ე მუხლის თანახმად, ფედერალური კანცლერი მანამადე არ მიიჩნევა გადაყენებულად, სანამ მის უფლებამონაცვლეს კენჭი არ ეყრება და ბუნდესტაგი არ დაამტკიცებს.³⁵² უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ერთ-ერთ სპეციფიკას წარმოადგენს ის რომ, იგი ითვალისწინებს კანცლერის ახალი კანდიდატურის დასახელებას იმ პოლიტიკური სუბიექტებისგან, რომელთაგანაც ინიციატივა მოდის.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის განხილვის ვადები საკმაოდ შემჭიდროვებულია, რაც ამ მექანიზმის ეფექტურობასა და ოპტიმალურობას უწყობს ხელს. გერმანიის ძირითადი კანონის 67-ე მუხლის თანახმად, უნდობლობის საკითხის აღმდეგად ახალი

³⁴⁸ თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, სტატიათა პრებული, წიგნი 1, ბ-კვერენტისტილადისა და დგგენერაციას რედაქტორობით, თბ., 2012, 180.

³⁴⁹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა 2010 წლის 20 ივნისს ინიცირებულ კონსტიტუციონური კანონის პროექტთან დაკავშირებით, თბ., 2010, <<https://gyla.ge/ge/post/saia-parlaments-konstituciis-proeqtan-dakavshirebit-daskvnas-tsarudgens-59>>.

³⁵⁰ Sargentich T. O., The Presidential and Parliamentary Models of National Governments, American University International Law Review 8 no. 2/3, 1993, 592.

³⁵¹ Pach M., German and Polish Constructive Vote of No Confidence. Convergence or Divergence? 255, <http://www.tf.vu.lt/dokumentai/Admin/Doktorant%C5%BD_konferencija/Pach.pdf>.

³⁵² Basic Law of the Federal Republic of Germany, <www.bundestag.de>.

კანცლერის არჩევამდე კუნსტიტუციით გათვალისწინებულია ორმოცდარვა საათი. საქმის შემჭიდროვებულად განხილვის პუთხით, საინტერესო იქნებოდა გერმანული გამოცდილების გაზიარება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული პოლიტიკური არასტაბილურობა და სახელმწიფოებრივი კრიზისი. უნდობლობის გამოცხადების შემჭიდროვებულ ვადებში განხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც საქმე ეხება საბიუჯეტო საკითხებს, სადაც შემჭიდროვებულ ვადებში საქმის განხილვა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი ფუნქციონირებს პოლონეთშიც. აღნიშნული გულისხმობს პოლონეთის პარლამენტის – სეიმის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას. პოლონეთის კონსტიტუციის 158-ე მუხლი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკმაოდ რთულ პროცედურას გულისხმობს. პოლონეთის კონსტიტუციში გაწერილია დეპუტატთა რაოდენობა და უნდობლობის გამოცხადების საკმაოდ გაწელილი წესი. გერმანიის ძირითადი კანონისგან განსხვავებით პოლონეთის კონსტიტუცია უნდობლობის გამოცხადების საკმაოდ რთულ პროცედურას აწესებს. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელი გარკვეულილად ჰგავს ქართულ მოდელს პროცედურის სურთულითა და განხილვის განგრძლივი ვადებით.

უნდობლობის დესტრუქციული ვოტუმისაგან განსხვავებით, კონსტრუქციული ვოტუმი მთავრობის სტაბილურობის უზრუნველყოფას ემსახურება.³⁵³

სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმის ფარგლებში, შეზღუდულია პარლამენტის კომპეტენცია გადააყენოს მთავრობა, რადგან ჩვეულებრივი უნდობლობის მექანიზმისაგან განსხვავებით, კონსტრუქციული ვოტუმის შემთხვევაში ორი პირობა უნდა არსებობდეს: პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა და იმ პირზე შეთანხმება, რომელიც ალტერნატიულ მთავრობას უხელმძღვანელებს. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი ითვალისწინებს ახალი მთავრობის ფორმირებისათვის კენჭისყრას, რომელიც აბსოლუტური უმრავლესობის მიერ უნდა იყოს მხარდაჭერილი. ამასთანავე, იგივე უმრავლესობამ უნდობლობა უნდა გამოუცხადოს მოქმედ მთავრობას.³⁵⁴

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ერთ-ერთ დილემას შეიძლება წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია, პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს მთავრობის გადაყენებას, თუმცა, ვერ თანხმდება ალტერნატიული მთავრობის მეთაურის და მთავრობის ახალ შემადგენლობაზე.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი საკმაოდ იშვიათია და მხოლოდ შვიდ ქვეყანაში ფუნქციონირებს: გერმანიაში (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქნა შემოღებული), ესპანეთში (ფრანგის რეჟიმის შემდეგ

³⁵³ ბექენაგა დ., უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელი, გორდიას პვანი საქართველოს კონსტუციაში, სამართლის უკრნალი №1, 2013, ობ., 330.

³⁵⁴ Hazan R. Y., Analysis: Israel's new constructive vote of no-confidence, Chair, Department of Political Science, The Hebrew University of Jerusalem, March 18, 2014, 1, <https://www.knesset.gov.il/spokesman/eng/PR_eng.asp?PRID=11200>.

იქნა შემოღებული), უნგრეთში, სლოვენიასა და პოლონეთში (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იქნა შემოღებული), ბელგიაში (1995 წელს) და ისრაელში (2001 წელს). პირველმა ხუთმა ქვეყანამ უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმი შემოიღო ხანგრძლივი ავტორიტარული რეჟიმების შემდეგ, როდესაც ქვეყნები დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას. დაც შეეხება ბელგიასა და ისრაელს, მათ შეიმუშავეს უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის მექანიზმი პოლიტიკური რეფორმების ფარგლებში.³⁵⁵

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, კონსტიტუციული ვოტუმისათვის ზემოაღნიშნული ორი პირობის არსებობის საჭიროებიდან გამომდინარე, საკმაოდ იშვიათია ამ მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება. მის გამოყენებას რვაჯერ ჰქონდა ადგილი ისრაელის გარდა ექვსივე ქვეყანაში.³⁵⁶

პარლამენტის მნიშვნელოვან კომპეტენციებს განეკუთნება: ინვესტიტურის მექანიზმი, მთავრობისათვის ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების ინსტრუმენტები³⁵⁷. აღნიშნული კომპეტენციების არსებობა დიდწილად განაპირობებს პარლამენტის ძლიერი კონტროლის უფლებამოსილებას.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმრავლესობასა და მთავრობას შორის მუდმივი თანხმობის შენარჩუნება საპარლამენტო რეჟიმის მახასიათებლად შეიძლება იყოს მიჩნეული. თუ მათ შორის თანხმობა არაა, ეს იწვევს ერთ-ერთი მოთამაშის გავარდნას. უნდობლობის ვოტუმი მთავრობასა და უმრავლესობას შორის შესაძლო უთანხმოების გადაჭრის საშუალებას.³⁵⁸

საპარლამენტო სისტემების მთავრობათა არასტაბილურობა აძლევს ამ სისტემას მოქნილობას სწრაფად შეცვალოს მთავრობა როდესაც გარემოებების ცვლილება ამას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ პარტიები უნდა შეთანხმდნენ მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით, ამლევს საპარლამენტო სისტემას ინსტიტუციონალიზებულ მექანიზმს გაუმკლავდეს დიდი რაოდენობის პარტიებს.³⁵⁹

უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის პირობებში, პარლამენტი არა მხოლოდ ნდობის ნაკლებობას იჩენს პრემიერ-მინისტრის მიმართ, არამედ, ასევე, ასახელებს იმ პიროვნებას, რომელსაც პარლამენტის ნდობა აქვს რათა მთავრობის ფორმირება განახორციელოს.³⁶⁰

პარლამენტარიზმის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ საპარლამენტო სისტემის პირობებში, შესაძლებელი ხდება

³⁵⁵ იქვე, 1.

³⁵⁶ იქვე, 2

³⁵⁷ Strom K., Muller C. W., Bergman T., Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, Political Science, 2006, 166.

³⁵⁸ ცანაგა და, მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, სამართლის ურნალი №1, 2014, ობ., 299.

³⁵⁹ Bagec H.E., The Role of Political Institutions in Tackling Political Fragmentation and Polarization: Presidentialism Versus Parliamentarism, 2002, 152, <<http://eskidergi.cumhuriyet.edu.tr/makale/140.pdf>>.

³⁶⁰ Twomey A., The Governor-General's Role in the Formation of Government in a Hung Parliament, Sydney Law School, Legal Studies Research Paper, No.10/85, August, 2010, 6, <<http://ssrn.com/abstract=1666697>>.

აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის არსებული ჩიხური მდგომარეობის შემთხვევაში, მოგვარებულ იქნას დაძაბულობა საკანონმდებლო ნდობის გამოცხადების ფაქტორის გათვალისწინებით.³⁶¹ ბეილისმა აღმოაჩინა, რომ კოლეგიურად მართულ პოლიტიკურ რეჟიმში დაბალია პროტესტისა და დემონსტრაციების დონე, ნაკლებია აჯანყებები, შეიარაღებული შეტაკებები და პოლიტიკური მკვლელობებიც კი, ვიდრე ეს მონოკრატიულად მართულ პოლიტიკურ რეჟიმებშია.³⁶²

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმი წარმოადგენს გამონაკლისს სხვადასხვა კონსტიტუციურ სისტემებში. აღნიშნული სისტემა ხშირად გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ დიდ ტვირთს აკისრებს სუსტ მთავრობებს.³⁶³

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის კონსტიტუციური მექანიზმი თავისი არსით, სახელისუფლებო კრიზისების პრევენციას უნდა უწყობდეს ხელს. უნდობლობის კონსტრუციული ვოტუმის ქართული მოდელი ძირითადად პრემიერ-მინისტრის ინტერესების დაცვას ემსახურება და მაქსიმალურად აკნინებს პარლამენტის როლს ხელისუფლების დანაწილების სისტემაში.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელის გამოყენება განსაკუთრებით ზიანის მიმყენებელია საბიუჯეტო პროცესისათვის, რადგან როდესაც საკითხი ეხება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივად განკარგვის ან სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ამგვარმა გაწელილმა პროცედურამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ქვეყანაში საფინანსო წესრიგის განვითარებასა და სტაბილურობას.

საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურა განსაკუთრებულ მოქნილობას და პარლამენტის მაქსიმალურ ჩართულობას საჭიროებს. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურის რადენიმე თვით გაგრძელებამ შესაძლოა არსებითად დაზიანოს საბიუჯეტო პროცესი და საფრთხე შეუქმნას საჯარო წესრიგს ქვეყანაში.

2016 წლის მარტის თვეში, მითითებული სადოქტორო ნაშრომის კვლევის ფარგლებში, გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია³⁶⁴ საქართველოს პარლამენტიდან. მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის მიერ არც ერთხელ არ ყოფილა გამოყენებული საქართველოს მთავრობის ნდობა-უნდობლობის, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმები საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის წევრთა მიმართ საბიუჯეტო საკითხებთან, ბიუჯეტის

³⁶¹ იქვე, 152.

³⁶² იქვე, 152.

³⁶³ Fernando S., La Moción De Censura: ¿Constructiva u 'Obstructiva'? (The Vote of No Confidence: Constructive or 'Obstructive', (April 15, 2015), Revista Espanola de Derecho Constitucional, 2015, 1, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2594741>.

³⁶⁴ საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის №2792/2-4 (28.03.2016) წერილი.

შეუსრულებლობასთან ან საბიუჯეტო ხარჯების არამიზნობრივად გაწევასტან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნდობა-უნდობლობის მექანიზმს პარლამენტი არ იყენებს საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, შეიცვალოს უნდობლობის კონსტრუქციული გოტუმის მოქმედი პროცედურა, რათა იგი მოყვანილ იაქნება შესაბამისობაში ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პრინციპთან. პარლამენტის მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების საბოლოობა ხელს შეუწყობს პარლამენტარიზმის იდეის განვითარებას საქართველოში.

VIII. საქართველოს პარლამენტის საგადასახადო პოლიტიკა

აღნიშნულ თავში გაანალიზებულია გადასახადებთან დაკავშირებით მოქმედი შერეული საკანონმდებლო ინიციატივა და რეფერენდუმის მექანიზმი გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით.

გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვა არსებითად აკნინებს პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ინსტრუმენტის გამოყენება ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების კონსტიტუციურ პრინციპს ეჭინადმდეგება.

8.1 პარლამენტის საგადასახადო კომპეტენცია და საკანონმდებლო ინიციატივა გადასახადებთან დაკავშირებით

„საგადასახადო პოლიტიკა არის სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო შემოსავლების ეფუქტიანი მობილიზაციის მიზნით შემუშავებული დონისძიებების, წესების და მეთოდების ერთობლიობა. საგადასახადო პოლიტიკის უპირველესი მოთხოვნა არის გადასახადების დროული, ეფუქტიანი და სამართლიანი ამოდების უზრუნველყოფა. საგადასახადო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია საგადასახადო სისტემა. იგი წარმოადგენს ქვეყნის პარლამენტის მიერ დაწესებული გადასახადების, მათი დაწესების, შეცვლისა და გაუქმების, გადახდევინების პრინციპების, საგადასახადო კონტროლის, კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.“³⁶⁵

ზოგიერთი მეცნიერს, საგადასახადო სისტემის ძირითად კრიტერიუმებად მიაჩნია თანასწორობა, ეკონომიკური ნეიტრალობა, ორგანიზაციული უბრალოება, მოქნილობა და გადასახადების გაკონტროლება.³⁶⁶

„საგადასახადო პოლიტიკა ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია შემოსავლების ზრდა და ეკონომიკური და სოციალური მიზნების აღვოკატირება. გადასახადები გამოიყენება სასურველ სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებზე ზეგავლენის მოსახლეობად“³⁶⁷.

საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება ხშირად პარლამენტის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება. ამის შესახებ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში პირდაპირ არის მითოთებული. მაგალითად,

³⁶⁵ ახალია კ., საგადასახადო სისტემა და მისი როლი ტრანსპორტის მენეჯმენტის განვითარებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012, 102-103, <<http://gtu.ge/Stmm/Pdf/ladoaxalaia.pdf>>.

³⁶⁶ ახალია კ., საგადასახადო სისტემა და მისი როლი ტრანსპორტის მენეჯმენტის განვითარებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2012, 108, <<http://gtu.ge/Stmm/Pdf/ladoaxalaia.pdf>>.

³⁶⁷ შუალედური ანგარიში - სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისთვის, European Initiative Liberal Academy Tbilisi, ანგარიში - თენის შერგელაშვილის და ელგუჯა ხოკიშვილის ავტორობით, თბილისი, 2012, 16, <<http://www.ei-lat.ge>>.

ბულგარეთის 1991 წლის კონსტიტუციის მე-60 მუხლი ითვალისწინებს, რომ გადასახადები და მოსაკრებლები, ისევე როგორც საგადასახადო შედავათები და ტვირთი, დგინდება მხოლოდ კანონით და შესაბამისად შედის სახალხო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციაში.

ძირითადად, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს პარლამენტის უნიკალურ და ექსკლუზიურ როლს საგადასახადო კომპეტენციისა და ფისკალური დისციპლინის დამყარების კუთხით.³⁶⁸ პარლამენტის ექსკლუზიური საგადასახადო კომპეტენცია, პარლამენტის როგორც საგადასახადო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. პარლამენტის საგადასახადო პოლიტიკა, როგორც პარლამენტის სტატუსის განმსაზღვრელი საკითხი სრულყოფილ კონსტიტუციურ რეგლამენტაციას საჭიროებს.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი პარლამენტის საგადასახადო კომპეტენცია, თუმცა, არსებობენ კონსტიტუციები, რომლებიც პრინციპების დონეზე განსაზღვრავენ პარლამენტის უფლებამოსილებებს საგადასახადო სფეროში.

მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს კონგრესის საგადასახადო კომპეტენციას. „ამ საკითხს ძირითადად ეხება აშშ-ის კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-8 ნაწილი და კონსტიტუციის XVI (1913 წ.) შესწორება. კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება საქონლის გადასახადით დაბეგვრა, აგრეთვე აღწერს შტატების უფლებამოსილებებს საგადასახადო სფეროში“³⁶⁹.

საქართველოს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციას საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი განსაზღვრავს. საქართველოს

³⁶⁸ საფრანგეთის კონსტიტუციის 34-ე მუხლის თანახმად „კანონებს იღებს პარლამენტი. კანონი ადგენს ნორმებს, რომელიც ეხება გადასახადებისა და ყველა სხვა სახის გადასახდელების საფუძვლებს, განაკვეთებსა და აკრეფის პირობების დადგენას. პოლონეთის კონსტიტუციის 217-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „გადასახადებითა და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლებით დაბეგვრა, გადასახადითა და საგადასახადო განაკვეთებით დასაბეგრ სუბიექტთა განსაზღვრა, ასევე შედავათების აღიარებისა და დანარჩენი გადასახადის ბათილობის პრინციპები და გადასახადებისგან განთავისუფლებულ სუბიექტთა კატეგორიები განისაზღვრება კანონით. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 67-ე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად „სეიმი ადგენს სახელმწიფო გადასახადებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-8 ნაწილი ადგენს, რომ „კონგრესს უფლება აქვს დაადგინოს და მოკრიფოს გადასახადები...., რათა გადაიხადოს ვალები და იზრუნოს შეერთებული შტატების სახელმწიფო თავდაცვისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის. პორტუგალიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „გადასახადები წესდება კანონებით, რომლებიც განსაზღვრავს მათ გამოყენებას, განაკვეთებს, ფისკალურ შემოსავლებს და აგრეთვე გარანტიებს გადასახადის გადამხედვლთაოვის“³⁶⁸.

³⁶⁹ Constitution of the United States (Annotated), <<http://constitutions.vlex.com>>. (5.04.2013).

კონსტიტუციის 94-ე მუხლი პარლამენტს გადასახადებთან დაკავშირებით ექსკლუზიური კომპეტენციის მქონე ორგანოდ არ აღიარებს. ამავე მუხლის რეგლამენტაციის თანახმად, გადასახადებთან დაკავშირებით შესაძლებელია რეფერენდუმის გამართვა, რაც აკნინებს პარლამენტის როლს საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია.

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების თანახმად „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.“

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები საქართველოს პარლამენტს აღიარებენ საგადასახადო პოლიტიკის განმსაზღვრელ ექსკლუზიურ ორგანოდ, საქართველოს პარლამენტი იღებს კანონებს, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობასაც.

საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიურ საგადასახადო კომპეტენციასთან მიმართებით, არსებითად წინააღმდეგობრივია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, რომელებიც გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვას ითვალისწინებს. აღნიშნული რეგულაცია არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას საგადასახადო სფეროში.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „ერთგვაროვნება არის თითქმის დამახასიათებელი ნიშანი თანამედროვე აშშ-ის საგადასახადო რეჟიმისათვის“³⁷⁰. ერთგვაროვნებაში უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის საგადასახადო რეჟიმის საერთო განსაზღვრის სისტემა და ერთგვაროვანი სამართლებრივი მიდგომა საგადასახადო პოლიტიკის მიმართ. საგადასახადო კომპეტენცია არის პარლამენტის განუყოფელი უფლებამოსილება, რომელიც არ შეიძლება გაზიარდეს სხვა ორგანოსთან ან სხვა რომელიმე სამართლებრივ მექანიზმთან.

„სახელმწიფო პოლიტიკის არც ერთი საკითხი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც გადასახადების სტრუქტურა და დონე“. ³⁷¹

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საგადასახადო სისტემა იმ დინამიკის გაცნობის უნიკალურ საშუალებას იძლევა, რომელიც აყალიბებს სახელმწიფოს და ფორმას აძლევს მას. დღეს, საქართველოს ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ ისეთ იდეებს, როგორიცაა: თანასწორობა და სამართლიანობა, ეკონომიკური ზრდა და განვითარება, უფექტურობა, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, მათ შორის, კაპიტალი და შრომითი რესურსები. გარდა იმისა, რომ საგადასახადო სისტემა ნათელს ჰქონის პოლიტიკური ძალების

³⁷⁰ Stanek Stanek S., – September 17, 2010, What Constitution says about taxation, 1, <www.heartland.org/policy-documents/what-constitution-says-about-taxation>.

³⁷¹ პოლიტიკური დიალოგის ინიციატივა, Initiative for Policy Dialogue, <<http://www0.gsb.columbia.edu/ipd/programs/program.cfm?ptid=2&priid=89>>.

ურთიერთობას, ის ასევე, მრავლის მთქმელია სახელმწიფოს შესაძლებლობებზე და მის ფორმირებაზე.”³⁷²

პარლამენტის საგადასახადო კომპეტენცია ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სიძლიერის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი სახელმწიფო ეტაპის განმსაზღვრელი ატრიბუტია, რომელიც პარლამენტის როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საკონტროლო კომპეტენციის სიძლიერებზე მიანიშნებს.

თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია პრინციპების დონეზე მაინც ცდილობს აღიაროს პარლამენტების უზენაესი როლი საგადასახადო წესრიგის განსაზღვრასა და დამკავიდრებაში. ფისკალური დისციპლინის დამყარება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების საკონტროლო კომპეტენციათა გამოყენებით ხორციელდება.

გადასახადების მხოლოდ საკანონმდებლო წესით დადგენის კონსტიტუციური პრინციპი და პარლამენტის ექსკლუზიური გადაწყვეტილება საგადასახადო ტვირთის განსაზღვრის შესახებ დიდწილად განაპირობებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაეს როლს საბიუჯეტო პროცესში.

გადასახადების საკანონმდებლო წესით რეგლამენტაცია ხელს უწყობს პარლამენტის წინასწარი საფინანსო კომპეტენციის განმტკიცების პროცესს და პარლამენტარიზმის იდეის განვითარებას. ამასთანავე, ხელს უწყობს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საკონტროლო კომპეტენციის გაძლიერების პროცესს და მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ.

პარლამენტი, მიუხედავად მმართველობის სისტემაში მისი ადგილისა და როლისა, წარმოადგენს საგადასახადო და ფისკალური პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრელ ორგანოს, რომელიც ხელს უწყობს წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში და მთავრობის საბიუჯეტო კონტროლს მის მიერ ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების კუთხით.

„საგადასახადო სისტემაში უნდა უზრუნველყოს შემოსავლების მდგრადობა, რათა ხარჯების გადება უზრუნველყოფილი იყოს.”³⁷³

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნების კონსტიტუციები ცდილობენ შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მოაწესრიგონ პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის ფარგლები და წარმოაჩინო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების როლი ფისკალური წესრიგის განსაზღვრის კუთხით.

კონსტიტუციებში ძირითადად აქცენტირებულია პარლამენტის, როგორც მთავარი ფისკალური აგენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი და მისი განმსაზღვრელი როლი საბიუჯეტო დისციპლინის დამყარების კუთხით.

საჯარო ფინანსების მართვა და მთავრობის საფინანსო კონტროლი პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს, რომელიც კონსტიტუციებით არის რეგლამენტირებული.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი განმარტავს, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის საკონტროლო კომპეტენციას

³⁷² საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, თბილისი, 2010 წლის მაისი, 3, <<http://transparency.ge>>.

³⁷³ Principles of Tax Policy: Eighth Report of Session 2010-11, Vol.1, British Parliament, House of Commons, Treasury Committee, London, 2011, 18.

ორი მთავარი ფუნქცია გააჩნია: პარლამენტი კონტროლის კომპეტენციის განხორციელებით, კანონმდებლობაში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით დებატებისა და საპარლამენტო შენიშვნების გზით ხელს უწყობს სრულყოფილი კანონმდებლობის მიღებას და უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.³⁷⁴

პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გათვალისწინების კუთხით, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნას მიღებული ურთიერთმიმართება გადასახადებს, სახელმწიფოს მშენებლობასა და მმართველობას შორის განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.³⁷⁵

„პარლამენტის უზენაესობა ემყარება ერთის მხრივ გადასახადების კონტროლისა და მეორეს მხრივ ასიგნებების გადების კომპეტენციას. მთავრობას არ შეუძლია არც დაბეგვრის რეჟიმის შემოღება და არც სახელმწიფო შემოსავლების ხარჯვა პარლამენტის თანხმობისა და მისი მიერ დაბეგვრის წესების განსაზღვრის გარეშე“.³⁷⁶

პარლამენტის აღნიშნული ფუნქცია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადასახადების კონტროლის კომპეტენციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომ, სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის ნააზრევი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მნიშვნელობაზე საუბრობს.³⁷⁷

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა იდებდეს პარლამენტი თავად, სხვა ნებისმიერ მხარის მონაწილეობის გარეშე.³⁷⁸

„მაშინ როდესაც პარლამენტის უპირველეს ამოცანას პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება და საკანონმდებლო პროცესის განხორციელება წარმოადგენს, ასევე, სახელმწიფო შემოსულობებისა და გადასახდელების განსაზღვრასთან მიმართებით, მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ კანონებს ახორციელებს და მათ აღმინისტრირებას ახდენს“³⁷⁹.

ამიტომ, სასურველია, ქვეყნების კონსტიტუციებმა ნათლად და არაორაზროვნად მოაწესრიგონ პარლამენტის ექსკლუზიური როლი საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრის საქმეში, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტს ეფექტური წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლი განახორციელოს საჯარო ფინანსებისა და შემოსულობების განკარგვაზე.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადების მონაწილეობები კანონმდებლობა გასაგები უნდა იყოს

³⁷⁴ Alt J., Preston I., Sibeta L., The Political Economy of Tax Policy, 1312-1313, <<http://www.ifs.org.uk/uploads/mirrleesreview/dimensions/ch13.pdf>>.

³⁷⁵ Spies K., Petrucci R., Tax Policy Challenges in the 21st Century: Schriftenreihe IStR Band 86, 2014.

³⁷⁶ Making Tax law, Report of a Working Party on the Institutional Processes for the Parliamentary Scrutiny of Tax Proposals and for the Enactment of Tax Legislation chaired by Sir Alan Budd, the Institute of Fiscal Studies, TLRC Discussion Paper #3, London, March, 2003, 4.

³⁷⁷ Daintith T., Page A., The Executive in the Constitution: Structure, Autonomy, and Internal Control, Oxford University Press, Oxford, 1999, 1.

³⁷⁸ გერიგი ქ., საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, 4, <<http://sao.ge>>.

³⁷⁹ იქვე, 5.

მათთვის ვისაც იურიდიული განათლება არ მიუდია.³⁸⁰ ადნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები უნდა იყოს განვითარებადი და შესაბამისი სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპთან.

ეფექტური პარლამენტი საფინანსო, მათ შორის საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით უნდა ასრულებდეს შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს: იგი ჩართული უნდა იყოს საგადასახადო პოლიტიკის დაგეგმვისა და მის შესრულებაზე მთავრობის კონტროლის საქმეში. პარლამენტმა უნდა განახორციელოს ეფექტური საკონტროლო ფუნქციები გადასახადებთან დაკავშირებით.

სასურველია, საქართველოს კონსტიტუციამ გაითვალისწინოს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის განმსაზღვრელი შემდეგი მთავარი პრინციპები:

გადასახადები და მოსაკრებლები, ისევე როგორც საგადასახადო შეღავათები და ტვირთი დგინდება მხოლოდ კანონით და შესაბამისად შედის საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებულ კომპეტენციაში. არსებული გადასახადების შეცვლა შეიძლება განხორციელდეს პარლამენტის მიერ კანონის საფუძველზე.

საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება დაუშვებელია საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით.

რეფერენდუმის ჩატარება იკრძალება საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყანათა დიდი უმრავლესობის გამოცდილება, სადაც საგადასახადო საკითხებზე რეფერენდუმის გამართვა აკრძალულია³⁸¹.

სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობით და წესით.

გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია კანონის საფუძველზე, პარლამენტის გადაწყვეტილებით.

გადასახადებთან დაკავშირებით საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება საგადასახადო კომიტეტი.

საგადასახადო კომიტეტის უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

„საფინანსო კანონი უნდა დაექვემდებაროს წინა – საკანონმდებლო განხილვას პარლამენტის კომიტეტში, სადაც მოხდება მთლიანი კანონის განხილვა და არა მისი ნაწილების. იმისათვის, რათა პარლამენტის მიერ უკეთესად განხორციელდეს საგადასახადო კანონმდებლობის განხილვა უნდა შეიქმნას საგადასახადო კომიტეტი, ასევე, უნდა დაფუძნდეს საგადასახადო სამართლის კომისია, რომელიც მიმოიხილავს

³⁸⁰ Monroe H.H., Intolerable Inquisition? Reflections on the Law of Tax, The Hamlyn Lectures, Stevens, 1981, 23, <<http://socialsciences.exeter.ac.uk>>.

³⁸¹ საგადასახადო საკითხებზე რეფერენდუმის გამართვას კრძალავენ იტალიის, პორტუგალიის, სერბეთის, საბერძნეთის კონსტიტუციები, ასევე რუსეთის ველერაციის, ესტონეთის, უნგრეგიონის „რეფერენდუმის შესახებ“ კანონები.

საგადასახადო კანონმდებლობის ეფექტურობას და გასცემს შეთავაზებებს ცვლილებებისათვის“³⁸².

აუცილებელია პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გასაღრმავებლად, გაძლიერდეს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს კომპეტენცია გადასახადებთან დაკავშირებით.

„საანგარიშო კონტროლის უმაღლესმა ორგანომ უნდა განახორციელოს გადასახადების აკრეფის ყოვლისმომცველი კონტროლი და, ამავე დროს, ჰქონდეს გადამხდელთა ინდივიდუალური აქტების შესწავლის უფლება.“³⁸³

„სახელმწიფო გადასახადების კონტროლი, უპირველეს ყოვლისა, კანონიერებისა და შესაბამისობის კონტროლს წარმოადგენს. ოუმცა, საანგარიშო კონტროლის უმაღლესმა ორგანომ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების კონტროლისას უნდა შეამოწმოს ეფექტიანობა, გადასახადის აკრეფის ორგანიზება, ასევე, შემოსავლების გეგმების შესრულება და, თუ საჭიროა, საკანონმდებლო ორგანოს შესთავაზოს არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების წინადადებები.“³⁸⁴

საქართველოს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გაძლიერების კუთხით, სახელმძღვანელო მოდელად შესაძლებელია აღებულ იქნას აშშ-ის კონგრესის საგადასახადო კომპეტენცია და მისი განსაკუთრება ხასიათზე ხაზგასმა. პარლამენტის განსაკუთრებული საგადასახადო კომპეტენცია უნდა წარმოადგენდეს ძირითად მიმართულებას საქართველოს პარლამენტის საგადასახადო უფლებამოსილებების კონსტიტუციური რეგლამენტაციისას.

საქართველოს პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილების გაზრდას დიდწილად შეუწყობს ხელს პარლამენტის **საგადასახადო კომიტეტის შექმნა**. რომელიც პასუხსმგებელი იქნება ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების რაციონალურ ხარჯვაზე.

საკმაოდ სპეციფიურია პარლამენტის კომპეტენცია საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით.

ამ კუთხით შესაძლებელია ქვეყნების ორი ჯგუფი გამოიყოს: ქვეყნების ერთ ჯგუფში საგადასახადო ინიციატივის უფლების მქონე პირთა წრე არ განსახვადება ზოგადად საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე პირთა ჯგუფიდან,³⁸⁵ რიგ ქვეყნებში კი საგადასახადო

³⁸² Brazier A., Director of the Hansard Society’s Parliament and Government Programme, published the following article on his report, The Fiscal Maze: Parliament, Government and Public Money, in the April 2007 issue of Parliamentary Affairs (Volume 60, Number 2), Parliament and Government, Parliamentary Affairs on Parliament’s scrutiny of public money, 2, www.hansardsociety.org, (8.04.2013).

³⁸³ „ფინანსური კონტროლის დირექტივების შესახებ“ „ლიმას“ საერთაშორისო დეკლარაციის მე-20 მუხლი.

³⁸⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემაჯამებელი ანგარიში №7 (2007წ), საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ, 10

³⁸⁵ ამ ტიპის ქვეყნებს განეკუთვნება: საქართველო, გერმანია, იაპონია, უნგრეთი, ბულგარეთი, იტალია, საფრანგეთი და სხვა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძირითადი კანონის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ ფედერალურ მთავრობას, ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის წევრებს. იაპონიაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ მთავრობა და პარლამენტის ორივე პალატის წევრები. გაცილებით ფართოა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა წრე

საკითხებთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებულია საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სპეციფიური წრე.³⁸⁶

უმრავლეს ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში³⁸⁷, გადასახადების შესახებ კანონპროექტებთან დაკავშირებით დადგენილია შერეული ინიციატივა, რაც გულისხმობს იმას, რომ გადასახადებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა წრე არ განსხვავდება ზოგადად განსაზღვრულ სუბიექტთა წრისაგან.

2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება წაერთვა საქართველოს პრეზიდენტს, რაც დადგებითად იქნა შეფასებული გენეციის კომისიის მიერ. მისი შეფასებით აღნიშნული საკონსტიტუციო „ცვლილება იმსახურებს მოწონებას, რამდენადაც იგი არის მეტად შესაფერისი პრეზიდენტის ახალი როლისთვის, რომელიც ახალი კონსტიტუციის მიხედვით უფრო ნეიტრალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებ გვევლინება.³⁸⁸“

საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით, სასურველია არსებობდეს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა ფართო წრე. რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის მიერ საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას.

8.2 გადასახადები და რეფერენდუმი – ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საწინააღმდეგო რეგულაცია საქართველოს კონსტიტუციაში

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე4 ნაწილის თანახმად „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას

იტალიაში. ესენი არიან პარლამენტის წევრები, მთავრობა, საოლქო საბჭოები, ეკონომიკისა და შრომის ეროვნული საბჭო. იტალიაში ასევე არსებობს ე.წ. სახალხო ინიციატივის ინსტიტუტი. იტალიის კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად ხალხი საკანონმდებლო ინიციატივას ახორციელებს 50 ათასი ამომრჩევლის სახელით. ძალზე შეზღუდული ინიციატივის უფლება აქვთ ასევე მუნიციპალურ საბჭოებსაც“.

³⁸⁶ ამერიკის შეერთებული შტატები და ვესტმინიტერის ტიპის ქვეყნები. აშშ-ში გადასახადების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა (აშშ-ის კონსტიტუციის მე7 კარის პირველი მუხლი). დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ფორმალურად აქვს მონარქს, პრაქტიკულად კი ამას ახორციელებს მინისტრების შეშვებით, აგრეთვე, პარლამენტის წევრებს.

³⁸⁷ საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

³⁸⁸ ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება №543/2009, CDL(2010)028, სტრასბურგი, 2010 წლის 15 ოქტომბერი, 9, <[http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2010\)028-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)028-geo)>.

(აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან).

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (კანონი ამოქმედდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან) „ამ კანონის ამოქმედების თარიღისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), იმპორტის გადასახადი და აქციზი“. ამავე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, რომ „საქართველოს მთავრობის უფლება აქცს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა – არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენდუმი არ გარდება“.

აღნიშნული ნორმების ანალიზიდან ირკვევა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივით, შესაძლებელია გაიმართოს რეფერენდუმი გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით. რეფერენდუმის გამართვა გადასახადებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს. ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, გადასახადების შემოღება, გაუქმება, შეცვლა ან/და ზღვრული განაკვეთების დადგენა პარლამენტის ექსკლუზიურ და განუყოფელ კომპეტენციას წარმოადგენს, რომელიც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს და მათზე რეფერენდუმის გამართვა აკრძალულია³⁸⁹. საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა შედის პარლამენტის გადაუნაწილებელ კომპეტენციაში და ამ სფეროში მთავრობის შემოჭრა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის არსეს.

ამიტომ, გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის შემოღება არსებითად აკნინებს საქართველოს პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას საგადასახადო სფეროში და პარლამენტარიზმის იდეის საწინააღმდეგო რეგულაციაა. ამ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი მოკლებულია შესაძლებლობას ეფექტური საპარლამენტო კონტროლი გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ პოლიტიკას და ანგარიშგება მოსთხოვოს გადასახადების კანონიერ და რაციონალურ ხარჯვაზე.

³⁸⁹ ლატვიის კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად „...გადასახადები... არ წარმოადგენენ რეფერენდუმის განხილვის საგანს“. დანიის კონსტიტუციური აქტის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, რომ „საგადასახადო დაბეგვრის (პირდაპირი და არაპირდაპირი) კანონპროექტები არ შეიძლება იყვნენ რეფერენდუმის საგანს“. პორტუგალიის კონსტიტუციის 115-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ „რეფერენდუმი არ შეიძლება ჩატარდეს, „საბიუჯეტო, საგადასახადო ან საფინანსო საკითხებზე“. სერბეთის კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება ფისკალურ და სხვა საფინანსო კანონებთან დაკავშირებით. იტალიაში რეფერენდუმის მოწვევა აკრძალულია ფინანსებთან დაკავშირებული კანონების ან საერთაშორისო ხელშეკრულებების გაუქმება/რატიფიკაციის მიზნით. რუსეთის ფედერაციის „რეფერენდუმის შესახებ“ კანონი „კრძალავს გადასახადებისა და მოსაპრეზებლების შემოღებისა და გაუქმების, ასევე მათი გადასახადისაგან გათავისუფლების საკითხების რეფერენდუმზე გატანას. ესტონეთში გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმი არ იმართება.

გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის შემოღებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მეცნიერებსა თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს შორის.

საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის შემოღების დადებითი მხარეა ის, რომ იგი წარმოადგენს „საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების დადგენაში – ის, რომ საქართველოს მოქალაქეები ამ უფლებას გამოიყენებენ უშუალოდ დემოკრატიის ისეთი ფორმით, როგორიცაა რეფერენდუმი“³⁹⁰.

ერთ-ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ნებისმიერი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის გაზრდა შესაძლებელი უნდა იყო „გამონაკლისის სახით“ რეფერენდუმის ჩატარების მეშვეობით. გადასახადის გაზრდისა ან ახლის დაწესების უფლება მთავრობამ ვერ უნდა გამოიყენოს ხალხის თანხმობის გარეშე“³⁹¹.

„მიხელ სააკაშვილის განცხადებით, გადასახადების განაკვეთების ზრდა და ახლი გადასახადების დაწესება საქართველოში მხოლოდ რეფერენდუმის გზით გადაწყდებოდა, მაგრამ ამ რეფერენდუმის მექანიზმი ძალაში 2013 წლიდან – ახლი პრეზიდენტის არჩევისა და მის მიერ ფიცის დადების შემდეგ შევიდა“³⁹².

ზოგიერთი მეცნიერი გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვას კონსტიტუციურ რევოლუციას უწოდებს, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების გარდა ხალხს ანიჭებს საბაზრო-ეკონომიკურ მოტივაციასა და ძალაუფლებასაც და გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნის ეკონომიკური სტაბილურობის განცდას. ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით გადასახადების გაზრდის მხარდაჭერის პრიციპი, ფაქტობრივად, ხელისუფლების ძალაუფლებისა და უფლებამოსილების შეზღუდვას ნიშნავს. აღნიშნულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შეზღუდა მთავრობის ძალაუფლება და გაზარდა გადასახადის გადამხდელთა უფლებები.³⁹³

რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუციის ძირითად ღირებულებას და სულისკვეთებას წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებითა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლების წყარო არის ხალხი, მას თავისი მმართველობის უშუალოდ განხორციელება მხოლოდ კონსტიტუციის ფარგლებში შეუძლია. გადამწყვეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მმართველები საზოგადოების ეფექტური კონტროლის ქვეშ იყვნენ, რომლის მიღწევის

³⁹⁰ ქვედამდებრივი 6., „თავისუფლების აქტიდან“ გამომდინარე კანონპროექტი პარლამენტში, 17.06.2011, რადიო თავისუფლება, 1, <www.radiotavisupleba.ge>.

³⁹¹ სტატია – „სააკაშვილმა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ წარადგინა“, სივილ ჯორჯია, თბ., 6 ოქტ. 09, 1. <www.civil.ge>.

³⁹² ურიადმყოფებრივი ქ., რაც იბეგრება გადასახადით, ის კლავს, 2012 იანვარი, 2, <www.gfsis.org>.

³⁹³ სენატის შვილი ქ., ახლი კონსტიტუციური საგადასახადო დებულებები საქართველოში, თბ., 2014, 1-4, <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/117615/>>.

არსებითი გზა ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების სისტემის შესაბამისი ფუნქციონირებაა.

ქვეყანათა დემოკრატიის ხარისხის ანალიზისა და შეფასებისას, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის ხელისუფლება დანაწილებული, რამდენად შეუძლია ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოს განსაზღვროს საჯარო პოლიტიკის მიმართულებები და განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის კომპეტენცია.

გადასახადების შემოღება და განსაზღვრა ისტორიულად პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენელთა ინსტიტუტის დამახასიათებელი კონსტიტუციური პრეროგატივაა, რომელიც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არსიდან გამომდინარეობს.

მეცნიერ ლადო პაპავას აზრით „არ შეიძლება გადასახადის გაზრდის ან ახალი გადასახადის შემოღების საკითხი რეფერენდუმით ხდებოდეს. საერთოდ რა აზრი აქვს ისეთ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას, რომელზე პასუხიც ცნობილია? ეს არის დამატებითი ხარჯი“³⁹⁴. რა თქმა უნდა, საზოგადოება არასოდეს დაუჭერს მხარს გადასახადის გაზრდას თუნდაც იგი ქვეყნის აუცილებელი ეკონომიკური საჭიროებიდან გამომდინარეობდეს. ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანა წინასწარ განწირული საკითხია, რომელიც სახელმწიფოსგან გაუმართლებელი ხარჯების გაღებას მოითხოვს.

ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი აღნიშნავს, რომ „ნამდვილად წარმოუდგენელია ისეთი ეფექტური მექანიზმის შექმნა, რომელიც რეფერენდუმით განსაზღვრავს გადასახადების ოდენობას. ეკონომიკური პოლიტიკა კი მუდმივად იცვება და როდის რა ხდება საჭირო ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ ვიცით. ექსპერტის აზრით, ასეთი ტიპის შეზღუდვის დაწესება გაუგებარია“³⁹⁵.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა სწრაფად განვითარებადი მექანიზმია, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დროულ და მყისიერ ჩარევას საჭიროებს. გადასახადებობით დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვა, რომელიც ხანგრძლივ დროს საჭიროებს, შესაძლოა ზიანის მიმყენებელი იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

გაზიარებულ უნდა იქნას კონსტიტუციონალისტ ვახტან ხმალაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ასეთი რამ არ ამოუკითხავს. უფრო მეტიც, გადასახადების რეფერენდუმის გზით მომატების ინიციატივა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და პარლამენტის როლს აკნინებს“³⁹⁶.

ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური თვლის, რომ „ალბათობა იმისა, რომ საზოგადოება რეფერენდუმის დროს მხარს დაუჭერს გადასახადების გაზრდას, ხულზე დაბალია. ეკონომიკური პოლიტიკა ვედარ იქნება ელასტიური. ეს თავისთავად ნიშნავს, იმას, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები შესაძლოა არააღეკვატური იყოს... არის სიტუაცია, როდესაც შეიძლება გადასახადები გაიზარდოს, ან ახალი გადასახადი იქნას შემოღებული. ეს ამცირებს ხელისუფლების ინსტრუმენტებს განახორციელოს აღეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა.“

³⁹⁴ ბანკები და ფინანსები, პოლიტიკა: არაფრის მომტანი ეკონომიკური თავისუფლების აქტი, 1, <www.bfm.ge>.

³⁹⁵ მორიგი ეკონომიკური რეცეპტი, 1, www.PSnews.ge, <www.PSnews.info>.

³⁹⁶ მორიგი ეკონომიკური რეცეპტი, 2, <www.PSnews.ge, www.PSnews.info>.

თან მოსახლეობას არც განათლება აქვს საიმისო, რომ ზუსტი გადაწყვეტილება მიიღოს იმასთან დაკავშირებით, გადასახადები უნდა გაიზარდოს, თუ არა“³⁹⁷.

პოლიტიკური გაერთიანება ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის შეფასებით „გადასახადის გაზრდა არა რეფერენციული, არამედ მთავრობისათვის ნდობა-უნდობლობის საკითხზე უნდა ყოფილიყო მიბმული. კერძოდ, თუ მთავრობა ქვეყანაში გადასახადების გაზრდას მოინდომებდა, პარლამენტში მისი ნდობა-უნდობლობის საკითხი უნდა შესულიყო და თუ პარლამენტი მთავრობას ნდობას გამოუცხადებდა, მაშინ გადასახადებიც გაიზრდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტს ახალი მთავრობის ფორმირება მოუწევდა“³⁹⁸.

საქართველოს კონსტიტუცია გადასახადებთან დაკავშირებით შეიცავს შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებს: საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების გარდა, არც ერთ სხვა ორგანოს უფლება არ აქვს მოაწესრიგოს საგადასახადო საკითხები. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი ადგენს გადასახადისა და მოსაქრებლის გადახდის საგადადებულობას კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

გაზიარებულ უნდა იქნას ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის არსიდან გამომდინარე, გადასახადის დადგენა არ ნიშნავს მხოლოდ მისთვის სახელის დარქმევას. არ შეიძლება შესრულდეს საგადასახადი ვალდებულება, თუ უცნობია ვალდებული პირი, საგადასახადო ვალდებულების მოცულობა და მისი აღსრულების წესი. გადასახადის დადგენა ნიშნავს, განისაზღვროს მისი იურიდიული შემადგენლობის ყველა არსებითი ელემენტი (გადასახადის გადამხდელი, ობიექტი, საგანი, საგადასახადო პერიოდი და ა.შ).³⁹⁹

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი შეიძლება განსაზღვრავდეს გადასახადისაგან გათავისუფლებას ან გარკვეული ოდენობითა და წესით გადასახადისა და მოსაქრებლების გადახდის საგადადებულობას. ადასახადები წარმოადგენს პარლამენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას, რომელიც დგინდება კანონით.

გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენციულის გამართვის კუთხით, შვეიცარია გამონაკლისს წარმოადგენს.

„მის პოლიტიკურ ცხოვრებაში რეფერენციული მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რეფერენციულები ტარდება როგორც ფედერალურ, ასევე კანტონებისა და მუნიციპალიტეტის დონეებზე. არასაფალდებულო რეფერენციული შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ ფედერალურ კანონთან, ზოგიერთ სხვა სახის ფედერალურ დადგენილებასთან, უვადო

³⁹⁷ ბანკები და ფინანსები, ხელისუფლება მისთვის საჭირო გადასახადების გაზრდას 2013 წლამდე ასწრებს, ნინო დარბაისელი, 1, <www.banksandfinance.ge>.

³⁹⁸ მმართველი გუნდი გადასახადების გაზრდის საკითხის რეფერენციულზე გატანის გადაფიქრებას, საფარაუდოდ არ აპირებს, 6 დეკემბერი, <www.epn.ge>.

³⁹⁹ ფუტკარაძე ს., საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, ბათუმი 2012, 46, <http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3293_1.pdf>.

საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (რომელიც შემდგომ განხილვას არ ექვემდებარება), ან საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით – თუ ამას 50000 მოქალაქე ან რვა კანტონი პეტიციით მოითხოვს“⁴⁰⁰.

შვეიცარიაში საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით ორი რეფერენდუმი ჩატარდა 2009 წელს⁴⁰¹.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს „რეფერენდუმის ფენომენი ევროპაში პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანი მოვლენაა, ბევრ ქვეყანაში სახალხო კენჭისყრის ეს სახე უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი ბევრ ქვეყანაში. ზოგჯერ რეფერენდუმები ცხოვრებას ურთულებენ მთავრობებს, პარლამენტებს და პოლიტიკურ პარტიებს, ზოგჯერ ისინი წარმოადგენენ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, რათა გადაჭრან სირთულები, რომლებსაც აღნიშნული ორგანოები ვერ უმკლავდებიან ან არ სურთ გაუმკლავდნენ“⁴⁰². თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანათა უმრავლესობაში არსებობს გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვის აკრძალვის დათქმა კონსტიტუციებში.

როგორც ზოგიერთი მეცნიერი განმარტავს „რეფერენდუმის ფენომენი ხასიათდება შესაძლებლობით ამომრჩეველთავის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კენჭისყრით მეტ-ნაკლებად სპეციფიურ და განსაზღვრულ საკითხებზე“⁴⁰³.

მეცნიერ შტარკის მოსაზრების თანახმად „უფრო დიდი უურადღება უნდა დაეთმოს კონსტიტუციურ მონახაზსა და გადასახადებს შორის ურთიერთქმედებას“⁴⁰⁴.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ „2010 წლის ლორდთა პალატის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ რეფერენდუმის გამოყენება უფრო შესაფერისია უუნდამენტური „კონსტიტუციური საკითხების“ გადასაწყვეტად, ისეთი თემების, როგორიც არის მონარქიის გაუქმება, ქვეყნის ნაწილის დამოუკიდებლობა და პარლამენტის ერთ-ერთი პალატის გაუქმება“⁴⁰⁵.

ზოგიერთი ქვეყნის მმართველ წრეებში თვლიან, რომ რეფერენდუმის ინსტიტუტი პარლამენტარიზმისთვის „ცივილიზებული“ პარლამენტის ხელისუფლების „უვიცი ბრძოს მმართველობით“ შეცვლის გარკვეულ საფრთხეს შეიიცავს, უფრო მეტიც, ავტორიტარულ რეჟიმებს ხშირად „პლებისციტური დემოკრატიით“ მოიხსენებენ. დიქტატორულ ხელისუფლებას უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მნიშვნელობის

⁴⁰⁰ რეფერენდუმი – პირდაპირი დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტი, პლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, 8, <www.parliament.ge>.

⁴⁰¹ Election Guide, <www.electionguide.org>. (18.04.2013).

⁴⁰² Gallagher M., Uleri Pier V., The Referendum Experience in Europe, 1996, 1, <www.tcd.ie/Political_Science/staff/michael_gallagher/ReferendumExperience96.pdf>, (5.04.2013).

⁴⁰³ Gallagher M., Uleri Pier V., The Referendum Experience in Europe, 1996, 2, <www.tcd.ie/Political_Science/staff/michael_gallagher/ReferendumExperience96.pdf> (5.04.2013).

⁴⁰⁴ Stark, Kirk J., The Right to Vote on Taxes. Northwestern University Law Review, Vol. 96, No. 1, 2001. 1, Available at SSRN: <<http://ssrn.com/abstract=288569>>. or <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.288569>>, (8.04.2013).

⁴⁰⁵ Shipton M., Referendum on tax-raising powers for Wales would damage devolution, Jul 30 2012, 1, <www.walesonline.co.uk>. (8.04.2013).

საკითხები გადასაწყვეტად წარმომადგენლობითი ორგანოების გვერდის ავლით უშუალოდ ამომრჩევლების წინაშე ისე გამოაქვს, რომ მათ ხშირად ამ საკითხების არსში გარკვევის საშუალებაც კი არ აქვთ. ამას ემატება კენჭისყრის ხასიათიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თავისუფალი არაა. შედეგად, ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ უზენაეს ძალაუფლებამინიჭებული ხელისუფლება თავს წარმომადგენლობითი ორგანოების იგნორირების (ზოგჯერ ლიკვიდირების) უფლებას აძლევს“.⁴⁰⁶

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „დასავლეთში რეფერენდუმისადმი ფრთხილი მიღვომა, პირობითად „ზოგადსოციალური“ მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას: რიგითი მოქალაქეების არასათანადო კომპეტენტურობა და ინფორმაციულობა, იმისათვის, რომ კანონშემოქმედებითი, პოლიტიკური სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა მიღონ. მოსახლეობის მიერ ამ საკითხების სირთულისა და წინააღმდეგობრივი ხასიათის აღქმა; რეფერენდუმისა და პლებისციტის ჩატარების ხარჯები. გარდა ჩამოთვლილისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასავლეთის ქვეყნებისათვის ტრადიციული შეხედულება წარმომადგენლობითი ინსტიტუტების უპირატესობაზე პირდაპირ დმოკრატიასთან შედარებით. მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობის უმრავლესობა ფედერალურ დონეზე საკითხების გადაწყვეტილისას უპირატესობას წარმომადგენლობით ორგანოს ანიჭებს“⁴⁰⁷.

ამასთანავე, სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში რეფერენდუმის გამოყენების ეფექტიანობა პირველ რიგში იმ ინსტიტუტის როლის სწორად გაგებით განისაზღვრება: არ უნდა მოხდეს მისი გადაჭარბებით შეფასება (მით უმეტეს – აბსოლუტირება) და არც საზოგადოების დეზორიენტაცია ფსევდოდემოკრატიული ლოზუნგებითა და ცრუ სოციალური ფასეულობებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო სისტემაში რეფერენდუმის სტატუსის, ჩატარებისა და შედევების დათვლის პროცედურების, ასევე რეფერენდუმით მიღებული ნორმატიული აქტების ადგილისა და როლის მკაცრად განსაზღვრას“⁴⁰⁸.

გადასახადებთან დაკავშირებით საკითხები არ უნდა წარმოადგენდნენ რეფერენდუმის საგანს. ასეთი რამ თითქმის არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ წერია. გადასახადებთან და მისი განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენენ პროფესიონალებს შორის მსჯელობის თემებს, რაშიც მოქალაქეები ვერ იქნებიან კომპეტენტურნი. ამასთანავე, მოქალაქე არასოდეს არ დაეთანხმება მისთვის გადასახადის გაზრდას და გადაწყვეტილების მიღების დროს იმოქმედებს სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე. ის,

⁴⁰⁶ რეფერენდუმი – პირდაპირი დემოკრატიის მირითადი ინსტიტუტი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, 5, <www.parliament.ge>.

⁴⁰⁷ რეფერენდუმი – პირდაპირი დემოკრატიის მირითადი ინსტიტუტი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, 6, <www.parliament.ge>.

⁴⁰⁸ რეფერენდუმი – პირდაპირი დემოკრატიის მირითადი ინსტიტუტი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, 12, <www.parliament.ge>.

რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა, ხალხს არ უნდა გადაეცეს. ამასთანავე, გადასახადების რეფერენდუმის გზით შემცირება აკნინებს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციას.

IX. საქართველოს პარლამენტის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ბანკის როლი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში

ეროვნული ბანკი, მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, ისე მისი შესრულების ეტაპებზე.

ეროვნული ბანკის საშუალებით, საქართველოს პარლამენტი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლების საფინანსო კონტროლს წინასწარ (ბიუჯეტის მიღების დროს) და შემდგომ (ანგარიშგების დროს) ეტაპზებზე.

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ცენტრალური ბანკის სტატუსის განმსაზღვრელი ნიშნები ყველაზე მეტად მის ფუნქციებში ვლინდება.“⁴⁰⁹

კონსტიტუციურ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი წმინდა საბანკო ფუნქციების გარდა, ახორციელებს საკონტროლო და საზედამხედველო საქმიანობას, როგორც ბიუჯეტის განხილვის, ისე მისი შესრულების ეტაპებზე.

მისი მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტატუსს განეკუთვნება ის, რომ ეროვნული ბანკი ასრულებს „ბანკთა-ბანკისა“ და მთავრობის ფისკალური აგენტის როლს.

საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის თანახმად „ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. სწორედ აღნიშნული სტატუსიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი აქტიურად ერთვება საბიუჯეტო პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების წინასწარი და შემდგომი კონტროლის კუთხით.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას მის ძირითადი ამოცანის შესრულებას. ეროვნული ბანკის ფუნქციებია: შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად, განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა, უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება, იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, განახორციელოს საქართველოს ფულადი ნიშნების ემისია და სხვა“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 183-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქართველოს აუდიტის სამსახურსა და ეროვნულ ბანკს განსახილველად წარედგინება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის

⁴⁰⁹ შენგელია რ., საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ., 2004, 170-171.

პროექტი, ისე მისი შესრულების ანგარიში და ქვეყის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.

ex ante საფინანსო კონტროლის ფაზაზე, საქართველოს ეროვნული ბანკი პარლამენტს წარუდგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის 184-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მისი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგენს დასკვნას სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გადამუშაბებული ვარიანტის ძირითადი პარამეტრების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წინასწარი და შემდგომი საფინანსო კონტროლის დროს, რაც მის მიერ საჯარო ფინანსებისა და მონეტარული პოლიტიკის რაციონალურად წარმართვას ემსახურება.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი მეტ-ნაკლები ინტენსივობით მონაწილეობს ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაში, რაც თითოეული ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს.⁴¹⁰

სრულად უნდა იქნას გაზიარებული ზოგიერთი პროფესორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ყველა ცენტრალურ ბანკს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: ერთის მხრივ, ინფლაციის მხარდაჭერა, ინფლაციის რეგულირება და მეორე მხრივ, ეკონომიკის ზრდისა და უმუშევრობის რეგულირება.”⁴¹¹

⁴¹⁰ პორტუგალიის კონსტიტუციის 106-ე მუხლის თანახმად „ბიუჯეტის შესახებ კანონი მუშავდება, განიხილება და სრულდება შესაბამისი ჩარჩო კანონის შესაბამისად, რომელიც მოიცავს ავტონომიური ფონდებისა და სამსახურების ბიუჯეტების შეტუშავებისა და შესრულების მარეგლამენტირებელ წესებს. ბიუჯეტის პროექტს თან ერთის მოხსენებები: მთავარი მაკროეკონომიკური ინდიკატორების გვოლუციის პროგნოსის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ბიუჯეტზე, აგრეთვე ფულადი მასის გაზრდასა და სხვა ფაქტორებზე, წინა ბიუჯეტთან შედარებით შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზებში მოსალოდნელი ცელილებების შესახებ, სახელმწიფი ვალის, სახაზინო ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ, ავტონომიურ ფონდებისა და სამსახურებში არსებული ვითარების შესახებ, საბიუჯეტო სახსრების ავტონომიური რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გადაცემის შესახებ, ფორტუგალიასა და სხვა ქვეყნებს შორის ფინანსური გადარიცხვების შესახებ, რომლებიც ასახულია ბიუჯეტის პროექტში, საგადასახადო შემოსავლებისა და შემოსავლების მიმდინარე შეფასების შესახებ. პოლონეთის კონსტიტუციის 220-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „საბიუჯეტო კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა სახელმწიფო ცენტრალური ბანკის წინაშე ვალდებულების აღების გზით.“ პოლონეთის კონსტიტუციის 227-ე მუხლის თანახმად, პოლონეთის ცენტრალური ბანკის ორგანო საგალუტო პოლიტიკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს საგალუტო პოლიტიკის ძირითად დებულებებს და ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტთან ერთად განსახილველად წარუდგენს სეიმს. საგალუტო პოლიტიკის საბჭო საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე 5 თვეთ ადრე სეიმს წარუდგენს ანგარიშს საგალუტო პოლიტიკის ძირითადი დებულებების შესრულების შესახებ.

⁴¹¹ კეგერენაია ე., ეროვნული ბანკი მსოფლიო ბაზაზე სრულფასვან მოთამაშედ ჯერ ვერ გამოდგება!, ბიზნეს-მაცნე, 2008 №2 (4), 2, <www.nplg.gov.ge>.

სწორედ ამ კონსტიტუციურ ფუნქციებიდან მომდინარეობს ეროვნული ბანკის საკონტროლო პრეროგატივები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ცენტრალური ბანკის მმართველობა განიმარტება რამდენიმე ძირითადი ცნებით ან ქვაკუთხედით, რომლებიც ერთად ქმნიან ბანკის მმართველობის სამართლებრივ საფუძველს, რაზეც დგას მისი ფუნქციონირება, მმართვა. ესენია: დამოუკიდებლობა, დემოკრატიული ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა.”⁴¹²

„საპარლამენტო საბიუჯეტო პროცესი მოიცავს შველა კონსტიტუციურ დირექტულებას და პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს კარგი მართვის განხორციელებას. იგი ეფუძნება არსებით საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ნათელ სახელმძღვანელო დებულებებს ბიუჯეტის დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და ანგარიშის წარდგენის დროს. გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები განსახიერებულია ამ პროცესში და პროცესში ჩართული შესაბამისი სტრუქტურები ახორციელებენ ბიუჯეტის შესრულებას.”⁴¹³

საბიუჯეტო პროცესში ეროვნული ბანკების როლი იმდენად დიდია, რომ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის მომხრენი მიდიან კიდევ უფრო შორს და ფიქრობენ, რომ ცენტრალური ბანკი უნდა იყოს განცალკევებული, ხელისუფლების მეოთხე შტო, რომელსაც შეეძლება შეამოწმოს შესაძლო ზიანის მომგანი პოლიტიკის განხორციელება ხელისუფლების სხვა შტოების მიერ”⁴¹⁴.

სრულად უნდა გაზიარდეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ცენტრალურ ბანკსა და პარლამენტს შორის ურთიერთობამ უნდა ითამაშოს დიდი როლი ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის ნებისმიერ შეფასებაში. ცენტრალური ბანკები ვალდებული უნდა იყვნენ ანგარიშით წარდგნენ პარლამენტის წინაშე და აუხსნან მას თავიანთი პოლიტიკის გატარების თაობაზე. შესაბამისად, პარლამენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეამოწმოს ცენტრალური ბანკების მუშაობა მონეტარული პოლიტიკის განხორციელების კუთხით. ცენტრალური ბანკი კი ვალდებული უნდა იყოს აუხსნას პარლამენტის მის მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე. ადნოშნული ურთიერთობები კი სამართლებრივად უნდა იყოს რეგლამენტირებული”⁴¹⁵.

საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, საქართველოს პარლამენტის ზედამხედველობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას და წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში. ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მონეტარული

⁴¹² Dr Amtenbrink. F., The Three Pillars of Central Bank Governance – Towards a Model Central Bank Law or a Code of Good Governance, Washington D.C, 2004, 2, <www.imf.org>.

⁴¹³ Nyeniso S., Independent Budget Processes of Parliament for Improved Accountability and Scrutiny of Parliamentary Budget, Parliament of the Republic of South Africa, 15 July, 2010, 9,<<http://www.asgp.info>>.

⁴¹⁴ Dr. Amtenbrink F., The Three Pillars of Central Bank Governance – Towards a Model Central Bank Law or a Code of Good Governance, Washington D.C, 2004, 3,<www.imf.org>.

⁴¹⁵ Sylvester C.W. Eijffinger, Marco M. Goebelicht.s, Central Bank Accountability and Transparency. Theory and Some Evidence, Discussion paper 6/00, Economic Research Centre of the Deutsche Bundesbank, November 2000, 4, <www.bundesbank.de>.

პოლიტიკისა და ფასების სტაბილურობის წარმმართველი დამოუკიდებელი ორგანო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე დახელს უწყობს პარლამენტის მიერ საფინანსო კონტროლის კომპეტენციის განხორციელებას.

დასკვნა

სადოქტორო ნაშრომში ასახული საქართველოს პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ანალიზი სრულად ვერ ფარავს პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ყველა დეტალურ ასპექტს, თუმცა მასში განხილულია ყველა ის ძირითადი საკითხი, რაც განაპირობებს პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის ფარგლებს.

ნაშრომში პარლამენტის ფინანსური კომპეტენციის თითოეული ასპექტი შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ჭრილშია განხილული.

სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგად თითოეულ თავთან დაკავშირებით გამოიკვეთა ტენდენციები და დასახულ იქნა გზები საკანონმდებლო და სისტემური ხარგეზების გამოსწორების მიზნით:

საფინანსო კონტროლის არხი

კვლევის შედეგები

საფინანსო კონტროლის არხთან დაკავშირებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია წარმოადგენს პარლამენტის ცალკე კომპეტენციასაც და არა მხოლოდ პარლამენტის კონტროლის კომპეტენციის შემადგენელ ნაწილს. კონტროლის კომპეტენციასთან ერთად, პარლამენტი განსაზღვრავს საფინანსო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და საგადასახადო ვალდებულებებს ადგენს. ამასთანავე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებებს განსაზღვრავს.
- კარგი მმართველობის პრინციპი (**good governance**) საჯარო ფინანსების მმართვაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სუვერენულ როლს გულისხმობს, რომელიც პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციაშიც ვლინდება.
- ტერმინი საფინანსო კონტროლი ტერმინ საფინანსო ზედამხედველობისგან განსახავებით უფრო მეტად შესაძლებელია აღიქმებოდეს, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტი.
- ტერმინ საფინანსო ზედამხედველობას საფინანსო კონტროლისაგან განსხვავებით დამატებითი პრევენციული ფუნქცია გააჩნია. მისი მიზანია უფრო მეტად უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის შენარჩუნება, ვიდრე პოლიტიკის განხორციელების კონტროლი. საფინანსო კონტროლის ფუნციას კი შესრულების კონტროლი წარმოადგენს და უფრო მეტად რეპრესიული ფუნქციის მატარებელია.
- პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია რაციონალური პარლამენტარიზმის იდეისგან გამომდინარეობს, რაც როგორც

წესი, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის მკაცრი ორგანიზების სურვილით გამოირჩევა.

- პარლამენტარიზმის მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგეს წინასწარი და შემდგომი საპარლამენტო კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე, რაც გულსხმობს პარლამენტის როლს და მნიშვნელობას როგორც ბიუჯეტის მიღების ისე შესრულების კონტროლის ეტაპებზე;
- პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse წარმოადგენს კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც თავისი არსით გულისხმობს როგორც ფინანსების წინასწარ კონტროლს ასევე, მთავრობის მიერ საფინანსო ვალდებულებების შესრულების შემდგომ შემოწმებასაც, ვინაიდან აღნიშნული კომპეტენცია იმდენად ფართოა, რომ იგი ხშირად პარლამენტის საფინანსო და კონტროლის კომპეტენციასთანაც არის გაიგივებული. აღნიშნული პრინციპის შემადგენელ ნაწილს საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს.
- საქართველოს პარლამენტი მინიმალურ დონეზე ახორციელებს კომპეტენციას Power of the Purse;
- საქართველოს პარლამენტი ერთდროულად ახორციელებს წინასწარ (ex ante) და შემდგომ (ex-post) საფინანსო კონტროლს სახელმწიფო ბიუჯეტზე;

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლები

პვლევის შედეგები

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციები არაერთგვაროვნად აწესრგებენ პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას;
- საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფო ფინანსებისა და კონტროლის თავში ძირითად აქცენტს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურაზე აკეთებს. წინასწარი საფინანსო კონტროლი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავის რეგულირების ძირითად საგანს, ნაკლები აქცენტი კეთდება ბიუჯეტთან დაკავშირებით პარლამენტის წინაშე მთავრობის ანგარიშგებაზე ex - post კონტროლის ფორმით.
- გამოიკვეთა პარლამენტის რეგლამენტების ორი ტიპი: რეგლამენტი, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საფინანსო ურთიერთობის მომწერლი გენერალურული ნორმების ერთობლიობას და რეგლამენტები, რომლებიც პროცედურალ ნორმებთან ერთად შეიცავენ მატერიალურ ნორმებს, როლებიც

განსაზღვრავენ პარლამენტის, როგორც საფინანსო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სტატუსს.

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი პარლამენტის საფინანსო კომპეტენციასთან დაკავშირებით მოიცავს როგორც პროცედურულ, ისე მატერიალური ხასიათის ნორმებს.
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი აქცენტს აკეთებს როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივ სტატუსზე, ისე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ურთიერთობაზე საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი შეიცავს როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ხასიათის ნორმებს.
- პარლამენტის რეგლამენტი არის არა მხოლოდ პროცედურული ნორმების ერთობა, არამედ, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი.
- სახელმწიფო ბიუჯეტი თავისი არსით არის უპირველესად სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს პრიორიტეტებს საფინანსო სფეროში. სახელმწიფო ბიუჯეტი არის ქვეყნის საფინანსო კანონი გამოხატული ფისკალურ მაჩვენებლებში.

საკანონმდებლო პროცესის თავისებურებაზი პარლამენტში საფინანსო კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით

პოლიტიკური შედეგები

- როგორც წესი, ადმასრულებელი ხელისუფლების პრივილეგია პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენასთან დაკავშირებით;
- საქართველოს მთავრობას საბიუჯეტო სფეროში ორმაგი ინიციატივა გააჩნია, ჯერ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, ხოლო შემდეგში, ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენის სახით, რაც სამართლებრივ სისტემებში იშვიათობას წარმოადგენს.
- ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტი როგორც საფინანსო, ისე სამართლებრივ აქტს წარმოადგენს, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონშია ინკორპორირებული.
- ქვეყნების დიდ ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც წესი მიიღება სამი მოსმენით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება ერთი მოსმენით ქართული პარლამენტარიზმის გამორჩეულ მახასიათებელს წარმოადგენს;
- საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავის (სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი) რიგი დებულებები ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება და საფინანსო კომპეტენციაში პარლამენტის სიმბოლურ როლს წარმოაჩენს.

- რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დადგენილ დროში მიუღებლობის შედეგებს, ამ კუთხით პვლევის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: პარლამენტები იღებენ დროებით ბიუჯეტს, იყენებენ წინა წლის ბიუჯეტს, აღმასრულებელი ხელისუფლება სწევს აუცილებელ ხარჯებს, ბიუჯეტის დადგენილ დროში მიუღებლობის შედეგები არის საკანომდებლო წესით შეზღუდულად რეგლამენტირებული ან საერთოდ არ არის საკანონმდებლო წესით გაწერილი;

პარლამენტის საკომიტეტო სისტემა

პვლევის შედეგები

- სხვადასხვა ქვეყნების პვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: არსებობენ ქვეყნები, სადაც საბიუჯეტო საკითხებს პარლამენტებში კურირებენ მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტები, სხვა კომიტეტებს საფინანსო კომპეტენცია არ გააჩნიათ. რიგ ქვეყნებში კი არსებობენ სხვა კომიტეტებიც საფინანსო კომპეტენციებით. არსებობენ ქვეყნები, რომელთაც აქვთ პიბრიდული სისტემა.
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ძირითადად მაკომიტენირებული როლი გააჩნია;
- სხვადასხვა ქვეყნებში საქმაოდ აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს პარლამენტის საჯარო ანგარიშის კომიტეტის არსებობა, რომელიც ეფექტურ როლს ასრულებს როგორც საფინანსო კონტროლის წინასწარ, ისე შემდგომ ეტაპებზე.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლი საფინანსო კონტროლის განხორციელებაში

პვლევის შედეგები

- სამართლებრივ სივრცეში როგორც წესი, ფუნქცონირებს გარე მაკონტროლებელი ორგანოს სამ მოდელი, მონოკრატიული მოდელი, ბორდს მოდელი და სასამართლო მოდელი. სამივე მოდელში არსებობს გარკვეული ვარიაციები. სამივე მოდელს გააჩნია საერთო მახასიათებლები, რაც მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. ეს მახასიათებლებია: უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან და მათი მეტ-ნაკლები ანგარიშვალდებულება საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე.
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საქართული მოდელი განეკუთვნება მონოკრატიული ტიპის მაკონტროლებელ ორგანოს.

ინტერპელაცია და კითხვა/შეკითხვა

პვლევის შედეგები

- ინტერპელაციისა და კითხვა-შეკითხვების მექანიზმის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზიდან შეიძლება დაესკვნას, რომ მკეთრი მიჯნა არ არის გავლებული ინტერპელაციისა და შეკითხვის მექანიზმს შორის. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების გამოკვლევიდან ვლინდება, რომ თავად ინტერპელაციის რამდენიმე ვარიაციები მოქმედებს, ამასთანავე, ზოგიერთი ქვეყნის საპარლამენტო სისტემა იცნობს შეკითხვების სხვადასხვა სახეობებს, მათ შორის „დიდ შეკითხვას“ და „მარტივ შეკითხვებს“. მათ შორის განსხვავება ძირითადად განხილვის პროცედურასა და თანმდევ სამართლებრივ შედეგებში მდგომარეობას.
- ინტერპელაცია შეკითხვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და იგი ცალკე კონტროლის ფორმა არ არის;
- ინტერპელაციის მექანიზმი ძირითადად საპარლამენტო და შერეული მმართველობის ქვეყნებში გამოიყენება, სადაც ძლიერია საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე და მთავრობის ანგარიშვალდებულება ძლიერი საფინანსო და საპარლამენტო კონტროლით მიიღწევა.
- კითხვა-შეკითხვისა და ინტერპელაციის მექანიზმი მთავრობის საფინანსო კონტროლის ეფექტური მექანიზმია.
- საქართველოს პარლამენტი თითქმის არ იყენებს კითხვა-შეკითხვის მექანიზმს პარლამენტის მიერ საფინანსო კონტროლის პრეროგატივის განხორციელებისა და მთავრობის ანგარიშგების უზრუნველყოფის პერიოდში;
- პარლამენტი საცმაოდ იშვითად იყენებს ზეპირი კითხვების დასმის უფლებამოსილებას, რაც არსებითად აკნინებს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს საფინანსო კონტროლის კომპეტენციას;
- საქართველოს პარლამენტის პრაქციები იშვითად იყენებენ წერილობითი კითხვების დასმის პრეროგატივას სახელმწიფო უწყებების მიმართ, რაც პარლამენტის სისუსტეზე მიანიშნებს.

იმპიჩმენტი

პვლევის შედეგები

- იმპიჩმენტი ექსტრაორდინალური კონტროლის ფორმას წარმოადგენს;
- იმპიჩმენტი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენებით, აღმასრულებელი

ხელისუფლებისათვის დგება როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური შედეგი;

- იმპიჩმენტის მექანიზმი ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსისა და გაწონასწორების პრინციპის მნიშვნელოვანი შემადგენელია. აღნიშნული პროცედურის გამოყენებით აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისფლებებს შორის ურთიერთკონტროლის მდგომარეობა მყარდება, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხელისუფლების უზურპაციის განხორციელების პრევენციას ახდენს.
- იმპიჩმენტი, პარლამენტის საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდას პარლამენტის წინაშე;
- საქართველოს პარლამენტს დღემდე არ გამოუყენებია იმპიჩმენტის ინსტრუმენტი;

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია

პალევის შედეგები

- პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ორი მნიშვნელოვანი მიზანი აქვს, რომელიც მის კომპეტენციას განაპირობებს: შესაბამის უწყებებს მიაწოდონ ინფორმაცია და რჩევა საჯარო პოლიტიკის, მათ შორის საფინანსო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და გამოიძიოს ის საკითხები, რომელიც საზოგადოების შეზფოთებას და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.
- საქართველოს პარლამენტში საგამოძიებო კომისია არც ერთხელ არ შექმნილა საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

პალევის შედეგები

- კონცეფცია „responsible government“ საბიუჯეტო კონტროლის როგორც წინასწარ, ისე შემდგომი საბიუჯეტო კონტროლის ეტაპებზე ვლინდება;
- უნდობლობის კონსტრუქციული ვიტუმის მექანიზმი საკმაოდ იშვიათი პროცედურაა და სულ რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს;
- უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს პარლამენტს თავიდან აიცილოს სამთავრობო კრიზისი და განმუხტოს დაძაბულობა ხელისუფლების შტოებს შორის.
- საქართველოში უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმი ძირითადად პრემიერ-მინისტრის დაცვისა და მისი პოსტის სტაბილურობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული;

- საქართველოში მოქმედი უნდობლობის კონსტიტუციული ვოტუმის პროცედურა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება;
- ნდობა-უნდობლობის მექანიზმს საქართველოს პარლამენტი არ იყენებს საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის საგადასახადო პოლიტიკა

პოლიტიკის შედეგები

- საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით ძირითადად არსებობს შერეული ინიციატივა;
- ძირითადად, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს პარლამენტის უნიკალურ და ექსკლუზიურ როლს საგადასახადო კომპეტენციისა და ფისკალური დისციპლინის დამყარების კუთხით;
- გადასახადების მხოლოდ საკანონმდებლო წესით დადგენის კონსტიტუციური პრინციპი და პარლამენტის ექსკლუზიური გადაწყვეტილება საგადასახადო ტვირთის განსაზღვრის შესახებ დიდწილად განაპირობებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უზენაეს როლს საბიუჯეტო პროცესში.
- საქართველოს პარლამენტს არ გააჩნია ექსკლუზიური როლი საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაც განონაკლისს წარმოადგენს;
- როგორც წესი, არც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რეფერენდუმის გამართვას საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, კონსტიტუციათა აბსოლიტური უმრავლესობა კრძალავს რეფერენდუმის გამართვას გადასახადების თაობაზე;
- გადასახადებთან დაკავშირებით რეფერენდუმის გამართვა არსებითად ხელყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და პარლამენტის ექსკლუზიურ როლს საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით;

საქართველოს პარლამენტის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

პოლიტიკის შედეგები

- ეროვნული ბანკი, მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების, ისე მისი შესრულების ეტაპებზე.
- კონსტიტუციურ სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი წმინდა საბანკო ფუნქციების გარდა, ახორციელებს საკონტროლო და საზედამხედველო საქმიანობას, როგორც ბიუჯეტის განხილვის, ისე მისი შესრულების

ეტაპებზე, რაც მის მიერ საჯარო ფინანსებისა და მონეტარული პოლიტიკის რაციონალურად წარმართვას ემსახურება.

- მისი მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სტატუსს განეკუთვნება ის, რომ ეროვნული ბანკი ასრულებს „ბანკო-ბანკისა“ და მთავრობის ფისკალური აგენტის როლს.
- საბიუჯეტო პროცესში ეროვნული ბანკების როლი იმდენად დიდია, რომ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის მომხრენი მიდიან კიდევ უფრო შორს და ფიქრობენ, რომ ცენტრალური ბანკი უნდა იყოს განცალკევებული, ხელისუფლების მეოთხე შტო, რომელსაც შეეძლება შეამოწმოს შესაძლო ზიანის მომტანი პოლიტიკის განხორციელება ხელისუფლების სხვა შტოების მიერ;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, საქართველოს პარლამენტის ზედამხედველობს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას და წესრიგის დამყარებას საჯარო ფინანსებში.

პვლევის შედეგების გათვალისწინებით მიღებული რეკომენდაციები

პარლამენტის კომპეტენცია - Power of the Purse და საგადასახადო პოლიტიკა

პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის სიძლერის შემოწმების ერთ-ერთ კრიტერიუმს, იმისათვის რათა გაიზომოს საკანონმდებლო ხელისუფლების ზეგავლენა საბიუჯეტო პროცესზე, წარმოადენს ის, თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს საკანონმდებლო ორგანო კომპეტენციას - Power of the Purse.

პარლამენტის კომპეტენცია Power of the Purse ეფუძნება სამუშაოშვნელოვანებს კონსტიტუციურ პრინციპს:

საჯარო ქონების პრინციპს (The Principle of Public Fisc), ასიგნების, სახელმწიფო თანხის გადების კონტროლს (The Principle of Appropriations Control) და მთავრობის მიერ ხარჯების, სახელმწიფო ასიგნების გადებისასთან დაკავშირებით პარლამენტის უარის კომპეტენციას (The power to deny appropriations), რაც საჯარო ფინანსებში წესრიგის დამყარების უმნიშვნელოვანებს საფუძველს წარმოადგენს.

საჯარო ქონების პრინციპი, სახელმწიფო თანხის გადების კონტროლის და მთავრობის მიერ ხარჯების, სახელმწიფო ასიგნების გადებასთან დაკავშირებით პარლამენტის უარის კომპეტენცია ინკორპორირებულ უნდა იქნას საქართველოს კონსტიტუციაში, იმისათვის, რათა პარლამენტის ექსკლუზური საფინანსო კომპეტენცია კონსტიტუციურ რანგში იქნას აყვანილი.

პარლამენტის კომპეტენცია კონტროლი გაუწიოს ფინანსების ხარჯებით ნაწილს და გადასახადების მართვას, უზრუნველყოფს

სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას საჯარო ფინანსებში, რაც პარლამენტის ძლიერი საფინანსო კომპეტენციის შემადგენელს წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტი არსათანადოდ ახორციელებს კომპეტენციას - **Power of the Purse**, როთაც კნინდება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს როლი საჯარო ფინანსების მართვაში.

პარლამენტის კომპეტენციიდან - Power of the Purse
გამომდინარეობს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს
საგადასახადო პოლიტიკა:

გადასახადების შემოღება და განსაზღვრა ისტორიულად პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენელთა ორგანოს ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა, რომელიც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების ინციდიტივით, შესაძლებელია გაიმართოს რეფერენდუმი გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით. რეფერენდუმის გამართვა გადასახადებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილებისა გაწონასწორების კონსტიტუციურ პრინციპს.
აუცილებელია, გაუქმდეს რეფერენდუმის მექანიზმის გამოყენება გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციამ უნდა გაითვალისწინოს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გაძლიერებისათვის შემდეგი პრინციპების კონსტიტუციური რეგლამენტაცია:

- გადასახადები და მოსაკრებლები, ისევე როგორც საგადასახადო შედაგათები და ტვირთი დგინდება მხოლოდ კანონით და შესაბამისად შედის საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებულ კომპეტენციაში. არსებული გადასახადების შეცვლა შეიძლება განხორციელდეს პარლამენტის მიერ კანონის საფუძველზე;
- საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება დაუშვებელია საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით.
- რეფერენდუმის ჩატარება იკრძალება საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით.
- სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობით და წესით.
- გადასახადებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია კანონის საფუძველზე, პარლამენტის გადაწყვეტილებით.
- გადასახადებთან დაკავშირებით საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით უნდა შეიქმნას საგადასახადო კომიტეტი.
- საგადასახადო კომიტეტის უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი უნდა განისაზღვროს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

- აუცილებელია პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გასაღრმავებლად, გაძლიერდეს უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს კომპეტენცია გადასახადებთან დაკავშირებით.
- „საანგარიშო კონტროლის უმაღლესმა ორგანომ უნდა განახორციელოს გადასახადების აკრეფის ყოვლისმომცველი კონტროლი და, ამავე დროს, ჰქონდეს გადამხდელთა ინდივიდუალური აქტების შესწავლის უფლება.“⁴¹⁶
- „სახელმწიფო გადასახადების კონტროლი, უპირველეს ყოვლისა, კანონიერებისა და შესაბამისობის კონტროლს წარმოადგენს. თუმცა, საანგარიშო კონტროლის უმაღლესმა ორგანომ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების კონტროლისას უნდა შეამოწმოს ეფექტიანობა, გადასახადის აკრეფის ორგანიზება, ასევე, შემოსავლების გეგმების შესრულება და, თუ საჭიროა, საკანონმდებლო ორგანოს შესთავაზოს არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების წინადადებები.“⁴¹⁷
- საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით, აუცილებელია არსებობდეს საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტთა ფართო წრე, რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის მიერ საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტის საგადასახადო კომპეტენციის გაძლიერების კუთხით, სახელმძღვანელო მოდელად შესაძლებელია ადებულ იქნას აშშ-ის კონგრესის საგადასახადო კომპეტენცია და მისი განსაკუთრება ხასიათზე ხაზგასმა. პარლამენტის განსაკუთრებული საგადასახადო კომპეტენცია უნდა წარმოადგენდეს ძირითად მიმართულებას საქართველოს პარლამენტის საგადასახადო უფლებამოსილებების კონსტიტუციური რეგლამენტაციისას.

საქართველოს პარლამენტის ex ante საფინანსო კომპეტენცია და მისი გაძლიერების გზები

საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერების კუთხით, მნიშვნელოვანია მისი ეფექტური როლის განსაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე.

აღნიშნული უპირველესად გულისხმობს პარლამენტისა და მისი შიდა სტრუქტურის მონაწილეობის გაზრდას ბიუჯეტის შინაარსობრივი განხილვისა და კორექტირების პროცესში, რაც პრობლემურია საბიუჯეტო კონტროლის წინასწარ ეტაპზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და საბიუჯეტო ოფისი, რომელთაც უნდა შეექმნათ ყველა პირობა ეფექტურად და ხარისხისანად გაანალიზონ ბიუჯეტი და მისი ხარვეზები. ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად,

⁴¹⁶ „ფინანსური კონტროლის დირექტივების შესახებ“ „ლიმას“ საერთაშორისო დეკლარაციის მე-20 მუხლი.

⁴¹⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემაჯამებელი ანგარიში №7 (2007წ), საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ, 10

მნიშვნელოვანია პარამეტრის, ორგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ანალიტიკური ფუნქციის გაძლიერება და კომპეტენტური აზრის ჩამოყალიბება მთავრობის წინაშე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, მათ შორის კონსულტაციების წარმოება სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით, წინასწარი კონტროლის ეტაპზე ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების კუთხით.

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს დებულებებს, რომელიც არსებითად ხელყოფს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის ფუძემდებლურ პრინციპებს.

- საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად „პარლამენტი უნდა იყოს ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს ბიუჯეტის ხარჯების გაზრდისა თუ შემცირების საკითხი. ამ კუთხით, მთავრობის თანხმობის სავალდებულობა საფრთხე უქმნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს და დამკვიდრებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ წერიგს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში პარლამენტის მიერ ცვლილებების შეტანისას მთავრობის თანხმობის დათქმა არსებითად ხელყოფს ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს და აკნინებს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას
- აუცილებელია, საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს; საქართველოს პარლამენტი განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, შეაქვს მასში შესაბამისი შესწორებები და იღებს მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- უცილებლად უნდა გაუქმდეს საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლის მე-3 ნაწილის მეორე წინადადება, რომლის თანახმადაც „მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი ხარჯის გადება, თუ მიუთოოებს მისი დაფარვის წყაროს.“ აღნიშნული შეზღუდვა ეჭვქვეშ აყენებს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციას და მირს უთხრის პარლამენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს.
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება სამი მოსმენით. სამი მოსმენით ბიუჯეტის მიღება არსებითად ზრდის პარლამენტის მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. სახელმწიფო ბიუჯეტი უპირველესად წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა მიიღებოდეს ჩვეულებრივი კანონისათვის დადგენილი წესით.
- სამი მოსმენით სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას, პარლამენტი უფრო ეფექტურად ახორციელებს ორგორც წინასწარი, ისე შემდგომი საფინანსო კონტროლის კომპეტენციას.

- პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის ეფექტურად განხორციელებისათვის, მნიშვნელოვანია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ძლიერი საფინანსო კონტროლის კომპეტენციით.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის როლი ძირითადად შემოიფარგლება პარლამენტის სტრუქტურებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის საქმიანობის მაკორდინირებელი ფუნქციით. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დღევანდელი ფუნქციებიდან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენს იმ სტრუქტურას, სადაც საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით ძირითადი სამუშაო სრულდება.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ძირითადად, მაკორდინირებელი ფუნქცია უნდა შეიცვალოს ბიუჯეტის განხილვის პროცესში წინასწარი კონტროლისა და მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ზედამხედველობის ძლიერი ფუნქციით.

აუცილებელია, საქართველოს საპარლამენტო სისტემაში, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. სხვა დარგობრივ კომიტეტებთან ერთად პქრინდეს მთავარი ფუნქცია, სადაც განიხილება საფინანსო-საბიუჯეტო საკითხები, რათა მან შეძლოს ეფექტური წინასწარი და შემდგომი საპარლამენტო კონტროლის განხორციელება. როგორც ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე, ისე მიხი შესრულების დროს

საქართველოს საპარლამენტო სისტემისათვის ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს ძლიერი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, საჯარო ანგარიშის კომიტეტი და ძლიერი, რეალური ფუნქციებით აღჭურველი დარგობრივი კომიტეტები, რომლებიც სრულფასოვნად იღებენ მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის ex post საფინანსო კომპეტენცია და მიხი გაძლიერების გზები

შემდგომი საპარლამენტო კონტროლის ეტაპზე, პარლამენტისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს იმის გარევება, ასრულებს თუ არა მთავრობას პარლამენტის მიერ განსაზღვრულ საფინანსო პოლიტიკას. შემდგომი საფინანსო კონტროლი ასევე, გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის დამტკიცებას ან მის დამტკიცებაზე უარის თქმას.

შემდგომი საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს პარლამენტების საჯარო ანგარიშის კომიტეტი.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო კონტროლის კომპეტენციის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია საჯარო ანგარიშის კომიტეტის შემოღება ქართულ კონსტიტუციურ სივრცეში.

საჯარო ანგარიშის კომიტეტი საბიუჯეტო კონტროლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. საჯარო ანგარიშის კომიტეტის მეშვეობით, პარლამენტი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. საჯარო ანგარიშის კომიტეტის მიერ განხორციელებული კონტროლი პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის წინასწარ და შემდგომ ეტაპებზე ვლინდება.

იმისათვის, რათა საჯარო ანგარიშის კომიტეტმა უფლებურად განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლებამოსილება, გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები: საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა პქონდეს ეფექტური ex post კონტროლის ფუნქცია. რაც მდგრმარეობს იმაში, რომ აღნიშნულმა კომიტეტმა უფლებური კონტროლი განახორციელოს მთავრობის მიერ ბიუჯეტის შესრულებასა და ხარჯების გადახდის ეფექტიანობაზე:

- საჯარო ანგარიშის კომიტეტს უნდა გააჩნდეს მკაფიო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი, რაც გამოიხატება იმაში, რომ კონსტიტუციამ ნათლად გაწეროს მისი როლი და მნიშვნელობა პარლამენტის საკომიტეტო სისტემაში.
- საჯარო ანგარიშის კომიტეტის საქმიანობის პროცედურული საკითხები სასურველია გაიწეროს კომიტეტის დებულებაში, რომელსაც დაამტკიცებს პარლამენტი.
- საკანონმდებლო აქტით სათანადოდ უნდა გაიწეროს საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, ეროვნულ ბანკთან, რაც ხელს შეუწყობს პარლამენტის მიერ ეფექტური საფინანსო კონტროლის განხორციელებას.
- საკანონმდებლო აქტით ცხადად უნდა გაიწეროს საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, რითაც ხაზი გაესმევა აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას პარლამენტის მიმართ.
- საკანონმდებლო აქტით ნათლად უნდა მოწესრიგდეს საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტებთან და სხვა დარგობრივ კომიტეტებთან, რითაც არსებითად გაძლიერდება პარლამენტის საფინანსო კომპეტენცია.
- დებულებით ნათლად უნდა გაიწეროს საჯარო ანგარიშის კომიტეტის შემადგენლობა, მისი ხელმძღვანელობის კომპეტენცია და საქმიანობის საფუძვლები.
- საკანონმდებლო აქტით ნათლად უნდა მოწესრიგდეს საჯარო ანგარიშის კომიტეტის ურთიერთობა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მისი მუშაობის ხარისხს.

საქართველოს საპარლამენტო სისტემაში საჯარო ანგარიშის კომიტეტის შემოღება არსებითად გაზრდის პარლამენტს საფინანსო კონტროლის კომპეტენციის ხარისხს.

**საქართველოს პარლამენტის გქსტრაორდინაციური კონტროლის ფორმები
და მათი გამოყენებლობის პრობლემა საფინანსო საკითხებთან
დაკავშირებით**

საქართველოს პარლამენტის ექსტრაორდინაციური ფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტი თითქმის არ იყენებს **კითხვა/შეკითხვის მექანიზმს** აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობისას.

პარლამენტი საკმაოდ იშვითად იყენებს ზეპირი კითხვების დასმის პრაქტიკას. 2012 წლის შემდეგ, პარლამენტის წევრებს ზეპირი შეკითხვები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადენლებისთვის არ დაუსვამს.

საქართველოს პარლამენტის ფრაქციები იშვითად იყენებენ წერილობითი კითხვების დასმის შესაძლებლობას სახელმწიფო უწყებების მიმართ. 2012 წლის შემდეგ, ფრაქციების მიერ წერილობითი კითხვები არ დასმულა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტმა ცალკე უნდა გაწეროს კითხვა-შეკითხვის პროცედურა მთავრობის მიერ საბიუჯეტო გალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობასთან დაკავშირებით, ასევე, პარლამენტის საფინანსო კომპეტენციის განხორციელების როგორც ex-ante იხედ - post კტაპებზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ დღემდე არ ყოფილა გამოყენებული **იმპიჩმენტის პროცედურა**. აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტი საერთოდ არ იყენებს იმპიჩმენტის მექანიზმს რელევანტური თანამდებობის პირების კონტროლის კუთხით.

საქართველოს კონსტიტუციაში უნდა გაიწეროს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საფინანსო გალდებულებების შეუსრულებლობა კონსტიტუციის დარღვევის ერთ-ერთ სახედ, რომელიც იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძვლს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, თანამედროვე პარლამენტარიზმის განმავლობაში, იმპიჩმენტის მექანიზმი არ ყოფილა გამოყენებული მთავრობის მიერ საბიუჯეტო გალდებულებების შეუსრულებლობისას.

საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვან სახეს დროებითი საგამოძიებო კომისიია წარმოადგენს.

პარლამენტის დროებითი **საგამოძიებო კომისიის** უმთავრეს დანიშნულებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და საჯარო ფინანსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმება წარმოადგენს. დროებით საგამოძიებო კომისიას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის მძღავრი ბერკეტები გააჩნია. კომისიის მოთხოვნით, სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინონ კომისიის მუშაობისათვის აუცილებელი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ 2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საგამოძიებო კომისია არც ერთხელ არ შექმნილა საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით

პარლამენტის ეფექტურ საგამოძიებო კომისიას უნდა ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები:

- კომისიას უნდა ჰქონდეს საგამოძიებო ფუნქცია და იძულების ხასიათი, რაც მისი მუშაობის ეფექტურობას განაპირობებს.
- მას უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტების დაუბრკოლებელი მიღების შესაძლებლობა.
- საგამოძიებო კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ საჯარო დაწესებულებებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში დაუბრკოლებელი შესვლის უფლება მოკვლევის განსახორციელებლად.
- კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეს უფლება, მოსთხოვონ საჯარო მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს საჭირო დოკუმენტის ან ინფორმაციის დაუყოვნებლივ წარმოდგენა.
- პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ უნდა გამართოს საჯარო მოსმენები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის როდესაც საქმე ეხება საჯარო ფინანსების არამიზნობრივად განკარგვას.
- დროებითი საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთ მთავარ კონსტიტუციურ პრეროგატივას აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ უფლებამოსილების თვითნებურად, ბოროტად გამოყენების კონტროლი უნდა წარმოადგენდეს.
- კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს მოწმეს მოსთხოვოს კითხვებზე პასუხის გაცემა და ჩვენების მიცემა მიუხედავად იმისა ინფორმაცია იწვევს თუ არა პირის თვითინკრიმინირებას.
- კომისიისათვის განზრახ ცრუ ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება უნდა ისჯებოდეს კანონით დადგენილი წესით.
- საქართველოს კონსტიტუციამ და სხვა აქტებმა ნათლად უნდა გაწეროს პარამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ფუნქციები მთავრობის მიერ საჯარო ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უნდობლობის მექანიზმი სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს.

უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელის გამოყენება განსაკუთრებით ზიანის მიმყენებელია საბიუჯეტო პროცესისათვის, რადგან როდესაც საკითხი ეხება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივად განკარგვის ან სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ამგარმა გაწელილმა პროცედურამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ქვეყანაში საფინანსო წესრიგის განვითარებასა და სტაბილურობას.

საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურა განსაკუთრებულ მოქნილობას და პარლამენტის მაქსიმალურ ჩართულობას საჭიროებს. უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურის რადენიმე თვით გაგრძელებამ

შესაძლოა არსებითად დაზიანოს საბიუჯეტო პროცესი და საფრთხე შეუქმნას საჯარო წესრიგს ქვეყანაში.

2008 წლიდან 2016 წლის 22 მარტის ჩათვლით, საქართველოს პარლამენტის მიერ არც ერთხელ არ ყოფილა გამოყენებული საქართველოს მთავრობის ნდობა-უნდობლობის, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მექანიზმები საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის წევრთა მიმართ საბიუჯეტო საკითხებთან, ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან ან საბიუჯეტო ხარჯების არამიზნობრივად გაწევასტან დაკავშირებით.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნდობა-უნდობლობის მექანიზმს საქართველოს პარლამენტი არ იყენებს საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, შეიცვალოს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის მოქმედი პროცედურა. რათა იგი მოყვანილ იაქნება შესაბამისობაში ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პრინციპთან. პარლამენტის მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების საბოლოობა ხელს შეუწყობს პარლამენტარიზმის იდეის განვითარებას საქართველოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა გამოიყენოს საპარლამენტო კონტროლის ექსტრაორდინალური ფორმები საფინანსო-საბუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს კანონმდებლობა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 22 ივნისის რეგლამენტი,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1691403>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/1691403)
3. საქართველოს 2008 წლის 26 დეკემბრის კანონი
„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ”,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506)
4. საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის
ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/101044)
5. საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის საბიუჯეტო კოდექსი,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006)
6. საქართველოს 2013 წლის 24 სექტემბრის კანონი „იმპიჩმენტის შესახებ”,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2033641>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/2033641)
7. საქართველოს 2011 წლის 1 ივნისის
ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ”,
[<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264>;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264)

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა ქართულ და უცხოურ ენებზე

8. ინგლისის 1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტია,
[<http://www.constitution.org>;](http://www.constitution.org)
9. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, [<www.senate.gov>;](http://www.senate.gov)
10. იაპონიის კონსტიტუცია, [<http://japan.kantei.go>;](http://japan.kantei.go)
11. ჩილეს კონსტიტუცია, [<https://www.camara.cl>;](https://www.camara.cl)
12. ნიგერიის უდედობრივი რესპუბლიკის კონსტიტუცია (1999),
[<www.nigeria-law.org>;](http://www.nigeria-law.org)
13. ელ-სალვადორის კონსტიტუცია,
[<http://www.asamblea.gob.sv/eparlamento/indice-legislativo/buscadordedocumentos-legislativos?palabrasInteres=&tipoDocumento=AcuerdosdeReformaalaConstitucion>;](http://www.asamblea.gob.sv/eparlamento/indice-legislativo/buscadordedocumentos-legislativos?palabrasInteres=&tipoDocumento=AcuerdosdeReformaalaConstitucion)
14. Бюджетный кодекс Российской Федерации (принят ГД ФС РФ 17.07.1998),
[<www.consultant.ru>;](http://www.consultant.ru)
15. Standing Orders of the French Senate January, 2014,
[<http://www.senat.fr/fileadmin/Fichiers/Images/lng/Standing_orders_of_the_Senate.pdf>;](http://www.senat.fr/fileadmin/Fichiers/Images/lng/Standing_orders_of_the_Senate.pdf)
16. Constitution of Sweden, The Fundamental Laws and the Rikstag Act, chapter. 6,
[<https://socialsciences.exeter.ac.uk/media/universityofexeter/collegeofsocialscie>;](https://socialsciences.exeter.ac.uk/media/universityofexeter/collegeofsocialscie)

- [ncesandinternationalstudies/politics/research/statorg/sweden/ngolawsite/constitution/Constitution - English.pdf](http://www.ncesandinternationalstudies/politics/research/statorg/sweden/ngolawsite/constitution/Constitution - English.pdf);
17. Constitution de 1791 de France, <<http://www.conseil-constitutionnel.fr/conseil-constitutionnel/francais/la-constitution/les-constitutions-de-la-france/constitution-de-1791.5082.html>>;
 18. Constitution of the Republic of Turkey, 1995,
<https://global.tbmm.gov.tr/docs/constitution_en.pdf>;
 19. Constitution of the Republic of Bulgaria, <<http://parliament.bg/en/const>>;
 20. Federal Constitutional Law of Austria,
<http://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Erv&Dokumentnummer=ERV_1930_1>;
 21. Constitutional Act of Denmark,
<http://www.thedanishparliament.dk/Publications/My_Constitutional_Act_with_explanations/Chapter%205.aspx>;
 22. The Constitution of Czech Republic,
<<http://www.psp.cz/en/docs/laws/constitution.html>>;
 23. Rules of Procedure of the Saeima of Latvia,
<<http://www.saeima.lv/en/legislation/rules-of-procedure>>;
 24. Seimas of the Republic of Lithuania Statute, 7 February 1994 #1-399,
<<http://www3.lrs.lt>>;
 25. Constitution of the Republic of Poland,<
<http://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm>>;
 26. Constitution of The Republic of Latvia,<
<http://www.saeima.lv/en/legislation/constitution>>;
 27. Regolamento della Camera dei Deputati:
<http://www.camera.it/application/xmanager/projects/leg17/file/conoscere_la_camera/DA_SITO_25_settembre_2012.pdf>;
 28. Standing Orders of the Hellenic Parliament,
<<http://www.hellenicparliament.gr/en/Vouli-ton-Ellinon/Kanonismos-tis-Voulis/>>.
 29. Rules of Procedure of the Assembly of the Republic of Portugal,
<http://www.en.parlamento.pt/Legislation/Rules_of_Procedure.pdf>;
 30. Rules of Procedure of German Bundestag, <<https://www.btg-bestellservice.de/pdf/80060000.pdf>>;
 31. Rules of the Procedure of the Senate of the Kingdom of the Netherlands,
<http://www.eersteamer.nl/id/vjtockpd5v8b/document_extern/rules_of_procedure_of_the_senate_of/f=vjtocl2l71ov.pdf>;
 32. Rules of US House of Representatives, <<https://rules.house.gov>>.
 33. The National Diet of Japan,
<http://www.shugiin.go.jp/internet/itdb_english.nsf/html/statics/english/pamph_e.htm>;
 34. The New Organic Budget Law (2001); Organic law on Budget Stability and Financial Sustainability (27.04.2012) <<http://www.spanishreforms.com-/organic-law-on-budget-stability-and-financial-sustainability>>;
 35. The US Anti-Deficiency Act 1905;
 36. The US Budget and Accounting Act 1921;
 37. The US Congressional Budget and Impoundment Control Act 1974;
 38. The US Inspector General Act 1978;
 39. The US Federal Manager's Financial Integrity Act 1982;
 40. The US Balanced Budget and Emergency Deficit Control Act 1985;

41. The US Budget Enforcement Acts, 1990 and 1997;
42. The US Chief Financial Officers Act 1990;
43. The US Federal Credit Reform Act 1990,
44. The US Government Performance and Results Act 1993;
45. The US Government Management Reform Act 1994;
46. The US Federal Financial Management Improvement Act 1996;
47. The Constitution Act1867 of Canada;
48. The Financial Administration Act 1985 of Canada as amended (FAA);
49. The Auditor General Act 1977 of Canada as amended (AGA);
50. The Federal - Provincial Fiscal Arrangements Act 1985of Canada;
51. The Constitution 1986 of Japan;
52. The Public Finance Act 1947of Japan;
53. The Diet Act 1947 of Japan;
54. The Public Accounts Act 1947of Japan;
55. The Board of Audit Act 1947 of Japan;
56. State Budget Act 1988 of Finland;
57. Constitution of Malawi (1995),
[<http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/malavi.pdf>](http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/malavi.pdf);
58. Constitution of Ghana (1992),
[<http://www.judicial.gov.gh/constitution/chapter/chap_13.htm>](http://www.judicial.gov.gh/constitution/chapter/chap_13.htm);
59. Basic Law of the Federal Republic of Germany, [<www.bundestag.de>](http://www.bundestag.de);
60. Constitution of France, October 4, 1958, [<www2.assemblee-nationale.fr>](http://www2.assemblee-nationale.fr);
61. The Constitution of the Italian Republic, [<http://en.camera.it>](http://en.camera.it);
62. Constitution of the Portuguese Republic,
[<http://www.en.parlamento.pt/Legislation/CRP/Constitution7th.pdf>](http://www.en.parlamento.pt/Legislation/CRP/Constitution7th.pdf);
63. Constitution of Luxembourg,
[<http://www.legilux.public.lu/leg/textescoordonnes/recueils/Constitution/constitution_gdl.pdf>](http://www.legilux.public.lu/leg/textescoordonnes/recueils/Constitution/constitution_gdl.pdf);

სამუცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე

64. მერიხვი გ., საჯარო ფინანსების მართვა სამხერეთ კავკასიაში – გარე და საპარლამენტო საფინანსო კონტროლი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი, GIZ-ის პროგრამა, ბონი, 1 ნოემბერი 2014, [<http://sao.ge>](http://sao.ge);
65. ჯიბლა შვილი ზ., პარლამენტის საკონსტიტუციო უფლებამოსილებანი საბიუჯეტო სფეროში, თბ., 2015, [<http://emc.org>](http://emc.org);
66. ტანჩევი გ., რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, გ. მელქაძის რედაქტორობით, თბ., 1996;
67. გოდოლაძე კ., საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში – პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, დეპარლამენტარიზაცია: მითი თუ რეალობა, თბ., 2013;
68. გეგენავა დ., უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდელი, გორდიას ქვანძი საქართველოს კონსტუციაში, სამართლის ურნალი №1, თბ., 2013;

69. კობახიძე ო., სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სამართლის ურნალი №1, 2013, თბ.,
70. ბაძეგი გ., ფიში ს., რაიმუნდგვერი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბ., 2012,
71. თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, სტატიათა კრებული, წიგნი 1, გ.პვერენჩხილაძისა და დ.გეგენავას რედაქტორობით, თბ., 2012;
72. მესხია ი., შიხაშვილი გ., კვარაცხელია ა., გოგორიშვილი ი., ხახუკია გ., საზღვარგარეთის ქვეყნების საპარლამენტო პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 1991;
73. დავითაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუცია (საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა), სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი, <http://www.nplg.gov.ge>;
74. კობახიძე ი., კონსტიუციური კანონის პროექტის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიტიკური მიმოხილვა, http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=122&info_id=2130;
75. შენგელია რ., ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პრობლემა, სამეცნიერო ნაშრომების კრებული პროფ. ანზორ თოთაძის რედაქტორობით, თეუსუ, თბ., 2010;
76. შენგელია რ., საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ., 2004;
77. ჩაკვეტაძე გ., ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი: ასპექტები საერთაშორისო გამოცდილებიდან, ივლისი 2014, <http://sao.ge/files/kanonmdebloba/pubniction/biujetis-sagegmvis-procesi.pdf>;
78. დოქტორანტ მამუკა მათიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: უშუალო და წარმომადგენლობითი მმართველობა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2010, <http://www.nplg.gov.ge>.
79. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სახელმძღვანელო პარლამენტის წევრებისთვის, თბ., 2012, <http://parliament.ge>;
80. წაქაძე გ., საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლის სრულყოფისთვის, ალმანახი 2003, №18, <http://www.nplg.gov.ge>;
81. წაქაძე ი.; საპარლამენტო კონტროლი საქართველოში, ალმანახი 2001, №16, სახელმწიფო სამართალი, <http://www.nplg.gov.ge>,
82. უინჯოლავა ზ., საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ; 1993; მელქაძე თ., საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ; 1996;
83. ცანავა ლ., მთავრობის პასუხისმგებლობა, როგორც ძალაუფლების დაბალანსების მექანიზმი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში, სამართლის ურნალი №1, 2014, თბ., 299;
84. გოცირიძე ე., იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის, მართლმსაჯულება და კანონი №1(44)'15, თბ.,

85. ფუტკარაძე ო., საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პრობლემა, თბ., 2010, <<http://www.nplg.gov.ge>>;
86. ჯგურენაია ე., ეროვნული ბანკი მსოფლიო ბაზარზე სრულფასოვან მოთამაშედ ჯერ ვერ გამოდგება!, ბიზნეს-მაცნე, 2008 №2 (4), 2, www.nplg.gov.ge;
87. დემუტრაშვილი ა., მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტოდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კოექტული, თბ., 2013;
88. კვერებჩხილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, წიგნი V, თბ., 1997;
89. კელებუჯერიძე ი.; თანამედროვე გერმანიის კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობა, ალმანახი 2004, №21, სახელმწიფო სამართლი, <<http://www.nplg.gov.ge>>;
90. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა (კონსტიტუციონალიზმის შესავალი), თბ., 2003,
91. ბურგენბერგერი ბ., დემოკრატიის თეორია, <<http://www.migration-law.ge/download/demokratiis%20teoria.pdf>>;
92. ფუთრი თ., უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, უკნევა, 2013;
93. ლოვო ვ., პარლამენტარიზმი, თბ., 2005; ლოვო ვ., პარლამენტარიზმი, ნ. ცეიტიშვილისა და გ. ბალავაძის თარგმანი, ვ. კეშლავას რედაქტორობით, თბ., 2005;
94. ლოვო ვ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, ნ. ცეიტიშვილისა და მ. ბალავაძის თარგმანი, ვ. კეშლავას რედაქტორობით, თბ., 2002;
95. საზოგადოება: როგორ აწესრიგებს ორი საკონსტიტუციო პროცესი ქვეყნის ფინანსებს და კონტროლს, ბანკები და ფინანსები, <www.bfm.ge>;
96. ახალაია კ., საგადასახადო სისტემა და მისი როლი ტრანსპორტის მენეჯმენტის განვითარებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2012, 102-103, <<http://gtu.ge/Stmm/Pdf/ladoaxalaia.pdf>>;
97. ფუტკარაძე ს., საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, ბათუმი 2012, <http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3293_1.pdf>.
98. სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა, ქურ. „სოლიდარობა”, №2(29)2009;
99. სეხნია შვილი ე., ახალი კონსტიტუციური საგადასახადო დებულებები საქართველოში, თბილისი, 2014, <<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/117615/>>;

სამუშაოებრივ დოკუმენტურ ენაზე

100. Remington T.F., Separation of Powers and Legislative Oversight in Russia, WBI Development Studies, Legislative oversight and Budgeting, a World Perspective, editors Rick Stapenhurst, Riccardo Pelizzo, David M. Olson, Liza

- von Trapp, World Bank Institute, Washington DC, 2008,* <www.worldbank.org>;
101. *Damgaard E.*, Representation, Delegation and Parliamentary Control, Copenhagen, April 14-19, 2000;
 102. *Richardson I.*, Paper55/2014, FW Guest Memorial Lecture1989: Commissions of Inquiry, Victoria Unoversity of Wellington Reasrch Papers by the Rights Honourable Sir Ivor Richardson, <[file:///C:/Users/Tamar/Downloads/SSRN-id2189704%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Tamar/Downloads/SSRN-id2189704%20(1).pdf)>;
 103. *Wehner J.*, The Parliamentary Budget Process and Parliamentary Research Capacity: A summary of seven countries, IDASA;
 104. *Dr Amtenbrink F.*, The Three Pillars of Central Bank Governance – Towards a Model Central Bank Law or a Code of Good Governance, Washington D.C, 2004, <www.imf.org>;
 105. *Nyeniso S.*, Independent Budget Processes of Parliament for Improved Accountability and Scrutiny of Parliamentary Budget, Parliament of the Republic of South Africa, 15 July, 2010, <<http://www.asgp.info>>;
 106. *Sylvester C.W. Eijffinger, Marco M. Goebelicht.s.*, Central Bank Accountability and Transparency. Theory and Some Evidence, Discussion paper 6/00, Economic Research Centre of the Deutsche Bundesbank, November 2000, www.bundesbank.de;
 107. *Senator Duglas Everett and Senator Duff Roblin*, A Question of Responsible Government, Canadian Parliamentary Review, 11:1 (Spring 1988);
 108. *Dunn C.*, A Note on the Meaning of Responsible Government, Canadian Parliamentary Review, Vol.11, no 3, 1988, 12, <http://www.revparl.ca/11/3/11n3_88e_Dunn.pdf>;
 109. *Birch A.H*, Representative and Responsible Government, University of Toronto Press, Toronto, 1969;
 110. *Sommermann K.-P.*, Art. 20, in: v. Mangoldt H., Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, München 2010;
 111. *Bradley A., Ewing K.*, Constitutional and Administrative Law, Harlow, 2007;
 112. *Umeshwari C.*, Responsible Government: a case study of Bihar, 1919-1937, the University of Michigan, 2007;
 113. *Turpin C., Tomkins A.*, British Government and the Constitution, Cambridge, 2007;
 114. *Patrick J., McGrath.*, the Way to Responsible Government: the Constitutional Re-Structuring America Needs, US, 2000;
 115. *Dunleavy P., Gilson C., Bastow S., Tinkler J.*, (2009): The National Audit Office, the Public Accounts Committee and the risk landscape in UK Public Policy. URN 09/1423. The Risk and Regulation Advisory Council, London, UK, <<http://eprints.lse.ac.uk/25785/>>;
 116. *Lee Youngjae.*, Law, Politcs, and Impeachment: The Impeachment of Roh Moo-hyun from a Comparative Constitutional Perspective, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, Paper 4, 3-1-2005, <http://lsr.nellco.org/nyu_plltwp/4/>;
 117. *Eleftheriadis P.*, Parliamentary sovereignty and the Costitution, Canadian Journal of Law and Jurisprudence, Vol.XXII, No.2 (July 2009);
 118. *Waldeck J.*, Legal Nature of Parliamentary Procedure, Cleveland State Law Review, Law Journals, Rev.85 (1972), <<http://engagedscholarship.csuohio.edu>>;

119. *Yahoo Christopher S., Calabresi Steven G., Colangelo Anthony J.*, The Unitary Executive in Modern Era, 19452004, Iowa Law Review, Vol.90, No2, 601, 2005, Vanderbilt Public Law Research Paper, No.04-12, Northwestern Public Law Research Paper N.04-09, <<http://ssrn.com/abstract=690822>>;
120. *Vermeule Adrian.*, The Atrophy of Constitutional Powers (January 6, 2011), Harvard Public Law Working Paper, No.11-07, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1736124>;
121. *Mora-Donatto C.*, Constitutional Instruments for Parliamentary Control, Mexican Law Review #3, January-June 2005, <<http://info8.juridicas.unam.mx/cont/mlawr/3/arc/arc10.htm>>;
122. *Nichols J.*, The Genius of Impeachment: The Founders' Cure for Royalism, New York, 2006;
123. *Magone J.*, Contemporary European Politics: A Comparative Introduction, New York, 2011;
124. *Sargentich T.*, The Presidential and Parliamentary Models of National Government, American University International Law Review 8 no. 2/3, 1993, <<http://digitalcommons.wcl.american.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1870&context=auilr>>;
125. *Pach M.*, German and Polish Constructive Vote of No Confidence. Convergence or Divergence? <http://www.tf.vu.lt/dokumentai/Admin/Doktorant%C5%B3_konferencija/Pach.pdf>;
126. *Strom K.*, Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, European Journal of Political Research, Department of Political Science, University of San Diego, US, 2003, <<http://www.uh.edu/polisci/strom.pdf>>;
127. *Turley J.*, Senate Trials and Factional Disputes: Impeachment As a Madisonian Device, Duke Law Journal, Vol.49, Number 1, October 1999;
128. *Hazan R. Y.*, Analysis: Israel's new constructive vote of no-confidence, Chair, Department of Political Science, The Hebrew University of Jerusalem, March 18, 2014, <https://www.knesset.gov.il/spokesman/eng/PR_eng.asp?PRID=11200>;
129. *Mansfield Harvey C.*, Statesmanship and Party Government: A Study of Burke and Bolingbroke, Chicago, 1965;
130. *Lavapuri J., Ojanen T., Scheinin M.*, Rights-based Constitutionalism in Finland and the Development of pluralist constitutional review, International Journal of Constitutional Law, Volume 9, Issue 2, <<http://icon.oxfordjournals.org/content/9/2/505.full>>.
131. *Sobrevila N., Perea (University of Kent, UK)., Eastman S., (Creighton University USA)* Cadiz Constitution of 1812 and its Impact in the Atlantic World and Beyond, <<https://lasa.international.pitt.edu>>;
132. *Krafchik W., and Wehner J.*, The Role of Parliament in the Budget Process, 1999, <<http://www.resdal.org/Archivo/d00001e9.htm>>;
133. *Yu-Chung Shen.*, The Anomaly of the Weimar Republic's Semi-Presidential Constitution, Journal of Politics and Law, Vol. 2, No.3, September 2009, ,<<http://ccsenet.org>>;
134. Budget and Budgetary Process in the Parliament of India, Background Paper, Pakistan Institute of Legislative Development and Transparency, Parliamentary Centre, May 2010, <<http://www.cbgaindia.org>>.

135. *Brazier A.*, Director of the Hansard Society's Parliament and Government Programme, published the following article on his report, The Fiscal Maze: Parliament, Government and Public Money, in the April 2007 issue of Parliamentary Affairs (Volume 60, Number 2), Parliament and Government, Parliamentary Affairs on Parliament's scrutiny of public money, <www.hansardsociety.org>;
136. *Stapenhurst F.C., Pelizzo R.*, A Bigger Role for Legislatures, Finance & Development, a quarterly magazine of the IMF, December 2002, Volume 39, Number 4, <www.imf.org>;
137. *Pennings P.*, Parliamentary Control of the Executive in 47 Democracies, Amsterdam, 14-19 April. 2000,
138. *Lowerse T.*, Unpacking Positive and Negative Parliamentarism, Salamanca, Spain, April 10-15, 2014; <www.sv..uiio.no>;
139. *Tanchev E.*, Parliamentarism Rationalized, 2 E.Eur. Const. Rev.33 (1993), <<http://heinonline.org>>.
140. *Siaroff A.*, Varieties of Parliamentarism in the Advanced industrial Democracies, International Political Science Review 2003, <<http://ips.sagepub.com>>.
141. *Posner P., Park C.K.*, Role of the Legislature in the Budget Process: Recent Trends and Innovations; ISSN 1608-7143; OECD Journal on Budgeting, Volume 7-No.3, 2007;
142. *Godoladze K.* Constitutional Changes in Georgia: Political and Legal Aspects, Humanities and Social Science Review, Tbilisi, 2013;
143. *Chowdury N., Skarstedt C.E.*, The Principle of Good Governance, Oxford, U.K, March, 2005, <<http://www.worldfuturecouncil.org>>;
144. *Stith K.*, Congress' Power of the Purse (1988). Faculty Scholarship Series.Paper 1267, Yale law school, 1345, <<http://digitalcommons.law.yale.edu>>;
145. *Stapenhrs R.*,The Legsilature and the Budget, Washington DC, 2004,
146. *Rosa M. Lastra., Shams H.*, Accountability: Ex Ante or Scrutiny, Ex Post or Control and Transparency, 26 May, 2000, <<http://www.lse.ac.uk>>;
147. *Olaya J., Hussman K.*, Preventing and Combatting Corruption: Good Governance and Constitutional Law in Tunisia, International IDEA&The Center for Constitutional Transitions at NYULaw, No.6, June 2013, New York, <<http://constitutionaltransitions.org>>.
148. *Fisher L.*, The Law of the Executive Branch, Presidential Power, The Oxford Commentaries on American Law, Oxford 2014;
149. *McGrath R.J.*, Strategic oversight and the institutional determinants of legislative policy control. PhD (Doctor of Philosophy) thesis, University of Iowa, 2011, <www.ir.uiowa.edu>;
150. *Santiso C.*, Eyes wide shut? The politics of Autonomous Audit Agencies in emerging economies, CIPPEC, 31 de mayo de 2007;
151. Budget in Parliament, a publication of Lok Sabha Secretariat, New Delhi (March 1998);
152. *Wehner J., Brosamle K., Dimsdale T., Mathiesen M.A., Merz T., Mondo E.*, Strengthening Legislative Financial Scrutiny in Developing Countries, London, 16 May, 2007, <<http://www.europarl.europa.eu>>;
153. *Russo F., Verzichelli L.*, The Adoption of Positive and Negative Parliamentarism: Sistemic or Idiosyncratic Differences? Salamanca, April 2014;

154. Wehner J., Parliament and the power of the Purse: The Nigerian Constitution of 1999 in Comparative Perespective, Journal of African Law46, 2 (2002), 2012-231, School of Oriental and African Stadies, United Kingdom, <<http://siteresources.worldbank.org>>;
155. Wehner J., „Back from the Sidelines”, Redefining the Contribution of Legislatures to the Budget Cycle”, World Bank Institute Working Papers, Washington D.C. 2004, <worldbank.org>;
156. Santiso C., Legislatures and Budget Oversight in Latin America: Strengthening Public Finance Accountability in Emerging Economies, OECD Journal-Volume 4- No.2, <<http://www.oecd.org>>;
157. Folsher A., A Balancing Act: A Fiscal Responsibility, Accountability and Power of the Purse, OECD Journal of Budgeting, Volume 6-No.2, 2006, <<http://www.oecd.org>>;
158. Budget and Budgetary Process in the Parliament of India, Background Paper, Pakistan Institute of Legislative Development and Transparency, Parliamentary Centre, May 2010, <<http://www.cbgaindia.org>>;
159. Wehner J., Principles and Patterns of Financial Scrutiny: Public Accounts Committees in the Commonwealth, in Commonwealth and Comparative Politics Vol41, No.3;
160. Stapenhurst R., Ohnston N., Pelizzo R., The Role of Parliament in Curbing Corruption, WBI Development Studies, The world Bank, Washington DC, 2006;,,
161. Jones F., Parliamentary Control of Budget Implementation, Policy Department of Budgetary Affairs, Brussels, 12.03.2009;
162. Shane M., The Committee System, School of Law&Government, Dublin City University, <<https://www2.le.ac.uk>>;
163. Draman R., Overview of the Budget Process – Government/Legilative Relations and the Role of Information, Parliamentary Centre, <<http://siteresources.worldbank.org/PSGLP/Resources/RasheedDraman.pdf>>;
164. Lienert I., Who Controls the Budget: The Legislature or the Executive?, IMF Working Paper, Fiscal Affairs Department, June 2005;
165. Assessing the Impact and Effectiveness of the Public Accounts Committee, Parliamentary Oversight – Committees and Relationships, a Guise to Strengthening Public Accounts Committees, Public Accounts CommitteeOrientation Package, CCAF-FCVI, <<http://ccaf-fcv.com>>;
166. Some Benefits of Budgetary Control, by Smriti Chand Management, <<http://www.yourarticlerepository.com>>;
167. A Concept Paper on Legislatures and Good Governance based on a Paper prepared by John K.Johnson and Robert T. Nakamura for UNDP, July, 1999, <<http://mirror.undp.org>>;
168. Stapenhurst R., Pelizzo R., O'Brien M., Ex-Post Financial Oversight: Legsilative Audit, Public Accounts Committees...ans Parliamentary Budget Offices? World Bank Institute, OECD Parliamentary Budget Officials and Independent Fiscal Institutions, 4th Annual meeting, OECD Conference Centre, Paris, 23-24 february 2012;
169. Legislatures and the Budget Process, An International Survey, Legislative Research Series, National Democratic Institute for International Affairs, US, 2003;
170. Kanis A.M., Parliamentary Control of Budget Implementation, Study, Brussels, 2012;

171. *Jon R. Blondal.*, The Legal Framework for Budget Systems, an International Comparison, Volume 4, No.3, OECD Journal on Budgeting, Paris, OECD, 2004;
172. *Dobell P., Ulrich M.*, Parliament and Financial Accountability, <<http://www.cbc.ca>>;
173. *Igbuzor O.*, Budgetary and Financial Matters and the Roles of Parliament, <<http://www.otiveigbuzor.com/wp-content/uploads/2013/12/THE-ROLES-OF-PARLIAMENT-for-Kogi.pdf>>;
174. *Isaksen J., Amundsen I., Wiig A.*, with *Abreu C.*, Budget, State and People, Budget Process, Civil Society, and Transparency in Angola, CMIRReport, R2007:7; <<http://www.cmi.no/publications/file/2706-budget-state-and-people-budget-process.pdf>>;
175. *Eze, Chukwuemeka M. and Nnedom, Ugochukwu A., Obiajulu*, Public expenditure management reforms and national development: A critical evaluation of Obasanjo's administration, 1999-2007, African Journal of Political Science and International Relations, Vol.7(2), May 2013, <<http://academicjournals.org/journal/AJPSI>>;
176. *Wehner J.*, Effective Financial Scrutiny: The Role of Parliament in public Finance, <<http://wbi.worldbank.org/wbi/Data/wbi/wbicms/files/drupal-acquia/wbi/parliamentbudgetmodule.pdf>>;
177. *Lee Robert D Johnson., Ronald Wayne, Joyce Philip G.*, Public Budgeting Systems, 8th edition, Boston, 2007, <www.jpub.com>;
178. *Franklin, Mark N., Norton Philip*, Study of Parliamentary Group, Parliamentary Questions, Oxford, Clarendon Press, 1993;
179. *Novak P.*, Parliamentary Questions in Selected Legislative Chambers, Directorate General for Internal Policies , Constitutional Affairs, European Parliament, Brussels, 2014, <<http://www.europarl.europa.eu>>;
180. *Shala M.*, Politic Control of Public Administration from Assembly of Kosovo, Academic Journal of Interdisciplinary Studies, MCSER Publishing, Rome-Italy, Vol 4 No 2 SI, August 2015;
181. *Bagrami A.*, Parliamentary Democracy (Comparative Aspects), fourth edition, Prishtina;
182. *Albert R.*, The Fusion of Presidentialism and Parliamentarism, American Journal of Comparative Law 57, 2009, Boston, <<http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1515&context=lsfp>>;
183. *Ackerman B.*, The New Separation of Powers, Harward Law Review, Vol.113, January 2000, <<http://abdet.com.br/site/wp-content/uploads/2014/11/The-New-Separation-of-Powers.pdf>>;
184. *Riddick Floyd M., Frumin Alan S.*, Riddick's Senate Procedure, Washington, 1992,
185. *Yamamoto H.*, Tools for Parliamentary Oversight, A Comparative Study of 88 national parliaments, Switzerland, 2007;
186. The federalist 391
187. Federalist 345
188. *Mill*, 1861
189. *Rabin J.*, Handbook for Budgeting, New York, 1992;
190. The Budget System of Korea, Ministry of Strategy and Finance, 2014;
191. *Johnson N.*, Financial Oversight, a Handbook for Parliamentarians, World Bank Institute, <<http://gopacnetwork.org>>;

192. Stapenhurst R., Oelizzo R., M.Olson D., Lsa von Trapp., Legislative Oversight and Budgeting, A World Perspective, A World Bank Institute, Washington DC, 2008,
193. Burman A., Financial Oversight by Parliament, Background Note for the Conference of Effective Legislatures, PRS Legislative Research, November 15, 2010, <<http://www.prssindia.org>>;
194. Bratic V., The Role of parliament in the Budgetary Process – The Example of the Croatian Parliament (2000-2003), Occasional Paper No. 19, October 2004; <<http://www.ijf.hr/OPS/19.pdf>>;
195. Parliament and the budgetary process including from a gender prospective, Regional Seminar, Colombo (Sri Lanka) 26-28 May 2003, Parliament of Sri Lanka, Inter- Parliamentary Union, General Report, Rapporteur: Mr. Anura Priyadharshana Yapa, MP, Chair of the Public Accounts Committee of the Sri Lankan Parliament, <<http://www.ipu.org/splz-e/srilanka03.pdf>>;
196. Stapenhurst R., and Alandu M., The Accountability Funactiion of the Parliament of Ghana,
<<http://www.american.edu/sis/africacouncil/upload/Paper-5-Alandu-Stapenhurst-Ghana.pdf>>;
197. Malloy J., The Standing Committee on Public Accounts,
<http://www.cbc.ca/news2/background/groupaction/v2fullreport/CISPA_Vol_1_3.pdf>;
198. Santiso C., Auditing, accountability and anti-corruption: how relevant are autonomous audit agencies?, GCR, 2007, <www.transparency.org>;
199. Pausner Paul L., George Maisons University, Legislatures and Budgeting, 2015, <<http://www.oecd.org/gov/budgeting/39895281.pdf>>;
200. Lehoucq F., Constitutional Design and Democratic Performance in Latin America, Mexico City, 2005,
<<https://repositories.lib.utexas.edu/bitstream/handle/2152/4081/lehoucq.pdf?sequence=2&isAllowed=y>>;
201. Brown E., The Law of Presidential Impeachment, Utah Law Review Vol 1973 (Winter), No.4;
202. Gerhardt Michael J., Putting the Law of Impeachment inPerspective, College of William and Mary Las School, Faculty Publications, Paper 975. US, 929, <<http://scholarship.law.wm.edu/facpubs/975/>>;
203. Neumann Richard K., The Revival of Impeachment as a Partisan Political Weapon (2006), Hofstra University , Legal Studies Reasarch Paper N06-22, 176, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=923834>;
204. Diermeier D., Eraslan H., Merlo A., A Structural Model of Government Formation, January 2003, Econometrica, Vo.71, No.1, <<http://public.econ.duke.edu/~psarcidi/lunchf08/dierersmerlo.pdf>>;
205. Huber J. D., The Vote of Confidence in Parliamentary Democracies, The American Political Science Review Vol. 90, No. 2, 1996, 270, <http://www.jstor.org/stable/2082884>;
206. Cheibub J.A., Elkins Z., Ginsburg T., Beyond Presidentialism and Parliamentarism, The University of Chicago Law School, December 2013;
207. Marsh I., The Commons Select Committee System in the 2015-2020 Parliament, Regnet Research Paper, No.90, Regulatory Institutions Network., 2015; <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2666825>;
208. Strom K., Muller C. W., Bergman T., Delegation and Accountability in Parliamentary Democracies, Political Science, 2006;

209. *Bagce H.E.*, The Role of Political Institutions in Tackling Political Fragmentation and Polarization: Presidentialism Versus Parliamentarism, 2002, <<http://eskidergi.cumhuriyet.edu.tr/makale/140.pdf>>;
210. *Daintith T.*, Page A., The Executive in the Constitution: Structure, Autonomy, and Internal Control, Oxford University Press, Oxford, 1999;
211. *Monroe H.H.*, Intolerable Inquisition? Reflections on the Law of Tax, The Hamlyn Lectures, Stevens, 1981, <<http://socialsciences.exeter.ac.uk>>;
212. *Stanek Stanek S.*, – September 17, 2010, What Constitution says about taxation, <www.heartland.org/policy-documents/what-constitution-says-about-taxation>;
213. *Twomey A.*, The Governor-General's Role in the Formation of Government in a Hung Parliament, Sydney Law School, Legal Studies Research Paper, No.10/85, August, 2010, <<http://ssrn.com/abstract=1666697>>.
214. *Fernando S.*, La Moción De Censura: ¿Constructiva u 'Obstructiva'? (The Vote of No Confidence: Constructive or 'Obstructive', (April 15, 2015), Revista Espanola de Derecho Constitucional, 2015, <http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2594741>;
215. *Alt J.*, *Preston I.*, *Sibieta L.*, The Political Economy of Tax Policy, <<http://www.ifs.org.uk/uploads/mirrleesreview/dimensions/ch13.pdf>>;
216. *Spies K.*, *Petruzzi R.*, Tax Policy Challenges in the 21st Century: Schriftenreihe IStR Band 86, 2014;
217. *Gallagher M.*, *Uleri Pier V.*, The Referendum Experience in Europe, 1996, <www.tcd.ie/Political_Science/staff/michael_gallagher/ReferendumExperience96.pdf>;
218. *Stark, Kirk J.*, The Right to Vote on Taxes. Northwestern University Law Review, Vol. 96, No. 1, 2001. 1, Available at SSRN: <<http://ssrn.com/abstract=288569>>. or <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.288569>>;
219. *Shipton M.*, Referendum on tax-raising powers for Wales would damage devolution, Jul 30 2012, 1, <www.walesonline.co.uk>;
220. *Горгес Р.*, Так работают правительство и парламент, Москва, 1993;

ანგარიშები, დასკვნები, გზამკვლევები და სხვა წყაროები ქართულ და უცხოურ ენებზე

221. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, გზამკვლევი, ფონდი „დია საზოგადოება-საქართველო”, თბ., 2007, <http://www.osgf.ge/files/news/news2007eng/Guide_to_Budget_System_1_Otuq_q7JBy.pdf>;
222. რეფერენცდუმი – პირდაპირი დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური განყოფილება, საქართველოს პარლამენტი, 8, <www.parliament.ge>;
223. ბანკები და ფინანსები, პოლიტიკა: არაფრის მომგანი ეკონომიკური თავისუფლების აქტი, <www.bfm.ge>;
224. მორიგი ეკონომიკური რეცეპტი, 1, www.PSnews.ge, <www.PSnews.info>;

225. ბანკები და ფინანსები, ხელისუფლება მისთვის საჭირო გადასახადების გაზრდას 2013 წლამდე ასწრებს, ნინო დარბაისელი, 1, <www.banksandfinance.ge>;
226. მმართველი გუნდი გადასახადების გაზრდის საკითხის რევერენდუმზე გატანის გადაფიქრებას, სავარაუდოდ არ აპირებს, 6 დეკემბერი, <www.epn.ge>;
227. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა 2010 წლის 20 ივლისს ინიცირებულ კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით, თბ., 2010, <<https://gyla.ge/ge/post/saia-parlaments-konstituciis-proeqttan-dakavshirebit-daskvnas-tsarudgens-59>>;
228. „ფინანსური კონტროლის დირექტივების შესახებ“ ლიმას საერთაშორისო დეკლარაცია;
229. შუალედური ანგარიში - სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისთვის, უროპეან I ინიციატივე იძერალ ცადებებით, ანგარიში - თენგიზ შერგელაშვილის და ელგუჯა ხოკრიშვილის ავტორობით, თბილისი, 2012, <<http://www.ei-lat.ge/images/doc/Singapore,%20Estonia,%20Switzerland-Role%20Models%20for%20Georgian%20Transformation.pdf>>;
230. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შემაჯამებელი ანგარიში №7 (2007წ), საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ;
231. მჯდომარეობის ნ., „თავისუფლების აქტიდან“ გამომდინარე კანონპროექტი პარლამენტში, 17.06.2011, რადიო თავისუფლება, <www.radiotavisupleba.ge>;
232. სტატია – „სააკაშივლა „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ წარადგინა“, სივილ ჯორჯია, თბილისი, 6 ოქტ. 09, <www.civil.ge>;
233. ურიადყოფელი ქ., რაც იბეგრება გადასახადით, ის კლავს, 2012 იანვარი, 2, <www.gfsis.org>;
234. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი სამართლებრივ სახელმწიფოზე, <http://library.court.ge/gil/index.php?term_id=487>;
235. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევა: <<http://www.transparency.ge/node/5689>>;
236. ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრების პროექტი, მოსაზრება №543/2009, CDL (2010)062, სტრასბურგი, 2010 წლის 31 ივლისი, <[http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL\(2010\)062-geo](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL(2010)062-geo)>;
237. საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის №2792/2-4 (28.03.2016) წერილი;
238. ვენეციის კომისიის 2010 წლის 7 ოქტომბრის დასკვნა, CDL-AD(2010)028 Final opinion on the draft constitutional law on amendments and changes to the constitution of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 84th Plenary Session (Venice, 15-16 October 2010);

239. პოლიტიკური დიალოგის ინიციატივა, Initiative for Policy Dialogue, <<http://www0.gsb.columbia.edu/ipd/programs/program.cfm?ptid=2&prid=89>>.
240. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, თბილისი, 2010 წლის მაისი, <http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Taxation%20in%20Georgia_GEO.pdf> ;
241. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfG, NJW 1997, 1387; Hemmer/Wust/Christensen/Grieger, Staatsrecht II, 453;
242. მთავრობის პასუხმგებლობა: Andre Munro <<http://www.britannica.com/topic/ministerial-responsibility>>
243. European Commission for Democracy Through Law (Venice Commision), Opinion no:614/2011, CDL- (2011)016, Strasbourg, 17 March 2011, <<http://www.venice.coe.int>>;
244. OECD Document prepared for the 21st annual meeting of Senior Budget Officials, May 29-30, 2000;
245. Extracted from Funding of Combating Corruption: Constitutional Frameworks fro the Middle East and North Africa, Center for Constitutional Transitions, International IDEA and the United Nations Development Programme 2014, <<http://www.idea.int/publications/combatting-corruption/upload/combatin corruption c4.pdf>>;
246. Making Tax law, Report of a Working Party on the Institutional Processes for the Parliamentary Scrutiny of Tax Proposals and for the Enactment of Tax Legislation chaired bi Sir Alan Budd, the Institute of Fiscal Studies, TLRC Discussion Paper #3, London, March, 2003;
247. European Commission for Democracy Through Law (Venice Commision), Opinion no:543/2009, CDL-AD (2010)028, Strasbourg, 15 October 2010, <<http://www.venice.coe.int>>;
248. Prof. Dr. Wolfgang Babek, Summary of the Berlin Conference on the Constitutional Reform in Georgia;
249. Principles of Tax Policy: Eighth Report of Session 2010-11, Vol.1, British Parliament, House of Commons, Treasury Committee, London, 2011;
250. საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, წერტილ: adapted from Parliaments of the World (Interparliamentary Union, 1986), table 37b;
251. Official Web-site of Office of Management and Budget, the Presidents Budget for Fiscal Year 2015; <<http://www.whitehouse.gov/omb/budget>>;
252. Official Web-site of Government of Canada,<<http://www.budget.gc.ca/2014/docs/plan/toc-tdm-eng.html>>;
253. The Us House of Representative, Committee on Budget,<<http://budget.house.gov/about>>;
254. Parliamentary Function of Oversight, Portal for Parliamentary Development, <<http://www.agora-parl.org/resources/aoe/oversight>>;
255. The Public Accounts Committee of the Parliament of Ghana, Parliamentary Centre of Accra, 2009, 1, <http://www.parlcen.org/en/wp-content/uploads/2011/04/handbooks_and_guides/Public_Accounts_Committee_Ghana_Book_EN.pdf>;
256. Commonwealth Parliamentary Association, World Bank Institute, Parliamentary Financial Scrutiny: The Role of Public Accounts Committees,

<http://dev.cpahq.org/uploadedFiles/Information_Services/Publications/CPA_Electronic_Publications/Parliamentary%20Financial%20Scrutiny%20The%20Role%20of%20Public%20Accounts%20Committees.pdf>;

257. Election Guide, <www.electionguide.org>.

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

თამარ ავალიანი